

საპროფესიო  
კულ.



# საბიბლიოთეკო სეროვებისა

1977 4



4/1977

# საბჭოთა ხელოვნება

## შინაარსი

საპარტიო-სსრ 1977 წლის ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის საბავშვო-საპროფესიო კრემიუმის მიწოდების შესახებ . . . . . 3

ტატანა შაროვა —  
მ. ი. ლენინი და საბჭოთა მრავალფეროვანი ხელოვნების განვითარება . . . . . 4

გურამ ენუქიძე —  
სახელოვანი თეატრები . . . . . 7  
მოსკოვის მრავალფეროვანი თეატრი თბილისში . . . . . 15

ნოდარ გურაბანიძე —  
რემონტის ტანამედროვეობა და თეატრი . . . . . 16  
თეატრის მხატვრული გამოწვევა . . . . . 23

სწავლ. ახმეტელი — 90  
ოთარ თაქთაქიშვილი — დიდი რბილური . . . . . 25  
არჩილ ჩხარტიშვილი — საბავშვო მხატვრობის . . . . . 26  
ვახილ კიკნაძე — რიტმისა და კლასიციზმის კომპლექსური სწავლა ახმეტელის შემოქმედებაში . . . . . 27  
მიხეილ ყვარელაშვილი — ანტიმოდერნიზმის საკუთარი დავაობები . . . . . 39  
ლია სოხაძე — ალექსანდრე ახმეტელი და აინტერ-ტიანი . . . . . 43  
ირაკლი შერვაშაშვილი — ახმეტელის რეპეტიციები . . . . . 45  
შალვა ნუცუბიძე — გზა უკვდავებისაკენ (პუბლიკაცია) . . . . . 49  
სერგო ზაქარაიძე — დიდი, გაბატონებული სივრცეები... (პუბლიკაცია) . . . . . 53  
ვახო გომიანიძე — მადლობის ზემოქმედება (პუბლიკაცია) . . . . . 54  
სწავლ. ახმეტელის შინაარსი ფორმისა და სტრუქტურის (პუბლიკაცია. შესავალი წერილი ეთერ დავითაიასი) . . . . . 55  
სწავლ. ახმეტელის საჯარო გამოსვლები (პუბლიკაცია. შესავალი წერილი ნინო ჭიჭიშვილისა) . . . . . 59  
ვატერინე ვანაძე — დავითაიასის დღე . . . . . 64  
მულისხმობები (პუბლიკაცია. ს. ახმეტელი აღ. გველსონის შესახებ. შესავალი წერილი ლია ვაბრიძისა) . . . . . 65

გურამ გვერდუნიანი —  
პარტიული კინო და მწერლობა . . . . . 67

ოთარ კილაძე —  
მანძი . . . . . 77

ვაჟა ძიგუა —  
მწერის სწავლა . . . . . 78

ელეონორა მამუკელი —  
მხატვრული გზის გასაბნელების უკონტროლო . . . . . 86

ალექსანდრა თოიძე —  
საბავშვო ხელოვნების განვითარება . . . . . 89  
პარტიული კინოს რანჟონი . . . . . 93

ია კვიციანი —  
სტრუქტურის ეტიმოლოგია . . . . . 94

ქარბა ნადირაძე —  
ალექსანდრა თოიძის კინო . . . . . 96

ლადო გულიაშვილი —  
მხატვრული კინოს ფორმა . . . . . 107  
ახალი წიგნები . . . . . 112  
კრიტიკა . . . . . 113

### საპარტიო-სსრ კულტურის სამინისტროს უკველთვიური ჟურნალი

### თეატრი მუსიკა მხატვრობა კინო არქიტექტურა ხელოვნება

მთავარი რედაქტორი  
თეატრის მიხეილ  
სარდალაძე  
პაპია ბაქრაძე,  
მხატვრული მხარე,  
გურამ ნუცუბიძე  
(პარტიულ-საბავშვო მხარე),  
ნოდარ გურაბანიძე,  
მუსიკის კომიტეტი,  
ნოდარ გულიაშვილი,  
მუსიკის მხარე,  
გივი მარჯანიძე,  
ნათელა შარაძე,  
რედაქციის  
ნათელა შარაძე,  
ნიკო მამუკაძე,  
ნოდარ გურაბანიძე.

### ვ. ი. ლენინის დაკვების 107-ე წლისთავი

ღმის, ჩვენი ძველნი განვითარების ახალ ეტაპზე, როცა კომუნისტური მხედრობის, უმაღალი-  
თმ მასშტაბის ამოტანები და დედაქალაქი მტკი-  
ცა მხედრობის უზრუნველყოფის უდიდესი მნი-  
შვნელობის ამოტანა წულობა, ახალი კალით ვლი-  
ნდება ჩვენი პარტიის ლენინური კურსის თანამიმ-  
დევროლობა და ურდუები მემკვიდრეობითობა.


საბჭოთა კავშირის კომუნისტური  
პარტიის ცენტრალური კომიტეტის  
1977 წლის 31 იანვრის დადგინებულ-  
დან „დიდი ოქტომბრის სოციალის-  
ტური რევოლუციის 60-60 წლისთა-  
ვის შესახებ“.



ი. შადრი

ვ. ი. ლენინის ძეგლი ზაპეესში (1927 წ.)

# საქართველოს სსრ 1977 წლის ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ



კორნელი სანაძე



გურამ სალარაძე



რიკვა ინაშვილი



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ალბანენ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება და საქართველოს სსრ 1977 წლის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები მიენიჭოთ:

მუსიკის დარგში:

პახიძის ჯანსუღ ივანეს ძეს — 1975-1976 წლებში ნაყოფიერი სადიროლო მოღვაწეობისათვის.

სახვითი ხელოვნების დარგში:

სანაძეს კორნელი ბარნაბის ძეს — 1975-1976 წლებში შექმნილი ნაწარმოებებისათვის (საზოგადო მოღვაწეთა, მუშათა და კოლმეურნეთა ფერწერული პორტრეტების, პეიზაჟებისა და გრაფიკული ნამუშევრების სერიები).

თეატრალური ხელოვნების დარგში:

სალარაძეს გურამ გიორგის ძეს — მხატვრული კითხვის და ქართული პოეზიის პოპულარიზაციის საქმეში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის (1975-1976 წლებში ჩატარებული მხატვრული კითხვის პერსონალური პროგრამა-კონცერტი).

საბავშვო ლიტერატურის დარგში:

ინანიშვილი რევაზ კონსტანტინეს ძეს — 1975-1976 წლებში შექმნილი საბავშვო მოთხრობებისათვის, რომლებიც შესულია წიგნში — „შორი თეთრი მწვერვალი“ (გამომცემლობა „ნაკადული“, 1976 წელი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. შუპარდანიძე  
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. პაბარიძე

# პ. ი. ლენინი და საბჭოთა პრეპარატიული

## ხალხების ბანკითარება

ტატიანა შაროვა

70-იანი წლების მიერ ნახევარში, დიდი ოქტომბრის 60 წლისთვის შეხვედრის წინ კიდევ უფრო აშკარა ხდება სოციალისტური კულტურის, ერების დიდი მეგობრობის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთგაზიარების ლენინური კონცეპციის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

ლენინური კულტურული რევოლუციის განხორციელებამ, მნიშვნელოვან ფაქტორად რომ იქცა ეროვნული საკითხის სოციალისტური გადაჭრის ლენინური პროგრამის განხორციელებაში, ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის ხალხთა შინაარსით ინტერსაციონალური და ფორმით ეროვნული კულტურის აყვავებას, მისი სახელგანთავსი წარმომადგენლების საყოველთაო პოპულარობას.

შარშან ოქტომბერში თბილისში ჩატარებულ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციასე „ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ XXV ყრილობის მიერ დასმული ამოცანების განხორციელებას — საბჭოთა ხალხის, როგორც განვითარებული სოციალიზმის ადამიანების ახალი სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარების პროცესების შემდგომ შესწავლას, მრავალეროვნული ხელფენების — მსოფლიოში არსებული ახალი ესთეტიკური სისტემის აყვავებას.

ინტერსაციონალურისა და ეროვნულის ამ გეგმყოფელ მთლიანობაზე საბჭოთა მრავალეროვნულ ხელფენებში, როგორც ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამოვლინებაზე ილაპარაკა აშხ. ე. შვარცნაძემ თავის მოხსენებაში საკავშირო პრაქტიკულ კონფერენციაზე:

„ჩვენი საერთო-სახალხო სიამყავე ტოლსტოისა და შვეჩენკის, კუპალასა და კუნანბავეის, ნავოისა და ბარათაშვილის, დონეაილისისა და რაინისის, ისაკიანისა და ტოტოგოლის, ნიზამის, ქერბაბაევისა და გულიანოს, ფირდუსისა და სმუულის, აიტმატოვისა და აინის, კრიანგის, გულიას, ხეთაგუროვისა და ბეგრ სხვათა შემოქმედება. თვითეული ერი არა მარტო იღებს სხვა ხალხისაგან სულიერ ღირებულებებს, არამედ თავისი შემოქმედებით თვითონაც ამდიდრებს მოძვე ხალხთა სულიერ სამყაროს“.

ბურჟუაზიული პრესაც კი იძულებულია აღიაროს მრავალეროვნული საბჭოთა კულტურისა და ხელფენების თვალსაჩინო წარმატებები. ამერიკის შვერთული შტატებშიც დაბრუნებულმა საბჭოთა პოეტმა ვ. კორტიჩმა, რომელიც იქ იმყოფე-

ბოდა კანსასისა და კალიფორნიის უნივერსიტეტების მიწვევით, ხაზი გაუსვა ამერიკელი ახალგაზრდობის დიდ ინტერესს საბჭოთა მრავალეროვნული ხელფენებისადმი, იმისადმი, თუ როგორ ვითარდება და მტკიცდება ყოველი დიდი თუ პატარა ერის ხელფენება დიდი საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში.

მართლაც, ყველასათვის ნათელია სრულ სოციალისტური კულტურის მშენებლობის საერთაშორისო მნიშვნელობა.

დიდი ოქტომბრის 60 წლისთვის საბჭოთა კავშირი ხვდება როგორც მსოფლიოში მშვიდობის აქტიური დამცველი, როგორც განთავისუფლებული კოლონიალური ხალხების მხარდამჭერი და მეგობარი.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინი, შეუდგა რა კულტურული რევოლუციის განხორციელებას, მხედველობაში იღებდა, რომ მრავალეროვნულ რუსეთში, სადაც ჩაგრული ერების რაოდენობა მთელი მოსახლეობის 57 პროცენტს — 100 მილიონზე მეტს აღწევდა, სოციალისტური კულტურის მშენებლობა მიითხოვდა ეროვნული საკითხის შედმიწვევით ხუხს და თანმიმდევრულ გამორჩეილებას.

ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ლენინი ნათლად მიუთითებდა დიალექტიკური ეროვნული კულტურული მშენებლობის პერსპექტივას რევოლუციის შემდგომ საბჭოთა კავშირში და აღნიშნავდა: „დემოკრატიული და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურის“ ლოზუნგს რომ ვაყენებთ, თვითეული ნაციონალური კულტურიდან ჩვენ ვიღებთ მხოლოდ მის დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს, ვიღებთ მათ მხოლოდ და უთუოდ თვითეული ერის ბურჟუაზიული კულტურის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის საპირისპიროდ“ (ვ. ი. ლენინი. თხ. ტ. 20. გვ. 10).

სწორედ ეროვნული კულტურის ეს „დემოკრატიული და სოციალისტური ელემენტები“ ყოველი ეროვნების კულტურაში არის ის ბაზა, რომლის საფუძველზეც გამარჯვებულ მშრომელ კლასებს უნდა აუმჯობესონ მოსახლის ხელოვნება. ყოველივე ეს უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის ქუმმარტი ეროვნული კულტურის აყვავების საწინდარის გამარჯვების შემდეგ.

ღ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1971 წ. მიყვანა ვ. ი. ლენინის სიტყვები კავკასიაში ეროვნული საკითხის გადაჭრის შესახებ:



„ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები + სომხები + თურები + რუსები ათ წულობადვე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად ერთად ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფარავს კი არ არის, არამედ ერთგულნი საკითხის საკავშირო პროლეტარული გადაწყვეტაა, ერთადერთი გადაწყვეტა“ (ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 35. გვ. 76).

და დაუბატა: „დიას, ამხანაგებო! ეს გადაწყვეტა, რომელიც მარქსიზმა გამოიხატა, გამოყვადვთ რევოლუციისა და სომოქალაქო ომის ქარიშხლებში, მჩქეფარე ხუთწულებში, დიდი სამამულო ომის ბრძოლებში. და მან გაუძლო ყველა განსაცდელი“.

ნაციონალური ნიჰილიზმის ანტილენინური ვულგაროზატორული კონცეპციების საწინააღმდეგოდ, რომლებიც საჭიროდ მიიჩნევდნენ ერთგულნი ენებისა და კულტურების შესაძლო შერწყმისა და ნივლიზმის, ვ. ი. ლენინი მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე „ერთადერთი გადაწყვეტა“, „მარქსიზმის გამომხატველი“ მხოლოდ სრული თავისუფლება ერთგულთს გამოვლინებისა, ერთგული თავისებურებებისა და მისწრაფების სრული გათვალისწინებით და, უპირველეს ყოვლისა, თვითყველი ერის გარანტირებული უფლება თვითგანსაზღვრისა მივიყვანს ინტერნაციონალისტურ სწრაფვასთან, დაგვახლოებს სხვა ერებს, გააძლიერებს ნებაყოფიებით კავშირს ხალხებს შორის, შექმნის ჭეშმარიტ სოციალისტურ კულტურას.

საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ოქტომბრის შედეგად პირველივე დღეებში მიღებული დეკრეტები: „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაცია“, „რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენობა“ ლენინისეულ კლასიკურ ფორმულირებასთან — „ხელოვნება ეკუთვნის ხალხს“ — ერთად იქცნენ იმ დოკუმენტებად, რითაც დაიწყო კულტურული რევოლუციის განხორციელება, ეს კი, თავის მხრივ, იქცა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეობის განუყოფელ ნაწილად. უკვე 1919 წელს საბჭოთა სახელმწიფოს ბელადმა განსაზღვრა ერთგული პოლიტიკის არსი:

„ჩვენ ყოველწინააღმდეგობით თვითყველი ერთგულების დამოუკიდებელ, თავისუფალ განვითარებას, ლიტერატურის ზრდასა და გავრცელებას თვითყველად დება-ენაზე“ (ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 29. გვ. 612).

სოციალისტური ხელოვნების მშენებელი მოწინავე, დემოკრატიულად განწყობილი ძველი შემოქმედებითი ინტელიგენციის „განსაბჭოებისა“ და „სოციალიზაციის“ ლენინური გეგმის ისტორიული არსი განსაკუთრებით საგრძნობია ამიერკავკასიის რესპუბლიკების მავალითზე. კავკასიის კომუნისტურ ბრძოლაში მიწერილი ცნობილი წერილებში ვ. ი. ლენინი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ განსაკუთრებული გულისხმობება, სიფრთხილე, მოთხოვნება უნდა გამოიჩინონ ინტელიგენციის მიმართ, ყოველგვარი ადმინისტრირების, ძალადობის გარეშე და გეგმარაობისა და მათთან ასახილ სამყაროს მშენებლობაში.

აქ, ძველი შემოქმედებითი ინტელიგენციის აღზრდასა და გარდაქმნაზე ლაბარაკისას, იგულისხმება ახალი, მრავალერთგულნი საბჭოთა სახელმწიფოს ინტელიგენციის შექმნა. შემოქმედებითი ინტელიგენციის ძირითადი ნაწილი მათი მხრივ დადგა ახალი სამყაროს მშენებელთა რიგებში. მათი მუშაობაზე მოქმედებები სოციალისტური ხელოვნების ლენინური გეგმის განხორციელებაში უნდა მონაწილეობდნენ და უჭერდნენ მხარს, ბევრი მათგანის ბიოგრაფია ფაქტურად ამიერკავკასიაში რევოლუციის გამარჯვების მატარებელი.

ამრიგად, უკვე ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების

გამარჯვების პირველივე თვეებში ნათელი გახდა ლენინური ერთგული პოლიტიკის მხარდაჭერის აქტიური ნიშნები შემოქმედებითი ინტელიგენციის მხრიდან.

ვ. ი. ლენინმა და მისი ხელმძღვანელობით პარტიამ შემომუშავეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ერთგულ საკითხში, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა დახლოება ხალხთან პერსპექტივიანად რაღორ მოოცესად აქციეს.

ძალზე ნიშანდობლივია, რომ ქართული საბჭოთა დრამატურგის ფუძემდებელი შ. დადიანი მაშინვე ჩაება სოციალისტური საქართველოს მშენებლობაში და განაცხადა: ლენინური ერთგული პოლიტიკის ყველაზე დიდი მიღწევა საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობაა.

ქუთაისის რევკომმა შ. დადიანი დანიშნა ჯერ დრამატურ რევოლუციური თეატრის ხელმძღვანელად, ერთი თვის შემდეგ კი იგი საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ფეატრალური სექციის გამგე და „სახალხო სახლის“ ხელმძღვანელია. 1923 წ. გახუთი „კომუნისტური“ განსაკუთრებული აღნიშნავდა შ. დადიანის როლს ლენინური ერთგული პოლიტიკის გატარებაში და ქართული თეატრის შექმნის საქმეში. შ. დადიანის ფეატრალური მოღვაწეობის 30 წლის იუბილზე მხატვის სტუდიაში 1923 წელს, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის განხილვებზე დემონსტრაციად იქცა, როდესაც იუბილარს მიესალმნენ ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო და ა. იმპლირჩანი, რომელმაც წაიკითხა ა. სუმბათაშვილი-იუვილის ადრესი.

საბჭოთა ხალხების მეგობრობის იდეის მუხნებარე პროპაგანდისტები იყვნენ პირველი პროლეტარული აზერბაიჯანული პოეტი მამედ საიდ ორდელი და მოქმედ-დრამატურტი გაფარ ჯაბაბლი, რომელთაც თავიანთი შემოქმედებითი გზა ჯერ კიდევ ოქტომბრამდე დაიწვეს. თუ ორდელი ერთ-ერთი პირველია იმისა და ლენინური ერთგული პოლიტიკის განხორციელებაში აზერბაიჯანში, ეს ჯაბაბლიმ საკუთარი თავის გამოსვლა და ცარიზმის ცენზურის ეკლიოურული მოვინიშნა, როდესაც მის პიესებს არ დაგმდნენ. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აზერბაიჯანში მთავრდებოდა იყო მისი ძველი თუ ახალი პიესებისათვის: „ცეცხლის საცემო“, „სევილი“, „ალმასი“, „1905 წელს“, ხოლო მისი სტატეები ერთგული კულტურის საკითხებზე ყოველმხრივ ეხმარებოდა ლენინური ერთგული პოლიტიკის გატარებას აზერბაიჯანში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პროცესსავე წლებში ამიერკავკასიაში დაიწყო ხელოვნების ყველა დარგის აღორძინება. ქართული და სომხური თეატრების ისტორიაში დაიწყო ახალი — ქართული და სომხური საბჭოთა თეატრების განვითარების ხანა.

1921 წელს სტუმარმოყვრულად გაიხსნა ერევნის სუნდუკიანის სახელობის თეატრი. 1922 წ. თბილისში გაიხსნა სამხატვრო აკადემია, 1923 წელს — ერევანში კონსერვატორია, ხოლო მოსკოვის კონსერვატორიაში, პროფესორ გ. გუზიკოვის ხელმძღვანელობით შეიქმნა ახლა უკვე სახელმწიფო კომპოზიტორთა კავსტეტი. იმდროინდელი დრამა ქართულმა რეჟისორმა კ. მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრში დადგა ლოპე დე ვეგეს „ფუნტე ოფუნა“. ჯ. ანტონოვის „მშის დაწველება საქართველოში“ და ვ. ერისთავის „ვაცარა“, შემოიკრებოდა ახალგაზრდა ტალანტები, შემდეგონი სსრ კავშირის სახალხო არტისტები: ა. ხორავა, ა. ვასაძე, ვ. ანუაფრადიძე, შ. ლამაშიძე, ვ. გოთიაშვილი. ლ. ქალანოაზრა, ა. ბურჯალიანმა დიდად შეუწყვეს ხელი სომხური საბჭოთა ხელოვნების განვითარებას, ასევე



ა. სპენდიაროვის შემოქმედებამ, ზ. ფალიაშვილისა და უ. პა-  
ჯიბეგოვის ოპერებმა, ახალი ნაოთი ფურცელი ჩაწერეს საბ-  
ჭოთა სახელმწიფოს მრავალეროვნული სოციალისტური კულ-  
ტურის განვითარებაში.

ქართულმა საბჭოთა ინტელიგენციამ წარმატებით ჩააბარა  
პოლიტიკური და მხატვრული სიმწიფის შემოქმედებითი გა-  
მომცად, დადგა საბჭოთა კინოინჟინერების მიღწევითა სა-  
თავებთან და შექმნა ისეთი ფილმები, როგორცაა „ასრუ-  
ა ჯიორჯიაშვილი“ (1921), „სურამის ციხე“ (1922), „წითელი  
ემკაკუნებ“ (1923). 1923 წლიდან მიეცა დასაბამი სიმე-  
ხური კინემატოგრაფიის განვითარებას. ეს უდავოდ იყო ამოერ-  
კვეცისის ხალხთა მრავალეროვნული ხელოვნების შექმნის  
პროცესი — ე. ი. სოციალისტური ხელოვნების მშენებლობის  
ლენინური გეგმის ცხოვრებაში განხორციელება.

20-იანი წლების ჟურნალებში დიდ ადგილს უთმობდნენ  
სოციალისტური კულტურის ფორმირებასა და განვითარებას  
საბჭოთა ქვეყნის ხალხებში. ასე მაგალითად, თითქმის მთელი  
მეხუთე ნომერი ჟურნალ „პროლეტარისა“ 1925 წ. ეძღვნება  
სსრ კავშირის (კავ.)-ის მეორე მიწვევის მხარე სესიას, რომე-  
ლიც ამ წლის 3 მარტს გაიხსნა თბილისში. მთელი რიგი ჟურ-  
ნალები უკვე 20-იან წლებში აშუქებდნენ საბჭოთა ხალხების  
ხელოვნების მიღწევებს. გამოჩნდა სტატიები ჩრდილო კავკა-  
სის პროლეტარული მწერლების შემოქმედებაზე, სტატიები  
უკრაინის მონუმენტურ ხელოვნებაზე, კ. ტარინას შემოქმედე-  
ბაზე, სომხურ არქიტექტურაზე, ახალგაზრდა აზერბაიჯანულ  
პროზაზე, რეჟისორები პიოტროსოვ გ. რეზინაშვილის შრომაზე  
„ქართული დარბაზი“, იბეჭდებოდა ა. ლუნარსკის, პ. კოგა-  
ნის, ი. ტუვენოვლის სტატიები, რომლებიც უშუალოდ საბ-  
ჭოთა ქვეყნის ხალხთა ხელოვნებას ეხებოდნენ. მაგალითად,  
ტელეფონისამცოდნე ი. ტუვენოვლი გამოყენებს „სსრ კავში-  
რის ხალხთა ცხოვრება და ყოფა“ ანალიზისას აღნიშნავდა  
„ქართული ფერწერის მკაფიო გამომახველობას“, „მ. სარი-  
ანის მზურ პალიტრას“, „უკრაინელი მხატვრების ლირიზმს“,  
სმამალა ლაპარაკობდა „ფიონისანზე, როგორც გენიალურ  
თეთრობად მხატვარზე“, რომლითაც მთელ მსოფლიოს შე-  
უძლია იამყოს, თბილისის მუშათა და გლეხთა სტუდიაზე,  
მ. თოთის ხელმძღვანელობით რომ მოქმედებდა, მოჰყავდა  
რეინალისეული შეფასება დ. გუდიაშვილის ნაწარმოებებისა  
— მისი უნარი, რისი მემკვიდრეობაც მან პარიზშიც კი შეინარ-  
ჩნა ერთნაირი თავისებურება. ხელოვნებისმცოდნე თაის  
სტატიას ამთავრებდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის გა-  
მარჯვების მტკიცებით.

აღსანიშნავია, რომ უკვე 20-იან წლებში გორკის ხელ-  
მძღვანელობით დაიწყო წელიწადში ოთხჯერ ლიტერატურ-  
ულ-მხატვრული ოლმანახის და სერიის „სსრ კავშირის ხალ-  
ხთა შემოქმედება“ გამოსვლა.

ეროვნული საკითხის სოციალისტური გადაწყვეტის ლე-  
ნინური პროგრამის განხორციელების მაგალითმა საქართვე-  
ლოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ნათელი გახადა, რომ ახა-  
ლი ცხოვრების შენების პროცესში ყოველი ხალხი თვისებებს  
სხვა ერების კულტურას და ავითარებს საკუთარს.

თვით რეალობაც — კ. სტანისლავსკის, ე. ვახტანგოვის,  
მ. მონასხოვის, ე. მარჯანიშვილის, პ. სისაკაგანსკის, ა. ანბეტ-  
ლის, დ. ქალანთარის ახალი დღეებში, ხალხის აქტიური  
მონაწილეობა მასობრივ სანახაობებში, სტუდიებში, წიგნებში,  
ი. პავლოვისა და ი. ბერიტაშვილის ლაბორატორიები, ი. ნი-  
კოლაძის, გ. ტაბიძის, მ. თოთის, მ. სარიანის შემოქმედება

უცლობელი არგუმენტი, იმის მაქვენებელი იყო, თუ რა  
ხორციელდება ცხოვრებაში სოციალისტური ხელოვნებისა და  
კულტურის ლენინური კონცეპცია.

საბჭოთა ხელოვნების ლენინური მადე-ესთეტიკურმა  
საფუძვლებმა დიდი ასპარეზი მისცა ამირკავკასიის რესპუბ-  
ლიკების ეროვნული კულტურის დამოუკიდებელ წინსვლას  
მაგრამ ყოველი მომე ხალხი ზრუნავდა რა საკუთარი ერო-  
ნული კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის განვითარე-  
ბაზე, ამასთან, ყვეტად კიდევ სოციალისტური კულტურის  
მშენებლობის ინტერნაციონალურ ამოცანას. აქედან აღმოცენ-  
და სწორედ თვისობრივად ახალი ტიპი ხალხთა სოციალურ-  
ისტორიული ერთობისა. ამაში მდგომარეობს უდადესი ის-  
ტორიზმი სოციალისტური ხელოვნების ლენინური მოძღვრე-  
ბისა, რაც, თავისთავად, ეროვნული პოლიტიკის სოციალის-  
ტური გადაწყვეტის ლენინური პროგრამის ნაწილია.

და ახლა, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ზღვრულ-  
ზე, როდესაც ვუკვეით რუსთავის მეტალურგიულ და ქუთა-  
ისის საავტომობილო ქარხნებს, მანდელსა და ნენგურსებს,  
ქართველების შრომა-გარჯას ბაშუე, სუმგაითს, მინგეაურს,  
დაშქესანს — შექმნის ქართველებისა და აზერბაიჯანელე-  
ბის, უკრაინელებისა და სომხების ერთობლივი შრომით, კარ-  
გად გვესმის, რომ ამირკავკასიის ხალხებმა, როგორც განუყ-  
რელმა ნაწილმა აღამიანთა ახალი ისტორიული ერთობისა, სა-  
ბჭოთა ხალხების მეგობრულ ოჯახში ააშენეს თავიანთი ახალი  
სოციალისტური ცხოვრება.

განვლილი წლების მანძილზე არნახულ აყვავებას მიაღწია  
საბჭოთა ხალხების ხელოვნებამ, განვითარებული სოციალი-  
ზმის ხელოვნებამ. სულ ძალუმად ფლერს ხალხთა ერთიან მე-  
გობრულ ოჯახში მრავალეროვნული საბჭოთა ხელოვნების  
წარმომადგენელთა მხები.

ამჟამად, 70-იანი წლების მეორე ნახევარში, მსოფლიოს  
წინაშე ერთიანი საბჭოთა სოციალისტური რეალობის ხე-  
ლოვნებამ, რომელიც აერთიანებ 75 ეროვნულ ლიტერატურასა  
და ხელოვნებას, ეს არის ერთ-ერთი პრაქტიკული შედეგი  
ინტერნაციონალიზმის პოლიტიკისა და საბჭოთა სოციალის-  
ტური რესპუბლიკების კავშირის შემოქმედებით შრომისა,  
აგრეთვე ლენინური ეროვნული პოლიტიკის ბრძნული პრინ-  
ციპების განხორციელება.

ახლა მთელი მსოფლიო ხედავს, რომ საერთაშორისო მას-  
შტაბით წარმომავ კულტურის აქამდე უცნობი სოციალისტურ-  
ი ტიპი, რომ დიადმა მარქსისტულ-ლენინურმა იდეებმა ცო-  
ცხალი განსახიერება ჰპოვეს.

საბჭოთა მრავალეროვნული კულტურის ამ გრანდიოზულმა  
მიღწევებმა პრაქტიკულად დაამტკიცეს მარქსიზმ-ლენინიზ-  
მისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ლენინური  
ეროვნული პოლიტიკის იდეების ცხოველყოფილი ძალა.

მრავალეროვნულ საბჭოთა ხელოვნებას — სოციალისტური  
რეალიზმის ხელოვნების ლენინური პრინციპების უშუალოდ  
გამოვლინებას — ხელეწიფება გადაჭრას თანამედროვეობის  
ყველაზე საკვანძო, ურთულესი პრობლემები, დაეხმაროს იმ  
ხალხებს, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის სხვადასხვა  
ფორმის წინააღმდეგ რომ იბრძვიან.



# სახელმწიფო თარიღები



## გურამ ენუქიძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომარუშების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

ჩვენს რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ აღნიშნა საქართველოს რადიოს 50 და ტელევიზიის დაარსების 20 წლისთავი. „ლაპარაკობს თბილისი, ლაპარაკობს თბილისი!“ — ასე დაიწყო 50 წლის წინ თავისი გადაცემები საქართველოს რადიომარუშებლობამ.

და მას შემდეგ ამ სიტყვებით ესალმებიან ყოველდღე თავიანთ მსმენელებს საქართველოს რადიოს დიქტორები ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ჩვენი ცხოვრების ეს მნიშვნელოვანი მოვლენა დიდი ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი მონაპოვარია. მას წინ უძღოდა კაცობრიობის ისტორიაში პირველი პოლიტიკური რადიოგრაფია, — ეს იყო ლენინური „დეკრეტი მიწის, ზავის, საბჭოთა მოავრობის შექმნის შესახებ!“.

1919 წელი... 27 თებერვალი... დილის ათ საათზე მოსკოვის ნიჟეგოროდის რადიოლამობრატორიდან, მორჩეს სივანალების ნაცვლად, რადიოთი პირველად გაისმა ადამიანის ხმა... რამდენიმე საათის შემდეგ ლამობრატორიამ დეკრემ მიიღო: — „რადიოში ადამიანის ხმა გავიგეთ, აგვისსენით რა ხდება“...

ასე იქცა რადიო XX საუკუნის საოცრებად. ასე შევადგა იგი პირველად საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში.

ასე დაიწყო მან საუბარი ადამიანებთან მათთვის გასაგებ, მისაწვდომ და მახლობელ ენაზე.

ამ ხმამ საქართველომდეც მოაღწია: 1922 წელი. 22 აპრილი, ლენინის დაბადების დღე. ნავთულში თავშეყრილი ათასობით ადამიანის თვალწინ წელ-წელა წულში იმართებოდა ასოცმეტრიანი რადიოანძა.

ეს იყო პირველი დიდი მოვლენა ამიერკავკასიის რადიომშენებლობის განვითარებაში.

1925 წლის 20 მაისს გახუთი „კომუნისტი“ იუწყებოდა: „21 მაისს თბილისის მძლავრი რადიოსადგურე მოაწყო მის პირველ საცდელ გადაცემა-კონცერტს“.

იმ დღეს რუსთაველის პრისაპექტი და ყოფილი ალექსან-

დროვის ბაღის შემოგარენი თბილისელებით გაივსო. ახლანდელი სასტუმრო „თბილისის“ შენობის ერთ-ერთი პატარა ოთახიდან, რომელიც რადიოსტუდიად იწოდებოდა, დაიწყო პირველი საცდელი გადაცემა-კონცერტი. ეთერში გაისმა მართო თარხნიშვილის ურმული, სანდრო ინაშვილისა და ნიკო ქუშიაშვილის სიმღერის ხმები.

სულ მოკლე ხანში რადიომარუშებლობა ცალკეული ებიზოდური გადაცემებიდან რეგულარულ, ყოველდღიურ გადაცემებზე გადავიდა.

50 წელი გვაცილებს იმ პერიოდს, და მათ, ვინც თავიანთი შემოქმედებით ცხოვრება რადიომარუშებლობის განვითარების საქმეს მიუძღვნეს, კარგად იცინა, რა დიდი შრომა იყო საჭირო, როგორი ენთუზიაზმი, როგორი სიყვარული საქმისა, რომ ფუნდამენტი მიჰყოლოდნენ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის საოცარ რიტმს.

სოციალისტური აღმშენებლობის სარბიელზე, როდესაც ხორციელდებოდა საუკუნეებით ჩამორჩენილ ქვეყნის უძლიერეს ინდუსტრიულ სოციალისტურ სახელმწიფოდ გარდაქმნის გენერალური გეგმა, რადიომარუშებლობა პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების მძლავრ, აქტიურ და საყრდენ ძალად იქცა.

გამოგვივითა რადიომარუშებლობის როლი, როგორც პროპაგანდისტის, აგიტატორის, ორგანიზატორისა, მისი მოვალეობა — აღზარდოს საბჭოთა ადამიანები კომუნისტური სულისკვებით, აამაღლოს მათი პოლიტიკური და შემოქმედებითი აქტივობა.

ამ მეტად პასუხსაგები მისიის შესრულება შესაძლებელი გახდა მხოლოდ უდიდესი შემოქმედებითი ძიებით: საჭირო იყო მზამზარეული საგაზეთო მასალების კითხვიდან გადასვლა რადიოსთვის დამახასიათებელ ფორმებსა და გამომსახველობითი საშუალებებზე.

1927 წლის 5 თებერვალს ეთერში გაისმა პირველი ქართული ორიგინალური რადიოგადაცემა, „რადიოგაზეთად“ წოდებული.

ჯერ კიდევ 1901 წელს მარკსის აგრარულ „კრიტიკისებ-



თან“ პოლემიკაში ლენინი ამტკიცებდა, რომ ინდუსტრიული ცენტრების განვითარება კულტურისთან დაახლოების სოფლის მილიონობით მოსახლეობას. ახლა კი ეს ამოცანა პრაქტიკულად გადაჭარას მოითხოვდა, როგორ ამალღებულები სოფლის დონე ქალების დონემდე? რა საშუალებებით შეიძლებოდა ამ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა?

ერთ-ერთი საშუალება იყო რადიო. სწორედ ამიტომ ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიაზე მიღებულ მანფესტში, ტრაქტორი და რადიო ერთობლივად გვერდითაა მოხსენებული. ისინი განასაზღვრებენ სოფლად სოციალისტური რევოლუციის ორ მხარეს: ტრაქტორი — სამეურნეოს, რადიო კი — კულტურულს.

გაგისენოთ მაშინდელი ქალაქის მოწყვეტილი ქართული სოფელი. ძირითადი მასა წერა-კითხვის უცოდინარი იყო და გეჰითი ხვდებოდა ყოველივე ახალს... წარმოიდგინეთ, რა ძნელი იყო მათი დარწმუნება, რომ ხმა, რომელიც მათ ესმოდათ, ემშაბასა კი არა, ადამიანისა იყო და ეს ხმა თბილისიდან მოდიოდა...

მოვიყვანთ ერთ ეპიზოდს რადიომაუწყებლობის ისტორიიდან:

ახალწლის დამეს მესხეთიდან თბილისში ჩამოიყვანეს სოფლის თავაკი 120 წლის მოხუცი კოკილაშვილი. მან ახალი წელი სტალინიდან მიულოცა თავის თანოყოფლებს და დასძინა: „ახალი, მისმინეთ, მართლა თბილისიდან გელაპარაკებთო“. მის გამოსვლას კომენტარი გაუკეთა საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ფილიპე მასარაძემ.

ამას მოჰყვა რადიოჟურნალისტების ლაშქრობა სოფლად. დაიბრუნენ სოფლიდან სოფელში, ესაგრძობდნენ გლეხების მათთვის საჭირობოროტო საკითხებზე და სოფლის რადიოგანძის საშუალებით მათი ცოცხალი საუბრები პირდაპირ ეთერში გადაიყვებოდა.

1927 წლის მაისში ეთერში გაესმა „გლეხთა რადიოგაზეთი“. ეს იყო პირველი რადიოგადაცემა, მიმართული უკვე კონკრეტული კატეგორიის მსმენელთადმი. მას მოჰყვა „მუშათა რადიოგაზეთი“, ცოტა ხნის შემდეგ რადიოგაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, უფრო შემდეგ კი „პიონერთა რადიოგაზეთი“.

რადიომ თავისი განვითარების პირველივე ეტაპზე შეიმუშავა მაუწყებლობის ერთ-ერთი აქტიური ფორმა — ტრანსლაცია მოვლენის ადგილიდან.

30-იან წლებში, როდესაც ფორზე ჩაწერის არავითარი საშუალება არ არსებობდა, მხოლოდ ტრანსლაციით იყო შესაძლებელი რადიომსმენელებს მოესმინათ ფალიაშვილის უკვდავი „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“, ჩაიკოცკის, მუსორგისკის, ვერდისა და ბიჯეს დამარწმობებები. რადიოცენტრალურკერძობთან მიჯაჭვული ადამიანები სულგანაბულნი უსმენდნენ კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის ბრწყინვალე დადგომებს რუსთაველის თეატრიდან.

როცა მხატვრული სიტყვის საჯაროობაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გაგისენოთ ვლადიმერ მაიაკოვსკის სიტყვები: „რადიო ესაა მხატვრული სიტყვის, პოეზიის წინსვლა, რევოლუციამ მოგვცა სმენადი სიტყვა, სმენადი პოეზია. პუშკინის მეთორეიხთვანე მსმენელთა ბედნიერება დღეს მთელ მსოფლიოს წილხვედრი გახდა“.

მიკროფონით საბჭოური ცხოვრების, სოციალისტური მშენებლობის შუაგულში — აი, რადიომაუწყებლობის საბძოლო ამოცანა პირველ ხუთწლეულში.

მიკროფონი უნდა გამოსდარიყო საბჭოთა ადამიანების ყოველდღიური შრომისა და ცხოვრების სმოფანი საფრეგისიყი იყო... გავისენით დიდი აღმშენებლობის წლები... როცა სრულდებოდა პირველი ხუთწლიანი გეგმა, მწყობრიმ დგებოდა ახალი ფაბრიკები და ქარხნები, რესპუბლიკის სამეურნეო მშენებლობის ოპერატიულად გაშუქების მიზნით რადიომაუწყებლობაში შეიქმნა ე. წ. „აქტუალური გადაცემების“ ჯგუფი.

ეს ჯგუფი ამაზადებდა ახლანდელი რადიოჟოპორტაჟების მსგავს გადაცემებს ადგილიდან, რომლებიც მსმენელთა ცხოველ ინტერესს იწვევდა.

ჯერ კიდევ მაშინ უდიდესი ძალით გამოვლინდა რადიომაუწყებლობის, როგორც ინფორმაციის მიწოდების უახლესი საშუალების, უნიკალური თვისება — ოპერატიულობა. სწორედ ამიტომ, 30-იანი წლების დასაწყისიდან რადიოში დამკვიდრდა „უკანასკნელი ცნობები“, როგორც საინფორმაციო მაუწყებლობის ყველაზე ოპერატიული გადაცემის ძირითადი ფორმა.

1935 წლის პირველ სექტემბერს რადიომ პირველმა ამცალი საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეებს დინეკელი მესპიტის ალექსეი მტახანაფის შრომითი გმობის ამბავი. ეს დაეიო საფუძვლად სტახანოველთა საყოველთაო მოძრაობას ჩვენს ქვეყანაში... მრავალი მიმდევარი გაუნდა ალექსეი სტახანოფს საქართველოში. რადიომ შემოიღო ახალი ციკლი გადაცემები ახლა „სტახანოველთა ტრიუნა“. რადიოტრიბუნადინ ქართული სტახანოველები თავიანთ შრომით გმობიბაზე პატიკობდნენ პარტას, სწორედ ამ ტრიბუნადინ გააცნო პირველად სტახანოველმა ფეიქარმა ეთერ მაზნაშვილმა მსმენელებს ბართი, რომელიც მან ალექსეი სტახანოვისაგან მიიღო...

გვიწდა უფრო ვრცლად შევხებით საქართველოს რადიო როლსა და მნიშვნელობას დიდი სამამულო ომის წლებში. იწ მიბიე და მრისხანე ლეღვში საბჭოთა ადამიანებისათვის რადიო იქცა განუზომლად დიდ ძალად, მორალურ სტიმულად, რწმენად, იმედად და ბედნიერ მაცნად.

ომი მიბიე გამოცდა იყო ყველასათვის... საქართველოს რადიოს მაშინდელმა კოლექტივმა ამ გამოცდას გარგად გაართვა თავი.

თავდაცვისათვის მზადყოფნის ყაიდაზე გარდაქმნა საქართველოს რადიოს მუშაობა. ნ საათით გაიზარდა რადიოს გადაცემების მოცულობა, დილის ნ საათსა და 30 წუთიდან იწყებდა საქართველოს რადიო მუშაობას და ხშირად ლაშის ორ საათამდე გრძელდებოდა, ვიდრე მოსკოვი თავის გადაცემაზე არ დაამთავრებდა.

...მაშინ საათზე არავინ იყურებოდა... ხშირად რადიოს მუშაკები დამეს საშუაო მაგიდებთან ათვდნენ, რომ დილაადრიან, მსმენელთათვის ჩვენნი საბძოლო ცხოვრების უკანასკნელი ამბები გაეცნოთ, რომ მუშები და მოსამახურებები საშუაოზე წასვლამდე ყოფილიყენენ ყოველდღიურ მოვლენათა საქმის კურსში.

მაშინ დიბადე ახალი ინიციატივა — დაიწყეს მოსკოვიდან საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობის სტენოგრაფიულად ფიქსირება. მთარგმნილნი სწრაფად, საოცარი სისუსტით მოვარდნენ და თარგმნიდნენ მიღებულ მასალას, და როცა მოსკოვიდან ლეიტიანი საინფორმაციო ბიუროს ცნობის წაკითხვას ამთავრებდა, მაშინვე იმავე ცნობას დაუთო ძიგუა უკვე ქართულ ენაზე აუწყებდა მსმენელებს.

დღეს აღარავის გავივირს, როცა ეთერში გაზეთის გამოსე-

ლიდან რამდენიმე საათის შემდეგ გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატიას ქართულ ენაზე ვისმენთ. იმ დროს კი ეს სენსაციურ მოვლენად ითვლებოდა. მაშინ როცა გაზეთი „პრავდა“ ოთხი დღის დაგვიანებით აღწევდა ქართველ მკითხველამდე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „პრავდის“ მოწინავე სტატიის დროულად და მშობლიურ ენაზე გადაცემას. სწორედ მაშინ წარმოიშვა იდეა ნორინოფონზე ჩაწერათ მოსკოვიდან ეს გადაცემა, ოპერატიულად ეთარგმნათ და იმ დღესვე გადაცათ ეთერში... და წარმოიდგინეთ რადიომსმენელთა გაცემა, როცა 1942 წლის 15 მაისს ეთერში გაისმა ქეთევან ლანდიას და ეროსი მანჯგალაძის ხმები: „მოისმინეთ გაზეთ „პრავდის“ დღევანდელი ნომრის მოწინავე სტატია“. ამ ფაქტს, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

სამამულო ომის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ შეიქმნა ფორმით სრულიად ახალი გადაცემა — „წერილები ფრონტიდან“ და „წერილები ფრონტზე“.

ყოველთვე ასობით წერილი მოდიოდა რედაქციაში, სამკუთხა ბარათებზე საკმარისი იყო მხოლოდ ორი სიტყვა: „თბილისი — რადიო“, რომ წერილი დანიშნულების ადგილამდე მისულიყო. წერილები მოდიოდა სტალინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის ფრონტიდან. საბჭოთა მეომრები ექმდნენ საქართველოში ვევაკურიებულ თავიანთი ოჯახის წევრებს.

„გუშინ მივიღე ჩემი მეუღლისა და ქალიშვილის ბარათი, — იწერებოდა სტალინგრადიდან სამხედრო ჭირურგი სერგი პოლიკოვი, — მათ თურმე რადიოს საშუალებით გაუგიათ ჩემი მისამართი. დიდ მადლობას გიხდით იმ სიხარულისათვის, რომელიც ჩვენს ოჯახს მიანიჭეთ... როცა ომი დამთავრდება, ჩემს ცოლშვილთან ერთად შევსვამ საქართველოს რადიოს სადღეგრძელოს“.

ღიახ, სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის იყო წერილები, იყო ცრემლნარევიც და სიხარულით აღსავსე სტიქიონებიც დედა ერთადერთ ვაჟკაცს რადიოს საშუალებით ატყობინებდა: „სუკე რამდენი თვეა შენგან წერილი არ მიმიღია, არ ვიცი სად ხარ, იქნებ რადიოს ხმა მაინც გაიგონო, ჩემი ჯავრი ნუ გეჭნება, შენს წერილშიღის არაფერს ვაგუჭირებ, ანადგურე მტერი, ოჯახი არ შემირცხვინო“.

აი, თითქოს ამის პასუხად მოვიდა ქართველი ჯარისკაცის წერილი ფრონტიდან. იგი რადიოს დიქტორს სწურდა: „შემთხვევით დავიტყირე თბილისის ტალღა, რა ბედნიერი ვარ. თქვენმა ხმამ და მშობლიურმა ენამ ისეთი იმედით აღმაშობ, რომ ალბათ გადაურჩები ამ ჯოჯოხეთს, მე თქვენს ხმაში გამარჯვების წინასწარმეტყველება ამოვიკითხე. მჯერა, უთუოდ გამარჯვებული დაგვრუნდები. თუ ხანში შესული ხართ, მიმიღეთ შეილაღ, თუ ახალგაზრდა — ძმაღ...“

გადაცემათა სერია „წერილები ფრონტიდან“ და „წერილები ფრონტისათვის“, როგორც ყველაზე ქმედითი ფორმა, ომის ბოლო დღეებამდე არსებობდა.

ამ გადაცემების შესანიშნავი ტრადიციები შემოგვრჩა ომის შემდეგაც უკვე მშვიდობიან პერიოდში. საქართველოს რადიოს მისამართით გამოგზავნილი სამამულო ომის მონაწილეთა დღიურები, ჩანაწერები, მოგონებები დღეღო საფუძვლად იმ მხატვრულ რადიოგუნურ ტილოებს, რომლებიც ასახავდნენ საბჭოთა ხალხის გმირულ ეპოპეას.

ომის მიმეო დღეებში რადიო, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი მსახური, ადამიანების სულიერ საზრდოდ იქცა. ისე, როგორც არასდროს, დიდი სამამულო ომის წლებში რადიოს გარშემო შემოიკრიბნენ ქართველი მწერლები, კომპოზიტორები.



16 მარტს, თბილისში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, დიდი ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის გიგოლე (სერგო) კონსტანტინის ძე ორჯონიკიძის ძეგლი. ძეგლის ავტორია საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, მოქანდაკე კ. მერაბიშვილი, არქიტექტორი გ. ჯავახიძე.



რადიოში გაისმა პირველად ხალხური სიმღერა ჭიჭიკო ბენ-დლონაზე, ალექსანდრე წერეთლისაზე, კაპიტან ბუქაძეზე. როცა იმ დღეებზე ვლადიმერ კოტე, არ შეიძლება არ გავიხსენიო საბჭოთა ხელოვნების იმ ბრწყინვალე წარმომადგენელთა დავალი, რომლებიც ომის რაიონის საქართველოში ამოიყვებოდნენ. ჩვენ კარგად გვახსოვს ის თეატრალური საღამოები, სასპატიო თეატრის ნახაობები რომ აწყოდნენ ქართველ მსმენელებისათვის, გვახსოვს კასაკოი თავისი ბრწყინვალე ხელოვნებით, გვახსოვს ოსტაივი, გვახსოვს ნემროვიჩი-დანჩენო რა გატაცებით საუბრობდა რადიოსტუდიაში ქართულ თეატრალურ ხელოვნებაზე.

1943 წლის მაისში კი საქართველოს სიმფონიურმა ორკესტრმა გაუკის დირიჟორობით შეასრულა შოსტაკოვიჩის მეშვიდე ლენინგრადული სიმფონია. რადიოსტუდიებს ჩვენი რესპუბლიკის შორეულ რაიონებამდე მიჰქადა საბჭოთა ხალხის გმირობისა და შვიმარების ეს უცვლელი ძმინი.

... და ბოლოს 9 მაისი... ამ დღეს რადიო იყო ინფორმაციის უპირველესი წყარო, რომელმაც ხალხს უსაზღვრო სიხარული მოუტანა.

დამთავრდა დიდი სამამულო ომი... გამარჯვებული სამშობლო ომით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა... საბჭოთა ადამიანებს სასპარეზოდ ახლა უკვე შრომის ვრცელი ფრონტი ელვოდა. რადიოს წინაშე უკვავ ახალი სამოქმედო ამოცანები დგება: ფართოდ გააშუქოს ახალი ხუთწლედის გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარება, გააფრთხილოს და განაზოვანოს მოწინავეთა გამოცდილება, გასწავლოს მეცნიერებსა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა პოპულარიზაცია.

ჩანაწერების სიდიდე რადიოში წუთებით იზომება, ხოლო ხარისხი იმით, თუ ვინ, ან ვისი ნაშუქვარი, ვინ ან ვისი შემოქმედება ავსებს ამ წუთებს.

ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე რადიოქრონალისტების რამდენიმე თაობის ცდითა და ძიებით შეიქმნა ის ეროვნული განძი, რომელსაც დღეს „ოქრის ფონდი“ ეწოდება. 40-იანი წლებიდან მაგნიტოფირზე ფიქსირებული ჩანაწერები დღეს უკვე ისტორიაა და რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება მათი ფასი და ღირებულება.

ყველ საფონდო ჩანაწერს თავისი ბიოგრაფია აქვს, დიდმნიშვნელოვანი და დაუვიწყარი.

დღეს მხოლოდ რადიოს შეუძლია თავისი პირვანდელი სახით, ცოცხალი ხმით, განუყოფელი ემოციით წარმოვადგინოს ვასო აბაშიძის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის, უშაგი ჩხვიძის, აკაკი ხორავას, შალვა ღამბაშიძის და სხვა დიდებული ხელოვნათა სცენური ოსტატობა, მხოლოდ რადიოს შეუძლია მოგანიჭოს ის სიაზოვნება, რასაც განვიცდით აკაკის „განთავისი“, გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარის“, უშანგის „მოყვანი და ვეფხის“, შალვა ღამბაშიძის რადიოწვევლის „სიკვდილთან გაბაასების“, გიორგი ლეონიძის მქუხარე ხმით აზვირთებული პოეზიის მოსმენისას.

მილიონობით მეტრ ფირზეა აღმებული გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეთა ნაფიქრალი და ნააზრები, რომელიც დიდხანს მოემსახურება ახალი თაობის ზნეობრივ ფორმირებას.

...1956 წლის 30 დეკემბერი. ცისფრად ანთებული ვერანო... საქართველოს ტელევიზიის პირველი ემბლემა... ამღებებელი ლექსი თბილისზე — საქართველოს ტელევიზიის პირველი მეგლე...

...ეს გახლდათ დასაბამი ცისფერი ეკრანის უღვე შესაძლებლობათა შეცნობის ვრცელი გზისა.

დღეს ჩვენ თვალს გადავაკვლებთ მხოლოდ იმას, რაც ნიშანდებლად მირანს ტელევიზიის დარსების, ჩამოყალიბებისა და განვითარების ამ შედარებით მეტი მონაკვეთით.

არც კინოკამერა და არც მოძრავი სატელევიზიო სადგურნი... იმ პირველ წლებში კოლექტივს მხოლოდ ერთადერთი სტუდია და ერთადერთი სატელევიზიო კამერა გააჩნდა.

ხელოვნების განვითარების ისტორიამ იცის შენახვებები, როცა შეზღუდული შესაძლებლობანი იწვევენ შემოქმედებით ძალთა განსაკუთრებულ მოვრებას, დაძაბვას. აქაც ასე გამხდა.

როგორც კი მოძრავი სატელევიზიო სადგური გამოჩნდა თბილისის ქუჩებში, გახეთქება უმაღლეს მთელ რესპუბლიკას ეს აბმავე, როგორც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლება.

მოძრავი სადგურმა განსაკუთრებული ძალით წარმოაჩინა დოკუმენტური ტელევიზიის უპირველესი ნიშანდებლები — დასწრების ეფექტი. თანდათანობით ცხადი გახდა, რომ სწორედ ტელევიზიის შედეგად იბი, თვისებრივად ახალი სიყოფილზე მიყვება რესპუბლიკის უძველესი განრისთვის — რეპორტაჟისთვის, გახდა იგი სახიერი და სრულყოფილი.

ახლა, ოცი წლის შემდეგ, როცა გადაავთავალიერებ პირველი წლების ფოსტა, გულწრფელად გაგვიკვირდა იმთავითვე როგორ აღლიანიან გრძობდა მაყურებელი, რომ გასართობი და სანახაობით გადაცემების გვერით აღვიდა უნდა დაეკავებინა პროგრამებს, რომლებზეც სრულად აისახებოდა ქვეყნი ავ-კარგი, ჩვენი თანამედროვეობის ყოველდღიურობა, საზრუნავი, მათი მზანსწარავა და ინტერესები...

კინოფირის წარმოებამ განუზომლად გაამრავალფეროვნა სტუდიის პროგრამების შინაარსი. მხოლოდ ეკრანზე დოკუმენტურ კინონარკვევებში მტკიცედ მკვიდრდება ახალი ადამიანის, ჩვენი თანამედროვის თემა.

... თბილისის სტუდიის ნამუშევრები თანდათანობით სცილდება რესპუბლიკის ფარგლებს. ერევანი, ბაქო, სოჭი სისტემატურად გადასცემენ თბილისიდან გაგზავნილ სატელევიზიო გადაცემებს.

ამას მოყვა უაღრესად საპასუხისმგებლო ეტაპი სტუდიის შემოქმედებით ცხოვრებაში — საქართველოს ტელევიზიის პერიოდული კაცვლა საკავშირო ეკრანზე. 1960 წლის 8 სექტემბერს მისიყო პირველი უომობს ეკრანს საქართველოს ტელევიზიის სასამართან პროგრამას, რომელსაც მოწონების რეცენზიებით გამოხეზმურა საბჭოთა კავშირის ცენტრალური პრესა. პროგრამის ღერძს წარმოადგენდა სატელევიზიო დღგმა „ველისიკავალი“. ეს იყო თანამედროვე თემატემაზე შექმნილი პირველი ქართული სატელევიზიო სპექტაკლი, რომლითაც სტუდია წარსდგა ჩვენი სამშობლოს მრავალმილიონიანი მაყურებლის წინაშე.

1961 წლის 12 მაისს, ცენტრალური ტელევიზიით შედგა აკაკი წერეთლის პოემის მიხედვით განხორციელებული სატელევიზიო ოპერის „გამზრდელის“ პრემიერა.

ვერ კიდევ მაშინ, როცა ტელევიზიაში ის-ის იყო ფეხს იკიდებდა კინემატოგრაფიული ტექნიკა, შეიქმნა პირველი ქართული მხატვრული სატელევიზიო ფილმი „დღის ხელი“, რომელმაც ტელევიზიის საკავშირო დათავალიერებზე პირველი ხარისხის ღაბლიში მიიღო.

1965 წელი... მოკლემეტრაჟიანი ფილმთა მსოფლიო ფესტივალზე ობერპაუზენში „ქოროლი“ საუკეთესო ფილმად აღ-



იარს. შემდეგ კი ამ განხორციელებულ ფილმს წილად ხვდა სატელევიზიო ფილმების პირველი საკავშირო ფესტივალის დიპლომი.

ამჟამად პერიოდში სტუდიამ პირველად მოკიდა ხელი ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ პირველ მრავალსერიან დოკუმენტურ ფილმს „მე თვითონ“, გადაღებას. ფილმმა პირველი პრემია დაიმსახურა სატელევიზიო ფილმების კვივის ფესტივალზე.

მრავალი საერთაშორისო და საკავშირო ჯილდო ხვდა ფილმებს „ქორწილი“, „სერენადა“, „ქვევრი“, „ფეხბურთი უბერილი“, „ლასარე“, „ჩარხმშენებლები“.

ფილმებისათვის „შოთა რუსთაველის ნაკვალევზე“, „შოთა გურჯისტანამდე“ რეჟისორ გურამ პატარაიას მიენიჭა შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება.

სულ ახლახან შეიქმნა პირველი ქართული მრავალსერიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუმი მეცხვარე“, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავს ეძღვნება.

ასეთი უბრალო ჩამოთვალვაც კი აშკარად მოწმობს, რომ სატელევიზიო სტუდიამ თავისი არსებობის პირველივე წლებში ისპარტოვანად დაიმკვიდრა ინფორმაციური ხელწერის შემოქმედებითი კოლექტივის სახელი.

1965 წელი მნიშვნელოვანი თარიღია საქართველოს ტელევიზიის ისტორიისათვის. სატრანსლაციო ხაზმა დაგეგმიური ჩვენების სამშობლოს დედაქალაქთან მოსკოთან. ამან კი შემოქმედებითი ძალების აღმავლობა გამოიწვია კოლექტივში. საკავშირო ტელევიზიის გადაცემები ჩვენთვის ერთგვარ სტიმულად იქცა. მოსკოველი კოლეგების გამოცდილებამ დადგევსებინა უფრო მაღალი დონის მხატვრული გადაცემების მომზადებაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თარიღი საქართველოს ტელევიზიის ცხოვრებაში — 1968 წლის 16 ნოემბერს ქართულმა მაყურებელმა ნახა ფერადი ტელევიზიის პირველი გადაცემა.

ჩვენი ფერადი სატელევიზიო სტუდია მესამე იყო მოსკოვის, კვივის სტუდიების შემდეგ.

შემოქმედებითი, ტექნიკური და ორგანიზაციული განვითარების თავბრულახვევებში ტექნიკური, მანამდე შეუცნობი ფეხმძიმის წარმატებით ათვისებასა და დაუფლებამო იყო წარმატებლობა, მარცხიც, მაგრამ გაიკლებით მეტი იყო საკუთარი ხმისა და ხელწერის მიგნების დაინერგული მისწრაფება.

რომ შეიძლებოდა სიტყვიერი დიარამით გამოეხატათ თუ რანი ვიყავით და რანი ვართ დღეს, ასეთ სურათს მივიღებდით.

პირველად საქართველოს რადიოს ხმა ეთერში ორი საათის განმავლობაში ისმოდა, დღეს კი გვაქვს 31 საათიანი სამი პროგრამა და სტრუქტურული გადაცემები.

კიდევ უფრო მეტი იყო პირველი სატელევიზიო გადაცემების დრო, მაყურებელს კვირაში მხოლოდ ორ დღეს, ისიც მხოლოდ ორი საათით იწვევდნენ სატელევიზიო ეკრანებთან. დღეს კი მოგვხვდება, საქართველოს ტელევიზია მაყურებელს ყოველდღიურად თხუთმეტსაათიანხვედრას პროგრამას სთავაზობს. აქედან ადგილობრივი გადაცემების დრო 12 საათია.

ბოლო ხანებში ჩვენს ქვეყანაში ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკვლევებში უცილობლად გვარწმუნებენ იმაში, რომ მისახლეობას პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული

ცხოვრების ინფორმაციის პირველწყაროდ ტელევიზია და რადიო მიაჩნია.

მართლაც, ტელევიზიასა და რადიოს უფრო მეტად, ვიდრე მასობრივი ინფორმაციის სხვა რძობრივ არსს, შეუძლია ისტორიული მოვლენების დამსწრე და თანამონაწილე გაგნებად. ამის ნათელი მაგალითია ეპოქის უნიკალური რეპორტაჟები კოსმოსიდან, საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXV ყრილობის რადიო და ტელეტრანსლაცია, რომლის დროსაც თითქმის ნახევარი მსოფლიო უშუალო მონაწილე გახდა ყრილობის მუშაობისა.

ტელევიზიამ მოგვცა საშუალება დაესწრებოდით საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდი ილიას ძე ბრეჟნევის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ოუბილეს, გენანახა, რა ერთსულოვანი სოლიდარობით შეხვდა საბჭოთა ხალხი სოფლის საბაჟო შვილს კორვალას...

ჩვენს ეპოქაში, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, ის, რაც მოხდა გუნში, დღეს უკვე მოძველებულად გვეჩვენება და ახაც ტელევიზიასა და რადიოს ბადალი არა მკაეს. მაყურებლისათვის უკვე ჩვეულებრივი ამბავი გახდა, რომ „კრემლიში“, შემდეგ რესპუბლიკის „მომადის“ და „უკანასკნელ ცნობებში“ ნახავს და მოისმენს დღის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენას, ფაქტს, ოპერატიულად შერჩეულ ინფორმაციის მოზღვავეული ნაკადიდან.

შეგვიჩა იმას, რომ ყველაზე, სადღაც კი საზოგადოებისათვის ურდასალაღები რამ ხდება, იქვე ახლომასობის უნდა კინოპარატინი ან რეპორტიორიანი კაცი ტრიალებდეს, ან უკვე კარგად ნაცნობი მოძრაობა სადგურის ავტობუსი იდგეს.

არ უკვირს თოვლით ჩაფლულ სვანურ სოფელთან ძლივსძლიობით დამჯდარი, სანავთვინა და მდიკამენტებით დატვირთული ვერტმფრენიდან, მშველ რაზმთან და ექიმთან ერთად ტელევიზიისა და რადიოს კორესპონდენტები რომ გამოდიან.

არ უკვირს, რადგან უკვე იცის, რომ სწორედ ეს არის ტელევიზია და რადიო, რომელიც დადასტურებულა ქურნალისტურ შემართებათთან ერთად, როცა საჭიროა, — სიმამაკეს: და გამბედაობასაც მოითხოვს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული პოლიტიკური მუშაობის შესახებ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის წინაშე მეტად სასასხისმგებლო ამოცანები დაყენა. საქართველოს რადიო და ტელევიზია, სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ერთად, იდეოლოგიური ბრძოლის წინა ხაზზე იდგა რესპუბლიკაში პარტიული და შრომითი ინსტიტუტების განმტკიცების, სიმართლისა და პატიოსნების დამკვიდრების, ჩვენი, სოციალისტური წყობისათვის ყოველგვარი მიხედვით, უცხო გამოვლენათა აღკვეთისათვის. რადიოსა და ტელევიზიის დღევანდელი თათბის მუშაუბის სიმამაყით შეუძლიათ განაცხადონ, რომ ისინი ღირსეულად აგრძელებენ საბჭოთა ქურნალისტისტიკის ღირსეურ ტრადიციებს, ამახელენ და ნილბას ხვდნან სოციალისტური საზოგადოების ანტიკონფეს, მუქთახორებს, გამფლანგველებს, მექრთამეებს და ყველა იმათ, ვინც ასერიგად შულახა საბჭოთა საქართველოს ოდიტანვე ცნობილი მადალი კულტურა, შრომისმოყვარეობა, სინდისი და პატიოსნება და ვის წინააღმდეგაც უკომპრომისო ბრძოლას სათავეში



უდაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო.

„ამ ბოლო დროს ხშირად ვუხმობ და ვუყურებ თქვენს გადაცემებს. კმაყოფილი ვარ, რომ დაუნდობლად ლაპარაკობთ იმაზე, ვინც მანამდე შეუთავიბობით, სოციალისტური საკუთრების ხელყოფით ჯიბებს ისქექლებდა და ზემოდან დაგვეყრებოდა ჩვენ, უშრომელ ადამიანებს... ისინი არ გადაშენებულან, მხოლოდ მიიმალნენ და თქვენი ყველა ეჭვებატი და ამხელდით. დარწმუნებული ვარ, რომ ამით ყელა პაპიოსანი მოქალაქის ნება-სურვილს გამოეხატავ.“

პატივისცემით, პერსონალური პენსიონერი ნინო კაპანაძე“.

და კომიტეტში მოსული მრავალი სხვა წერილი აშკარად მოწმობს იმას, რომ დღეს, როგორც არასოდეს, საქართველოს ტელევიზია და რადიო გამოხატავს ხალხის შეგნებას, მის ერთსულოვან ნება-სურვილს, როცა ცელიბოს თანმიმდევრულად ასახოს რესპუბლიკაში მიმდინარე დიდი სოციალისტური ძვრები, ფუნდამენტურად მიყვება მთავარ ნაბიჯებს, ებრძოლოს წყურუბებსა და მამულობის პერიოდთან შემორჩენილ ნაკლოვანებებს, ანტისოციალისტურ მოვლენებს და ფაქტებს, — ასეთია მთელი ჩვენი ამჟამინდელი მუშაობის ქვეყნები.

ბოლო წლებში რესპუბლიკაში არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი წარმატება, თუ სხვა ღონისძიება, რომელიც ტელევიზიასა და რადიოს მშრომლებს ერთად მასებისათვის არ გაეცნო და თვალსაჩინო როლი არ ეთამაშა მის მხარდაჭერასა და განვითარებაში.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ რაც უფრო კეთილსინდისიერი და ფუქტკანია მათი შრომა, მით უფრო მტკიცეა სოციალისტური სამშობლოს ძლიერება, მით უფრო კარგი და ლამაზია ჩვენი ცხოვრება. როგორც სკკპ ცკ-ის 31 იანვრის დადგენილებაში — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამეც წლისთავის შესახებ“ — აღინიშნა „უღო უფრო დიდ მასშტაბებს იძენს სოციალისტური შეპირებება, რომლის მსვლელობაში იზაღება ახალი სახელოვანი შრომითი თაოსნობები.“

„არც ერთი ჩამორჩენილი, არც ერთი წესრიგის დამრღვევი ჩვენს გვერდით“ — რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობის დაბადება სატელევიზიო რეპორტაჟმა პარტიული სამუერნო აქტივიდან იმავე წლის ამცნო მთელს რესპუბლიკას.

ცისფერი ეკრანიდან დაიწყო და გავრცელდა მჭაიეთა, მებაღეთა, მეცხოველეთა, მევენახეთა მრავალი პარტიოტული თაოსნობა.

რადიო და ტელე უურნლისტიები არიან ყველგან, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა ყოველდღიური დახმარება სიტყვით, საქმით.

ასევე იყო მაშინაც, როცა საჭირო გახდა მშრომელთა დარაზნა საკომლენერო ველ-მინდვრებს დაწვარებული გვარლის წინააღმდეგ, როცა ზამთრის ყინვამ დაზარო ქართული ვაზი, როცა გართლდა ცხვარ-მეცხვარის მდგომარეობა ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე, როცა ლითონის დეფიციტმა შეაფერხა ზუგდიდის ქარხნის მშენებლობა, როცა ენგურაქის დაუყოვნად ცემებით მომარაგება.

მსგავსი მაგალითების დასახელება მრავალდ შეიძლება. ოპორტუნობა, მობილურობა, თვალსაჩინოება, უფართოესი აუდიტორია, რაც ტელევიზიასა და რადიოს ახასიათებს, ორგანიზატორული საქმიანობის ამოუწურავ შესაძლებლობას აძლევს მათ.

ეს არის ჩვენი მუშაობის სწორედ ეს უაღრესად მნიშვნე-

ლოვანი სფერო, სადაც მხოლოდ წერის უნარი და შემოქმედებითი ფანტაზია, მაღალი კვალიფიკაცია არ გმარებს, არა თვის, რომ ტელევიზიასა და რადიოს ორგანიზატორული ფუნქცია კონკრეტულ, ხელშეასხებ საქმეებში ვანსხეულდეს ტელევიზია და რადიო კოლექტიური ორგანიზატორის დანიშნულებას მხოლოდ მაშინ ასრულებს, როცა მისი მაღალი ნდობით აღტურვილი უურნლისტიები და რევისორები ბოლომდე გაითავისებენ ამ საქმეს, თავიანთი ცხოვრების შინაარსად განიხიან.

უამბოდ სიცოცხლე არ დაუბრუნდებოდა ამხეტის რაიონის სოფელ ყვარულწყალში სამამულო ომის პირველი წლიდანვე გამოცვერილი ჯარისკაცის სახლს.

ყოველ 9 მაისს სამხედრო სამსახურში გაწვეული ახალგაზრდები ჯარისკაცის სახლში სდებენ ფიცს. აქ ხდება ბიონერება კურსივცა, საზეიმოდ გადაცემთ ჭაჭუკებსა და ქალიშვილებს კომკავშირული ბილეტები, აქ სტოვებენ ახლადმუუღლებულნი საქორწინო თავიუღს.

ჯარისკაცის სახლი ერთადერთია ჯერჯერობით კავშირში. მისი ამხავი მიუღს ჩვენს მრავალყოფან ქვეყანას ამცნეს „ლიტერატურნაია გაზეტამ“ და საკავშირო რადიოში.

ამხეტის რაიონის სოფელი კოჭბანი ეკონომიურად ჩამორჩა. ახალგაზრდობამ მიატოვა ბუდეკარი. ვითარება კრიტიკული გახდა, და, აი, რადიოეურნალისტიებმა სოფლის სამაქოს თავგადასმარესთან, სოფლის უხუცეს ადამიანებთან ერთად, აკადემიკოს ავლიო ზურაბაშვილის, მწერალ ნოდარ დუმბაძის მხარდაჭერით მოუწოდეს კოჭბანელ ახალგაზრდობას, სოფლის კეთილმოსაწყობად მიმართეს სამინისტროებს და უწყებებს. ახალგაზრდობამ პირი პირუნა სოციალისტურ ჩვენ ნიშანდობლივად გავისსენეთ სრულიად სხვადასხვა მიზანდასახულებების, სხვადასხვა მიზანრისისა და ფორმის გადაცემა-ღონისძიებანი. მათში გამოვლინდა ის დიდი მამოძრავებელი ძალა, რომელსაც პრესის ავტოკაციური და ორგანიზატორული ფუნქცია ჰქვია.

ამას კიდევ უფრო მეტი გაღრმავება სჭირდება, ტელევიზია და რადიო კიდევ უფრო მეტად უნდა გახდეს სახალხო მეურნეობის ორგანიზატორობის ჭეშმარიტად დიდი ტრიბუნი, სოციალისტური შეპირების, მოწინავე გამოცდილების სკოლა, ყველაზე სასურველი თანამდგომელი, მესვეური მათე ხუმწულივის უმნიშვნელოვანესი ობიექტებისა, ბუნების ყველაზე დიდი ჭამაგია.

რა როლს თამაშობს რადიო და ტელევიზია თქვენს ცხოვრებაში? თუ ამ კითხვით ჩვენი დღევანდელი საღამოს სტუმრებს მივმართავთ, ვფიქრობთ, მათ მესსიერებაში ბევრი სასამაფნო მოგონება ამოტივტივდება.

აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძეს რადიო მისი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს განასხეებს, მოაგონებს მის შორეულ მეგობარს ვერნანელ კომუნისტს ოტო ტრენერს და ბართას: „25 წლის ვინათ მივიწვირე ომის პერიოდში მე შევხვე ერთ ადამიანს, რომელსაც ვიქტორ კუპრაძე ერქვა. იმ კაცმა საოცარი ღრმა მჭვრეტელობით მაშინდელი გაავფორმელი მტრობისა და სიძულვილის ვითარებაში მდგომლო განესხეაგებინა ბოროტი გერმანელი, ჭეშმარიტი გერმანელისგან, ანან განსაზღვრა ჩემი შემდგომი ბედი.“

როცა ქართველი საზოგადოება აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის 70 წლის იუბილეს აღნიშნავდა, საქართველოს რადიოში კიდევ ერთი სიურპრიზი უძღვნა გამოჩინულ მეცნიერს. „გამარჯობათ, პატივცემულო ამხანაგო და მეგობარო ვიქ-



ტორ! ალბათ ძალზე გაგიკვირდებათ, როცა თქვენნი დაბადების დღეს საქართველოს რადიოთი ჩემს ხმას გაიგონებო.

გულითად მადლობას ვუძღვნი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს რადიოს მუშაკებს, რომ შე-საძლებლობა მიმიცხადეს თქვენთვის ხმა მიმოჭრინა. ალ-ბათ უკვე მიცანით. დიას, მე ოტო ტრენერი ვარ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგატმაქ მერლინდან. დი-ას, ის გერმანული კომუნისტ, რომელიც 1941 წლის 29 დე-კემბერს წითელი არმიის მხარეზე გადავიდა... ასეთი უნდაუ-რი გზით მიიღეთ ჩემგან ყოველგვარი კეთილი სურვილები, უდიდესი მადლობა საქართველოს რადიოს თქვენთან საუბრი-სათვის..."

დღეს განუზომლად გაიზარდა ლიტერატურის, სელოვნე-ბის, კინემატოგრაფიის ინტერესი ფაქტობრივი მასალის ადამიანური დოკუმენტის მიმართ. ტელევიზიასა და რადიოს ამ მხრივაც შეუდარებლად დიდი ასპარეზი აქვს. და თუ მაქსიმ გროვი ლიტერატურას ადამიანთმეცნიერებას უწოდებ-და, ის რომ ელექტრონიკის სასწაულს მოსწრებოდა, ამ გან-საზღვრის, უთუოდ ტელევიზიაც მიაკუთვნებდა. მაჩინოვ, დღეს ვინ, თუ არა „საყოველთაო-სახალხო აუდიტორიამ“ მილიონთა სანიშნულად უნდა გახადოს ხუნთულების მიჯნებას და ზღუდეებზე დაზნადებული ახალი ტიპები, ახალი ხასია-თები!

ტელევიზიასა და რადიოს აქვს ერთი განსაკუთრებული უნარი, უნარი კონკრეტული ადამიანების წარმორჩინა, მილი-ონებისათვის მისი გაცნობისა. კინოს, თეატრის, ლიტერატურ-რისაგან განსხვავებით იგი პროპაგანდას უწევს არა განუო-გადებლად სახეს, ან ტიპს, არამედ კონკრეტულ ადამიანს. მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს ადამიანი თავისი რწმე-ნით, აზრანებით, მოქმედებით მილიონებისათვის სანიშნუ-ში და სამაგალითი იყოს.

ამ მხრივ უკვე გადავჯდით პირველი ნაბიჯი—დავარსეთ გადაცემათა ციკლი „ჩვენი თანამედროვე“. ამ ციკლის გადა-ცემებით მიეძღვნა ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს — მწერალსა თუ მეცნიერს, პირტიულ ხელმძღვანელსა თუ რი-ვეთ კომუნისტს, მასწავლებელსა თუ ექიმს, მუშასა თუ კოლ-მეურნეს. ვფიქრობთ, კარგი შედეგი უნდა გამოიღოს ახლა-ხან კომიტეტის მიერ გამოცხადებულმა ღია კონკურსმა საუ-კეთესო რადიო და ტელე ნარკვევისათვის, „ჩვენი თანამედ-როვე“, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სიცილისტუ-რი რევოლუციის მე-60 წლისთავს.

ბოლო ხანებში ტელემაყურებლებმა და რადიომომხსენებ-ლებმა ასობით მოწინავე კოლექტივი გაიცნეს, ეკრანს დღე-თობით ათასობით მუშას, კოლმეურნეს, ახალგაზრდას, მეცნიერს, მწერალს... ამ თანავარსკვლავედში ჩვენს მიერ აღმოჩენილი ადამიანები არიან: გივი რომინოსელი, თბილისის ფესკა-მელბის ფაბრიკა „ისნის“ მუშა, მთავარი ინჟანირული მე-თოდის ადგირიკა და დამწერგავი. შეიძლება ითქვას, რომ „ტე-ლევიზიამ“ მიაგნო მას, ერთი ინფორმაციით კი არ დაკმაყო-ვილდა, — თანმიმდევრულად გაკვეთა მის ცხოვრებასა და მუ-შათობის გზას და ეკრანზე გამოიკვეთა მუშაკაიის კიდვე ერთი სამაგალითი ბიოგრაფია, რომელიც სახელმწიფო პრემიის ლა-ურეატობის საპატიო წოდებით დაჯივრკვინდა.

ამირან ტორიაძე — მისმა შრომითმა გზამცე ჩვენს ეკ-რანზე გაიარა რიგობით მუშდინან სოციალისტური შრომის გმი-რამდე...

რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესები მაღებს ახალ პრო-

ბლემებს, აუცილებელი ხდება მთელი რიგი სახალხო მეცნიერ-ობის მნიშვნელოვანი საკითხების პერსპექტივის განჭვრეტა, სახალისადმი მოსწრფების მხარდაჭერა, პროგრესული ეკო-ნომიური ღონისძიებების დაწერვა, შრომობთა აქტიურობის განხრტილი ზრდა, მათი მატერიალური და მორალური წახა-ლისების ფორმების ფართო განსოვადება. ყოველივე ეს მო-ითხოვს ისე წარმართოთ ჩვენი მუშობა, რომ სამბოთა სა-ქართველოს ყოველი შრომობი ბოლომდე იყოს ჩახსებილი საქვეყნო საქმეებში, ღრმად ჩასწვდეს პარტიის გეზს რესპუ-ბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში, სწორედ ამან გავფიქრე-ბის შეგვექმნა მიდაპოლიტიკური მიმომხილველთა ჯგუფი. თუშეცა არც დიდი დრო ხანია, რაც შიდაპოლიტიკური მი-მომხილველები წარსდგენენ ჩვენი მაყურებლის წინაშე, მათ თავისი სისადავით, უბრალოებით, საკითხის ღრმა ცოდნით მაყურებელთა შორის სამართლიანი მოწოდება და პოპულა-რობა დამისახურეს.

ურთულეს, ხშირად ურთიეროსაწინააღმდეგო მოვლენე-ბით გადავტვირთულ თანამედროვე ცხოვრებაში უაღრესად დიდი როლი ენიჭება საოვალეობური აზრის სწორ წარმო-თვას და აქ ეკრანის თვალსაჩინობა, სახიერება განუსაზღვ-რელად ზრდის ჩვენს შესაძლებლობებს, გავიწილი თვალთ ნანახით განეუბრტიკით ადამიანს, დავარწმუნოთ, ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ წარგამართო მისი აზრი და გონება.

ყველას ახსოვს ცენტრალური ტელევიზიით ნაჩვენები პი-რდაირი რეპორტაჟი „ქ. ტულისათვის გმირი-ქალაქის წო-ლების მინიჭებისა და „ქორის ვარსკვლავის“ გადაცემის სა-ზეიმო სხდომიდან, ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის აშხ. ლ. ი. ბრენგვის შთამბეჭდავი და ისტორიული სიტყვა. საქართველოს ტელევიზიამ საქართველოს კომუნისტური პარ-ტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ინიციატივით მორერ დღეს 18 საათზე, I პროგრამით ღია გა-კვეთილი ჩატარა პირტიული და კომკავშირული განათლების ყველა რგოლისა და მსმენელთათვის აშხ. ლ. ი. ბრენგვის გამოსვლის თაობაზე.

ასეთივე ღია გაკვეთილი ჩატარდა ტელევიზიით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — „დიდი ოქტომბრის სიცილისტური რევი-ლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ გამოქვეყნების მორერ დღესაც.

ამსანავებო! დღეს, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა ემსადე-ვა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად, განსა-კუთრებულად ჯერის ლენინური ეროვნული პოლიტიკის მყარ საფუველზე აგებულ სამბოთა ხალხების ურდევს მომზისა და მეგობრობის ძიმნი.

ჩვენი მაუწვებლობა თავად არის ინტერნაციონალური თანამეგობრობის ნიშნი. ყოველდღეს საქართველოს რადიო-ოთხ ენაზე ესაზღვება თავის მსმენელებს: ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე. აფხაზურისა და ოსეთის მოსახლეობა აფხაზურ და ოსურ ენებზე ისმენენ მათთვის გან-კუთვნილ გადაცემებს.

მომე დადების — ქართველების, სომხების, აზერბაიჯა-ნელების ხლი თანამეგობრობის მაუწვებლად გაისმის ყოველ-ოთხშაბათს რადიოსადგურ „მეგობრობის“ საცნობები. სან ენაზე აუწვებს დიქტორი მსმენელებს — „მოსმინეთ გადაცე-მა: „თბილისი, ბაქო, ერევანი“. ესაა ერთგვარი რადიოგადა-ძახილი, რადიოურნალისტთა შემოქმედებითი თანამშრომ-



ლობის შესანიშნავი მაგალითი, რომელიც სამი მძაღნიცო ქალაქის დღევანდელ დღეს ასახავს.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ტელევიზიასა და რადიოს ხალხთა მეგობრობის, ინტელეგანციანული სულისკვეთებით აღზრდაში გმირული ადგილი უკავია. შემთხვევითი არ იყო, რომ გასული წლის ოქტომბერში, თბილისში ნატარებელი ლენინური ეროვნული პოლიტიკისა და ინტერაგენაციონალური აღზრდის აქტიუალური საქმიანობისადმი მიძღვნილი საკავშირო კონფერენციის დამთავრებიდან მეორე დღეს ქართველი ტელემაყურებლები მოსკოვში გამართული ტვიცან ტაბიბისადმი მიძღვნილი საღამოს მინაწილენი გახდნენ. ასევე, სიმონ ჩიქვანიანს, გალაკიანის ტაბიბის სხივისა საღამოების, საგასტროლოდ ჩასული რუსთაველის თეატრის სპექტაკლების სპეციალურმა სატელევიზიო რეპორტაჟმა მოსკოვიდან, ვეროი აწვავაფინისა და ელენე გოგოლაშვილს სატელევიზიო დიალოგმა თბილისიდან მოსკოვში, კიდევ ერთხელ დაგვანახვა ზა სათუთად გუბრია და დედაქალაქის საზოგადოება ჩვენი კულტურის საგანძურს.

„გასული 65 წლის უნინმუნელვანესი შედეგი — საბჭოთა ადამიანია“, — ლ. ი. ბრენევეის ეს სიტყვები ლეიტმოტივად გაჰყვება დიადი ოქტომბრისადმი მიძღვნილ ყოველ გადაცემას.

ადამიანი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის წელს დაიბადა და საბჭოურ ეპოქაში აღიზარდა, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა აურაცხელი სიძულე, სწორედ ეს არის ჩვენი ცხოვრების ცოცხალი მატთან და სწორედ მის მაგალითზე შევძლებთ წარმოვანიშნოთ საბჭოთა ხელისუფლების მთელი სიკეთე. ასეთ ადამიანს მიეძღვნება ტელე და რადიო გადაცემების ციკლი „ოქტომბრის თანატოლები“.

არის თემები, რომელთა გაშუქება ჩვენი სახელებისა და ღირსების საქმეა. ეს არის ჩვენი პარტიის გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის, საერთო საქმისათვის მათი თავდადებას ჩვენება. ამ თემას გააშუქებს ციკლი: „ლენინური გვარდის ჯარისკაცები“.

რადიოს 50 და ტელევიზიის დაარსების 20 წლის იუბილის აღნიშვნა კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა, საუკეთესო დადასტურებაა ჩვენი რესპუბლიკის პარტიისა და მოავრობის, საკავშირო ტელურადიოკომიტეტის ყოველდღიური ზრუნვისა და მხარდაჭერისა. ეს, ამავე დროს, არის აღიარება და დაფასება იმ წველილას, რომელიც საქართველოს რადიოსა და ტელევიზიას მიუძღვის რესპუბლიკის წინსვლაში, ჩვენი ქვეყნის რადიომაყურებლობისა და ტელევიზიის განვითარებაში.

რომელსაც რადიოსა და ტელევიზიის აღიარებასა და დაფასებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება მადლობით არ აღვნიშნოთ იმ ადამიანთა შრომა და ღვაწლი, რომლებმაც პირველი კვალე გაავლეს რადიოსა და ტელევიზიის ზრდისა და განვითარების გზაზე. ბევრმა მათგანმა პირადად მოიხდა ვალი და ახლა დამსახურებულად ისვენებს.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ მათ, ვინც სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ჩვენთან და ვინც თავისი შეგნებული ცხოვრების ვაკეველი მონაკვეთი დაუკავშირა რადიოსა და ტელევიზიას.

დღეს ამ საიუბილეო სასუირო საღამოზე უნდა მოვიგონოთ ისინი, ვინც უნდაოდ გამოაკლდა ჩვენს რიგებს. მათი ოჯახის წევრები დღეს ჩვენი სტუმრები არიან. მინდა მიუყოლოც მათ

დღევანდელი დღე და მადლობა გადავუხადო მობრძანებულს თვის.

განსაკუთრებული პატივისცემით მინდა აღვნიშნო იმ ადამიანთა დამსახურება, რომლებიც სრულიად ახალგაზრდები მოვიდნენ ჩვენთან და დღეს უკვე ხანდაზმულები კვლავ გატაცებით განაგრძობენ საყვარელ საქმეს.

კომიტეტის ყველა მუშაკმა, ვინც რადიოსა და ტელევიზიის პირველი ნაბიჯების მომსწრე და ქომიგი იყო და მათაც, ვისაც ყველაზე უფრო ხანტატრესო, სიმამრის პერიოდში მოუწია და კიდევ მოუწევს თავისი სათქმელის თქმა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს დიდი დაფასება მომავალში კიდევ უფრო ბევრს გვაგალებს!

ვისაც მიზნად დავგისახავს ვემსახურო რადიოსა და ტელევიზიას, ვინც ყოველდღიურად თავისი შემოქმედებით ხვდება მილიონობით მხმელსა თუ მასურებელს, ყველას, ვისაც ევალება თავისი წვლილი შეიტანოს ყოველი გადაცემის მომსახურებაში, უპირველესად, გვმართებს ზრუნვა პროფესიულ დამატებაზე... აკი საპართიანად აღინშნა ჩვენი მისამართით საქართველოს კომუნისტთა ფორუმზე: „ბერ მასალასა და გადაცემას არ ეტყობა სათანადო პროფესიონალიზმი და ღრმა კომპეტენტურობა, აქტუალობა და სიმწვავე“. დაიხ, მაღალი პროფესიონალიზმი და ღრმა კომპეტენტურობა უნდა იქნეს ჩვენს უმთავრეს ამოცანად, აქტუალობა და სიმწვავე უნდა ახლდეს ჩვენს ყოველ გადაცემას, რომელიც საზოგადოებრივ სამსახურზე გვაგალებს.

ჩვენ უნდა გავხდეთ ნამდვილი კოლექტიური პროპაგანდისტები, კოლექტიური აგიტატორები და მასალების კოლექტიური ორგანიზატორები. ამის თაობაზე კიდევ ერთხელ ხაზგასმით ითქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლახან მიღებულ დავიზიანებაში: „მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებისადმი სკვპ ტომისის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობის შესახებ“.

დღევიანად უნდა გვახსოვდეს, რომ მეფოლადესთან, მევენახესთან, მეცნიერთან ერთად, ჩვენი კალმით, მიკროფონით და კინოკამერითა იწერება ქვეყნის მატთან, რომელშიც მონაგები თაობა მღელვარებით ამოიკისხავს თანამედროვეთა გმირულ საქმეებს, მათს გასახარებელსა და სატკივარს!

უნდა შევწვედეს უნარი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის აშკარა და შენიღბულ ბრძოლას დაუვიპრისპიროთ პარტიული პუბლიცისტებისა და ხელოვნების მტვიცე მისაზნადასულობა, გონების დაბინდვის მორალს, სულიერ დეგრადაციას — საბჭოთა კულტურის ჰუმანიზმი, ინტელექტუალურად სრულქმნილი, ყოველდღიური საქმიანობისაგან სულგაუმეჩარე ადამიანის მაღალი იდეალები!

ღრო და ადამიანი აღებჭდით ისე, რომ ეპოქის მოთხოვნითა ღირნე ვიდგეთ სინამდვილის ფილოსოფიური, უბუნისტური და მსატტური გააზრების სფეროში!

დღეს, როცა აუცილებელ ფაქტად იქვა რადიოსა და ტელევიზიის მინაწილობა ქვეყნის სოციალურ მართვაში, ჩვენ უნდა ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი მადალი მისია — უნდა შევძლოთ, როგორც კარლ მარქსი ამბობდა: „ყოველ ქომში მივიტანოთ სახელმწიფოს სულისკვეთება“, ხელი შევეწყოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამოცანათა იდეოლოგიურ უზრუნველყოფას!



# ეოსკოვის ეპოლოვას სახელობის თეატრი თბილისში



სცენა სპექტაკლიდან „ვოჰანოზოტ სტრინბერგს“

სცენა სპექტაკლიდან „გასულ ზაფხულს ჩელიმსკში“



სცენა სპექტაკლიდან „რაც არ გერგება, არ შეგერგება“



საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის თეატრმა“ თბილისში საგასტროლოდ მოიწვია მოსკოვის მ. ერმოლოვას სახელობის თეატრი. თეატრმა ჩვენს დედაქალაქში ჩამოიტანა სამი სპექტაკლი: ა. ვამპილოვის „შარშან ზაფხულს ჩელიმსკში“, ა. ოსტროვსკის „რაც არ გერგება, არ შეგერგება“ და ფ. დიურენმატის „ვოჰანოზოტ სტრინბერგს“, რომელიც შექმნილია დიდი შვედი დრამატურგის ა. სტრინბერგის პიესის „სიკვდილის როვის“ საფუძველზე.

სამივე პიესა დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, რსფსრ სახალხო არტისტმა ვ. ანდრეევმა, მხატვრულად გააფორმა ვ. ოკუნმა, ა. ვამპილოვის პიესისათვის მუსიკა შეარჩია კომპოზიტორმა მ. საულსკიმ, ა. ოსტროვსკის პიესისათვის — ი. ბელოკონმა, ხოლო ფ. დიურენმატის პიესისთვის — ი. კირსერმა.

სპექტაკლებში მონაწილეობდნენ რსფსრ სახალხო არტისტები: ი. სოლოვიევი, ვ. იაკუტი, ლ. გალისი, ვ. ანდრეევი, რსფსრ დამსახურებული არტისტები ს. ლიუბშინი, ნ. მაკეევი, რ. ბუბინა, მსახიობები ტ. შუკინა, პ. რიზნიკოვა, ბ. ბისტროვი და სხვები.

მოსკოვის მ. ერმოლოვას სახელობის თეატრის გასტროლებმა თბილისში წარმატებით ჩაიარა.



# ჩეხოსლოვაკიაში თანამედროვეობა და თეატრი

წარმომადგენელი

ნოდარ გურაბანიძე

თანამედროვეობის პრობლემა ცენტრალურია საბჭოთა თეატრის წინაშე მდგარ პრობლემათა შორის. მას უკავშირდება თეატრალური ხელოვნების კარდინალური საკითხები.

მართლაც, შეუძლებელია გაგარკვევით ამა თუ იმ თეატრის ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი ზეგობრივი პოზიცია, ესთეტიკური მრწამსი, თუ ნათლად არ გავითვალისწინებთ ყველა ასპექტს, რომლებსაც შეიცავს ცნება თანამედროვეობისა.

პრობლემას ართულებს ის გარემოება, რომ ხშირად ჩვენში თანამედროვეობა განხილული იყო მხოლოდ როგორც სასოციალური, პოლიტიკური-იდეური მოვლენა — გათიშული მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენისაგან. შინაარსობრივი მომენტის ანალიზი სჭარბობდა (თუკი არ ფარავდა) ესთეტიკურ ანალიზს, რაც, არა თუ იძლეოდა სინამდვილის თუნდაც ემპირიულად სრულ სურათს, არამედ ერთმანეთისაგან სთითავდა თავისი არსებით განუყოფელ მხარეებს ანუ შინაარსს ფორმისაგან. ამ დიალექტიკური მთლიანობის მექანიკური გათიშვა, არათუ თვით მხატვრულ სინამდვილეს ამახინჯებდა, არამედ, და ეს გარდაუვალია დიალექტიკური ერთიანობის რღვევისას, ისტორიულ სინამდვილესაც, საზოგადოებრივი ცხოვრების მთლიან სურათსაც. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ფუძემდებლური დებულებანი განსაზღვრავენ ყოველი მოვლენის მთლიანი ახსნის აუცილებლობას, რაც გულისხმობს როგორც საკუთრივ ამ მოვლენის შინაგანი კანონზომიერების, შინაგანი დიალექტიკის შესწავლას, ასევე მის კავშირს წინაურ მოვლენებთან და პერსპექტიულ განვითარებასთან.

თანამედროვეობის ცნება არ არის მეტაფიზიკურად ურყევი. იგი განიცდის ისტორიულ ცვალებადობას, განვითარებას და ამ განვითარების კანონების გამოხატულებაა თავად. ეს ბუნებრივია, რადგან ცხოვრების წინსვლა, საზოგადოების მამოძრავებელი ძალების მიმართულება უცვლელს სახეს არა მხოლოდ თანამედროვეობის გარეგნულ მახასიათებელ ნიშნებს, არამედ მის ზეგობრივსა და ესთეტიკურ იდეალებსაც.

თეატრი უზუსტესი და უფაქიზესი ბარომეტრის მსგავსად გრძნობს თანამედროვეობის მაჯისცემას, მასში მიმდინარე პროცესებს. ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით ეს მისი, პირობითად რომ ვთქვათ, უპირატესობა, თვით თეატრის ბუნებითაა განპირობებული. თეატრალური ხელოვნება თავისი სინთეტური არსით ყოველთვის თანამედროვეა, ამის გარეშე მისი არსებობა შეუძლებელია. ის თეატრი, რომელიც არ ეპასუხება თანამედროვე პრობლემებს — პიკეტ ბრუკის ტერმინით რომ ეხმართ — მკვდარი თეატრია.

განუხშომელია თეატრის ზემოქმედების ძალა თანამედროვე მაცურებელზე. მხატვრული ზემოქმედების ერთიანობით, თავისი სინთეტური არსით სცენური მოქმედება მაგურად მოქმედებს ინდივიდის ცნობიერებასა და გრძნობაზე, გარდაქმნის მის შინაგან სამყაროს. თეატრალური სანახაობის ზემოქმედების ძალას აძლიერებს თვით სპეციფიკა ამ ხელოვნებისა: — მოქმედებს რა ინდივიდის შინაგან სამყაროზე, იგი, ამავე დროს, მოქმედებს კოლექტიურ ცნობიერებაზე და ემოციებზე, აერთიანებს ადამიანებს, წარმართავს მას მისთვის სასურველი მიმართულებით. კოლექტიური ზემოქმედების ეს ძალა სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თეატრს და აქცევს მას მამაცზე ზემოქმედების უდიდეს ფუნქციონალურ იარაღად. სწორედ ამიტომაც, ჩვენი პარტიის დეკლარაციონული წარმომადგენლები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას პირველივე დღეებში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ თეატრალურ ხელოვნებას, მასების რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდის, კომუნისტური იდეალების პროპაგანდის საქმეში. საბჭოთა თეატრის განვითარების ყოველ ეტაპზე კომუნისტური პარტია, წარმმართველი მთელი იდეოლოგიური მუშაობისა, საკითხთა საკითხად მიიჩნევდა თეატრისა და ცხოვრების, თეატრისა და თანამედროვეობის ორგანულ კავშირსა და ერთიანობას, მათ ურთიერთ ზემოქმედებას.

ქართული საბჭოთა თეატრის განვითარება, მის მიერ განვლილი მთელი გზა მოწმობს თეატრალური ხელოვნებისადმი, ეროვნული ხელოვნებისადმი პარტიის შეუნულებელ ყურადღებას, მის ბრძნულ ხელმძღვანელობას. პრობლემა თანამედროვეობისა, — მთელი თავისი კომპლექსური შინაარსით — შეუძლებელია მივიღო სიღრმით გაივიწყლისწინით, თუ იგი არ განვიხილავთ მთელი საბჭოთა თეატრის განვითარების ფონზე, განსაკუთრებით, რუსული საბჭოთა თეატრის განვითარების თავისებურებებთან კავშირში. რადგან, თანამედროვე გმირის, კომუნისტის სცენური სახის შექმნის მთელი პროცესი, თანამედროვე თეატრალური ხერხების, გამოხატულების საშუალებების ძიების პროცესი თანაბარი სიმწვავეით იდგა მთლიანად საბჭოთა თეატრის წინაშე და მას წარმატებით უძღვევოდნენ რუსული თეატრის კორიფეები კ. სტანისლავსკი, ალ. ნემროვიჩი-დანიჩენკო, ე. კვანტანოვი, ვს. მიეიროპოლი, ა. თაიროვი.

ამ დიდ შემოქმედებით ძიებაში უარესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ და მრავალმხრივ განსაზღვრეს კიდევ საბჭოთა თეატრის შემოქმედებით სხვაც კი. მარჯანიშვილის, ლეს კურბანოვის, ს. ახმეტელის თეატრალურმა იდეებმა.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას, ქართული თეატრის მესვეურთ თვალწინ ჰქონდათ მაგალითი რუსეთის კომუნისტური პარტიის, პირადად ვ. ი. ლენინის დამოკიდებულებისა თეატრისა და თეატრალური ხელოვნების მიმართ. ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე დღეებში, შემდეგ კი სამოქალაქო ომის მძიმეწარე პერიოდში, კომუნისტურ პარტიას, რომლის წინაშე უამრავი პოლიტიკური, სამეურნეო თუ სამხედრო პრობლემა დგოდა, ყურადღების ცენტრში ჰქონდა მოქვეყნიული თეატრალური საქმის მთავარი ამოცანები, თეატრის განვითარების, მისი რევოლუციის სამსახურში ჩაყენების აუცილებელი პრობლემები. პირველი სახელმწიფოებრივი აქცია განხორციელდა 1917 წლის ნოემბერში, როცა მიღებული იქნა დეკრეტი რუსეთის ყველა თეატრის გადაცემის ახლად შექმნილი სახელმწიფო განათლების კომისიის გამაგებლობაში.

იმავ წელს სახეობსაბჭოთაან ჩამოყალიბდა თეატრალური განყოფილება (ТЕО), რომელსაც სახელმწიფოებრივი ფუნქცია დაკისრდა — ქვეყნის თეატრების ხელმძღვანელობა, მათი უზრუნველყოფის წარმართვა თეატრალური ხაზით — რატეატრალური ყოვლისა, გულისხმობდა ახალი სამყაროს — სოციალისტური სამყაროს მშენებელი ხალხის სამსახურში ჩადგომას, მხატვრულ-პედაგოგიული საკითხების მოგვარებას.

1919 წლის 26 აგვისტოს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს „თეატრალური საქმის გაერთიანების შესახებ“ („Об объединении театрального дела“) რომელმაც დააგვირგინა და შეაჯამა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მიღებული ღონისძიებათა მთელი სისტემა.

ახალი მასურების ლეგიონები მოაწყდნენ თეატრს. აუდიტორიები ააყეს ფარაჯანმა ჯარისკაცებმა, მუშებმა, გლეხობამ. ისინი მიღგარად შეუცქეროდნენ სცენაზე განვითარებულ ამბებს, სულგანაბლად უსმენდნენ ყოველ ფრაზას და მხურვალედ განხურებდნენ ყოველივე იმას, რაც მათ დღევანდელ განწყობილებაზე შეესაბამებოდა.

ახლა, როცა საბჭოთა ხელისუფლების სამოცი წლისთავის, ჩვენი კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დღევანდელი სიტაღლიან დუშვართ რევოლუციის პირველსავე დღეებში პარტიის მიერ გამოცხადებული ძალიანხმევის, მის შორსმჭვრეტელობას, ყოვლისმომცველ მასშტაბებს, პირდაპირ აღფრთოვანებულნი ვრჩებით ხელოვნების, კერძოდ, თეატრის განვითარების დიალექტიკის ცოდნით. მის წინაშე დასასულად ამოცანათა სიდიადით. რევოლუციური რუსეთის თეატრების წინაშე განვითარების და ურთიერთკავშირის განადიოზუდი შესაძლებლობა გადამიშალა. იმთავითვე განისაზღვრა რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა ნაციონალური ხელოვნების, კულტურის განვითარების სუვერენობა და ამავე დროს ინტერნაციონალური კავშირ-ურთიერთობანი.

სახალხო კომისარიატის თეატრალურმა განყოფილებამ 1919 წლის თებერვალში მიიღო მრავლისმეტყველი მიმართვა რუსეთის ყველა ეროვნების მიმართ, დოკუმენტი, რომელიც შთაოთხნებელი იყო ვ. ი. ლენინის მოძღვრებით ეროვნებათა თვითგამორკვევის, თანასწორუფლებიანობის და სუვერენიტეტის შესახებ. მისი გენიალური ფორმული კულტურის ეროვნული თავისებურებების შესახებ «Интернациональная культура не безнациональна».

ამავე დოკუმენტს საფუძვლად ედო რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაციის მთელი შინაარსი, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ნაციონალური პოლიტიკის ურდველ პრინციპებად აღიარებდა ხალხთა თანასწორობას და თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას, აუქმებდა ყოველგვარ ნაციონალურ და ნაციონალურ-რელიგიურ პრივილეგიებს.

აი, ამონაწერი ამ დოკუმენტიდან, რომელიც თითქმის დღეს იყის შექმნილი:

«В свободной России нет более понятия национальности угнетенных или хотя бы второстепенных; многообразия всех национальных культур отныне достаточно места на широкой русской равнине».

Государство самым живейшим образом заинтересовано в наиболее мощном развитии идей свободы и равенства, в углублении и укреплении нового революционного сознания, в новом подъеме ничем не стесненного творчества».

Театральный отдел Народного комиссариата по просвещению, признал государственное театра по самому существу его наиболее революционным и актуальным, (ხსავსება ჩემბა, ნ. გ.) ставит в ряду прямых своих задач на почетное место создание условий для возникновения и процветания театра и драматургии и среди тех национальностей России, которые до сих пор находились либо в стесненном положении, либо вовсе театра еще не имели».

ქმშპარტიად, თვით რევოლუციამ და სამოქალაქო ომის ვითარებამ თეატრი გადააქცია „ყველაზე რევოლუციური“ და ყველაზე აქტუალური ხელოვნებად. მართალია, მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრები ისევ ძველ რუბრეტურას თამაშობდნენ პირველი ორი-სამი სეზონის მანძილზე, მაგრამ თეატრის ახალმა აუდიტორიამ, მისმა განწყობილებამ, საერთო რევოლუციურმა ატმოსფერომ მკვეთრი კორექტივი შეუქანა ამ სექტორებში. მასურებელთა უზგავლენით, თვით მსახიობებმა, რომელთა დიდი ნაწილი თანაგრძნობით შეხვდა რევოლუციას, შეცვალეს იდეური აქცენტები, უფრო გამძვინვარეს თანადროულითა თანხმეური მომენტები. «Мы охлынули в беспомощном состоянии при виде нахлынувшей на театр громады. Но сердце билось тревожно и радостно при сознании огромной по важности миссии, выпавшей на нашу долю» წერდა კ. ს. ტანისლავსკი თავის წიგნში „ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“.

რასაკვირვებელია, ყველა თეატრს, ყველა თეატრალურ მოღვაწეს ერთბაშად არ მიუღია რევოლუცია, როგორც ეს გააკეთეს ვიეტამ, ვლ. მაიაკოვსკიმ, ვს. მეიერჰოლდმა, კ. მარჯანიშვილმა და სხვებმა, მაგრამ თანდათანობით, რევოლუციური ნერვის შემდეგ, კაპიტალზე ე. წ. „წითელგვარდიული შტები“ შემდგომ (ივლისისშება 1918 წლის გაზაფხულის შემდგომ) დაზდგარი პერიოდი ბრძოლისა და აღმშენებლობისა, ხასიათდება ყველა თეატრის თანდათანობით შემობრუნებით „წითელი ოქტომბრისაკენ“ სამოქალაქო ომის ფრონტებზე დაიბრა მრავალი ძველი თუ რევოლუციის ცხელ კავალზე ახლად შექმნილი თეატრი. წითელგვარდიელები, ომის ქარცეცხლიდან ეს წუთია დაბრუნებულნი, დიდის ინტერესით უცქერდნენ ამ თეატრების მიერ გამართულ სექტაკლებს. საინტერესოა, რომ სექტაკლები გაუმართავთ იმ დივიზიამიც, რომელსაც სამოქალაქო ომის გზიოი ვასილ კიკვიძე მეთაურობდა. შემინახულია გამომხილი: „სექტაკლებიდან მიღ-



ბული შთაბეჭდილება... ძალზე კარგი იყო; სცენაზე გამოსვლისთანავე მსახიობებს მქუსარე ტაშით ეგებებოდნენ.<sup>3</sup>

ახალგაზრდა რესპუბლიკამ მთელი თავისი მატერიალური და სულიერი ძალები წარმართა სამოქალაქო ომის ფრონტზე საბოლოო გამარჯვებისათვის. ამ ისტორიულ ბრძოლაში უნდა ჩამბეჭდილიყო თეატრიც — არა მხოლოდ თავისი ხელოვნებით, არამედ იარაღი ხელშიც კი.

მსახიობი ფრონტის ჯარისკაცს უნდა ამოსდგომოდა მხარში. 1917 წლის 7 აპრილს ლენინმა ხელი მოაწერა მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოს ბრძანებას სცენისა და თეატრის მუშათა აღრიცხვის შესახებ, რომლის პირველ პუნქტში შემდეგი იყო ნათქვამი: «Все граждане РСФСР, без различия пола и возраста, принадлежащие к числу сценических и театральных работников, подлежат точному учету на предмет возможного использования их по обслуживанию фронта и тыла Красной Армии и профессии».

ამგვარად, თეატრი მთელი თავისი ორგანიზაციული-შემოქმედებითი შესაძლებლობით იმთავითვე ჩაღდა საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში, რაც, ცხადია, მხოლოდ ფრონტის წინა ხაზებში და მასობრივ დღესასწაულებში მონაწილეობით არ შემოფარგლებოდა, იგი თანდათანობით იწყებს ძალებს მთელი მოყრდნის, რათა ახალ, პროლეტარულ მყურებელს შესაფერის სულიერი სასრდო მიაწოდოს. უაღრესად საინტერესოა ვ. ი. ლენინის მიერ მიცემული განმარტება ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციათა შორის ძირეული განსხვავების თაობაზე. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ «...в буржуазных революциях главная задача трудящихся масс состояла в выполнении отрицательной или разрушительной работы уничтожения феодализма, монархии, средневековья... Напротив, главной задачей пролетариата и руководимого им ближайшего крестьянства во всякой социалистической революции, — а, следовательно, и в начатой нами 25 октября 1917 г. социалистической революции в России, — является положительная или созидательная работа».

ამ შემოქმედებით მუშაობაში უნდა ჩამბეჭდილიყო საბჭოთა თეატრი. რევოლუციის ქარ-ცეცხლმა, მისმა გრანდიოზულმა გაქნებამ, მასების რომანტიკულმა აღმაფრენამ უმძაფრესი და უღრმესი ზეგავლენა მოახდინა თეატრის ხელოვნებაზე. რევოლუციაში არის რაღაც კოლისალური. ძველი სამკვიფროსი შემარყველი ტიტანიზმი<sup>4</sup> — ამბობდა ა. ლუნჩარსკის რევოლუციის და შემდეგ, სამოქალაქო ომის ეცესტრის განვირუქების სიარდში თეატრის მრავალი მოღვაწე მხოლოდ დამანგრეველ საწყისს ხედავდა. ამის თაობაზე უსანინზავად თქვა ვლ. ნემირიჯი-დანიჩი: «Надо сказать правду: когда пришла революция, мы испугались. Это оказало не так, как представлялось по Шиллеру»<sup>5</sup>.

კომუნისტური პარტია, ვ. ი. ლენინის დიდი საქართა და მთითმნიებით განუმარტადენ თეატრალურ მოღვაწეებს თეატრის მნიშვნელობას ახალი ხელოვნულების, სოციალიზმის მშენებლობის ვითარებაში. თეატრალურ პოლიტიკას საფუძვლად დაიდო ვ. ი. ლენინის თქმული ახალი კულტურის, ახალი ხელოვნების ჩამოყალიბებისა და შექმნის თაობაზე. ამ თვალსაზრისით ფრიალ საკულისხმოა ა. ლუნჩარსკის მოთხენების ის ადგილი, სადაც ნათლად ჩანს ვ. ი. ლენინის დამოკიდებულება საბჭოთა თეატრის პირველი ცდებისადმი. «მე ვუთხარი მას, რომ ყოველ ღონეს ვიხმარ იმისათვის, რათა შევიწარმონოთ ჩვენი ქვეყნის ყველა საუკეთესო თეატრი...

ერთიანი მსხვერვეა ძველი თეატრებისა სახიფათო სპექტაკლი მანია-შეითი. ამ სფეროში ჩვენ სანაცვლო ჯერ არაფერი გვაქვს. და ის ახალი, რაც ელოტრებს აიყრის, დაკარგავს კულტურის ძაფს. ვლადიმერ ილიას ძემ ყურადღებით მიმოიხინა და მიხარა, რომ სწორედ ამ ექრის მივყოლია, მხოლოდ არ დაგვიწყდეს მხარი დაუჭირო ის ახალსაც, რაც რევოლუციის ზეგავლენით იშვება. დაე, თავდაპირველად ეს იყოს სუსტი — ამ მართლებად ესთეტიკური მსჯელობა არ გამოსდება, რადგან სხვაანარად, ძველი, უფრო მომწოდებული ხელოვნება, დამაზნუჭებს ახლის განვითარებას, და თუმცა იგი შეიცვლება, მაგრამ შეიცვლება უფრო ნელა, რაც უფრო ნაკლებად შეუტებს მას ახალი მოვლენების კონკურენცია»<sup>6</sup>.

მ. ი. კალინინთან საუბარში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ თეატრმა ახლა უნდა შეასრულოს მისების სულიერი აღზრდის ფუნქცია. ერთადერთი დაწესებულება, რომელსაც შეუძლია შესვალის ცელესია, სადაც ხალხი იკრიბებოდა და რელიგიური ღოგების ტყვეობაში ცხოვრობდა — არის თეატრი. ახლა ღოგების შეგება, მასზე კოლექტიური ზეგავლენის მოხდენა, ახალი ცხოვრების აზრის განმარტება მხოლოდ თეატრშია შესაძლებელი. ამ აზრით რელიგია უნდა შესვალის თეატრალურმა ხელოვნებამ.

რევოლუციურ რუსეთში თეატრისადმი ამგვარი ყურადღების და სახელმწიფოებრივი მზრუნველობის სრული კონტრასტი იყო მეწვეიკური მთავრობის საარაკო განურჩევლობა ქართული თეატრის ბედისადმი. თუ საბჭოთა რუსეთში „ნამდვივად თავისუფალი სოციალისტური ხელოვნება“ იმთავითვე გახდა „სერიოზო პროლეტარული საქმის ნაწილი“, საქართველოში, სადაც ეროვნულ თეატრს დიდი დემოკრატული, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ტრადიციები ჰქონდა, სადაც თეატრი 1905 წლის რევოლუციის ბარიკადებზე იარაღით ხელში იბრძოდა, თეატრი, რომლის სცენიდან მქუხარე, ბრძოლისათვის მომწოდებელი ხმა გაისმოდა, განკუთხავად იყო მიტოვებული. „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი“ მთავრობის მიერ. ასეთ ვითარებაში, ცხადია, თვით თეატრალური ხელოვნების მოღვაწეებს უნდა ეზრუნათ თეატრის შემდგომი არსებობისა და განვითარებისათვის. მაგრამ, ყოველგვარი მეცადინეობა ამით იყო ქვეყნის სრული ეკონომიური და პოლიტიკური კრიზის პირობებში. 1917 წლის შექმნილი ქართველ პროფესიონალ მსახიობთა კავშირი მხოლოდ თეატრის ფიზიკური შენარჩუნებისათვის იბრძოდა. უმძაფრესმა კრიზისმა, რომელიც გადაიტანა ქართულმა თეატრმა 1905 წლის შემდეგ ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1921 წლის 25 თებერვალი), ქართული თეატრი დაკანინა როგორც დედურად. ასევე პროფესიონალურად. ქართული სცენის მოღვაწეები, რომელთაც ყოველთვის უმჭიდროვესი კავშირი ჰქონდათ რუსულ თეატრთან, და რომელთაგან მრავალი მიგრედ და სამხატვრო თეატრის ტრადიციებზე იყო აღზრდილი, ახლაც დიდის ინტერესით აღდევნდნენ თვალს იმ ორგანიზაციულ და შემოქმედებით პროცესებს, რაც მამინდარებოდა ახალ რუსეთში. მათთვის ცნობილი იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული ყველა ის დეკრეტი, რომლებიც თეატრალური საქმის ახალ სახელმწიფოებრივი რელსებზე შედგობას ითვალისწინებდა. საქართველოში მოღვაწე არა მხოლოდ რევოლუციის ექიმო, არამედ კულტურის სფეროში მოხმარება გრანდიოზული ძვრების ხმააც. მოსკოვში, პეტროგრადში, ვორონეჟში, ორენბურგში,



ირკუტსკში სახალხო მასობრივი სანაბამოების გამართვის ამბავმა, რომელმაც, პოლიტიკური ვითარების გამო, უშუალო გამომხატურება გვიან კპოვა საქართველოში, ასლა ამ მიზინვებულ ატმოსფეროში იმდენს სხივით გაიკაფა. (დავასახელოთ ამ მასობრივი სანაბამოებიდან ზოგიერთი: „თვითმპყრობელობის დამხობა“ — 1919 წ., „მსოფლიო კომუნისაკენ“ — 1920 წ. რეკ. კ მარკანიშვილი, 1920 წ. — „ქებათა-ქება რევილუციას“, 1918 წ. — ვორიანი. „კაპიტალისა და შრომის ბრძოლა“ — ირკუტსკი, 1921). მოედრებულ გამორჩენიან ალგორითულ ფიგურებს მიერ ინტერნაციონალის, მუშის, თავისუფლების, პარტიის, კაპიტალის, „ქმედებაში“ მონაწილეობდა ათასობით ადამიანი, ხოლო მაყურებელთა რაოდენობა ათი-ათასობით განისაზღვრებოდა. თანამედროვე ავგორითული ფიგურების გვერდით გამორჩენიან ისტორიული პერსონაჟები სპარტაკოსა და ვაგერაისი, სტუდენტ რაზინისა და დემილიან ბუკარინისა, დეკამეტრებისა და პარიზის კომუნის გმირები. ამ მასობრივმა სანაბამო-დღესასწაულებმა იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ შემუშავდა სპეციალური ინსტრუქცია „სახალხო მასობრივი დღესასწაულების ორგანიზაციის შესახებ“, რომელიც განმარტავდა, რომ ამგვარი სანაბამოების ძირითადი მიზანია სოციალური და პოლიტიკური იდეების თვალსაჩინო, მათი მემკვიდრე ჩვენება და პროპაგანდა (ბოლიშეში ამგვარი ხასიათის მასობრივი დღესასწაული გაიმართა 1921 წელს — „ქართველი ხალხის განთავისუფლების ისტორია იმპერიალიზმის უღელსაგან“). უმჯობელია, ამგვარი შთამბეჭდავი სანაბამოების სტილისტიკამ და პოეტაკმა მრავალმხრივ განსაზღვრა ვლ. მაიაკოვსის „მისტრია ბუფი“ (პირველი ვარიანტი განხორციელდა 1921 წლის 1 მაისს, ვს. მიგერპოლდის მიერ), რომელსაც ა. ლუნარსკის „კომუნისტური სპექტაკლი“ უწოდა: „...единственной пьесой, которая задумана под влиянием нашей революции и потому носит на себе ее печать — задорную, дерзкую, мажорную, вызывающую, является «Мистерия — бунт» Маяковского...“

Я от души желаю успеха этой молодой, почти мальчишеской, но такой искренней, шумной, торжествующей, безусловно демократической и революционной пьесе<sup>7</sup>.

კ. მარკანიშვილის მიერ კიევიში დადგმული „ფუნტეკ ოვენა“ (1919 წლის 1 მაისი) მთელმა რუსეთმა აღიქვა როგორც ჭეშმარიტად რევოლუციური სპექტაკლი („ლექციონარული სპექტაკლი“, როგორც შემდეგ უწოდეს მას). არანაკლებ შთამბეჭდავი იყო 1919 წლის, მინსკისა და წლის პეტროგრადში მ. გორკის, ა. ლუნარსკის, ა. ბლოკის და მ. ანდრეევის ინიციატივით შექმნილი „დიდი დრამატული თეატრი“ (ВДТ), რომლის კლასიკურ რეპერტუარს რევოლუციის რომანტიკული სული უნდა გამოეხატა (შილერის „დონ კარლოსი“ და „კაჩაბუდი“, შექსპირის „მაკბეტი“ და „მეფე ლირი“, გოლდონის „ორი ბატონის მსახური“), „ჩვენს დროში აუცილებელია გმირული თეატრი, თეატრი, რომელიც მიზნად დისახავს პრობლემების იდეალიზაციას, ადორინების რომანტიკურს, პოეტურ ელფერს მინაიქებს ადამიანს“ — წერდა მ. გორკი 1919 წელს.

გ. ხაჩინეკოს ჩვენს მიერ დასახელებულ წიგნში მოჰყავს ჭარხანა „კრანის ტრევილინიკის“ მუშის ფრიად საკვლავისმყოფო მონაბეჭედი: „...1919-1923 წლებში მაიკუპ პოზის, დონ კარლოსის, კარლ მორისის, რუი ბლანკის სიტყვები ადამიანს კმ-თესი ცხოვრებისათვის ბრძოლად აღაბთებდა“ (გვ. 12)... აქვე, მუშობელ ბაქოში ა. ჯაფარიძის მიითითებით 1918 წელს

ითარგმნა და რუსულ სცენაზე დაიდა მაშინ სრულყოფილი ნიბი დრამატურგის პოლიკარეკ ვაკაბაძის „გზაჯვარედინზე“, რომელშიაც რევოლუციის საქმისათვის თავდადებული ჭაბუკის ცხოვრების ტრაგიკული სურათია დასატკული.

თეატრალურ ხელოვნებაში განვითარებული ისტორიული მოვლენების ამ ფორმე საქართველოს თეატრალური ხელოვნება უაღრესად დაჩანაწახებული გამოიყურებოდა, იგი პირდაპირ სულს დაფავდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველყოფი დღეებიდან დაიწყო ზეგავა თეატრისათვის. უპირველესად საჭირო იყო მისი დაშლილი ორგანიზმის შეკავშირება და განმტკიცება. საბჭოთა რუსეთის ანალოგიური განათლების სახალხო კომისარიატთან შექმნა ხელოვნების განყოფილება (1921 წლის აპრილი), რომლის თეატრალური სექციის გამგედ დანიშნული იქნა შალვა დადიანი, ქართული თეატრის დიდი მესვეერი, სასოფალი მოღვაწე, დრამატურგი. აქ გაკურთხეს მსურს აღენიშნო, რომ მისი პიესა-მინიატურები „მღვიმეში“, „როს ნადიმობდნენ“, „გემპეკორი“, „ვარამი“ და ცნობილი „კუმბოდღინა“, გამაქვალული იყვნენ რევოლუციისადმი თანაგრძნობით, დემოკრატიული ტენდენციებით, რომელშიც მ. გორკის იდეების ზეგავლენა სტაბილობდა. მისი, როგორც თეატრალური სექციის გამგისა და თეატრალური მოღვაწის პოპოლარული ნაოლადა ჩამოყალიბებული წერილი „სათეატრო იმედები“, რომელიც მან ეურნალ „ხელოვნებაში“ მოათავსა. „დღევანდლამდე — წერს ღ. დადიანი — ჩვენს ერიტ ტიპის თეატრი გვექნდა საქართველოში — შერეული ხასიათის. ყოველივე დომოხალით იყო არეული. ამიტომაც მისი ხელმძღვანელნი ზოგინ ვითის მხარისას უნ მიიწვევდა, ზოგინ მუორისაკენ — ეს იყო მიმართულების, ტემპერამენტისა და აღზრდის საქმე. ამიტომაც ეს ასე აღიუნდა იყოს. გადამიჯვანა საჭირო ხდებდა და ელხანან ამის საშუალებაცა გვაქვს. ზემოხსენებული დაფიქვა არაბაოლა — ძველია, რადგან თვით თეატრში სამივე მომენტი ცხოვრობს და მათი ერთგან მოთავსება მუდამ შეუწყნარებელია. არსებობს-მეთუ, იმიტომ ვამბობ, რომ თეატრს აქვს თავისი ტრადიციული ჩარჩოები, ძველი შემუშავებული და ჩამოყალიბებული. აქედან მართლდება აკადემიური თეატრის არსებობა. მაგრამ უნდა ახალ გზებს გაკავფა! მოჩანს სხვა, მასიური, სალიანგო შემოქმედების შთანასახი, ესრეთ წოდებული პროლეტარული სულისკვეთება სათეატრო ხელოვნებაშიც. ამას უნდა ფართო კარების გაღება, ეს ერთი აზრია და, მეორე მხრივ, ადამიანის სულის ვითარების ახალი მჭკორით, ახალ შემოქმედის მიერ ახალის საშუალებით გაშუქება და შესწავლა. არსებობს გეიტი, დიდად მშვენიერი სათეატრო, ხელოვნური ნაწარმოებები. აქედანაც დგება საფუძველი ძიებთა თეატრში... მამ იმეღით, ხალსიხანად ჩავეთ ვყვლანი მუშაობაში და ქართული თეატრიც გაამართლებს ჩვენს მოლოდინს“.

აქ ნათლად ჩანს არა მარტო ქართულ თეატრში გამოყვებული ეკლექტიზმი, არამედ თეატრის მომავლის ნათელი წარმოდგენა. როგორც ცნობილია, რევოლუციურ რუსეთშიაც, პირველ წლებში, სწორედ მეცერთად გამოიკვლია ორი მიმართულება (აქ არ ვხვები აკადემიურ თეატრებს) მასობრივი ხასიათის იდეით შთაინფიებული, განზოგადებული სიმბოლიური, სახალხო სანაბამოანი („მასიური, სალიანგო შემოქმედება“) და ცხოვრების კონკრეტული მოვლენებით, რევოლუციური ეპიზოდებითა თუ საოქტობრული ომის კონკრეტული ამსახველი სპექტაკლები, მაგრამ ჯერჯერობით მოკლებულნი მხა-



ტერულ სიციველს და შემოქმედებით განზოგადებას. (ასეთები იყო მგავითად ა. ვერიშვილის „წითელი სიმართლე“, „დაცხება“ და „ზაქარის სიკვდილი“ ა. ნევეროვისა, „მარინა“, ა. სერაფიმოვიჩისა), რომელთა ავტორები ახალი იდეების გამომხატველნი და ახალი ადამიანების ჩვენების ისახებდნენ მიზნად. („ადამიანის სულის ვითარებას ახალი ავტორით, ახალი შემოქმედების მიერ ახალის საშუალებით გაშუქება და შესწავლა“). ცნობილი ქართველი თეატრალური მოღვაწის ეს მოსაზრებანი უკველია, თეატრალური საბჭოთა რუსეთის თეატრებში შექმნილ ვითარებას და ყვადნობა კიდევ მას ამ ზოგადი დასკვნების გაკეთებას. ეს არ არის შემთხვევითი. ჩვენ ზეით დავინახეთ, რომ ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი დიდი გულისყურით ადგებდნენ თეატრალურ რევოლუციური რუსეთის კულტურისა და თეატრის ყოველ სიახლეს. ეცნობოდნენ სახელმწიფო დავერტებას და დადგენილებებს, კურსში იყვნენ თეატრალური ბრძოლების, ახლის ძიების მთელი პროცესებისა. ეს დასტურდება მრავალი ფაქტით. მაგალითათვის დავასახელოთ ერთი — საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენლის სამხედრო და საზღვაო კომისრის შავა ელიავას გამოსვლა ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ყრილობაზე (1921 წლის 2 მარტს. ეს იყო პირველი ოფიციალური განცხადება საქართველოს მთავრობის სახელით ხელოვნების საკითხზე) აშკარად ავარტებს ა. ლუნინარსკის გამოსვლებისა და სტატიების კვალს. ამ გამოსვლაში ჩამოყალიბებულია პარტიისა და ხელოვნების კურსი სახელოვნო პოლიტიკაში და ამდენად მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, აქვე ჩანს, რომ ორატორს გათვალისწინებული აქვს ცნობილი მიმართვის „*Кo всем национальностям России!*“ ტექსტი, ამ შეკრებაზე მ. ელიავამ განაცხადა: „თქვენ, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწენო, პირველ ყოვლისა, გსურთ გაიგოთ თუ რა ზომით შეეხება მომხდარი გადატრიალება თქვენს ინტერესებს, — და ამ შემთხვევაში ჩვენი პირველი ამოცანა უარყოფის ცილისმამკელი ტენდენციური ინფორმაცია, რომელიც თქვენ ერთადერთი გენდობდათ. საბჭოთა რესპუბლიკაში, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, განსაკუთრებული, ყოველმხრივი მხარდაჭერა ეძლევა ყველას, ვისაც კი სურს იმოღვაწეოს ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ასპარეზზე.<sup>8</sup> ხელოვნება და კულტურა სახელმწიფო მნიშვნელობის საქვე. მთელი რუსეთი მოფენილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით, ბიბლიოთეკებით. სკოლებით, თეატრებით, მუზეუმებითა და სხვა. ჩვენი არმია, რომელიც ასეთ უმაგალითო ლაშქრობას აწარმოებს, ყველაზე კულტურული არმიაა, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაკების ყველა სახეობით სარგებლობს და სისხლისმღვრელ ომებს ათავაშებს თვითმოქმედ კულტურულ მოღვაწეობასთან. განაწილებინა და კულტურის დარგში არაყვითი სახელმწიფო არ ამკლავებს ისეთ ღრმა ტენდენციებს, როგორც ჩვენ. ჩვენ მივიღეთ ყველას, ვისაც სურს ჩვენი დახმარება, ხოლო ღვარძლიან კრიტიკოსებს კი ვეძკებით: „შუთქვენდაც კარგად ვიწყობა.“<sup>9</sup>

ესადა, თეატრის ძველი რეპერტუარი და თვით თეატრის შემოქმედებითი დონე არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ისტორიული გარდატეხა შესაბამისი მხატვრულით ასახულიყვნენ და გამოეხატა ის განუყოფლობე, რომელიც სუვერელ საბჭოთაულის მშრომელთა მასებში და საკუთრივ ქართული ხელოვნების პროგრესულად მოაზროვნე წარმომადგენელთა შორის. საქარ-

თველოს რევკომი, არა მხოლოდ დეკლარაციებით და თრეპიზაციული ღონისძიებებით განამტკიცებდა თეატრის მდგრადობას, არამედ კონკრეტული საქმიანობით გამოხატავდა თავის კეთილგანწყობილებას. კერძოდ — რევკომის დადგენილებით ქართული თეატრის უკუაღსარისო მიღებაზე ვასო აბაშიძე სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იქნა აყვანილი, ხოლო 1921 წლის ნოემბერში ქართულ დრამატულ თეატრს გენიალური პიეტის შთა რუსთაველის სახელი ეწოდა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, რომელიც გამოიხატა ახალი ხელისუფლების პოზიცია თეატრის მიმართ, სურვილი იმისა, რომ თეატრი გამხდარიყო ეროვნული თავისებურების, ერის თვითშეფასების გამოხატულება. ქართული თეატრი, რომელიც მწიფეიკური მთავრობის მიერ ფაქტიურად ფუნქციონირებდა იყო, ამიერიდან უნდა ქვეყლიყო ეროვნული კულტურის უპირველესი ნიშანსველად. ქართული კულტურისა და ხელოვნების მუშაკებმა ღრმად გაიარეს ახალი ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულების ისტორიული მნიშვნელობა. ისინი იმოთხოვე ცდილობდნენ გამხდარიყვნენ ამ დიდ გარდატეხისა გამოხატულები. ამ განწყობილებამ სრული გამოხატვა პოვა ხელოვნების მუშაკთა კრებაზე (1921 წ. 5 მარტი) მიღებულ რეზოლუციაში, სადაც, სხვათაშორის, ნათქვამი იყო: მოვისმინეთ მას მოსვენება მიმდინარე მომენტზე და ხელოვნების მდგომარეობის შესახებ საბჭოთა წესწესობილებებისას, ფიცს ვდებთ დავაყენოთ ჩვენი მუშაობა სათანადო სიმაღლეზე, მივცეთ მიიღო ჩვენი ძალღონე, ნიჭი და უნარი პროფესორული მასების განვითარებას. ახლა კი ნამდვილი ტაძარი შეიქმნება ხელოვნებისა, ვინაიდან იგი ხელშემაწვდომი გახდება არა მარტო შიძლებული კლასისათვის, არამედ პროფესორიატისთვისაც. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია განუმხილოს თეატრალური ხელოვნება ყოველგვარი სობინძურისაგან და გააძეოს სცენიდან ექსპლოატატორ-ანტიპროფიტორები. მხოლოდ თავისუფალი ხელოვნება ხდება პროფესორიატისათვის კაცობრიობის კეთილშობილ სკოლად. გაუმარჯოს ხელოვნების ტაძარს, განათავისუფლებულ თეატრს და მის ქურუმებს — მსახიობებს! გაუმარჯოს მოსოლიო რევოლუციას და მის წინამძღოლს — ლენინს!<sup>10</sup>

ამ მინის მისაღწევად გადადგმული აქნა პირველი ნაბიჯებიც. ქართული თეატრის ხელმძღვანელობამ კრიტიკულად გადახედა თავის ტრუსსა და ეკლექტიკურ რეპერტუარს. შეიქმნა სპეციალური კომისია — გ. ვენისა, ი. ზარდალიშვილის (ქართული დრამის კომისარი) და პ. კორიშელის შემადგენლობით, რომელსაც დავადა არსებული დადგმებიდან და პიესებიდან იმეგარი რეპერტუარის შედგენა, რომელიც მცირედ და მისეი უკმაყოფილება დროს მოთხოვნებს.

ერთგვარი გამოცოცხლება თეატრალურ ცხოვრებაში შეიტანა რუსული საბჭოთა საავტორიო თეატრის მაგალითით-სამებრ, შექმნილმა „სატირ-ავიგის“, „სამხატვრო რევოლუციური თეატრის“, ხოლო შემდეგ, „წითელი თეატრის“ მოღვაწეობამ. ეს თეატრები დადგნენ მცირე ფორმის პიესებს, რომლებიც თანდართულობის საჭირობითაც საკითხებს ოპერატიულად ეხმარებოდნენ. ეს პიესები (უმთავრესად რუსულითადად მომწიფო-გადმოქართულებული) ვერც თავიანთი მხატვრული დონით და ვერც იდეური მიზანდასახულებით, ვ. რ. გამოსხატავდნენ ცხოვრების მიმდინარე რთულ სოციალურ პოზიციებს და ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლის სიმწვავეს, მაგრამ თავიანთი ტენდენციურობით, აქტუალობითა და პოლიტიკური სიმახვილით ცხოველ ინტერესს



იწვევდნენ მაყურებლებში. ეს იყო პირველი ნაბიჯები თანამედროვეობის პრობლემებთან მიახლოებისა, გამოხატვეული საერთო ტენდენციისა, რომელიც გულისხმობდა რევოლუციური საქართველოს თანახმიური ხელოვნების შექმნას. სამწუხაროდ, ამ თეატრებს ფორტი ვერ გაზაღეს შესაბამისი რეპერტუარის უქონლობისა და მხატვრულ-სცენური ფორმის არასრულქმნილობის გამო. ამგვარი თეატრების ძირითადი პათოსი მიმართული იყო ახალი ცხოვრების განსაზღვრულად, მაყურებელთა ენთუზიაზმის გასაზრდელად, მაგრამ გარდა ღირსეული პიესების უქონლობისა, თვით თეატრალური ფორმა ამგვარი სპექტაკლებისა, რომელიც აშკარად და გამოიწვევდა უპირისპირდებოდა „ძველ თეატრს“, უარყოფდა მის მხატვრულ გამოხატვას ხერხებს, მხოლოდ ემბრიონალურ საწყის-ხრულ დარჩა და ვერ განვითარდა. ამგვარმა ვითარებამ განაპირობა ამ თეატრების ადრეული გაქობა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზიდან. ყოველთვის ამის გამო, დღის წესრიგში დადგა ქართული თეატრალური ხელოვნების უმთავრესი ორგანიზმის — ქართული დრამატული თეატრის რევოლუციური განახლების აუცილებლობა. განახლება უნდა შეეხებოდა არა მხოლოდ თეატრის რეპერტუარს, არამედ ყველა ძირითად კომპონენტს — რეჟისურას, მსახიობთა ხელოვნებას, თეატრალურ მხატვრობას და ა. შ. იმ აუცილებელ კომპონენტთაგან, რომელიც თეატრალური ხელოვნების მოღიანობას ქმნის, გარდაქმნისა და განახლების პროცესი შეეხებ მხოლოდ ერთ კომპონენტს — მაყურებელს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციას და ცარიზმის დაშლამ უდიდესი აღფრთოვანება მიუღვა ქართველი ხალხი. მთელი ქართველი ინტელიგენცია იხვედრებდა, რომ განახლების ქარიშხალი, თანამედროვეობის სუნთქვა თეატრალურ ხელოვნებასაც შეეხებოდა და ძირფესვიანად გარდაქმნიდა მას. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ წერდა: „ძველებური ენით, ძველებური ხერხით, ძველებური ფორმებით დღეს თეატრს ლაპარაკი აღარ შეჰფერის.“<sup>11</sup> ამგვარი განახლება-განახლების მიზანდინე იყო ქართული მწერლობისა და თეატრის მრავალი გამოჩენილი მოღვაწე. მათ შორის განსაკუთრებულად მკვეთრი პოზიცია ეჭირათ ვ. შალიკაშვილსა და რეჟისორ ა. ფაღვას, რომელთა გამოხსენებით თუ სტატეიები აღსაესე იყო განახლების აუცილებლობის შეგნებით.

ქართული თეატრის დაქვეითება ამ საყოველთაო აღტიუნების ვაჟს, მით უფრო გაუგებარი იყო, რომ მას რევოლუციური ბრძოლის შესანიშნავი ტრადიცია ჰქონდა — ამის დასადასტურებლად საკმარისია რეჟისონით მისი უბუნარული სტუდიუკუებით გამსჭვალული თეატრალური 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, მისი საუკეთესო წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობა ბარაკადებზე გამართულ ბრძოლებში. თვით რეჟისორის მიმე წლებშიც ქართული თეატრის სცენაზე იხვედრებოდა მონტის „კია ვიკსი“, პაუტმანის „ფეიქრები“, შ. დადიანის „როს ნადიმობდენე“ და სხვა მძაფრი სოციალური მოტივების გამოხატველი პიესები. მაგრამ როგორც ჩანს, რეჟისორის შემდეგ ჩამოვარდნილი ყველაიღი, შ. გორკის გამოთქმა რომ ეიხმართ — ეს „ყველაზე სამარცხენაო ათწლეული“; ისე მძაფრად დაატყდა თავს ქართულ თეატრს, რომ მან ვერაფრით ვერ შესძლო წელში გამართვა, ვერც ორგანიზაციული და ვერც შემოქმედებითად. ამან ათქმევინა განახლებული ქართული თეატრის დიდ მეგობრს აკაკი წერეთელს: „უნდა გამოვტყდეთ, რომ ქართველებს თეატრი არა გაეკიჟა და ჩვენ რომ თეატრად მივაჩინა, ის მისი აწრდილიც არ

არის“. დაახლოებით ამასვე ამბობდა (1914 წელს) ცნობილი თეატრალური მოღვაწე და მსახიობი კოტე ყიფიანი: „დღეს ქართული თეატრი არა ჰგავს ნამდვილ „ქართულს“. დიდი ხანია რაც დაჰკარგა მან ქართული ელფერი“. აქ უმკვევლია, იგულისხმება არა მხოლოდ ქართული თეატრის თვითმყოფადობის, ნაციონალური ფორმის საკითხი, მისი ეროვნული ფიზიონომიის არსი, არამედ ის მებრძოლი სოციალუკუებაც, რაც ქართულ თეატრს გააჩნდა ეროვნულ განმთავისებულებული ბრძოლისა და 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. ფრიად საინტერესოა, რომ ამავე პერიოდში დაკარგა და ს. ხმეტელი, რომელიც მძაფრ წერილობით სტამბავად რუსულ და ქართულ პრესაში თეატრალური ხელოვნების პრობლემებზე, კარდნალურად აყენებდა საკითხს სტატეიში „არის თუ არა ქართული თეატრი „ქართული“? — თეატრალური თანამედროვე ცხოვრების ურთიერთობის შესახებ. „შვეციძია ჩვენ ვიპოვეთ ქართულ სცენაზე უმაღლესი ნამდვილი ფორმა ჩვენი სულიერი ლტოლვილებისა“ — კითხულობდა იგი და ვრცელ მსჯელობის საფუძველზე უარყოფით დასკვნაზე მივიდა. მისი დასკვნა ეტება უკვე თეატრალური ფორმის საკითხს:

„... არ არის იგი ქართული თეატრი თვით სცენური საუკლებიანი კარის.“

როგორც ვხედავთ, თვით თებერვლის რევოლუციამდე, ქართული სინამდვილეში, უკვე მომწიფდა საკითხი თეატრის ტრატული განახლებისა, მისი მიახლოებისა თანამედროვეობის პრობლემებთან, მაგრამ განახლების ეს პროცესი რუსულიადც არ მიმდინარეობდა იმ ინტენსივობით, როგორც ეს მოსალდნელი და სასრველი იყო. ამაში, რასაკვირველია, უპირველესი ბრალი მიუძღოდა, როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს მენშევიკურ მთავრობას, რომელმაც, ფაქტურად, არავითარი კონკრეტული ნაბიჯი არ გადადგა შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

1918 წლის სასცენო სწორება შენიშნავდა ვ. შალიკაშვილი სტუდიულებისადმი მიმართულ სიტყვაში:

„ქართულმა თეატრმა გზა ვეკიანი გმირულად განვლდა და თავისი დროშა დღემდის მიიტანა იმ სახით, რა სახითაც იგი პირველად აღმართა. ცხოვრება შეიცვალა, ძველი დაიწერა და ამ ნანგრევებზე ახალი ცხოვრება შენდებდა. ქართული თეატრი იბრძოდა სამ ფრონტზე: ებრძოდა მთავრობას, ებრძოდა გადაგვარებულ ხალხს უმეცრებს, ებრძოდა ნივიორ გაჭირვებას... და... ქართული ძველი თეატრი ამ უთანასწორო ბრძოლაში დაღლილ-დაცემული, დღეს მიხილი, უკანასკნელ სულიკუებით განიკვიდა. ახალი ცხოვრებისათვის ძველი სახის მატარებელი თეატრი საჭირო აღარ არის (ხაზი ჩემი ნ. გ.) თვით ცხოვრებამ უბრძანა მოკვდით და ისიც კვდება. მაგრამ, მოკვდენებთან, სიკვდილს ახალი სიცოცხლე მოსდევს — თვით სკვდილი შობს ახალ სიცოცხლეს და აი, ახალმა ცხოვრებამ ძველის მეგვიკრედულ მიგვიწოდებ თქვენ, ახალგაზრდობას.“

ერთი წლის შემდეგ, ქუთაისში გამოსული ჟურნალის „თეატრისა და მუსიკის“ (1919 წ. № 1) ფურცლებზე ვ. შალიკაშვილს კვერს უკრავდა ა. ფაღვა.

„ძველი თეატრი, თუმცა დამახსუბრებული და ნაამაგარი, მაინც კვდება“, „ძველად უნდა განისკვინოს, როგორც დრომოქმულმა“. სრული კატეგორიულობით იქნა გამოთქმული მოსაზრება (ს. ფირცხალავას მიერ) იმის თაობაზე რომ ძველი თაობა ვერ შესძლებდა მდგომარეობის შეცვლას, ახალი სულის შეტანას, „მსახიობისა და მაყურებლის შედლებას“.<sup>12</sup>



ვითარება, მართლაც, ფრიად საგანგაშო იყო. ჯაბადარის სტადიის სახით გამოიჭრაოლი იმდენი სხვი მდგომარეობას რადიკალურად არ სცვლიდა. მართლაც, ვულსაკტივი იყო, რომ ქართული თეატრი, ამდენი ეროვნული საქმის გამგებელი, ქართული სიტყვის ერთ-ერთი თავმჯდომარე, საიდანაც ათეული წლების მანძილზე გაისმოდა მართალი სიტყვა, ასე უახლოვდ, მოუბრუნებლად მიგვიტეოდა უფსკურლიანაკვან. სახლა, როცა ამ ფაქტს ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინებით ვუყურებთ, განსაკუთრებით თვალში გვგვხვდა ერთი გარემოება — სწორედ მაშინ, როცა თეატრისაგან ჭეშმარიტად რევოლუციური შემართება იყო საჭირო, მაშინ როცა თეატრს შეეძლო მასების რევოლუციური სულისკვეთების კიდევ უფრო გარღმავება და აღფრთოვანება, ქართული თეატრი უძიდურესადა დაიციურებელი, დამოლი, განადგურებელი შეხვდა 1921 წლის თებერვალს. რეპერტუარი ეკლექტიკური (ძლივს შგო-წიწიბული), რეჟისორული და მასიზიორული ხელოვნება დაკანინებულ, შინაგანი კონფლიქტებით ძირგამოპირილი... სამჭოთა ხელისუფლებას, ქართველ კომუნისტებს კი აქტიური, მებრძოლი თეატრი სჭირდებოდათ. ამით ისინი გამოსატყვედნენ ქართველი ხალხის სანუკვარ მისწრაფებასაც — აღდგენილი, იდურ-მხატვრულად განახლებული ენახათ ეროვნული თეატრი.

გაზეთ „პრავდა გრუზიის“ ანუხლებზე (1921 წლის აბრილი) გამოქვეყნდა სტატია „ფართო თეატრი“, სადაც სხვა-თამოშის, ნათქვამი იყო: „იმ ძვრებმა, და უკანასკნელ წლებში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სოციალურმა და პოლიტიკურმა აზროვნებამ განიცადა, საკმაო სიმკვრივით ვერ იმოქმედეს თეატრის ცხოვრებაზე; თეატრი დღევანდლამდე, ფაქტიურად, ძველი რეპერტუარით ცხოვრობს, ვერ გადალახა ძველი თეატრალური-ესთეტიკური ფორმები. აუცილებლად უნდა შეიქმნას ახალი თეატრი, რომელიც შეეთანხმება ახალი მყურებლის სმენას“.

ყველა ეს დოკუმენტი ნათელყოფს, თუ რა მწვავედ და გადაუდებლად დადაგა საკიოხი ქართული თეატრის რევოლუციური განახლებისა. პალიტიკური სახათის ღონისძიებანი (გულისხმობს, ძველი რეპერტუარის ეროვარ მისადაგებას თანამედროვეობასთან), ერთი-ორი პროფესიულად ასე თუ ისე გამართული სპექტაკლი (მაგ. სუმბათაშვილის „ლალია“, ნ. შიუკაშვილის „სულელი“) საქმის ვითარებას, ცხადია, ძირფესვიანად ვერ შესცვლიდა. აუცილებელი იყო დასის განახლება, პროფესიული რეჟისურის საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალეების გაერთიანება და ახალი რეპერტუარის საფუძვლებზე თეატრის მომხილო ორგანიზმის გაყოფლება. ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო ნოვატორი-რეფორმატორი, დიდი გამოცდილებისა და ნიჭის ადამიანი, რომელსაც შეეძებელი ექნებოდა თავისი მიზანი ამ-საშელოშილო, ეროვულ, პოლიტიკურ საქმეში, ადამიანი, რომელმაც კარგად იცოდა თუ რა მიშვნელობა აქვს თეატრს რევოლუციური გარდაქმნების მივლ პროცესში და ბოლოს ისეთი ადამიანი, ვინც უშუალოდ განიცადა რევოლუციის ქარქვეშის სიდაფე და მნიშვნელობა და ვინც მაიაკოვსკისა და ბლოკის დარად უყოფმანოდ მიილო რევოლუცია, როვორც საკუთარი არსებისაგან განუყოფელი მოვლენა.

სწორედ ასეთი ადამიანი აღმოჩნდა კოტე მარჯანიშვილი, სამშობლოში დაბრუნებული რუსეთის თეატრებში 25 წლის მოღვაწეობის შემდეგ.

რუსთაველის თეატრის მკვლევარს ა. ფეფრალკის თავის წიგნში „რუსთაველის სახელობის თეატრი“ ფრიად საგულის-

ხმო ამონაწერი მოაქვს „გრუკავროსტის“ (რუსეთის დემკრატია სააკენტოს ბიუროს საქართველოს განყოფილება, რეჟისორი მრავალი საყურადღებო წამოწყება ეკუთვნის ახალი თეატრალური ხელოვნების შექმნისათვის ბრძოლაში) გასუთიდან „კავკასიის კომუნა“. წერილს მრავალმნიშვნელოვანი სათაური აქვს: „საბჭოთა თეატრი“. აი, ეს ამონაწერი ამ სტატიიდან: „...თეატრს უღვება არა აქვს ჩამორჩეს რევოლუციას, რადგან სწორედ თეატრია ერთ-ერთი მისი თანამშრომელი-მასების რევოლუციური აღზრდის საქმეში. თეატრს მეტი აღარ შეეძლოა გართოს მყურებელი ბურჟუაზული მაკულატურის უნახო და უხამსი ნაწარმოებებით. ამიერიდან სცენიდან უნდა გაისმოდეს ადამიანთა უდიდესი განცდის ცეცხლით გავთავარებული მძლავრი და გაბედული სიტყვები. ისტორიულ რევოლუციათა შორის ყველაზე უფრო დიდი სოციალური რევოლუცია შრომის მონობასთან ერთად სპობს ევოისტურ, ბურჟუაზული წერილმან გრძნობათა ბატონობას. მხოლოდ მსოფლიოს ლიტერატურის ქმნილებებში გამოსახული ადამიანის სულის მაღალ გმირულ განცდებს აქვს ადგილი თეატრის სცენაზე ასეთი სანახაობა დირსი რევოლუციური პროლეტარიატისა მხოლოდ ასეთ თეატრს შეეძლია იაროს რევოლუციის ცეცხლოვანი სტიქიონის უდიდეს განცდათა ფეხდაფეხ“ (ხაზი ჩემა — 6. ).


წერილის ავტორი თითქოს წინასწარ ჭერტდა ქართული თეატრის რევოლუციურ გამარჯვებას, სადაც მართლაც გაისმა „ადამიანის უდიდესი განცდის ცეცხლით გავარარებული მძლავრი და გაბედული სიტყვები“, თითქოს წინასწარ იგრძნო თეატრის სცენაზე ავარდნილი „რევოლუციის ცეცხლოვანი სტიქიონის უდიდეს განცდათა“ მხურავლება.

ეს გახლდათ მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის ლოპედე ვეგას პიესაზე შექმნილი სპექტაკლი „ცხვრის წყარო“ (1922 წლის ნოემბერი).

**შენიშვნები:**

- 1 В. И. Ленин, Полн. собр. соч. т. 24, стр. 120.
- 2 იხ. Советский театр. Документы и материалы. театр народов СССР 1917—1921 г. стр. 16.
- 3 იხ. Г. А. Хайченко. Путь советского театра. изд. «Знание», Москва, 1967 г., стр. 5.
- 4 В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 36, стр. 168—171.
- 5 В. Н. Немирович-Данченко. Статьи, речи, беседы, письма. Москва, 1952 г., стр. 152.
- 6 А. В. Луначарский. Собрание сочинений. т. 3, стр. 465.
- 7 იხ. ვ. საიჩენკოს დასახლებული წიგნი, გვ. 21.
- 8 გავისწნოთ ა. ლუნაჩარსკის ცნობილი მიმართვა მოსკოვისა და პეტროგრადის მასიზიებისადმი: «Мы не требуем от вас никаких заявлений о преданности и повиновении. Вы свободные граждане, свободные художники, и никто не способен на эту вашу свободу». См. Д. Золотницкий «Зорн театрального Октября» «И», 1976 г., стр. 27.
- 9 ვ. ბუხნიკაშვილი. ქართული თეატრი ახალი ეპოქის მიჯნაზე, „ხელოვნება“ თბილისი, 1976 წ., გვ. 132.
- 10 იხ. „კომუნისტო“, 1921, № 7.
- 11 ენრელი „თეატრი და ცხოვრება“, 1917, № 15.
- 12 დ. მეტუე, „ავლერიან შალვაშვილი“. გამ. „სელოვნება“, 1956 წ. გვ. 90.





დ. თავაძე სპექტაკლ „თეთრი და ავნი ძალის“ დეკორაციის ესკიზი




მ. ჭავჭავაძე სპექტაკლ „შოკრენების“ დეკორაციის ესკიზი

# თეატრის მხატვართა გამოყენება


44  
43  
40  
44  
43

აკაკი ზორაძის სახელობის მხატვრობის სახლის საგამოყენებო დარბაზში მოეწყო რესპუბლიკის თეატრალურ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო 1975-1976 წლების სეზონის მანძილზე შესრულებული ესკიზები. გამოფენამ გვიჩვენა, რომ ქართული თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნება ვითარდება მრავალფეროვანი მხატვრული ხერხების, გამოყენების გზით. მთელი რიგი ნამუშევრები მნახველებს გარკვეულ წარმოდგენას უქმნიდა მხატვართა შემოქმედებით მიზანდასახულებათ, მათი ოსტატობის, ძიებების თავისებურებაზე.




გ. გუნია სპექტაკლ „სოკრატეს“ დეკორაციის ესკიზი.

ფ. ლაბიაშვილი სპექტაკლ „ანტიგონეს“ დეკორაციის ესკიზი



გ. მღებრიშვილი სპექტაკლ „ცილინდრის“ დეკორაციის ესკიზი





**სანდრო ახვიათიანი**



# დიდი რეჟისორი

ოთარ თაქთაქიშვილი

ჩვენს სახელოვანმა, დიდმა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა ძალიან მოკლე პერიოდი იმუშავა ქართულ თეატრში, მაგრამ ისეთი კვალი დასტოვა, რომ მისი სახელი ამჟამად ჩაიწერა ჩვენი ხალხის სულიერი მამების სახელებს შორის. რითი აიხსნება ეს არაჩვეულებრივი ფენომენი? ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ისაა, რომ ს. ახმეტელმა უმღერა რეჟოლუციას, უმღერა მგზნებარედ, ამაღლებულად, გულწრფელად და, რაც მთავარია, თავისებურად. საქმე ისაა, რომ იმხანად ზოგიერთი ხელოვანი რეჟოლუციას უყურებდა ვიწრო ეროვნული პოზიციებიდან. ს. ახმეტელმა კი რეჟოლუციაში დაინახა ის დიდი გზა, რომელიც ეროვნულ კულტურას ფართო, ინტერნაციონალურ სარბილზე გაიყვანდა. იგი რეჟოლუციას მიიწვედა ხალხის სულისკვეთების მძლავრ გამოვლინებად. ამიტომაც ჩასწვდა ასე ღრმად მშობლიური ხალხის ფეხებს, გულისტკრას, მის ეროვნულ იდეალებს, რომლებსაც ზოგადაცაკებობრივ ელემენტობა მიანიჭა.

მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ს. ახმეტელმა — ამ უჩვეულო ნიჭით დაჯილდოებულმა ხელოვანმა — იმთავითვე მიაპყრო ყურადღება ქართული თეატრის სინთეტურ არსს და ღრმად შეიტრა ქართული ხალხური ხელოვნების წიაღში. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ქართულ ხალხურ სიმღერას, რადგან ამ სფეროშიც ხედავდა ჩვენი თეატრის ეროვნული სულის გამოსავლინებელ ძალას. სწორედ მან მიხვდა ბიძგი თეატრალური მუსიკის დარგში ქართველი კომპოზიტორების მუშაობას, მოუწოდებდა მათ ეროვნულის შერწყმისაკენ თანამედროვეობის რიტმთან, მის მაჯისცემასთან. ასე დაიბადა ქართულ მუსიკაში ი. ტუსკისა და ვ. გოგიელის სახელები.

ს. ახმეტელმა ფართოდ გაუხსნა გზა ეროვნულ თეატრალურ მხატვრობას. ირაკლი გამრეკელის მრეჭაფარ ნიჭი მოაშუქა ქართულ სცენას. მანვე გამოწერა შესანიშნავი პლუვად მსახიობებისა, რომლებსაც გამოჰყვით ახმეტელის ნიჭიერების ნაპერწკალი, მიჰყვებოდნენ მის მიერ დასახულ გზას.

აი, ესაა ის ძირითადი მიზეზები, რითაც სანდრო ახმეტელმა უკვდავება მოიპოვა.



# საბაჟო მემკვიდრეობა

## არჩილ ჩხარტიშვილი

კრემ მარჯანიშვილი და სანდრო ამბეტელი. ეს ორი სახელი მთელი ეპოქა — ქართული საბჭოთა თეატრის პირველი ნაბიჯები, მისი ყრმობა და დავაყვაცება. მარჯანიშვილი უკვე საქვეყნოდ აღიარებული, გამომბრძნელი, დაბრძნებული, მაგრამ მუდამ მჩქეფარე შემოქმედი. ამბეტელი ასევე დაუდგრომელი, ჯიუტად მაძიებელი, მწვერვალთა დაპყრობის დიდი მოსურნე. ერთი მხრივ, ცოდნა, გამოცდილება, დიდი კულტურა, კამეაშა ნიჭი, მეორე მხრივ, გაჯაკურთხელობა, ხელოვნების არსში ჩაწვდომის წყურვილი, დიდ ნიჭიერებასთან შეხვედრული. დიდი მასწავლებელი და ღირსეული, ერთგული მოწაფე. ორივესათვის კი საერთოა ეპოქის სულსკვეთების დიდი შეგრძნება, ეპოქის მოცხოვრებლობა ნიშნულზე დაგმა.

1921-26 წლები — ახალი ქართული თეატრის ოქროს ხანის დასაწყისია, ახალი სახელები — მასხიობები, მხატვრები, კომპოზიტორები და, რაც მთავარია, ავტორები. ორივე შემოქმედი — მასწავლებელი და მოწაფე ერთად იბრძვიან, ერთად ქმნიან, ერთად გვაკვირებენ ნიჭის ბრწყინვალეობით. ყოველი საქმეტაკული ზეიმიცა, საოცრებაა. მასწავლებელი მწერთნის, მოწაფე აწერთნება. ჯერ თანამდგომი ხდება, შემდეგ მწიფდება... იწყება ახალი ამბეტელისე-

ული გამომსახველობითი საშუალებების ძიება... მეტე კი... გათიშვა.

ასეთი გათიშვის მაგალითი ბევრია იმ დროს, ბევრია მოსკოვშიც, სტანი-სლავსკის მოწაფეები — ვახტანგოვი და მიერპოლდი საკუთარ თეატრებს ქმნიან, ცხოვრების განვითარების ურყევი კანონია — შევირდი ოსტატი ხდება. ამბეტელი მარტა აგრძელებს ძიებას, გატაცება რეჟისოლოგიით, პავლოვით, ბეხტერევიტ, სპექტაკლების შემდეგ ღამის ლექციები და ექსპერიმენტები განცდის ფიზიკური გამოსახვის თემაზე, შემოქმედებითი მეგობრობა მხატვარ ირაკლი გამრეკელთან. კომპოზიტორები ივანე გოკიელი, იონა ტუშკაია, ახალი ავტორები გლეგოვი და შანშიაშვილი, ლაგრენივი და შ. დადიანი, შილერი... მასწავლებელიც ტოლს არ უდებს მოწაფეს — ძველ ლომს ჯერ კლანჭები არ დასცვეთია, ახალ თეატრში ის ახალ შედგერებს ქმნის: „ჰაულა! ჩვენ ციცოცობთ“, „ურიელ აკოსტა“.

ორი დიდოსტატი ეკვირბება უკვე ერთმანეთს. ორივეს კი ერთი რამ ასულდგმულებს — ეპოქის შესატყვისი ახალი ქართული თეატრის პრობლემები. მასების დიდი აზვირთება ირგვლივ და თეატრც მასშტაბური უნდა იყოს.

შესამე მოქმედების მასიური სცენა და ზაირას ცეკვა „ანსორში“. მაცურებელთა დარბაზიდან წამოსული

დროშა „რღვევაში“, სცენა ტავერნაში „ინ ტირანოსიდან“, ბაპები „თენულდში“, მაცურებლის დიდი დანტერესება თეატრის ცხოვრებით, ხალხით გაქედლი დიდი დარბაზები, კამათი, დისკუსიები... ამ შეჯიბრში სადღაც შურიც იბადება, მითქმა-მითქმაც... მაგრამ თვითონ ოსტატები ამაში უბრალონი არიან. ქართული თეატრის უჭროს ხანა გრძელდება. ლუნაჩარსკის ამბლეგებელი სიტყვა, საქვეყნოდ აღიარება და ეს ყველაფერი 9 წელიწადში. დიას, 9 წელიწადში. საოცრება!

ის წავიდა ჩვენგან. უდროოდ წავიდა. მის შემდეგ გავიზარდეთ, ბევრი რამ შევიძინეთ, ბევრი რამ დაეკარგეთ კიდევ.

რას ვიზიარებთ დღეს სანდრო ამბეტელის მემკვიდრეობიდან? ვიზიარებთ ეპოქის სულიდან წარმოქმნილი ხელოვნების მოქალაქეობრივ პოზიციას, ვიზიარებთ ეროვნული კულტურისადმი უსაღვრო სიყვარულს, ვიზიარებთ გაჯაკურ შემართებას პრინციპებისათვის ბრძოლაში, ვიზიარებთ იმას, რომ თეატრი იქმნება მხოლოდ თანამოზიარეთაგან შედგარი კოლექტივით. ბევრ სხვა რამესაც ვიზიარებთ და ამაშია სანდრო ამბეტელის უკვდავება.



# რიტმისა და პლასტიკის პრობლემა სანდრო ახმეტაელის შემოქმედებაში

ვასილ კიკნაძე

სანდრო ახმეტაელის თეატრალურ-ესთეტიკური პრინციპები ვერ წარმოიდგინება რიტმისა და პლასტიკის პრობლემის გარეშე. ეს პრობლემები კი უშუალოდ უკავშირდება ქართული თეატრის ეროვნულობის საკითხს.

რევოლუციამდელი ქართული თეატრის მოღვაწეებს შეუინიშნავდა, რომ თეატრში საჭირო იყო რიტმისა და პლასტიკის ძიება. ახალ მხატვრო ხარისხში გარდაქმნა იმისა, რაც ხშირად თავისთავად, სტიქიურად, თანდაყოლილი ფორმით ვლინდებოდა სცენაზე. ამის მოთხოვნა განასაკუთრებით საგრძნობი გახდა მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, როცა მოდიორნად რეჟისორული აზროვნება, ამაღლდა სპექტაკლის მხატვრული ფუნქცია, საგანგებო მნიშვნელობა მიენიჭა წარმოდგენის საერთო გადაწყვეტას, ანაზამოს, გართობა წარმოდგენის სტრუქტურა.

ს. ახმეტელმა იგრძნო რიტმისა და პლასტიკის დიდი როლი ქართულ თეატრში და მთელი ყურადღებაც აქედნ წარმართა. არც ერთ სხვა ქართველ თეატრალურ მოღვაწეს არ გაუზნია იგი თავისი ძიებისა და ექსპერიმენტების საგნად. მხოლოდ ახმეტელი ჩაუღრმავდა ამ პრობლემას. სიტუაციის წლებშივე დაიწყო რიტმისა და პლასტიკის არსის გასკვევა.

ს. ახმეტელისათვის ტემპო-რიტმი — ეს თითქმის ყველაფერი იყო. მისი შემოქმედების — უფრო ზუსტად, მისი თეატრ-

ალური აზროვნების დასაწყისიდან მოყოლებული სიკვდილამდე არასოდეს არ შეუნელებია რიტმისადმი ყურადღება. თავის პირველსავე წერილებში, როცა იგი ჯერ კიდევ არ იყო რეჟისორი, ხშირად ეხება ტემპისა და რიტმის პრობლემებს. რიტმი ერთ-ერთ მთავარ ადგილს იჭერს ქართული ეროვნული თეატრის პრობლემების რთულ კომპლექსში. ახმეტელი მას უკავშირებს ქართული ხასიათის ბევრ თავისებურებას. „ქართული ვენტიანობისა და ტემპორამენტის“ (ი. იუზუგუისის გამოთქმას!) ხასიათში რომ ერთნული თეატრის თავისებურებებს ეძებდა, — ახმეტელს თვალი ისევ რიტმისაკენ ეჭირა.

სტილურ ძიებათა სიუხვე, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მეოცე საუკუნის ოციან წლებში, აწრთობდა და ავაგავსებდა ქართული თეატრის არტიტიზმს, იძლიოდა ღრმ. შინაგან ბიძგებსა და იმპულსებს, რათა ქართული თეატრი არ მოწყვეტოდა თავის დროს, ყოფილიყო საბჭოთა თეატრის ნეწინავეთა შორის. მას წარმართავდა ახალი ქართული რეჟისორული აზროვნება. თეატრალური აზრის მღვლეარება, ახალი თეატრალური ნორმების დამკვიდრება მიმდინარეობდა: ღრმა სოციალ-პოლიტიკური პროცესების აქტიური შემოქმედებით, მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ეროვნული თეატრის ამ განმანახლებელ მოძრაობაში თავისებურად იჭრებოდა რუსული თეატრალური კულტურის მიღწევები. გარკვეულ რეაქციასა და გამოძახილს პოულობდა იგი ქართულ თეატრში. ჯერ სამხატვრო თეატრის, შემდეგ მცირე თეატრის, შემდეგ მივირპოლდის თეატრის გასტროლები მნიშვნელოვან: მივლენა იყო ოციანი წლების ქართული თეატრში და მან მცირე როლი როდი ითამაშა ქართული საბჭოთა თეატრის წარმატებაში. ქართული სცენის მოღვაწეთათვის ეს იყო ახალი შემოქმედებითი ენერჯის, თეატრალური ენისა და ვნების აღმძვრელი მოვლენები. ამით მაღლდებდა მისი მომთხოვნულობისა და პასუხისმგებლობის გრძნობაც. გასტროლები ხელს უწყობდა თეატრალური სივრცეების გაშლას, მისი მასშტაბების გაფართოებას. რუსეთის რევოლუცია წინ უსწრებდა საქართველოსსა და ბუნებრივია, რომ საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ხალხის თეატრებში რევოლუციური გარდაქმნებიც ახალი დროის კვალობაზე მოხდა. რევოცე ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლება ყველას ერთბაშად არ მიუტანია გულთან. ზოგი ნეიტრალიტეტს არჩევდა, ზოგი დროს უდღიდა, ზოგიც თანამგზავრი იყო... ადამიანთა ათასგვარი ფიქრი, განცადა, ეჭვი, თანდათან იწმინდებოდა, ნათვლებოდა და კვალში უდგებოდა ახალ ცხოვრებას. ეს იყრიტიანური გარდაქმნა ადამიანთა სულიერი ცხოვრებისა, მსგავსად ე. მეგრეზოლიდისა, არც ს. ახმეტელის წინაშე მდგარა საკითხი — მიეღო თუ არა რევოლუცია. მან უყყმანოდა მიიღო იგი. მას გულწრფელად სწამდა, სჯეროდა, რომ რევოლუციის ნამდვილი თავისუფლება მოქმნდა ქართველი ხალხისათვის. ეს ჩანს ყველაფერში, რასაც ის ქმნიდა და აკეთებდა. მეფის რუსეთისადმი გახლებული სიძულვილი საბჭოთა ქვეყნის სიყვარულმა შესცვალა. თვით გარდაქმნა სიძულვილიდან აღტყენებისაკენ, — რევოლუციური ძალისა იყო. მისი შემოქმედების პულსაცაში მიგრძნობოდა რევოლუციური რიტმი. ახმეტელის ბუნებრივად მივიდა რევოლუციასა. მისი ამოზიძველი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკური ნორმების წინა-

აღმდეგ, ნისი უკომპრომისო დაპირისპირება ყველაფერთან, რაც გაბატონებული და ოფიციალური იყო, თავს იჩენდა ყველგან. თვით „ბერდო ზმინასა“ და „ალატარას“ დადგენილი გამომძიავნა რევოლუციონერ გმირთა ძიების სურვილი. ამგვარი ძიების სურვილი დროთა მანძილზე გაღრმავდა და განვითარდა, დიდ მხატვრულ ხარისხში ამაღლდა, რამაც საბოლოოდ იგი „თეატრალური ოქტომბრის“ დროშასთან მიიყვანა.

ეს გზა არ ყოფილა სწორხაზოვანი და ია-ვარდით მოფენილი. რთული იყო იგი. მასში კარგად იკითხებოდა თვით ცხოვრებით განპირობებული წინააღმდეგობები.

როგორც ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, სანდრო ახმეტელი თავისი სიტაბუკის წლებშივე ამბობდა, რომ ქართული თეატრი უნდა ემყარებოდეს თავის „შინაგან წყაროებს“, მისი გამომავლის ფორმები უნდა იყოს ეროვნული და არა სხვათაგან ნასესხები. მხოლოდ ეროვნულის ხარისხობრივ სანეითარებას მივყავართ ინტერნაციონალურისაკენ. ამ რთულ პროცესში იგი ყოველთვის გამყოფდა რიტმისა და ეროვნული ტემპერამენტის მნიშვნელობას. თავის დროზე ამ აქცენტებს სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა. ახმეტელის აზრით, ქართველი მსახიობი თავისი ბუნებით პლასტიკური, რიტმულად მოძრავი და ტემპერამენტია. თავისებური აქვს მას სიარულის მანერა, მუსიკალობა, ტემპერამენტი კი თანდაყოლილი ქართული ფენომენია, რომელიც ზოგჯერ შეუცნობლად, ისე, ინსტინქტურად წარმოიშობა ხოლმე — ამბობს იგი. ეს თვისება კიდევ უფრო რელიეფურად უნდა გამოვლინდეს ახალ დროში, ახალ პირობებში, რადგან სოციალისტური ცხოვრება აღსავსეა რევოლუციური რომანტიკით, იგი ვერ ეგუება უძრავობასა და უსიცოცხლობას. ეპოქის სულის დინამიზმი, მისი პულსაცია

რიტმმა უნდა იგრძნოს. ახალი ეპოქის მაჯისცემვა ახმეტელს ვერ წარმოუდგინა რიტმის გარეშე. მისი აზრით, სწორედ რიტმი აერთიანებდა სცენასა და პარტურს. „დრამის რიტმი ჩემს სულსა და გულს მწყობრად, ხელშეუშვლად უნდა სწვდებოდეს“ — ამბობს ახმეტელი. მისივე აზრით, „ყოველ ადამიანს აქვს თავისი შინაგანი რიტმი, მისთვის განკუთვნილი, მისთვის დამახასიათებელი შთილი მისი ფსიქო-ფიზიკური ბუნება ამ ჩვეული რიტმით ცხოვრობს. ყოველ მის მოქმედებაში გამოვლინდება ეს რიტმი“. გავიდა მრავალი წელი და აი, როგორც ი. ტაბარკოვი გადმოგვცემს თავის წიგნში („სტანისლავსკი რეპეტიციებზე“) თურმე უკანასკნელ წლებში კ. სტანისლავსკი ამბობდა: „თუ რიტმს ვერ ფლობთ, ვერც ფიზიკურ მოქმედებათა მეთოდს დაუფლებით. ყოველგვარი ფიზიკური მოქმედება ხომ განუყრელად დაკავშირებულია რიტმთან და მის ხასიათთან. თუ თქვენ ყოველთვის და ყველაფერს ერთსა და იმავე რიტმში გააკეთებთ, მაშინ როგორ გინდათ გარდასახვას მიადგოთ?“

კ. სტანისლავსკის ეს აზრი იმის დადასტურებაა, რომ ახმეტელს სწორად ესმოდა რიტმის პრობლემა. გერმანელი კრიტიკოსი კლანიერი ახმეტელის სპექტაკლებზე წერდა: „ეს რიტმი იქმნება არა მარტო სიტყვის, ექსტისა და ცეკვის, არამედ ფერების, კოსტუმებისა და მათი პოზიციების სიმფონიური შეხამებით“.

სინთეტიზმის ამ რთულ ფორმაში ვლინდებოდა რიტმის უღიღესი როლი. ზოგიერთი მკვლევარი ახმეტელის რიტმისა და პლასტიკის სფეროში ეძებს კ. მარჯანიშვილის მხატვრული პრინციპების საწინააღმდეგოს. მასში ხედავენ მათი გამიჯვნის საფუძველსაც კი. და ეს მაშინ, როდესაც კ. მარჯანიშვილის რეჟისორული პრაქტიკა და თეორიული ნააზრი სულ სხვა სუ-



სცენა სპექტაკლიდან „არღვევა“  
ბერსენევი — აკაკი ხორავა

რათს იძლევა. 1930 წ. კომუნისტურ აკადემიაში მოხსენების დროს მარჯანიშვილი პირდაპირ ამბობდა: „ნაციონალური გაზდება არა ის თეატრი, რომელიც უეჭველად გამოხატავს წარსულს, ან თუნდაც თანამედროვეობას, არამედ ის, რომელიც იღებს გარკვეულ მიმართულებას რიტმზე, ეროვნულ ტემპერამენტზე“. და ეს ყველაფერი რა საოცრად ახლოსა ახმეტელის შეხედულებებთან. „ურიელ აკოსტას“ დადგამასთან დაკავშირებით კ. მარჯანიშვილი ამბობდა: „ჩვენი „ურიელ აკოსტა“ უაღრესად ეროვნულია. უაღრესად ეროვნულია იმიტომ, რომ მისი მსახიობური გამოსახვის, მხატვრული გამოსახვის ტემპერამენტი უეჭველად ეროვნულია... ეროვნული გამოიხატება იმაში, თუ როგორ განიცდის ადამიანი ამას თუ იმას, ეროვნული გამოიხატება მის ტემპერამენტში, მის მოქმედებაში“. ამას ამბობდა იგი მოსკოვში მისი თეატრის გასტროლებების დროს. მოსკოვშივე რუსთაველის თეატრის გასტროლების შემავაჟებელ დისპუტზე ახმეტელი ამბობდა: — „ჩვენ შიღერს ვანხორციელებთ ჩვენებურად, ჩვენი ხასიათებით, მაგრამ არ ვცვლით იმ იდეოლოგიურ მიზანდასახულობას, მაღალ-მხატვრულ კულტურას, რომელიც საფუძვლად უდევს შიღერს“.

კ. მარჯანიშვილი წერდა: „ჩვენი ეროვნული თავისებური პლასტიკა, ქართული ტემპერამენტი, თანდაყოლილი გრძნობა რიტმისა, შესაძლოა გამხდარიყო საუცხოო ბაზა მსახიობის სრულიად თავისებური მანერის შესაქმნელად!“ — ამას წერდა იგი 1924 წელს. არსებითად ამ ნააზრში თავისებურ გამოძახილს პოულობს ს. ახმეტელის შეხედულებანი, რომელიც მან უფრო ადრე გამოსთქვა არა ერთ წერტილში.

შეხედულებათა ეს იდენტურობა იყო ამ ორ რეჟისორს შორის მამოწინე კი, როცა ისინი ერთად აღარ იყვნენ. ორთა-

ვეს შეხედულებებში იგრძნობოდა თავისი დროის ეპოქალური ქარტეზილების ანარეკლი. ისინი დიდი თანამედროვენი იყვნენ თავისი დროისა და, რა თქმა უნდა, მათი შეხედულებებიც აღბეჭდილი იყო დროის სულისკვეთებით. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ ორივე დიდი თვითმყობადი ქართველი რეჟისორები იყვნენ და რაოდენ სხვადასხვა ფორმითაც არ უნდა გამოეხატათ ჩანაფიქრი, არ შეიძლებოდა თავიანთი ხალხის სულის წიაღიდან არ წარმოქმნილიყო მათი თეატრალური სამყარო. ამასთანავე აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ს. ახმეტელის ძიებები რიტმის სფეროში გარკვეულ ეტაპზე გქსპერიმენტულ ხასიათს ატარებდა. ზოგჯერ ზედმეტად ხაზგასმულიც იყო რიტმის მნიშვნელობა. ამით აიხსნება ისიც, რომ ახმეტელის ძიებებმა რიტმის დარგში ევოლუცია განიცადა. ბოლო წლებში იგი აღარ მიმართავდა რიტმის ჰიპერტროფიას. ხაზგასმული ექსპერიმენტული ძიებანი ამ სფეროში, რომელიც ყველაზე მეტად „ანზორში“ იყო საცანური, გარკვეული თვალსაზრისით გავრდილი ეტაპი გახლდათ. მის შემოქმედებაში მკაფიოდ იგრძნობა „რიტმის ქარიშხლების“ და აფეთქებების შედარებით (ჩვენ ვამბობთ, შედარებით! — ვ. კ.) ჩაწყნარების პროცესს. მაგრამ იგი კვლავ ძირითადია, კვლავ არსებითია ახმეტელის თეატრალურ მოღვაწეობაში. საილუსტრაციოდ „ყაჩაღების“ მაგალითიც კმარა!

ბუნებაში ხომ ყველაფერს აქვს თავისი რიტმი. ამიტომ რა საჭიროა მისი ძიება? თუ ქართველის ტემპერამენტი თანდაყოლილია, ხომ თავისთავად გამოფინდება? მაცდური კითხვებია. ერთი შეხედვით უდავო, მაგრამ ხელოვნებაში ასე თავისთავად არაფერი არ ხდება. ცხოვრებაში ყოველმა ადამიანმა ძალიან კარგად იცის ჩაის ან წყლის დაღვევა. იგიც ხომ თავისთავად არსებობს ჩვენს ყოფაში, ჩვენს ბიოლოგიურ მო-

სცენა სპექტაკლიდან  
„რღვევა“. გოდუნი — უმანგი ჩხვიძი



თხოვნილებებში, მამ რალა საჭიროა სცენაზე მათი დაღვეის-თვის რეპეტიციები? — განა ეს უცნაური არ არის? რეპეტიცია რად უნდა იმას, რასაც ადამიანი ცხოვრებაში ყოველდღე აკეთებს? მაგრამ რას იზამ, ამ ჩვეულებრივი, მარტივი მოქმედების ხელოვნების ენაზე გადატანასაც ცოდნა სჭირდება, მისი სიმართლის კანონზომიერებასაც ამოკითხვა უნდა. მთელი სიროთელ სწორად „ჩვეულებრივთან“ დაახლოებაშია. ეს არის ცხოვრებისეული სინამდვილის მხატვრულად გარდაქმნის პროცესი. არსებითად, ანალოგიური სურათი გვაქვს ტემპისა და რიტმის შემთხვევაშიც. ურიტმო ხელოვნება არ არსებობს, მაგრამ მთავარია როგორი რიტმია, ვისი რიტმია, რა ხასიათისა და სიმძაფრისაა, რამდენად სწორად გამოხატავს საგნის ბუნებას და ა. შ. დიდნი ოქროპირი ციყვრონი ამტკიცებდა: პოეზიასა და რიტორიკის ერთ-ერთი არსებითი პრინციპი რიტმის აუცილებლობააო. „აქედანვე მყოფმა მასობრივმა, — წერდა ციყვრონი, — ლექსის თქმისას ერთი მარცვალაც რომ უმართებულად დაამოკლოს ან გააგრძელოს, მთელი თეატრი აყვირდება. სხვათა შორის, ამ მაყურებელს არ ესმის რა არის ლექსის ზომა და მუხლი, მაგრამ რაკი მისი სმენა შეურაცხვევი, სულაც არ უწევს ანგარიშს, ვინ, რატომ და რითი შეურაცხყო, ავირის. ეს იმიტომ, რომ თვით ბუნებამ მიანიჭა ჩვენს ყურებს, ევრნით ბებრათა სიგრძე-სიმიოკლე, ისევე როგორც მაღალ და დაბალ ტონს ვარჩევთ“.

გი დე მოპასანი იგონებდა: „ფლობერი აიღებდა დაწერილ ფურცელს, თვალის გასწვრივ დაიჭერდა და ხმამაღლა კითხულობდა შეფიფი. ყურს უგდებდა თავისი პროზის რიტმს და ისე ჩერდებოდა ხოლმე, გვერთხობდათ მისგან გაქცეული რაღაც ხმების დაჭერას ლამობსო“. ფლობერი კი მრავალჯერ შენიშნავდა: „პროზაში აუცილებელია ღრმა შეგრძნება რიტმისა, ცვალებადი რიტმისა“.

შეიძლება სხვა გამოჩენილ მწერალთა დამოწმება, მაგრამ სადავო არ უნდა იყოს რიტმის მნიშვნელობის თვით ფაქტი. დავა იწყება იქიდან, რამდენად აუცილებელია ასეთი და ასეთი რიტმი რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში. აქვს თუ არა მის მხატვრულ ფუნქციას.

ს. ახმეტელის შემოქმედება ნათელი მაგალითია: იმისა, თუ რის მიღწევა შეუძლია ქართულ თეატრს, როცა იგი ემყარება ერთგულ საფუძვლებს, როცა ამ თავანარა წყაროდან იზიდავს ყველა ფორმა და ასეც და მათ შორის რიტმი და პლასტიკაც კ. გაანელმა კარგად შენიშნა ეს ახმეტელის შემოქმედებაში, როცა აღნიშნავდა: „სანდრო ახმეტელი სცენურ რიტმს იძლევა არა მარტო აქტიურულ თამაშთა ერთმანეთთან შეწყობით, მსახიობთა ინდივიდუალური განცდით, არამედ მხატვრულ განსახიერებით, მუსიკით, სინათლით, ფერებით: ახმეტელს მოძრაობაში მოჰყავს ყველა ეს ელემენტი აქტიურულ განცდათა კოლექტიური მიმართულებით: იძლევა რა კოლექტივის განცდათა რიტმს, ახმეტელი არ კარგავს ინდივიდუალს, პიროვნებას, მისი ხასიათის თავისებურებას“.

ახმეტელმა, ვიდრე ამ შედეგს მიაღწევდა, დიდი გზა გაიარა. მისი პირველი რეჟისორული ნაშრომები დავაგმირებულია გაბეჭდულ ძიებებთან. ძიებანი კი პირველ რიგში რიტმისა და პლასტიკის სფეროს შეეხო. „ბერდო ზხანასა“ დადგმის დროს, — წერს იგი, — იძულებული ვიყავით ძირფესვიანად უარგვე-

ყო თეატრის დეფორმირებელი რიტმი და სპექტაკლი აგვემო დინამირობაზე და ქართულ რიტმზე. „ბერდო ზხანასა“ დადგმით ნათელი გახდა, თუ რამდენად იყო თეატრი ადვანილი გზას, რამდენად ქჷონდა მას წართმავლი უმთავრესი — ე. ი. რიტმი“.

შეტად საგულისხმოა უ. ჩხეიძის აზრი. როგორც ცნობილია, იგი არ იყო ახმეტელის მოწაფე. მისგან წვიდა ერთობ გულწრფელი კონფლიქტი. დიდი მსახიობი მისთვის ჩვეული სულწრფელობითა და გულახდილობით წერს. — „მამინდელ რეჟისორებში სრულიად ცალკე იდგა ლ. ახმეტელი. ის მამინ ახლად მოსული იყო თეატრში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მის რეპეტიციებზედ შედარებით კარგი დისციპლინა იყო. მისი დადგმული სპექტაკლი ს. შანშიაშვილის სიმბოლისტური და ცოტა უხუნლვანი პიესა „ბერდო-ზხანასა“, განსვავადგომდა სხვა მამინდელი სპექტაკლებთან, თავისი ორგანიზებელი, კარგი, მასიური სცენებით, მსახიობების თამაშში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული მათი მოძრაობის პლასტირობას, ექსტს და საერთოდ მათი თამაშის გარეგნულ ფორმას, რაც თუ არ ცვდებო უფრო პირობითი იყო, ვიდრე სხვა დადგმებში. სპექტაკლში შეტანილი იყო აგრეთვე ცნებებიც აღსანიშნავია, რომ ეს სპექტაკლი ახალ ელფებს ატარებდა არ შეიძლებოდა ითქვას, რომ „ბერდო-ზხანას“ სასესიო, რაიმე ახალ გარკვეული და დასრულებული ფორმის სპექტაკლი იყო, მაგრამ ის, მჭრთალი შუქი მაინც იყო იმ სიახლის, რომელიც შეეფიფი მარჯანიშვილმა შემოიტანა ქართულ სცენაზედ“.

ანალოგიური აზრი გამოთქვა ა. ვასაძემ თავის მემუარებში „მოკონებები და ფიქრები“. „რა იყო ის მთავარი ძალა, რასაც სპექტაკლი მიჰყავდა, მამინ, ჩვენ შემსრულებლები, ამავე ვერ გიპასუხებდით. მხოლოდ ჩვენ შემდგომ შემოქმედებით შეხედვდრებში ნათელი შეიქნა, პრაქტიკულად და თეორიულადაც, რა მნიშვნელობა აქვს სპექტაკლის წარმატებისათვის სწორი ტემპის, რიტმის მოქანხვასა და მოქმედებაში მის თანმიმდევრულ განვითარებას. ამგვარი ტემპის რიტმით აგებულ სხვა სპექტაკლს ქართულ თეატრში მამინ ვერ დაასახელებდით“.

უ. ჩხეიძის ა. ვასაძის და სხვების მიერ შემწინელი სიახლე, რომელიც ს. ახმეტელის პირველ სპექტაკლს მოჰქონდა ქართულ თეატრში, არ საჭიროებს ხელაწიურ განდიდებას და არც მის მიჩქმალვას. დაკვირვებელი თვალს უთუოდ შეამჩნევს, რომ ამ სპექტაკლშიც იგრძნობოდა ახმეტელის ძლიერი ნოვატორული სული. ახმეტელისათვის კარგად იყო ცნობილი ის, რაც ხდებოდა რუსულ და დასავლეთ ევროპის თეატრებში. მას საკმაოდ მდიდარი თეატრალური ინფორმაცია ჰქონდა და თავისი ძლიერი ტალანტის წყალობით შეეძლო საესენით გარდაეყვნა იგი თავის შემოქმედებით ქურაში. არაფერი უწევლო არ არის იმაში, თუ არარეალისტური პიესიდან იეატრისათვის ესლედნე ბევრი რამ საინტერესო გამოდგა. მსახიობის პლასტიკა, რიტმი, სხეულის წვრთნა, სინთეტურობის გრძნობა, ესთეტიკური განცდა ფორმისა და საერთოდ მთელი საშემსრულებლო არსენალის გადახალისება, — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სპექტაკლს.

ახმეტელის რეჟისორული აზროვნების ფორმირებაზე გავ-

ლენა იქონია იმ დღემდე, რომელიც ქართულ თეატრში შექმნეს პირველმა პროფესიონალმა რეჟისორებმა. ამ საწყისებში ბევრი არამე მისთვის საინტერესო და სასარგებლო. ამბეტელის ცხოვრებისა და შემოქმედების დასაწყისი განხილვა ქართული თეატრის ერთ-ერთ ურთულეს ეპოქას. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ახალ ქართულ საბჭოთა თეატრამდე განვიხილო დრო რთული არა მარტო პოლიტიკური და დრამა სოციალური ძვრებით, წინააღმდეგობებით, მწვავე კლასთა ბრძოლით, სადღე უფრო და უფრო აქტიურ პოზიციას იჭერს მუშათა კლასი, — არამედ დაძაბული კულტურული ცხოვრებითაც. თეატრის განვითარება ზიგზაგობრივია, რომელშიაც საცნაური თვით ცხოვრებით ნაკარნახევი პროცესები. წმინდა თეატრალიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოსაყოფია რეჟისურის წამოჩინება და მისი ბრძოლა თეატრალური აზროვნების ახალი ფორმების დამკვიდრებისათვის.

რთული ძიებების წინააღმდეგ იდგა ა. ამბეტელიც. მაგრამ მისი ბრძოლა თუ ბევრ საკითხში თანაზარი და თანახმიერი იყო პირველ პროფესიონალ რეჟისორთა ძიებებისა, ხშირ შემთხვევაში არსებითად განსხვავდებოდა მათგან (განსაკუთრებით რიტმისა და პლასტიკის საკითხში). უდავლოა, რომ ამბეტელის ძიებანი პირობითი სინთეტიკური თეატრისათვის უფრო ახლოს იყო კ. მარჯანიშვილის თეატრალურ პრინციპებთან, ვიდრე ა. წუწუნავას, მ. ქორელის, ა. ფაღავას შემოქმედებასთან. ეს სასებები ნათელი განხა, როცა საქართველოში კ. მარჯანიშვილი ჩამოვიდა და გვერდში სწორედ ა. ამბეტელი დაიყვანა და არა სხვა ვინმე.

ბ. ამბეტელის და კ. მარჯანიშვილის პირველი არაოფიციალური, ასევე თეკათ „დასუქრებელი შეხვედრა“ მიხდა 1920 წელს, როცა ამბეტელმა გადაწყვიტა დაეხმარა ლოპე ვეგას „ცხვრის წყარო“, სეზონის რეპერტუარში სხვა პიესებს შორის დასახლებული იყო ეს პიესაც.

ბ. მოუკვილი ამ ფაქტის გამო წერს: „ჯერ კიდევ 1920 წელს, როდესაც ქართულ სახელმწიფო დრამას ჩაუყარა საძირკველი და მეც მოუწოდებელი ვიქმენ ერთ-ერთ ხელმძღვანელად, ამბეტელმა მაშინვე მიიქცა ჩემი ყურადღება თავისი სასცენო გეგმებით. დასადგმელად ამირიან „ცხვრის წყარო“ და „ბერდო ზმანია... რაღაც მიზეზის გამო მას ვერ მოუხერხდა საოცნებო „ცხვრის წყარო“-ს დადგმა“. ეს ახალი დეტალი ამბეტელის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. თურმე დიდი სურვილი ჰქონია დაეგდა „ცხვრის წყარო“.

ამბეტელმა ვერ შეძლო თავისი სურვილის აღსრულება, მაგრამ იგი წინადაც ხელა დიდა და სახელმწიფო კაცს — კოტე მარჯანიშვილს. მთელს ამ მოუღმანო არის რაღაც თინგანი კანონზომიერება. ჩვენ არ ვიცით, როგორი სპექტაკლი იქნებოდა „ცხვრის წყარო“ ამბეტელის დადგმით, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ იგი ალტაცებული შეხვდა კ. მარჯანიშვილის სპექტაკლს. ეს სიხარული მისი დასაძვლების, მისი სურვილების გამართლებაც იყო!

მეტად მნიშვნელოვანია და ფსევული ის წვლილი, რომელიც ამბეტელმა შეიტანა მეოცე საუკუნის რევოლუციონარული ქართული თეატრის შემოქმედებით და ორგანიზაციულ ცხოვრებაში. თეატრის რევოლუციური გარდაქმნის იდეით იყო იგი მთავონებელი. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი სპექტაკლები,

ბი, სტატეები და საერთოდ მთელი საქმიანობა. იმგამინდელ პირობებში განხორციელება არ ეწერა ბევრ მის საინტერესო ჩანაფიქრს და თეატრალური ოცნებებს, არც საჭირო პრაქტიკული გამოცდებზე ჰქონდა საამისოდ. მაგრამ ის, რაც მან გააკეთა, ღირებულია ქართული თეატრის ისტორიის თვალსაზრისით, ხოლო მისთვის აუცილებელი საფუძური იყო დიდი შემოქმედებითი გზის დასაწყისისათვის.

ოცინი წლების პირველი ნახევარი ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი იყო მთელი საბჭოთა თეატრის ისტორიაში. სხვადასხვა მიმდინარეობდა ათასგვარი თეატრალური ექსპერიმენტების პერიოდში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ექსპრესიონისტულ დრამატურგიას. სტილური ძიების ამ რთულ ეტაპზე ექსპრესიონიზმი გარკვეულ რღოს ასრულებდა თეატრის განახლებაში. განსაკუთრებით საგულსხმითა რიტმისა და პლასტიკის სფეროში მიღწეული შედეგები, რომელიც ამბეტელის ინტერესს იწვევდა.

ალ. ამბეტელი, რომელსაც მაშინ (1921-26 წ.) ჯერ კიდევ არ ჰქონდა კ. მარჯანიშვილით დიდი გამოცდილება, ყველაფერს განსაკუთრებული ყურადღებით ხვდებოდა. ყოველ დღე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობოდა მისი დაინებელი სწრაფვა, რაც შეიძლება დრამა ჩააფრთხილოდა თეატრის საფუძვარს. ექსპრესიონიზმი კი, ახალი ხილი იყო ყველასათვის და მისთვისაც. კ. მარჯანიშვილმა ჯერ კიდევ „გმირის“ შემოხმისას განაცხადა ეს. ა. ვასაძე ამ ფაქტს ასე აღწერს: „ორი მოქმედება თითქმის გამართული იყო მიზანსწინებულად, რომ ყბაახვეული საწინაო ამბეტელი რეპეტიციულ გამოცხადდა. ჩვენს სიხარულს სასულგარი არ ჰქონდა. ბატონმა კოტე გვერდით მოიხვა, უთხრა: „ჯონ სინგუ“ შემოაბო თქვენ უნდა განვაბოროთ. შე, დილიდან შეუდამეშდ“ და „კაცი მასას“ მანამდე თორემ მიხილი გამეცეცა თეატრადან. ისე კი პირდაპირ უნდა მოგახანოთ, ექსპრესიონისტული პიესები ჩემთვის ისევე ახალია, როგორც თქვენთვის და მისი მხატვრული გასაღებები არც მე მიხნიალებს ჯიბეში. თქვენც იწვევლეთ... ხედავთ, რა ხაზგასმული ურთიერთობას, დამოკიდებულებას, ერთი სიტყვით, რა მკვეთრ გამოსავლებას მოითხოვს მათი გმირები, რა მწვერულ ტემპსა და რიტმს მოძრაობენ, როგორ მხატვრულ მეტაფორებს გვიკარნახებენ?!“

დიდი რეჟისორი აქ ხომ პირდაპირ ამბობს, თუ რა სიკეთის მოზანა შეეძლო ამგვარი დრამატურგის მუშაობას ახალგაზრდა მსახიობისათვის. ეს ხომ ერთგვარი სასინჯო ქვა იყო მათი ტექნიკის გამოსავლენად. რიტმისა და ტემპის პრობლემა მაშინდელ თეატრში ერთ-ერთი უპირველესი პრობლემა იყო და რა გასაკვირია, თუ ამბეტელი მისთვის საინტერესო სამუშაოდ მიიჩნედა ექსპრესიონისტულ პიესებს, იქნებოდა ეს „შვიელმენი“ თუ „გმირი“.

ამბეტელი რიტმს მოითხოვდა მსახიობის ხელოვნებაში, სპექტაკლის მუსიკაში, მხატვრობაში, მოზანსწინების არქიტექტონიკაში, კომპოზიციურ წყობაში და, ბოლოს, ყველა კომპონენტის შერწყმაში, მათ გაერთიანებაში.

რიტმს უივლევანო ასპარეზი აქვს სცენაზე. იგი სხვადასხვა ფორმით თავს იჩენს ყველგან და ყველაფერში, მიზანსწინის გადაწყვეტაში, სპექტაკლის მუსიკაში, ფესტში, ინტონაციაში, მსახიობისა და საგნის ურთიერთდამოკიდებულებაში, მოძრა-



სენა სპექტაკლიდან „ანზორი“

ობაში. პირველ რიგში კი გმირის როლის შესრულებაში, ნაწარმოების აგების პრინციპში.

„ყოლისნიმცველობის“ მაღლი, რომელიც მას დაბადებითვე მიანიჭა ბუნებამ, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება სცენაზე, როცა იგი გონივრულად არის წარმართული. აღსამეტელი ამოდ როდი ხარჯავდა მასზე ამდენ დროსა და ენერჯიას, სპეციალური შრომა დაწერია რიტმზე, მაგრამ დაკარგულა...“

მსახიობმა მ. ხინიკაძემ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოაქვეყნა ახმეტელის ლექციების ჩანაწერები, სადაც საინტერესო მოსაზრებანია რიტმის შესახებ: „ნორმალურ ადამიანს ერთ რიტმზე სიარული არ შეუძლია. ერთი რიტმით არსებობა ადამიანს გამოათავყენებს, მოადუნებს“. მასმასადავე, როგორც ცხოვრებაში, ისე სცენაზე აუცილებელია რიტმული შინაგანი ცვლილება. ახმეტელის აზრით „ტემპი არის საგნის მიწაგანი ბუნებისა და გარემოცულ პირობების ურთიერთობის თვისება“. მას დაუსახელებია კიდევ რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი. კერძოდ, ერთადროულად ერთსადამიანვე ნიადაგში მარცვლის დათესვა. მიუხედავად აბსოლუტურად ერთნაირი პირობებისა, მათი ზრდას ტემპი მაინც სხვადასხვა იქნებაო და ეს გამოწვეულია თვით მარცვლის წიაღში არსებულ ფაქტორებზე. „მაგალითად ზემოდან ერთად გამოავადეთ ტყვია, ხე და ბუმბული, ვთქვათ ტყვია დაეცა 1 წუთში, ხე — 2 წუთში, ხოლო ბუმბული სამ წუთში, ეს არის მათი რიტმული თვისება, ეს არის მათი რიტმი. უპავეო სივრცეში რიტმს ჰკარგავს სხეული, თუ მოვსიბოთ ზეგავლენას, თუ არა შეინარჩუნებს ერთნაირ მდგომარეობას, ხოლო თუ შემოვიდა ჰაერიდან სივრცეში, მაშინ შეიცვლიან სისწრაფეს და სხვადასხვა ტემპით წაშლილენ.“

... აი, ეს არის მთავარი ჩვენს თეატრში, რომ ვიპოვოთ რიტმი და ტემპი და მტკიცე კანონს დავემორჩილოთ. სხვა თეატრებს სხვადასხვა ტემპი და რიტმი აქვთ. ამით განსხვავ-

ვდებით ჩვენ მათგან. რიტმი ცდილობს განავითაროს ტემპი, რათა მან მიიღოს დასრულებული სახე და ტემპი გადადის რიტმში.

რიტმი ეს არის საგნის შინაგანი ბუნების თვისება. ახმეტელის შემოქმედებაში რიტმის გარდა, თითქმის არ არის სხვა ისეთი პრობლემა, ამდენი დავა და კამათი რომ გამოეწვიოს. კრიტიკის მახვილიც ხშირად აქეთკენაა მიმართული. ახმეტელის სპექტაკლში საკამოდ იყო „რიტმიზებული მოქმედება“, მაგრამ რეჟისორი ყოველთვის განასხვავებდა სად უფრო საჭირო იყო იგი, რომელ ნაწარმოებს როგორი რიტმი სჭირდებოდა. „ზოგიერთ სპექტაკლში — ამბობდა ახმეტელი — ჩვენ მივმართეთ მთიულურ დიალექტს, რომ გავაძლიეროთ მივების რიტმის ილუზია.“ აქ იგულისხმება „ანზორი“. დიალექტის, ინტონაციის სცენური მოძრაობის რიტმიზირება, რომელიც ასე გულსხვად იყო აქ წარმოდგენილი, მაყურებელზე დიდ ეფექტს ახდენდა. მაგრამ ზოგიერთ სპექტაკლში მას ჰქონდა აქილევსის ქუსლიც, რაც ძალიან კარგი სამიზნე იყო კრიტიკისათვის. „რიტმის ილუზია“ გახლდათ სწორედ ის სუსტი ადგილი, რასაც ახმეტელი შეგნებულად აკეთებდა. ილუზიას კი ზოგჯერ აცლდა ბუნებრიობა, მიწიერება. „რიტმიზირებულ მოძრაობაში“ იყო მექანიკური ელემენტის გაჩენის საშიშროებაც. მაგრამ ახმეტელმა თავისი ძიებების გარკვეულ ეტაპზე სრულიად გამოიწვლია ჩაატარა ამგვარი ექსპერიმენტი. მან ძალიან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა. ეს რომ ასე იყო, ამის თავდებია შემდგომი პერიოდის სპექტაკლებში. „თუთნულდის“ დადგმის დროს პირდაპირ ამბობდა, რომ ჩვენ არ მივმართავთ სვანურ დიალექტსო. აყაჩაღების“ რეპეტიციებზე აფრთხილებდა მსახიობებს დაივიწყეთ „ანზორის“ რიტმი, რადგან იგი იმ სპექტაკლისა და იმ სინამდვილის კუთვნილებააო. ეს იმას ნიშნავს, რომ ახმეტელი ყოველ კონკრეტულ მხატვრულ მოვლენას თავის რიტმს უქმნიდა, მეორე მხრით იგი იმასაც ნიშნავს, რომ რიტმიზაციის



სენა სპექტაკლიდან  
„ანტონია“

პიპერტოფორება მოძრაობასა და მეტყველებაში თავისი არსით ექსპერიმენტული მოვლენა იყო, რომელმაც ბევრი რამ მისცა ახმეტელს საერთო რიტმის პრობლემის გადაწყვეტაში.  
ს. ახმეტელი ამბობდა: „ჩვენ ვცდილობთ ვადაწყვეტას რევოლუციის გადამიურებული რიტმისა, „რადგან“ ჩვენის ღრმა რწმენით, მხოლოდ ასეთი რიტმის ფონზეა შესაძლებელი მასიური სიყვანებია“.<sup>7</sup>

ჯან ლუი ბარო წერდა: „თეატრის მსატკავრი თვალყურს ადევნებს ცხოვრებას, მას ანიჭოფრებს ყოველივე, რაც მოძრაობაა, ყოველივე, რაც იწვევს (წარმოშობს) ურთიერთმოქმედებას, ყოველივე, რაც გამოხატულებას პოულობს რიტმში“<sup>8</sup>, მიძრაობა, ურთიერთმოქმედება თითქოს ჯამდება რიტმში, ეფუნება მის განუმეორებელ ცხოველყოფილებას.

თავბრუნდამსვევია რიტმის ზემოქმედებითი ძალა. ახმეტელი ფიქრობდა, რომ მთების სიღრმეში მიწიანს ეპოსის სილამაზეში, მის უდიდეს პოეზიაში იპოვდა ქართული თეატრისათვის ძვირფას „მასალას“. „ქართული თეატრისათვის დამახასიათებელი რიტმს“ (ვ. ბლიუმი). ძიებამ ახმეტელი მთებში წაიყვანა, რათა იქ ეხილა ისტორიის ავებდობისაგან გადარჩენილი არწივივით მთებს შფავრებული სილამაზე ქართული თეატრალობისა. „ვინ არ ყოფილა გატაცებული მთის პოეზიით ჩვენშიაც და სხვაგანაც“<sup>9</sup>. კავკასია რიტმული პოეზიის პარნასად იქცაო, ამბობდა ბ. ბელნიცი. ოკეანე წლების ქართულმა ლიტერატურამ განსაკუთრებული ინტერესით მიიხედა მთისაკენ. თეატრშიც გაიღვიძა ამ ინტერესმა და ყველაზე უკეთ ახმეტელმა იგრძნო მისი მაღლი. ახმეტელს გულწრფელად სჯეროდა, სწამდა ამგვარ ძიებათა დიდი სიკეთის და ამიტომ მუდამ ხაზს უსვამდა ეპოსის როლს რუსთაველის თეატრის ცხოვრებაში.

„ახმეტელის ყოველი წარმოდგენა გარკვეული რიტმული ამოცანის სრულიად ზუსტი გადაჭრაა“ — ასე უფასდა ახმეტელის წარმოდგენების რიტმული მონაცვლეობა.

ეს არის ახმეტელის დაუცხრომელ ძიებათა შედეგი, რომლითაც კანონიერად ამაყოფა რუსთაველის თეატრი. რიტმის არსებობა ერთი მთლიანი თეატრალური მოდელის შინაგანი მრავალფეროვნების მანიშნებელი იყო. ამიტომ აქ ერთმანეთს ერწყმობა და ინდივიდუალური და ზოგადი. მათი ერთობლიობა ქმნიდა თეატრალურ სინამდვილეს, სადაც რიტმი ერთგვარ მათრგანიზედელ როლსაც ასრულებდა.

კ. კაპანელი წერდა: „სოციალურ განცდათა რიტმი და ინდივიდუალთა მთელი თავისი არსით და ტევადობით ირხევა სოციალური ცხოვრების დიდი მიმდინარეობაში... ასეთი აზრებითა და განცდებით გამოღისართ რუსთაველის თეატრიდან ყოველთვის მისი სპექტაკლის ნახვის შემდეგ... აქ მოძრაობა, რიტმი ვითარებაა, აქ ბძრძოლა და ნებისყოფაა, მაგრამ ამ მოძრაობაში და ბძრძოლა აქვს ყოველთვის სისტემა, წყობა, რიტმი“.<sup>10</sup>

ახმეტელის რიტმის ხასიათზე ბევრი რამ დაწერეს სხვადასხვა თეატრალური სკოლისა და გემოვნების ადამიანებმა, მაგრამ პრინციპული მნიშვნელობა აქვს სამხატვრო თეატრის მხოლოდ მსახიობს ვასლი ლუქსის აზრს „ყაჩაღების“ ნახვის შემდეგ რომ განუცხადებია: „რა რიტმი! რა თავბრუნდამსვევი, არაჩვეულებრივი რიტმი! ეს ხომ ის არის, რაზედაც ჩვენ ვოცნებობდით მთელი ჩვენი სიცოცხლე“<sup>11</sup>. ამას იგონებთ. ვ. ლუქსიკიძე. მოგონება რომ სინამდვილეს შეეფერება, იქიდანაც ჩანს, რომ ეს აზრი ლუქსის სხვაგანაც აქვს გამოთქმული.

ახმეტელი წერდა, რიტმი — „ეს არის საძირკველი რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედებისა და პრინციპისა. მაკალითად, ავიღოთ „ლულხანა“<sup>12</sup>, „ყაჩაღებიდან“<sup>13</sup>. აი სწორედ ეს არის მაგალითი, თუ როგორ ზუსტად დავიჭირეთ და მტკიცედ დავაღვინეთ ტემპი და რიტმი. ასე უნდა იქნას დაჭერილი რიტმი და ტემპი ყოველ სპექტაკლში, ყოველი მოქმედე-

ბის დროს აქტიორმა უნდა დაიპყროს მაყურებლის ყურადღება. „ანზორის“ მესამე მოქმედებაში ჩვენ ამას ვაღწევთ სწორედ რიტმისა და ტემპის საშუალებით. საჭიროა რიტმისა და ტემპის განზომიერებით დაჭრა. მაყურებლის ყურადღებას დავიჭერთ მაშინ, თუ რიტმი, ტემპი, მისი განზომიერება დაჭერილი გვაქვს. ეს უნდა იჯდეს ყოველ მსახიობში, ისე მის მსახიობი არ არის. ავიღოთ ირო, თუ მას შეუცვალეთ ის დადგენილი რიტმი და ტემპი, ყველაფერი დაიღუბება“<sup>11</sup>.

მეტად საინტერესოა ამბეტელის მიერ დამოწმებული ფაქტური მასალა და მისი თავისებური ინტერპრეტაცია. „ფორმა ხომ ყველა ერისათვის ერთნაირი სახეა აზრისა?“. გონება-მახვილურად არის დანახული! „ავიღოთ ცვეკვები, — ამბობს ამბეტელი — ვეროპულს განვეყოფებთ ვალსი, ფოქსტროტი და სხვა. ვალსს ცვეკვვენ იქ, სადაც პალტუხიანი ხალხია. აჭარული ხორფი, რომელიც გაცილებული როული და შინა-არსიანია — კარნაველი... ვალსი წარმოიშვა ვენაში და მოვიღო მთელი მსოფლიოს, თუ ადამიანი პალტუხს ატარებს, ვალსის ცვეკვ უნდა იცოდეს, ვალსი ხალხს მიიღო უყოყმანით. ვალსი ხორუმთან შედარებით თავისი შინაარსით, სირთულით, ტიციან ტაბიძის გამოთქმა რომ ვიხმართ — „სემიჩკა“ არის. ხორუმს კი არავინ იცნობს“<sup>12</sup>. ვ. სახნოვსკი წიგნში „ფიგურები რეჟისორზე“ წერს, რომ ვ. ჭაბუკიანი „ხორუმის“ ცვეკვის აღწევს სრულ სცენურ გარდასახვას, ვაგაკცობას, სიძლიერეს და გმირობას. როცა უყურებთ მის ბალეტს, გრძნობთ სცენურ რიტმს, რომელსაც ხელმძღვანელობს რეჟისორი და ქმნის სპექტაკლის სახეს. საინტერესოა ამბეტელისა — ერთნაირი შეხედულება ჰქონიათ ამბეტელსა და ვ. სახნოვსკის ხორუმის რიტმზე.

ს. ამბეტელის სარეპეტიციო დღიურში ხშირად ვხვდებით ასეთ ჩანაწერებს: „მუშაობა სწარმოებს დაახლოებით ტემპისა და რიტმის გამოჩნაზე“. გათლილი იქნება მეორე მოქმედება. მუშაობა სწარმოებს წინა მოქმედების განმეორებითი სახეების, ტონის და რიტმის განსაზღვრად... („ბუბრიკების“ რეპეტიციონი). „გავალი იქნა პირველი მოქმედება სრულიად, მაგიდასთან. მუშაობდა ტონზე და ტემპზე“. („სემიჩკის ხუთი ცოლი-სა“). სასურველია „კაცია-ადამიანის“ ამბეტელისებური განმარტება. რეპეტიციასე საუბრის დროს იგი ამბობდა: „უნდა შევიგრძნოთ მე-19 საუკუნის თავად-ახსნარობის ყოფა-ცხოვრება და ამასთან დაკავშირებით მათი ორგანული რიტმი. განსხვავება მე-19 მე-20 საუკუნის რიტმებს შორის? განსხვავება ტემპშია. მაგ. ლუარსაბს უმინია ყვარელიდან თიანეთში ჩამოსვლა, რადგან ზაზა დიდია. ჩვენთვის ეს სასაცილოა. ჩვენნი ორთქლავლები სათაში 60-80 ვერსით მიჰქრიათ. ლუარსაბისათვის კი ამ გზაზე მგზავრობა წარმოუდგენელია. ამიტომ მისი ტემპი ნელია. როგორც კი შევიგრძნობთ სუსტებულ რიტმს, ჩვენ მანინვე ვიგრძნობთ ფისტს... ლუარსაბი უფრო სტატურია, ხოლო დარეჯანი უფრო დინამიური. მაგრამ ესენი მხოლოდ ავსებენ ერთი მთარეს, რადგან ერთმანეთის შეზღუნებულ მხარეს წარმოადგენენ. დაეთვისა და მისი ცილის რიტმი უფრო ცოცხალია“. მამასადავ, ალ. ამბეტელი ხასიათების გადაწყვეტის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა მათ რიტმს.

რიტმის საკითხში სრული იდენტურობაა ალ. ამბეტელის

თეატრალურ ნააზრევსა და რეჟისორულ შედეგებს შორის. მისი განმარტებები, თეორიული დასაბუთებანი ზოგჯერ არ არის ნათელი, მაგრამ იგი ყველან ამღვალდა განსაცდერებულ ინტუიციას. ინტუიციის გზით მიიკვლევს იგი გზას უღრესად რთული მხატვრული სამყაროსაკენ. ახლის აღმოჩენება ხშირად ინტუიციით არის იმპულსირებული. ავი სწორად შეინიშნავდა „საბჭოთა ხელოვნება“, როცა წერდა: „რუსთაველის თეატრში მასა მიეჭებოდა, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, რომლის ყოველი ნაკვეთი გაცოცხლებულია გარკვეული აზრით და ექვემდებარება წარმოდგენის საერთო კონცეფციას. თეატრის ეს თავისებურება მკაფიოდ გამოხატავს იმ იდეას, რომელიც თეატრის შემოქმედების საფუძველს წარმოადგენს“<sup>13</sup>.

ამბეტელი ქმნიდა რა ზღვრსადაც მასობრივ სცენებს ჩვენს წინაშე აცოცხლებდა ხალხის პოეტურ სულს, მის ლამაზსა და მშვენიერ სახეს. იგი ამით ჭარბულ სცენას სრულიად ახალ ბრწყინვალეობას ანიჭებდა.

„ამბეტელმა, — წერდა „ზარია ვოსტოკა“, — პირველ პლანზე წამოწია მასობრივ მოქმედება, გააღრმავა იგი. რამდენი ძალა, რამდენი მძაფრი მოძრაობა, როგორი უშრეტო სიმხნევეა მასობრივ სცენებში, როგორი განსაცდერებელი საშუალო შესრულებული მასობრივი სცენების მიქცა! როგორი გულწრფელი გატაცება მეგობრის სცენებში — ხომალდზე, რა რიგ ვალელებზე და აღვანთებეს საბჭოებისათვის ბრძოლის ეს გმირული სურათები. ამაში დამდგმლის უშუალო წარმატებაა“<sup>14</sup>. ლაპარაკია „რღვევაზე“, მაგრამ ეს მარტო „რღვევა“ როდ იქნება. ანალიზურ შეფასებას ვხვდებით ამბეტელის სხვა საექტაკლების მასობრივ სცენებზეც, აქ ერთი მომენტია საგულისხმო: მიუხედავად მასობრივი სცენების „პირველ პლანზე წამოწევის“, საექტაკლო არ დაკარგულა მთავარი გმირი. მთელი სირთული გამოჩნდა ბერსენევისა და გოდუნის სახეები (ა. ხორავა, უ. ჩხეიძე). ჩვენს წინ ფსიქოლოგიური სიმართლითა და დიდი ადამიანური განცდებით სავსენი წარმოდგენე რეჟოლუციის ქარტეზილი მოქცეული ბერსენევი და გოდუნი ამ დადგმაში, — წერდა პ. ფლანაგანი, — „არის პროპაგანდის სცენა, რომელიც თავისი თეატრალური ფუნქციით მიეგრძობდის დადგმებს აუარებას. იმ დროს, როცა ექველი მატროსები „ავტროსები“ ეფუძვლიან და ზარბაზნებს პეტროგრადისაკენ მიმართავენ, — უზარმაზარი, მატროსებით სავსე გემი მაყურებლისაკენ დაიწყებს მოძრაობას, ხოლო პროექტორის სიხევეს დარბაზისაკენ მიმართავს და გაანათებს წითელ დროშას, რომელიც ზედა ქანდაკიდან ეშვება და მას ტუმის ცემით ეგებება უნებურად ფეხზე წამოშობარის სასოფლოება“<sup>15</sup>.

მასობრივი სცენების ემოციურ დაძაბულობას, მის გახელებულ რიტმს, ფიტელ ტემპურმენტს, ხალხის სულიერ აღზევებას ავსებდა მუსიკალური ჰანგიც. „მე პირველად ვხსებე თეატრს, — ამბობდა დირიჟორი სამოსული, — სადაც მუსიკა და სიტყვა ასე მჭიდროდ არის შეკავშირებული“. ხოლო „თუნხულდის“ მსვასის საექტაკლო არც რუსეთში და არც უცხოეთში არ მინახავს. „თუნხულდის“ მუსიკა და სიტყვა, ეს არის ახალი გზა, ახალი ეტაპი, ახალი თეატრი, თეატრული დინამიური“.

თეატრალური აზროვნების ამ სიხალისე მუსიკის, სიტყვის,

პლასტიკისა და მათი რიტმის ორგანულ სინთეზში ხედავდა ახმეტელი. ამის საუკეთესო მაგალითი იყო მასობრივი სცენები: „სიკვდილის ცეკვა“, „ბოქოების ტყე“, „ბალ-მასკარადი“, „ბაჰემის სცენა“...

მასობრივი სცენა ათსავგარი შეიძლება. სხვადასხვა პოზიციებიდან შეიძლება გადაწყვედეს ხალხის როლიც, ამიტომ მთავარია, თუ რა მიზანს ისახავს ხალხის მოძრაობა, საით წარიყვანება იგი. ახმეტელის დიდი დამახარებელია ისიც, რომ მიიღეს მის შემოქმედებაში მასობრივი სცენებს სწორი პოლიტიკური ორიენტირი ჰქონდა. მის სპექტაკლში ხალხი გამოჩნდა როგორც ახალი სამყაროს შემოქმედი, ხალხის სულში იყო ჩაქსოვილი ეს ახალი ენერჯია, ხალხის წიაღიდან აშუქდება ნათელი სხივი. რეგულაციური იყო კოლექტიური მოქმედება. იგი ვი არ უპირისპირდებოდა წინამძღოლს, არამედ ერთმანეთს ავსებდნენ და ამდიდრებდნენ.

სწორად შეინიშნა ს. ამალბოძემ: „მე ისტორიაში არ მგეულება უფრო დიდი ინდივიდუალობა, ვიდრე ლენინი და უფრო მეტი მასობრიობაც, ვიდრე იგივე ლენინი... თუ სცენაზე ჩვენ გვეყოლება ლენინისებური ფიგურა ყოველგვარი მასობრივი სცენების გარეშე ის, სცენა იქნება უდიდესი მასობრივი კოლექტიური სულიკვებების მიმცემი და ამავე დროს უაღრესი ინდივიდუალობის დამტყვევებელი“. ეს ასეა! ამავე დროს, თუ ელადთან ერთად სცენაზე ვნახავთ რეგულაციურად განწყობილ მასებს, დაეინახათ მათ შრიმდა და ბრძოლას, მათ სულიერი მოძრაობისა, და ლენინის ირგვლივ დარაზმულობას, სცენაზე კიდევ უფრო ნათელი და შიშაგაგონებელი იქნება ხალხისა და მათი მეთაურის ერთიანობა.

ამგვარი იყო ახმეტელის სპექტაკლებში ხალხისა და მისი მეთაურის ურთიერთობის დამტყვევება!

ს. ახმეტელმა აქტიორის პლასტიკური გამოხატულების საკითხს სიჭაბუკის წლებშივე მოაქცია ყურადღება. სტატიაში „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?“ ამ საკითხზედაც არის საუბარი. ახმეტელის აზრით ქართველი ხალხისთვის მიმადლებული პლასტიკა, თავის „ასახვას“ ვერ პოულობს სცენაზე. ამ მხრივ სრული შეუსაბამოა შესაძლებლობასა და სინამდვილეს შორის. ქართულმა თეატრმა ვერ იგრძნო ქართული პლასტიკის სიმდიდრე და სიღამაშე. ახალგაზრდა ახმეტელის კრიტიკული მახვილი ბასარი. მაგრამ იგი ამბობს იმას, რასაც გრძნობს და ფიქრობს. ქართველი მსახიობის მოძრაობა, მხეც ვესტე, პლასტიკა, დეფორმირებულად მიანჩნია. ამასთანავე, არ იფიქრებს ცალკეულ მსახიობთა წარმატებებს ამ მხრივ, მაგრამ გამოიკვლიოს ხომ მიიწვ გამოხატულისა?!...

ქართულ თეატრში ქართველი აქტიორის გამოხატულებითი საშუალებების, პლასტიკურიების პრობლემა მუდამ აღუვლევდა ახმეტელს. ქართულ თეატრში ჯერ კიდევ არ აღორძინებულა ანტიკური ძალის პლასტიკაო, — ამბობდა იგი. „დღევანდელ დღეს გამეფებული პლასტიკა, — წერდა ახმეტელი, — კილო, ინტონაცია, რიგი, სტილი და არას ქართულ დღა-ძარღვზე ასხმული. ქართულმა სცენამ ვერ შესწოდა ქართველი ადამიანის სხეულის მოძრაობის შესწავლა, ამ მოძრაობის ძირითადი რიტმის განხილვა-გამოცნობა და ქართული ელფერი მოცული პლასტიკის შექმნა სცენაზე“. და ეს

მოსხა ჩვენში, საქართველოში, სადაც ქართველი კაცის „მოძრაობა ბუნებრივად ესთეტიკურ კანონებს ემორჩილება“.

ქართულ სცენაზე ვი ხშირად ასე არ არის — ამბობს ახმეტელი — მსახიობი — „სიტყვა-გამოთქმულობას მოუფიქრებლად პლასტიკას უღებდა. მონოლოგი და პლასტიკა დაპარპარონია მსახიობის თამაშში“. არ შეიძლება აქ არ მოვავინდეს აქტივობა სცენა „კამლეტიდან“. კამლეტი მათ არივებს: სიტყვა მოქმედებას შეუვარდეთ და მოქმედება სიტყვასაო. ეს ხომ სცენური რეალიზმის უმთავრესი პრინციპთაგანია? ახმეტელი პირდაპირ შემფთობებული იყო აქტიურულ საშუალებათა პლასტიკური სიღამაშე, „მე ვნახე ქართველი მსახიობი, — წერს იგი, — რომელმაც ხუთმოქმედებთან დარამაში და ისიც უმთავრესი რეაქცია, ექვსი მოძრაობის სახე, ღორმა გვიჩვენა. მუ თავს ვიკვებდა და არას ვამბობ პლასტიკაზე, რადგან იგი ნაკლებად, ან სრულებით არ განაჩინა მსახიობის, რეკონსტრუქციონერს, რომელსაც მხოლოდ სამი ფორმა აქვს გააზრებული. ეს აუწერელი სიღამაშე მსახიობისა. მხოლოდ მომავალ ქართულ ინტელიგენტთა თეატრს შეუძლია ყველა ამ ნაკლებების შეწყობა“. ახმეტელი იბრძვის, რათა ქართული თეატრის მსახიობი პლასტიკურად ისევე ლამაზი და მიღღარი იყოს, როგორც მისი ხალხია.

ს. ახმეტელი გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდა მსახიობის ფიზიკურ მონაცემებს. თეატრში საგანგებოდ არჩევდა ათლეტურ, ძლიერსა და მშვენიერ ფიგურებს, მისი თეატრის იდეალისათვის აუცილებელი იყო ლამაზი სხეული, ტემპერამენტი, ძლიერი ვენების ადამიანი. ძლიერი და ლამაზი აღნაგობის მსახიობი გმირული თეატრის ესთეტიკურ იდეალსაც წარმოადგენდა. მსავსად ძველი ბერძნებისა, არც მას უყვარდა დაბეჭდავებული და მოთენთილი სხეული...

ახმეტელი თავის წერილებში ყოველთვის ყურადღებით განიხილავდა ხოლმე პლასტიკის საკითხს. ასე მაგალითად „ოიდიპოსის მეფის“ შეფასების დროს აღნიშნავს: „ტრაგედიის შესრულების დედაბოძად უნდა ჩაითვალოს პლასტიკური თანხმობით შეჯგუფება და განაწილება ბრბოსი, ქოროსი და მოქმედი პირების. სპექტაკლში სრულიად არ იყო დაცული პრინციპი“ და აქვე განაგრძობს: „ქორო ყოველ ცვალებადობას პასუხს სცემს არა მარტო სიტყვით, არამედ მოქმედებითაც. ქოროსი ერთ ხაზზე გამწკრივება შეცდომა. იგი უნდა განტანკვედეს, გაიყოს ორ ჯგუფად ისე, რომ ერთმანეთთან დაშორებული არ იყვნენ. მთელი მისი მოძრაობა ვისულოვანია, როგორც ერთი პირივნებისა“. მას შემდეგ გავიდა მრავალი წელი და საბჭოთა კავშირის ეწვია საბერძნეთის თეატრის საკასტროლო რეპერტუარში ჰქონდათ „ელექტრა“ და „მედეა“. დრმა შიშაგაგონებულებას ახდენდა მაცურებელზე ბერძნული სპექტაკლები.

მომდერალი ქორო საცოდად მრავალფეროვან პლასტიკურ ნახაზებში ავლენდა თავის გულისთქვას. ეს მონახაზში ქმნიდა ჩინებულ მარშიონულ სურათს. ისინი შეესაბამებოდნენ მონოლოგის შინაარსს.

ახმეტელის შენიშვნა იმაზე, რომ საქართველოში ერთსულოვანი და ერთაზნავე იყოს — სრულ გამოართლებას პოეზიითად იმეორებს არისტოტელეს აზრს. არისტოტელე ამ-

ბობს: „ხოროც უნდა იქნას აღებული როგორც ერთი-ერთი მსახიობთაგანი. იგი უნდა იყოს მთელის ნაწილი და მინაწილეობდეს მის განვითარებაში“<sup>174</sup>.

მიუხედავად რუსთაველის თეატრის დიდი მიღწევებისა, ს. ახმეტელი მაინც უკმაყოფილო იყო ქართველ მსახიობთა პლასტიკური გამომსახველობით. მეტსა და მეტს მოითხოვდა მათგან. იგი მთლიანობაში განიხილავს პლასტიკისა და რიტმის საკითხს, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული აქტიურულ ოსტატობასთან.

ახმეტელი წერდა: „ზოგჯერ მსახიობები როლის მომზადების დროს სახის შექმნას ცდილობენ ტექსტის კითხვით, დეკლამაციით. შემდეგ კმნიან დაახლოებით გარეგნულ ფორმას და როლიც მზად არის. მსახიობი, ვიდრე როლის სწავლას დაიწყებდეს, მან დრამა უნდა შეითვისოს ის გმირის ცხოვრება, მისი რიტმი, ამას მოსდევს პლასტიკისა და ფესტის შესწავლის პროცესი. მსახიობის შემოქმედებით არსენალის სიმდიდრე, მისი ტექნიკის სრულყოფა, ახმეტელს ვერ წარმოედგინა, თუ მასში ჯეროვან ადგილს არ დაიჭირდა პლასტიკა. იგი მსახიობებს ასწავლიდა თუ როგორ დაუფლებოდნენ პლასტიკის ხელოვნებას. თეატრში ყოველდღიურად 9 საათზე ეწყოობდა მსახიობთა ვარჯიში, ექსპერიმენტული ხასიათის მუშაობა. მთელი საკმნიანობა იქითკენ იყო წარმართული, რომ რუსთაველის თეატრის მსახიობის პლასტიკა, რიტმი, ფესტი, მოძრაობა ყველასაგან გამორჩეული და ვირტუოზული ყოფილიყო. ა. ვასაძე კომპლას როლის („ამერიკელი ძია“) შესრულრეს გამო წერდა: „ამ დროისათვის პლასტიკურად ისე ვიყავი გაწვრთნილი, რომ როგორც მიძლავდა ისე „დავგრებდი“ ჩემ სხეულს“<sup>175</sup>.

ახმეტელის სპექტაკლების პლასტიკური სისასვე და სილამაზე, მისი შესრულების მაღალი დონე ყველასათვის თვალში

საცემი ფაქტი იყო. იგი არაქართველი მაყურებლის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა.

როგორც ცნობილია, პლასტიკურ წერტნას უდიდეს ყურადღებას აქცევდა კ. მარჯანიშვილი. მარჯანიშვილისაგან „პლასტიკური მშვეტების“ გარკვეული ტრადიცია მიიღო ახმეტელმა. ახმეტელმა „ბურღო ზმანია“ რომ დადგა, თურმე ძველი მსახიობები ამობოდნენ: „ჩვენ ბალერინები და მომღერლები კი არ ვართ!“ ასე არ დავდიოდით, ასე არ ვლაპარაკობდით, მაგრამ კარგად ვთამაშობდითო. კ. მარჯანიშვილი და ა. ახმეტელი სინთეტიური თეატრის მსახიობისაგან მოითხოვდნენ ყოველმხრივ წერტნას და მათ შორის პლასტიკურ წერტნასაც.

აღ. ახმეტელის სპექტაკლებს ჰქონია თავიანთი პლასტიკური სახე, პლასტიკური გადაწყვეტა.

ს. ახმეტელს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია რიტმის და პლასტიკის პრობლემასზე ფიქრი. მას მიაჩნდა, რომ რიტმის გარეშე შეუძლებელი იყო რაიმე ღირებულის შექმნა ხელოვნებაში. რიტმს უდიდესი როლი ენიჭებოდა სახის შექმნაში, იგი ამბობდა: „იმისათვის, რომ სწორედ მიუდგე და განახორციელო ნამდვილი მხატვრული სახე, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიაგნო ამ სახის ფუძეს. ეს კი არის ის ორგანული რიტმი, რომელშიც იგი ცხოვრობს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ილაპარაკო შინაგან განცდებასა და შინაგან სახეზე... იმისათვის, რომ შეიქმნას სახე, იმისათვის, რომ გამოჟღერდეს ხასიათი, რომელიც შენ გსურს გადმოგვცე, უნდა მოძებნო უწინარესად სახის მოვარი მიმართულება, მისი მოვარი რიტმი. იმიტომ, რომ ყოველი ადამიანი მოძრაობს თავის თავიდან ე. ი. ხასიათით უნდა იქნას მონახული მოძრაობებში, დინამიკაში და არა სტატკაში“<sup>184</sup>.

„რიტმი სამყაროს დამახასიათებელი მოვლენაა“ (კ. კაპანელი). თამამად შეიძლება ვთქვათ, რიტმი ახმეტელის თეა-



სცენა სპექტაკლდან „ზაფხული“



სცენა სპექტაკლიდან „ჟოუნული“

ტრის დამახასიათებელი თვისებაა. მან ქართული რიტმისა და პლასტიკის ძიება თავისი შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად აქცია. მისი სურვილი იყო სპარტანულად აღზარდილი, ლამაზი, ფიზიკურად ჯანსაღი, ათლეტური, სულიერად ძლიერი ქართველის ტიპი დაემკვიდრებია სცენაზე. ტემპი, რიტმი, პლასტიკა, ექსტი, — ყოველივე ეს ახმეტელის თეატრალური ესთეტიკის საკვანძო საკითხებია. მათ მთლიანობაში წარმოადგენს ახმეტელი, რადგან საბოლოოდ ყველაფერი თავს იყრის ნახაზობის ხელოვნებაში. რუსთაველის თეატრის თავისებურებად მიაჩნდა კრიტიკას ის, რომ მან „სიმფონიური მუსიკალური წარმოდგენის განსაკუთრებული ელემენტი შექმნა: ორკესტრი, სიმღერა, სიტყვა, მოძრაობა, ცეკვა — ამ თეატრის ორგანულ ერთიანობას შეადგენდნენ. საათის შექანისმის სიზუსტით ქმნის მისი სპექტაკლი სრულიად გარკვეულ პარტიტურას. დომინანტად გველიწინება ნახაზობის მოძრაობა, რომელიც მზად არის დრამატული ჯანრი ქორეოგრაფიულზე გადაიტანოს. რუსთაველის თეატრის მსახიობთა პლასტიკური ოსტატობის მსგავსი არ არის საბჭოთა კავშირის სხვა თეატრებში.“<sup>19</sup>

ყველაფერი ამას აერთიანებს რიტმი.

ახმეტელის სინთეტური თეატრის პრინციპების ეს გამარჯვება საერთოდ ქართული ეროვნული თეატრალური მიღწევების აღიარებასაც ნიშნავს.

თანამედროვე მსოფლიოს თეატრალური ხელოვნება, მუსიკა და ცეკვა, — ყველაფერი, რაც შეადგენს ხელოვნების სფეროს, შოგონებულადაა ეპოქალური რიტმით. ამის გარეშე დღეს ვერ წარმოდგინდება ვერც ერთი თეატრალური მოვლენა. ამ ფონზე კიდევ უფრო რელიეფურად იკვეთება ახმეტელის თეატრის „გახეხილი რიტმი“ და უშუალოდ პლასტიკა, მისი სინთეტური ბუნების მომხიბველობა და სილამდე.

ს. ახმეტელის ჩვენი დიდი თანამედროვეა. მისი პიროვნების თანადროულობის შესახებ წერდა ცნობილი კრიტიკოსი ი. იუზოუსკი (1971 წელს). მას ნაწილი ჰქონდა ახმეტელის სპექ-

ტაკლები და გამოცილი კრიტიკოსის შედგომ თანამედროვე მკვლევარის თვალთ შეფასებინა ახმეტელის შემოქმედება. ი. იუზოუსკი წერს: ა. ახმეტელი თავისი ბუნებით თანამედროვეა და შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დღევანდელი თეატრის შექნებაში. მისთვის დამახასიათებელი იყო ენერგიული ხელწერა. ჩემთვის გასაგებია, რომ იგი არ იზიარებდა სამხატვრო თეატრის ზოგიერთ ტრადიციას, თუმცა ახმეტელი ამ თეატრს ძალიან აფასებდა, მაგრამ არ თვლიდა თანამედროვე ხელოვნების ერთადერთ და მონოპოლურ გამომსახველად, თანამედროვე ჰეროიული ადამიანის სტილის წარმომქმნელად). ახმეტელის ხელოვნების ვაჟკაციური სტილი საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა, მასურების გულს ინადირებდა, შესატყვის გამოძახილს უღვიძებდა და თავისკენ იზიდავდა... მომხიბლა ახმეტელის გატაცება, ტემპერამენტმა. ამის მას არ უშინოდა და, რაც უფრო მეტს ბოძოქრობდა ეს ტემპერამენტი, მით უფრო იმორჩილებდა იგი მას. ტემპერამენტს, როგორც თვისობას, იგი თვით ქართველი ხალხის სულიერი წიაღიდან იღებდა და გვიზიარებდა ჩვენ ყველას. როგორც დროცა, ასევე დამახასიათებელი იყო მისთვის, აზრი, მაგრამ ისეთი აზრი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ემოციური და არა შიშველი, გამომწვევით, აბსტრაქტულ-ვაკუუთილი, რომელსაც ზოგიერთი ტენიონსწყელებელი მასურებელს აწვდის ინტელექტუალურში ნიშნის ქვეშ. ახმეტელის აზრი დაკავშირებული იყო ადამიანის ან მასის სხეულთან, ცოცხალ, ძლიერ ადამიანთან — წარმართული სახეობი სტიქიის მსუვე ფერებთან. განა ამას არ ელის ჩვენი თანამედროვე? მე ვეკითხები ჩემს თავს: ახმეტელი რომ ცოცხალი ყოფილიყო, შეიძლებოდა თუ არა დაეგება სპექტაკლი, მაგალითად, მებრძოლ კუბაზე, ან კოსპიურ გაფრენაზე ისე, რომ ყველაფერი — დღემდე, პლანეტებსც, მათ შორის ადამიანებიცა და ხალხიც ამ მოვლენით შეუპორობილ ვერგებონ სცენაზე. შეძლებდა ამის ჩვენებას?.. შეძლებდა ერთი პირველთაგანი!“

ს. ახმეტელის სპექტაკლების ტემპერამენტი და რიტმი,

პლასტიკა და მუსიკა — ყველაფერი ემსახურებოდა ადამიანურ გრძნობათა და აზრთა დიად სამყაროს.

ახლა ძნელია ვამტკიცოთ, ამხეტელის შემოქმედებიდან რომელი მხარე იქნება ყველაზე აქტუალური, რა თვისებები განასხვავებს მისი მომავალი, მაგრამ როგორადაც არ უნდა წარმოიხაროს თეატრალური ცხოვრება, ჩვენის ღრმა რწმენით მისი თეატრიდან მუდამ იცოცხლებს ორი რამ: ეროვნული საწყისი და თეატრალური ემოცია. აქ იყო ამხეტელის თეატრი ყველაზე ძლიერი. ემოციის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება იყო რიტმი. თავბრუსმომხვევი რიტმი დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენდა მაყურებელზე.

ს. ამხეტელის თეატრი ღრმა ემოციური განცდების თეატრი იყო. ყოველი სპექტაკლი იმუხტებოდა ემოციით, რომ მაყურებლის გული და გონება დაეკარგა. მაყურებლის დაპყრობის ამ ხერხის თეატრალურ კულურებში ხშირად ჯერჯერობა პატებს არ მიაგებენ ხოლმე, რადგან იგი ინტელექტუალურ საწყისს ამცირებს. მართალია, ამის შესახებ საჯაროდ და აშკარად ბევრი არაფერი დაწერილა, მაგრამ თვით ტენდენცია ხომ მაინც საგრძნობია. — თუმცა იგი შეტანილი არ არის ამხეტელზე შექმნილი მითების ნუსხაში. დიას, ამხეტელი მართლაც შეგნებულა ამათგანდაც ემოციისა და ამას მისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი თეატრი რევოლუციის თეატრი იყო და განა შეიძლებოდა რევოლუციური აზრის გამოხატვა მძაფრი ემოციების გარეშე? ამხეტელი ემოციური აზროვნების გზით აღწევდა უდიდეს ზეგავლენას, მაგრამ ემოცია მართო რევოლუციურ პათოსში როდი ვლინდებოდა. ამხეტელი-სათვის იგი არც მარტო თემამატი, არც წმინდა სტილოური ხასიათის მოვლენა იყო. ემოციას იგი ქართული ეროვნული ხასიათის თავისებურებას უკავშირებდა. ეროვნული თეატრის თავისებურებათა რთულ კომპლექსში ყოველთვის დიდ როლს ანიჭებდა ემოციას. მისი აზრით ქართველი კაცის დამოკიდებულება საგნებთან, მოვლენებთან, ბუნებისა და საზოგადოების სინამდვილესთან მუდამ გამოირჩევა ემოციით. მდიდარი ემოციური განცდები, მისი გამოხატვის მალაი რეგისტრები, ექსპრესიულობა — ყველაფერი ეს ქართული ტემპერამენტია. ქართული ეროვნული თეატრი კი უნდა ეწყარებოდეს მას, რაოდენ სხვადასხვა ტონალობაშიც არ უნდა გამოვლინდეს იგი, საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ საერთოდ ხელმოვსდა და კერძოდ თეატრი ემოციის გარეშე არ არსებობს, რომ თეატრი თავისი ბუნებით ემოციურია, მას არ შეუძლია ჭკუის დამირიგებისა და გულგრილი დიდაქტიკოსის ან თუ გნებავთ მხოლოდ ანალიტიკოსის როლი შესრულოს, ყველაზე გმინალური აზრებიც კი ვერ გადაურჩება მაყურებლის მომკაცდინებულ გულგრილობას, თუ იგი თეატრის საშუალებით არ გამოიხატა. თეატრის საშუალებაში კი მაგისი ძალა ეჭვს ემოციას. ემოცია თეატრის ენერჯიაა, ხოლო მის წიაღში მუხტის როლს ასრულებს რიტმი.

ს. ამხეტელის თეატრის ამხეტებურობის განასაზღვრის დროს პროფ. ვსევოლოდსკი — გრეგორის, ამ თეატრის პირველ ნიშნად სწორედ მის ემოციურობას მიიჩნევდა. „რუსთაველის თეატრის ძირითადი განასახვევებელი ნიშნია განსაკუთრებული და წმინდა ახალგაზრდული ემოციური გაქდენილობა და დინამიურობა“<sup>20</sup>. რუსთაველის თეატრის მსახიობთა „უსრამზარნი ტემპერამენტი“ (ა. ლუნარსკი), შეშინეულ და შექცეული იყო საბჭოთა და უცხოელი კრიტიკოსების მიერ ისინი ერჩხმდა აღნიშნავდნენ თეატრის თვითმყობად ხასიათს, მის ტემპერამენტს, რიტმს, ემოციას. აზრის ენებიანი და ემო-

ციური გამოხატვა — თავისთავად არ ხდებოდა. ამხეტელი ხანგრძლივად და მთოდურად მუშაობდა, რათა ქართველი მსახიობის თავისებურება გამმოეცა მალა ხარისხში. მიძებ შრომითა და წვალებით აღწევდა შედეგს. „საჭიროა ყველა მონაწილემ — ეუნებნობა მსახიობებს რეპეტიციასზე — თავის გარეგნულ, სხეულის შეცვლასთან ერთად შეიცავლოს შინაგანი განცდები ისე, რომ გარეგანი ფორმა და შინაგანი ემოცია ერთმანის ერწყებოდეს“<sup>21</sup>. ამხეტელის სარეპეტიციო დღიურებში ხშირად ვხვდებით ასეთ ჩანაწერებს: „რეპეტიცია მიღის მომლოების სწორითა და გრძნობით გამოხატვისათვის“<sup>22</sup>, „მოთავსი მუშაობა მიღის ლექსის გრძნობით გამოხატვისათვის“<sup>23</sup>, „გრევისიონი ატარებს ცდებს ემოციის გამოწვევასზე“ და სხვა განუწყვეტელი და დაინებითი შრომით მიიკვლევდა იგი გზას მისი თეატრის სცენაზე ყველაფერი სასხე ეყო ემოციით, რიტმით, ტემპერამენტით, ყველაფერს დაუფლებოდა მართალი და ადამიანური გრძნობით. „მე მოვისმინე ჯარისკაცების ლილინი „ინტერვენციაში“... წერდა კ. კაპანელი — და ამ ლილინი ამოვიკითხე მწველი განცდები, გაუნადღებელი სურვილები, შინაგანი ადამიანური მუხბილი, ღრმა ტყვიელები სულსა, გულისა და ნერვებისა“<sup>24</sup>. სულსა და გულის ასეთ ძვრახე იყო აგებული ამხეტელის მთელი თეატრი და ამით კიდევ უფრო მეტი ძალა ენიჭებოდა მისი თეატრის აზრს. იგი ქმნიდა ადამიანურ გრძნობებს და ემოციათა დიად სამყაროს, რადგან ღრმად სწამდა, რომ ემოციის „გარეშე არ ყოფილა, არ არის და არც შეიძლება იყოს ჭეშმარიტების ადამიანური ძიება“<sup>25</sup> (ვ. ი. ლენინი).

### შენიშვნები:

1. კ. მარკანიშვილი, კრებული I, ხელოვნება, გვ. 19
2. ტურშაძე, წერილი „სახდრო ამხეტელი“ ეურნ. „მსახიობი“, 1967 წ.
3. ვასაძე „მოგონებები და ფიქრები“ ეურნ. „სახბოთა ხელოვნება“ 1974, № 7, გვ. 107.
4. წიუკაშვილი, ვახ. „ატრიალბი“, 492, 1923, 7. VI.
5. ვასაძე, იქვე, № 8, გვ. 111.
6. ა. ამხეტელი წერილები, ლიტერატურა და ხელოვნება, 1964 წ. გვ. 108.
7. იქვე, გვ. 107.
8. ე.ა. ლეი ბარა „ფიქრები თეატრზე“. ეურნ. „სახბოთა ხელოვნება“ 1976 წ. № 4.
9. ვსევოლოდსკი-გრეგორის, „მოწინავე თეატრი“ ის. კრებული. რუსთაველის თეატრი, 1534 წ. გვ. 54.
10. ვ. იოსელიანი, „რიტმი, კომპოზიცი და სცენა რუსთაველის თეატრში“, ის. კრებული რუსთაველის თეატრი, 1934, გვ. 33-34.
11. სახეპეტიციო დღიურები. რუსთაველის თეატრის მუზეუმში.
12. მ. ხინიკაძე. „ს. ამხეტელის ლექსების ჩანაწერობა“ ეურნ. „სახბოთა ხელოვნება“ 1971 წ. № 4.
13. „სახბოთა ხელოვნება“, 1934, 20. VIII.
14. ვახ. ზარია „ოსტიაკი“, 1928, № 30.
15. კრებ. რუსთაველის თეატრი, 1934, გვ. 73.
16. ს. ახალაბული „სახელმწიფო დრამა“ ეურნ. „ხელოვნება“, 1926 №23-24, გვ. 6.
17. არხიტექტურა. პოეტია, 1941, გვ. 38.
18. ვ. იოსელიანი დისტრატკია ის. ახლოვებულ გვ. 44.
19. ვსევოლოდსკი-გრეგორის, მითითებული კრებულში.
20. ვსევოლოდსკი-გრეგორის, მითითებული კრებულში.
21. ს. შოგარაძის „სულსა“ სარეპეტიციო დღიური № 2. რუსთაველის თეატრის მუზეუმში.
22. ვ. კაპანელი, მითითებული კრებული გვ. 37.
23. ვ. ი. ლენინი, მთხულებათა ტ. 20. სახელგამო, 1951 წ. მეოთხე გამოცემა, გვ. 310.

# ახმეტელის საოპერო დადგმები

მიხეილ ყვარელაშვილი

სანდრ(ო) ახმეტელს — დიდ ხელოვანსა და დიდ მოქალაქეს თავდავიწყებით უყვარდა თავისი ერი, თავისი ქვეყანა, მშობლიური თეატრი. შემოქმედებით ექსტაზში ხშირად იცოდა თქმა: — თუ შენი ხალხი გიყვარს, თუ შენი ერისთვის იღწევი და იწევი, სააკობობრი საქმეს აკეთებო... ახმეტელი დიდ დროს ანდომებდა ეროვნული თეატრის შექმნაზე ფიქრს, იგი ამბობდა: — „თეატრს დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული კულტურის დღევანდლობისათვის“. სანდრო ახმეტელი ხელოვნების, კულტურის დაცვაში ხედავდა ერის გადაგვარების საფრთხეს: იგი ხშირად ამბობდა — ეროვნული მხოლოდ კულტურაში ჰპოვებს უკდავებას.

ამ მაღალი იდეებით გამსჭვალულმა ხელოვანმა, რაინდული რომანტიზმის მხურვალე მომიერალმა სრულიად ახალი გზები დაუსახა ქართულ თეატრს და უბრწყინავლესი ფურცლებიც ჩაწერა მის ისტორიაში.

სანდრო ახმეტელს ძალიან უყვარდა მუსიკა, კარგად მღეროდა. იგი დაჯილდოებული იყო აბსოლუტური მუსიკალური სმენით და რიტმის საოცარი შერქმნებით. ამ მდიდარმა მონაცემებმა მიიყვანეს იგი 1919 წელს ქართულ საოპერო სტუდიის კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის ოპერის „თქმულემა შოთა რუსთაველზე“ დასადგმელად. აქედან იწყება სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი გზა. თუ შეხედვითობაში არ მივიღებთ მის ადრინდელ დადგმებს თითოშემოდ და რამატულ წრეებში (კარდინახი, თელავი, სამტრედია, აბაშა და სხვა).

პირველი ქართული საოპერო სტუდია, რომელსაც სათავეში ედგა დ. არაყიშვილი, მიზნად ისახავდა ეროვნული საოპერო კადრების აღზრდას. მათ ვოკალურ-მუსიკალურ მომზადებას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი მომღერალი ოლღა ბახუტაშვილი-მულგანა და დირიჟორი სამედი სტოლერმანი. სასცენო ხელოვნების დაუფლებისათვის კი დ. არაყიშვილი სტუდიაში იწვევს ჯერ კიდევ გამოუცდელ რეჟისორს ალექსანდრე ახმეტელს. ახალგაზრდა მომღერლები ახმეტელთან შეხვედრას, მასთან შემოაბას ბედნიერებად სთვლიდნენ:

„სანდრო ახმეტელმა სტუდიაში მოსვლისთანავე, რეპეტიციების პირველ დღეებშივე დამყარა გასაოცარი დისციპლი-

ნა... ყველანი ერთნაირი გატაცებით ვუსმენდით მის შენიშვნებს. აშკარად ვხედავდით, რომ მის მიერ შექმნილი მიზანსცენები არ გავდა სტატიურ, ტრაფარეტულ ოპერულ მოქმედებას... ახმეტელმა მოსპო დრომოჭმული, გაცვივებული შტამპები, სრულიად სხვა იერი მისცა სახალხო სცენებს, საოპერო ვამპუკას ადამიანური, ცხოვრებისეული სული ჩააბერა. მას სრულ მორჩილებაში ჰყავდა გამოუცდელი სტუდიელი მსახიობები. სცენურ მოქმედებას მსჭვალავდა ემოციურობით, თითოეულ მოძრაობას, თითოეულ სახეს აცოცხლებდა მუსიკით, პლასტიკურობითა და რიტმით. ახმეტელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მომღერალთა დიქციას, სიტყვის მკაფიოდ გამოთქმას და მუსიკალური აზრის მიტანას მსმენელამდე. იგი ჩვენგან მკაცრად მოითხოვდა გამომეტყველ მიმიკას, ვესტს, მიზრა-მოხრას, დაუძაბავ მოქმედებას... სანდრო ახმეტელი განაცვიფრებდა არაჩვეულებრივი რეჟისორული ალლოთი. იგი მუდამ აღსაცემ იყო ოპტიმიზმით. ჩვენ გვრწმობდით მის დაუფლომეღ ბუნებას, იგი ჩვენც ალგავზუნებდა თავისი არტისტული ცეცხლით. ყოველ წაშს ვიხიბლებოდით მისი უბადლო ნიჭით, მოხუცავებული ფანტაზიითა და ტემპერამენტით.“ — ვკითხულობთ რეჟისორ მიხეილ კვალიაშვილის მოგონებები.

ოპერა „თქმულემა შოთა რუსთაველზე“ სტუდიის ძალეებით დაიდგა 1919 წელს დეკემბრის ბოლოს.

ერითი თვის შემდეგ, ე. ი. 1920 წლის 20 იანვარს, ოპერის თეატრის ხელმძღვანელს ს. ვლახიშვილს ახმეტელისეული დადგმა „თქმულემა შოთა რუსთაველზე“ გადმოაქვს სახელმწიფო თეატრის სცენაზე. აქ მოქმედი პირნი და შემსრულებელი პერვეულია. შოთას როლს ასრულებდა ვანო სარაჯიშვილი, აბდულ არაბს — სანდრო ინაშვილი. დანარჩენ როლებს სტუდიელები ანსახიერებდნენ.

საქტეტლის თავისებურმა, ახლებურმა გადაწყვეტამ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და პირველი გამარჯვებაც მოუტანა დანდგმელს. აი, რას ვკითხულობთ რეცენზიაში, რომელიც მოათავსა ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრება“: „ქართულმა საოპერო სტუდიაში პირველი ნაბიჯი „შოთა რუსთა-

ველი:“ სანაქებოდ გადადგა სახაზინო თეატრში. ოპერა ალ. ამბეტელმა სრულიად ახალი მიზანსცენებით დასაღა. გუნდის ჩაცმულობაც ახალი იყო, უფრო დაახლოებული ქართულ ყაზიდასთან. დიდებულთა ღმირი, სასახლის ელფები და სხვა ყოველთვის ითვალისწინებდა ბრწყინვალე წარსულს... საქები: ალ. ამბეტელის დაკვირვებული მუშაობა და სცენის გემო. მრავლად დამსწრე საზოგადოებამ ოპერის დამდგმელი და ავტორი დ. არაყიშვილი ორგზის გამოიწვია...”

1925 წელს 29 დეკემბერს ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ალექსანდრე ამბეტელმა დადგა ა. იურასესკის ოპერა „ტრილობი“, რომელიც დაწერილია ფრანგი მწერლის დე მორიეს ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. მოქმედება მიმდინარეობს პარიზის ერთ-ერთ სამხატვრო სტუდიაში, სადაც მხატვრების გარდა არიან მუსიკოსებიც, მათ შორის ცნობილი ჰაინიხი და პიანოზონიორი სვენგალი.

ტრილობი მოდელია, მას მხატვრები ხატავენ, ერთ-ერთი მათგანი — ბილი კი ეტრფის მას. სვენგალიც ცდილობს ტრილობის მოხიბვას. პიანოზის ზემოქმედებით იგი ტრილობის სიყვარულს შთააგონებს და მომღერლად აქცევს.

განსაკუთრებით საინტერესოა ოპერის IV მოქმედება, სადაც სცენაზე სცენა წარმოდგენილი. ტრილობი გამოდის მაყურებელთა წინაშე, რომელთა შორის იმყოფება ბილიც. ტრილობი დინახავს მას და უფერად თავისუფლებს პიანოზისაგან. იგი შეიკრება — „მე არ შემიძლიან სიმღერა, მე ძალას მატანენ.“ და გარბის სცენიდან.

ეს სცენა საინტერესოდ, ორიგინალურად ქმნიდა გაცემებულ ახლებზე. მოქმედება გადმოტანილი იყო მაყურებელთა დარბაზში. ბილი იჯდა მაყურებლისთვის თელსაწინოდ, მარცხენა ღოვაში. როდესაც ტრილობი სიმღერის დაწყების წინ ავანსცენაზე გამოდიოდა, მაყურებელთა დარბაზი სახეიმიდ განათებდებოდა, ტრილობი ღოვაში თვალს მოჰკრავდა ბილს და იკვებებდა. კულისებიდან მინათებული პროექტორების სხივებით იქნებოდა არეულობის ილუზია. მსახიობები პარტებსა და იარუსებზე ატეხავდნენ ხოლმე აურზაურს, სტვენას, ყვირილს, რაც მაყურებელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. იქნებოდა უაღრესად დაძაბული და გაურკვეველი სიტუაცია. მაყურებელთათვის გაუგებარი იყო, ტრილობის უსტვენდნენ თუ ამ როლის შემსრულებელ მომღერალს. მაყურებელი უნებლიედ ებმებოდა ამ „პროვოკაციას“ და ალიაქოთის ამტეხთ სიწუმისაგან მოუწოდებდა. მაყურებელი მხოლოდ ფარდის დაშვების შემდეგ ხედებოდა, რომ ეს იყო რეჟისორული ხერხი.

ოპერა „ტრილობის“ დადგმა ალექსანდრე ამბეტელის რეჟისორულ ფანტაზიაზე, კულტურასა და დახვეწილ გემოვნებაზე მეტყველებდა. რაც შეეხება მეოთხე მოქმედების ამ ეპიზოდს, იგი იმდენად შთაბეჭდილო და ამაღლებველი იყო, რომ თეატრიდან გამოსული მაყურებელი მას დიდხანს ვერ ივიწყებდა. წარმატებას ხელს აუწყობდა ირავლი გამრეველის ნახევრად ფერწერული, ნახევრად კონსტრუქციული დეკორაციები.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მელიოდრამა არც შინაარსით, და არც მუსიკით არ პასუხობდა იმ დროის ხელოვნების მოთხოვნილებებს, სპექტაკლი მაინც დიდ ინტერესს იწვევდა. ალ.

ამბეტელმა, ირ. გამრეველმა და დირიჟორმა ს. სტოლერმანმა ოპერა „ტრილობი“ მუსიკალურ დრამად აქციეს. სპექტაკლი წარმატებით იდგმებოდა რამდენიმე სეზონის მანძილზე.

1933 წელს რუსთაველის თეატრის მოსკოვში გასტროლებს დროს, აქტიორის სახლში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე, გამოხილობი მომღერალი ალექსანდრე პიროვი ალტაცებით იგონებდა ამბეტელის მიერ დადგმულ ოპერა „ტრილობის“, რომელშიც იგი გამოდიოდა გასტროლების დროს.

„მოხიბლა სპექტაკლის ახლებურმა გადაწყვეტამ, რომელიც ნახიობებს სცენაზე თავისუფალი მოქმედების საშუალებას გვაძლევს. თქვენს მიერ აწყობილი მიზანსცენები გვიადვილებს სიმღერას, ხელს გვიწყობს მხატვრული სახის გამოკვეთაში. ამ როლზე თქვენთან ერთად რომ მიეშვავა, მაშინ, ალბათ, სხვაგვარად წარმოვისახავდი სვენგალს“ — ეუბნებოდა პიროვიც ალ. ამბეტელს.

დიდა ალექსანდრე ამბეტელის ღვაწლი საოპერო ძალების აღზრდის საქმეში. 1924-25 წლებში კონსერვატორიის ხელმძღვანელობის მოწვევით ალ. ამბეტელი სცენურ ოსტატობას ასწავლის ვოკალური ნაწილებების სტუდენტებს და მათი მონაწილეობით დგამს ნაწყვეტებს კლასიკური ოპერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაწყვეტები როსინის ოპერიდან „სველიელი და ღოვაკი“ (როზინასა და ფიგაროს სცენა და მათი დუეტი II მოქმედებიდან), რომელიც დაიდგა საოპერო თეატრის სცენაზე: ფიგაროს პარტიას ასრულებდა ვასო გომიაშვილი (ო. ა. ბახუტაშვილი — შულგინას კლასი), როზინას — თამარ ბალაშვილი (ნ. ა. ბახუტაშვილი — ვესსლოვზოროვას კლასი).

ეს იყო ბრწყინვალე სტუდენტური სპექტაკლი. ვასო გომიაშვილმა თავისი ხმით და სიმღერით (ბარიტონი), არტისტოზმით მოხიბლა მაყურებელი, რომელმაც მასში ძალზე პერსპექტიული მომღერალი დინახა. მაგრამ ალ. ამბეტელის წვრთნამ მას გზა გაუკაფა რუსთაველის თეატრში. მან მიატოვა სიმღერა, თუმცა კონსერვატორიაში მიღებულმა ცოდნად იდი საშასურით გაუწია ამ შესანიშნავ მსახიობს, როგორც დრამაში, ისე ესტრადაზეც.

მეორე ნაწყვეტი, რომელიც ამბეტელმა დადგა სტუდენტთა ძალებით, იყო მისაგან მოქმედება გუნოს ოპერიდან „ფაუსტი“, სცენა ბაშვილ მარგარიტასთან.

ალ. ამბეტელის წყალობით სცენაზე მოქმედებდნენ ცოცხალი ადამიანები, პლასტიკური და რიტმული იყო ახალბედ მსახიობთა მორბობა, ისეთი შთაბეჭდილება იქნებოდა, რომ მღეროდნენ სცენის დიდი ოსტატები და არა გამოუცდელი სტუდენტები.

ალ. ამბეტელმა „ფაუსტის“ ამ ნაწყვეტს სრულიად ახალი გადაწყვეტა მიცა. მან ამ სცენას მისტიკური ელფური ჩამოაცალა და გამსჭვალა იგი ადამიანური განცდებით. თვით მეფისტოფელის სახეც წარმოვიდგინა ადამიანური ვნებებით. მისი სტოფელი მარგარიტას აივნის მოპირაზე ჩამოსვლა მეოთხეჯერ განათავსა იისვერი სხივებით, რაც მთავარადი დამის ილუზიას ქმნიდა. საერთოდ, იისვერის გამოყენება ამბეტელს ძალიან უყვარდა. მეფისტოფელი გამოიშვლებული დანის წვერით აჯადოებდა მარგარიტას, ხოლო მარგარიტასა და

ფაუსტის წმინდა ამბორის დანახვავე დამარცხებული მკფის-  
ტოფელი კიბებზე მოგორავდა ხარხარით.

1924-25 წლებში აკაკი ფალავას, კოტე მარჯანიშვილისა  
და ივანე ფალიაშვილის თაოსნობით კონსერვატორისთან და-  
არსდა ქართული საოპერო სტუდია, რომელიც მიზნად ისახა-  
და საოპერო კლასიკის საფუძველზე საოპერო მომღერლების  
აღზრდას.

საოპერო სტუდიაში დამდგმულ რეჟისორებად მუშაობდნენ  
კ. მარჯანიშვილი და ალ. ახმეტელი, დირიჟორად — ივანე  
ფალიაშვილი.

სტუდიასთან ჩამოყალიბდა ორმოცდაათი წევრისაგან შემ-  
დგარი შესანიშნავი გუნდი. მას ემსახურებოდა ორკესტრი, რო-  
მელიც აგრეთვე ორმოცდაათი კაცისაგან შედგებოდა.

პირველ რიგში დაიდგა ჩიმაროზას კომიკური ოპერა „ფა-  
რული ქორწინება“ და ლეონკავალოს „ჯამბაზები“. „ფა-  
რული ქორწინება“ კ. მარჯანიშვილმა დადგა, „ჯამბაზებზე“  
კი მუშაობდა ალ. ახმეტელი. ოპერა ქართულად თარგმნა აკა-  
კი ფალავამ.

ალ. ახმეტელის „ჯამბაზებმა“ ნამდვილი გადატრიალება  
მოახდინა ეროვნულ საოპერო ხელოვნებაში. ახმეტელისებურმა,  
გადაწყვეტამ ამ ოპერას ჩამოაცილა ნატურალისტური ელენ-  
მენტები და მელოდრამატულობა. ლეონკავალოს მუსიკამ რე-  
ჟისორს უკარნახა იტალიური თეატრის ფოლკლორული ტრა-  
დიციების მოზიფდა, ხალხური სანახაობის წარმოსახვა.

ალ. ახმეტელმა მთელი სპექტაკლი გამსჭვალა მუსიკალუ-  
რი პარტატურადან მომდინარე დინამიკითა და რიტმით, პან-  
ტომიზმისა და ეგვიტის ელემენტებით, რომლებიც კომედორი  
სიტუაციების პაროდირებას უწყობდნენ ხელს.

ქართული საოპერო სტუდიის სპექტაკლი „ჯამბაზები“  
დაიდგა 1926 წლის 1 აპრილს.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: კანიო — დ. ანდლულაძე,  
ნედა — ბ. მრავალი, ტინიო — შ. ცირილიძე, პეპე — ზ.  
სვანიძე, სილიო — მ. თარხან-მოურავი. კოლმანიები, არ-  
ლეკინები, პიეროები, კომედიანტები — დრამატული სტუდიის  
მსახიობები (მათ შორის ამ სპეტიკონების ატორიც), გლეხე-  
ბი, გლეხის ქალები — რუსთაველის სახელობის თეატრის  
მთელი დასი და საოპერო სტუდიის გუნდი.

მხატვრობა გუთუნდა უშინს, ოპერას დირიჟორებად  
რესპ. სახ. არტიტი ივანე ფალიაშვილი, გუნდის ლობჯანი-  
ძე — პოლიკარპე ფალიაშვილი. რეჟისორის თანამშემუშა-  
ნი: არჩ. ჩხარტიშვილი, შ. წერეთელი, დირიჟორის თანამშემუშა-  
ლებსაზრდელ გველესიანი.

სცენაზე წარმოდგენილი იყო მთა-გორაკზე შეფენილი მე-  
თვრამეტე საუკუნის იტალიური სოფელი. გლეხობა დიდი ზე-  
იმის მოლოდინშია. დღეს, აქ, მათთან სასურველი სტუმრე-  
ბი — კომედიანტები მოდიან. თავი მოუყრიათ მოხუცებს,  
ახალგაზრდებს, ქალებს, ბავშვებს.

ორკესტრში ისმის პირველი აკორდი და პირველსავე ტაქ-  
ტებზე ელვის სისწრაფით იხლება ფარდა. თავიდანვე გარკვე-  
ულია სპექტაკლის ტემპი და რიტმი. სცენაზე მღელვარებით,

ფაციფუცი, ქრამულია, თუმცა არცერთი მსახიობი მხას არ  
იღებს. აგერ, გოგონები გარბიან და შემობრბიან — მოხუცებს  
ჭაღარა თმებს ყვავილებით უმკობენ, სოფელ თავმომწონე  
ჭაბუკებსა და ქალიშვილებს იაღრნებენ ზიკავაზოს. აგერ, შე-  
მოდის ნიკო გოცირიძე — მოხუცი ბუგონი ყაპარჯით (სინგის  
პიესა „გმირიდან“) თვალბეს აყვებებს, გაფაციცებით ვიღაცა  
დავებებს. ეს კი უშანგი ჩხვიცა თეთიყუთი ხელში, აჭეკა ნი-  
ნო დავითაშვილი, თამარ ჭიჭუაძე, ელენე დონაური, თამარ  
წულუკიძე, ხათუნა ჭიჭინაძე, ნინო მესხიშვილი, ბუჭუყა შავი-  
შვილი, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ხორავა, აკაკი ვაძაძე,  
მ. მჭავია, გ. სარჩიშვილიძე, ვ. ლიძიძე, სტ. ჯაფარიძე, მ. ლო-  
რთქიფანიძე, ია ქანთარია, ვლ. დამიძე და სხვები — მთელი  
დასი, დიდი და პატარა მსახიობი, თითოეულს თავისი ამოცან-  
ა ჰქონდა დაკისრებული და ქმნიდა თავისებურ სახეს ან ანა-  
ლოგრებად უკვე დადგენილ პიესებიდან იმ როლს, რომელიც  
სპექტაკლის საერთო სტილს არ დაარღვევდა.

შორიდან ისმის კომედიანტების საყვირის ხმები. უცვრად  
მთელი მასა ჩრდობდა იმ პოზაში, რომელშიც იმყოფებოდა  
მანამდე. მუსიკის მეორე ტაქტზე, თითქოს ქარის ერთი შემო-  
ბერივით, ყველა იცვლიდა მდგომარეობას და ელვის სისწრა-  
ფით მაყურებელთა დარბაზისავე შემტობილდებოდა. საყვი-  
რის ხმების თეთიუელი ტაქტი ცალკეულ ჯგუფებზე იყო განა-  
წილებული და მსახიობების თათვასი მუსიკაზე თავსებებდა  
მოქმედებდნენ. მილიანიბოში ეს მსუბუქი პლასტიკური მოძ-  
რაობა სტოვებად მარაოს შთაბეჭდილებას, რომელიც სწრაფად  
გაიშვებოდა, მერე ისევ იკვებებოდა. თეთიუელი მსახიობი  
თავისებურად გამოხატავდა ცნობისმთქვარეობას და გაკვირ-  
ებებს. ეს შესანიშნავი სცენა ტაქტის გრიალს იწყევდა. მსახიო-  
ბა უსწრმსართი მასა ზედმიწევნით იყო დაუფლებული ლეონ-  
კავალოს მუსიკის ყოველ ტაქტს.

საყვირის მომდგენო ხმაზე მხოლოდ გუნდის მსახიობები  
გამოცვივებოდნენ ავანსცენაზე და მხიარულად ეგებებოდნენ  
ტეტურებს. დანარჩენები კი „გორაკებიდან“ ათავლიერებდნენ  
ჯამბაზებს.

მოულოდნელად იხსნებოდა პარტერში შემოსასვლელი კა-  
რი და მაყურებელთა დარბაზში დღრფენებით შემოიჭრებოდ-  
ნენ საგანგებოდ გამოწყობილი კომედიანტები საყვირებით,  
დაფუდაფებით, სკიერებით, ფარდავებით და ა. შ.

მთელი ეს ბზრო დარბაზზე გაივლიდა, თან მაყურებელს  
ენიამებოდა და საორკესტრო ორმოზე გადებული ხილვის  
სასუალებით ადიდა სცენაზე, სადაც იმართებოდა ნამდვილი  
სახალხო ზეიმი, რომელშიც მაყურებელიც მონაწილეობდა.

ტინიო — ცირილიაძე სცენაზე ასლისთანავე ტრასაზე  
შეხტებოდა და „ბარანის“ ბრახუნით ხალხს სიჩუმესიკნ მოუ-  
წოდებდა. როდესაც ყველაფერი მიწყნარდებოდა, იგი იწყებდა  
ჯამბაზის ცნობილ „პროლოგს“, რომელიც არა მარტო მაყუ-  
რებლისადმი იყო მიმართული, როგორც ეს ტრადიციულად  
ხდება ხოლმე (ამ სპექტაკლში ჯამბაზი, როგორც წესი, ფარ-  
დის წინ მღერის), არამედ სცენაზე მყოფებასაც.

ერთი სიტყვით, ოპერა „ჯამბაზები“ ს. ახმეტელის დიდი  
გამარჯვება იყო. მან შექმნა მოსუბნტური სპექტაკლი, აღბე-  
ჭდილი პლასტიკურობით, ტემპერამენტს, ფანტაზიით, მკვე-

1 სპექტაკლის მეორე დირიჟორად ითვლებოდა ალექსანდრე გვე-  
ლესიანი.

თრი ხასიათებით... აქ ყოველი მოძრაობა მუსიკიდან იზადებოდა და ზუსტად გამოსატყავდა სხვადასხვა ფსიქოლოგიურსა და ემოციურ ნიუანსს. სცენაზე სიცოცხლე სრქეფდა. სპექტაკლ „ჯამბაზებს“ უდიდესი წარმატება ხვდა. იგი ერთხმად აღიარეს შესანიშნავ მხატვრულ მოვლენად, რომელიც მოწოდებულ იყო გარდატეხა მოქმედინა საოპერო თეატრში.

1928 წლის 16 მარტს ზ. ფალიაშვილის მესამე ოპერა „ლატავრამ“ პირველად იხილა სცენა... ამშველმა დადგამ მონუმენტური სპექტაკლი, აბზექტილი ეროვნულ-გმირული სტილით. სპექტაკლი გააფორმა მხატვარმა ირაკლი გამრეკელმა, მან შექმნა ორიგინალური სცენური კონსტრუქცია, რომელშიც მუსასაკუენების ქართული ხურთიმომოდერების ელემენტები გამოიყენა. სპექტაკლის კონსტრუქციული გადაწყვეტა უჩვეულო სიახლეს წარმოადგენდა ქართულ საოპერო თეატრისათვის. ოპერას დირიჟორობდა ივანე ფალიაშვილი.

ქონგურებიანი ცხე-კომპები და ხატოვანი დარბაზები, მკვეთრი და ემოციური მიზნსცენები, მომღერალთა სხეულის პლასტიკური გამომსახველობა, ვაზრებუი და დახვეწილი მუსიკალურ-სცენური სახეები მყურებელთა ცხოველ ინტერესს იწვევდა.

მაგრამ რევისორის, დირიჟორისა და მხატვრის საინტერესო ნამუშევრის მიუხედავად, ზაქ. ფალიაშვილის მესამე ოპერამ „ლატავრამ“ სასურველ წარმატებას მაინც ვერ მიაღწია, ლიბრეტოს, და, აქედან გამომდინარე, მუსიკალური დრამატურგიის სისუსტის გამო.

ბ. ლაგრენიევის ცნობილი პიესა „რღვევა“, რომელიც ასახავს ოქტომბრის რევოლუციის ისტორიულ დღევს, საფუძვლად დაედო ახალგაზრდა კომპოზიტორის ვლადიმერ ფემელილის ამავე სახელწოდების ოპერას. 1932 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 15 წლისთავის აღსანიშნავად ეს ოპერა დაიდგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. სპექტაკლის დადგმა განახორციელა ალ. ახმეტელმა, რომელიც ლაგრენიევის პიესის ბრწყინვალე ინტერპრეტატორად იყო აღიარებული მთელს საბჭოთა კავშირში. მხატვარი გაზღადო ი. გამრეკელი.

ახმეტელმა რუსთაველის თეატრის დადგმა გადმოიტანა საოპერო სცენაზე. ამიტომ მთელი ყურადღება გადაიტანა მომღერლებთან მუშაობაზე, დიდ დროს ანდიომებდა მათ დიქციას, მკაცრად მოითხოვდა სიმღერის დროს სიტყვების სწორად დმკაფიოდ წარმოთქმას. ამასთან ერთად, იგი მომღერლებს მოუწოდებდა აქტიორული გამომსახველობისაკენ, ებრძოდა სტატიორობას, მანერულობას, სიყალბებს. იგი მომღერლებთან მუშაობდა მანამდე, ვიდრე მათ დამბულობისაგან არ გაანთავისუფლებდა. მომღერალთა მოძრაობას წვრთნიდა მუსიკის რიტმთან და ტემპთან მჭიდრო კავშირში. მან ისიც კარგად იცო-

და, რომ საქმე ჰქონდა ვოკალისტებთან. ამიტომ მათი მოძრაობების გადატვირთვასაც ერიდებოდა.

ალ. ახმეტელი ოპერა „რღვევის“ მონაწილეებს ავალბდა დასწრებას რუსთაველის თეატრის სპექტაკლებზე. მან მომღერლებს სპეციალურად აჩვენა სპექტაკლი „რღვევა“, რათა აღერდა მათში რევოლუციური რომანტიკის პათოსი. ამან, მართლაც, დიდი დახმარება გაუწია საოპერო თეატრის კოლექტივს. ახმეტელთან მუშაობამ სწორ გზაზე დააყენა საოპერო თეატრის ნიჭიერი მომღერლები.

ოპერა „რღვევის“ მასიური სცენების გასააქტიურებლად ახმეტელმა ამ სპექტაკლში შეიყვანა რამდენიმე ახალგაზრდა მსახიობი რუსთაველის თეატრის დადგმიდან. ამით მან ხელი შეუწყო სპექტაკლის დინამიზაციას, რევოლუციური მგზნებარების გამოხატვას.

ალ. ახმეტელმა ოპერის მეოთხე მოქმედებაში ააფრიალა წითელი დროშა — დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების სიმბოლო, რომელიც მეოთხე იარუსიდან ეშვებოდა და ტაშის გრიატს იწვევდა მაყურებელთა დარბაზში.

ოპერა „რღვევის“ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანეს მხატვარმა ირაკლი გამრეკელმა, დირიჟორმა სამუილ სტოლერმანმა და იმ აქტიორულმა ანსამბლმა, რომელმაც შექმნა შესანიშნავი მუსიკალურ-სცენური სახეები და წარმოსახა რევოლუციური ეპოქის სულისკვეთებით გამსჭვალული სპექტაკული.

ა. ახმეტელი. ე. ახვლედიანის ჩანახატი



# კომუნისტური საქართველო

## წი

### ქინომატინა

ლია სოხაძე

საქართველოს კინოფოტოფონოლოკუშენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ მრავალ დოკუმენტს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს თეატრალური წარსულის ამსახველ უნიკალურ კინომატინებს.

დოკუმენტურმა კინომ შემოინახა დიდი შემოქმედის, ქართველი საბჭოთა რეჟისორის ს. ახმეტელის ცოცხალი სახე და შემოქმედება. ეს დოკუმენტები ჩვენი თეატრის ისტორიის ცოცხალ ფურცლებს წარმოადგენენ და ახლა, ამ შექანიშნავი ხელშეწყობის დახმარებით, 90 წლისთავზე, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ზოგიერთი მათგანის გახსენება.

1929 წლის იანვარში შექმნილი კინოდოკუმენტი მოგვითხრობს მხატვარ-დეკორატორად იყო მოწვეული თეატრს ამ დროს ს. ახმეტელი ხელმძღვანელობდა. ამ ორი შემოქმედის თანამშრომლობით შეიქმნა სპექტაკლი „კარმენსიტა“.

იაკულოვი რუსთაველის სახელობის თეატრში მხატვარ-დეკორატორად იყო მოწვეული. თეატრს ამ დროს ს. ახმეტელი ხელმძღვანელობდა. ამ ორი შემოქმედის თანამშრომლობით შეიქმნა სპექტაკლი „კარმენსიტა“. იაკულოვმა სიცოცხლის უკანასკნელი წელი ერევანში გაატარა, სადაც გარდაიცვალა 1928 წლის 30 დეკემბერს.

1929 წლის 2 იანვარს ერევნიდან თბილისზე

გავლით მხატვრის ნემესს მოსკოვს მიაგვიყვანეს. სოციალური სადგურში ნემესს შეხვდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაზრისით მოღვაწეები: პაოლი იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ცნობილი რევოლუციონერი შალვა ელიავა. მათ შორის იყო სანდრო ახმეტელიც.

1934 წელს საქართველოს სტუმრად წვდია მოსკოვის ებრაული თეატრი. ოპერატორ ნიკოლოზ ნაგორნის მიერ გადაღებულ კინოსიუეტში ახასუღია თეატრის კოლექტივის ჩამოსვლა თბილისის სადგურზე. სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე სტუმრებს მიესალმა სანდრო ახმეტელი, საპასუხო სიტყვით გამოვიდა ებრაული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მიხეილსი.

ს. ახმეტელის ცოცხალი სახე შემოინახა ამავე წელს გადაღებულმა კინოსიუეტმა, რომელიც ასახავს რეჟისორ ა. წუწუნავას შემოქმედებით მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში (ოპერატორი ლევან არზუმაწვი).

ახმეტელის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიძღვნილი 1970 წელს შექმნილი კინონარკვევი „სანდრო ახმეტელი“ (სცენარის ავტორები მ. ყვარელაშვილი, თ. გურგენიძე, რეჟისორა თ. გურგენიძე, ოპერატორი გერმესაშვილი).

ფილმის დასაწყისში მოთხრობილია ს. ახმეტელის პირველი სპექტაკლის „ბერდო ზმანია“ შესახებ. სპექტაკლის ამსახველ კინოკადრებს მიყვება პიესის ავტორის, სანდრო შანშიაშვილის მოკონფათა სინქრონული ჩანაწერი: „ბერდო ზმანია“ დავწერე 1916 წლის გაზაფხულზე. იმ წელს მე და სანდრო ახმეტელი ჩვენივე ინიციატივით დაარსებულ გაზეთ „საქართველოში“ ვმუშაობდით. ერთ-ერთი მორიგეობის დროს სანდრო გაცივდა და ფილტვების ანთებით გახდა ავად დავდიოდი ავადმყოფთან და გასართობად „ბერდო ზმანიას“ ვუკითხავდი. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს სანდრომ მოთხრა — როგა მორჩები „ბერდო ზმანია“ უნდა დავდგაო.

1917 წელს გაზეთ „საქართველოს“ თანამშრომლებთან უთანხმოება მომივიდა და სოფლად გადავსახლდი. ერთ დღეს ამბავი მომივიდა: შენ „ბერდო ზმანიას“ სანდრო დგამსო. რამდენიმე ხნის შემდეგ ახმეტელის წერილები მივიღე. „ჩემო სანდრო! პირბა შევასრულე. ედგამ „ბერდო ზმანიას“, აუცილებლად ჩამოდი, წარმოდგენას უსათუოდ დაესწარი. შენი სანდრო ახმეტელი“.

წარმოდგენის დღეს რუსთაველის თეატრში

საღმისთ იყო გაქცეული. ახადა ფარდა ყველა-ფერი უჩვეულო იყო ამ სპექტაკლში: დეკორაციაც, ვანათებაც, თამაშიც, დამთავრდა პირველი აქტი, დამთავრდა მეორეც, არც მოწონების ტაში, არც პროტესტისა. ბოლოს დამთავრდა სპექტაკლი და იგრიალა ტაშმა, ეძახიან რევისორს, მსახიობებს!..“

აქ წყდება შანშიაშვილის მოგონება და ჩვენ მოწმენი ვხდებით იმ დიდი ტრიუმფისა, რაც რუსთაველის სახელობის თეატრს ხვდა წილად პირველ საკავშირო ოლიმპიადაზე მოსკოვში, 1936 წელს.

კინოკადრები თანმიმდევრობით ასახავენ საზეიმო შეხვედრას მოსკოვის სადგურზე. მას მოსდევს ნაწყვეტები სპექტაკლიდან „თეთნულდი“. თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს სასრუ სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილი: „ბევრი თეატრის სპექტაკლზე შეიძლება საუბარი, კამათი, დავა, მაგრამ ერთი რამ ყოველთვის მახსოვს და არასოდეს დამავიწყდება. ეს გახლავთ „თეთნულდი“. პრემიერის დღეს თეატრში შევიპარე (იმ დროს თეატრიდან წასული გახლდით). ავიტუზე კედელთან სიბნელეში. ლოკაში, სხვათა შორის, უშანგი ჩხეიძეც ბრძანდებოდა და როდესაც დამთავრდა სვანი ბაპების სცენა, უშანგი ჩემსკენ მიბრუნდა გოცხებული, მითხრა: „თავს მოვიტყრი, თუ რომელიმე რევისორს შეეძლო ასე ამ სცენის გადაწყვეტა“.

სანდრო ახმეტელის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბორის ლაფრენევის პიესა „რღვევას“. კინომატიანეს შემოინახა ამ სპექტაკლის ერთ-ერთი სცენა.

ს. ახმეტელის რევისორულმა ფანტაზიამ აღაფრთოვანა პიესის ავტორი. ფილმში ჩართული: ბ. ლაფრენევის ფოტო და წერილი რუსთაველის თეატრის მსახიობებისადმი: „ძვირფაო ამხანაგებო! წორფელი სიხარულით მივესალმები საქართველოს ახალგაზრდა თეატრს მშვენიერი სპექტაკლისათვის. გულითადი მადლობით ბორის ლაფრენევი“. დიქტორი კიდევ ერთხელ გაკასხენებს მწერალს და ვით კლდიაშვილის სიტყვებს სპექტაკლ „რღვევას“ გამო: „გულგახარებელი იმის დანახვით, რაც ვიხილე დასის მიერ წარმოდგენილ „რღვევაში“, ვაშას შეეძახებ საქართველოს ახალი ქართული თეატრის დიდებულ მოღვაწეთ“.

ფილმში წარმოდგენილია აგრეთვე ნაწყვეტები სპექტაკლებიდან „ყაჩაღები“ და „ახსოვი“.

რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში თეატრალური ხელოვნების ნამდვილ ზეიშად იქცა. კინოკადრებმა შემოგვიჩაბეს ა. ლუნარსკის სახე და ხმის სინქრონული ჩანაწერი: „რუსთაველის თეატრმა გააკვირვა მოსკოვი, იგი მსოფლიო თეატრების პირველ რიგში იმკვიდრებს ადგილს. ნიჭიერმა რევისორმა სანდრო ახმეტელმა ეს საუცხოო მასალა მშვენიერად იგრძნო“. კადრი კადრს მისდევს: „ვიხილე, ვისმინე, დავმარცხდი, როგორც მეცნიერია“ — ამბობს აკადემიკოსი ნიკო ბარა.



პ. იაშვილი, ს. ახმეტელი, ი. ნიკოლაძე, ტ. ტაბიძე სოფალთელის სადგურზე

ქართველმა ხალხმა დიდი ზეიშით აღნიშნა სანდრო ახმეტელის დაბადებიდან 80 წლისთავი რუსთაველის სახელობის თეატრში.

მომავალი თაობა მუდამ მადლოერი იქნება იმ კინოდოკუმენტისტიებისა, რომლებმაც ფირზე აღბეჭდეს ა. ახმეტელის ღვაწლი ქართული ეროვნული თეატრის აღორძინების საქმეში და შემოგვიჩაბეს დიდი რევისორის ცოცხალი სახე.

სანდრო ახმეტელი თბილისის სადგურზე ებრაული თეატრის მსახიობებთან შეხვედრას (1934 წ.).



# ახმედიის რეპეტიციები

## ირაკლი შერვახადაშვილი

სანდრო ახმედიანი ქართული ხალხური შემოქმედების მოტრფიალე იყო. იგი ხშირად ამბობდა ხოლმე: ყველაზე დიდი შემოქმედი ხალხია და ჩვენც ხალხში უნდა ვეძებოდე ჩვენი ხელოვნების საყრდენს. ყველა სახეობის ქართული ხალხური თამაშობანი — ბერიკაობა, ყვენობა, კაფიობა, ცეკვა-სიმღერა, ესა თუ ის წეს-ჩვეულება უხვად მოიცავს თეატრალური ხელოვნების ელემენტებს. ქართული თეატრი ყოველივე ამის საფუძველზე უნდა ავაშენოთ.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, მას არაერთხელ უთქვამს: ქართულ თეატრს რომ მივცეთ თავისი სახე, ამისათვის ხალხური შემოქმედება უნდა გამოვიყენოთ. რაც მან ბრწყინვალედ განახორციელა კიდევ.

თვალსაჩინოებისათვის მივმართო მაგალითებს:

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ჯავახიშვილი, სანდრომ უგამოცდოდ ჩარიცხა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრთან არსებული სტუდიის ნამუშევრად, რადგან ის ჩინებულად უკრავდა და ამღერებდა ფანდურზე ხალხურ მულოდებს. ჩვენთვის საჭიროა ასეთი ახალგაზრდები, ჩვენ ამ ყმაწვილს ღირსეულად გამოვიყენებთ.

ბათუმის ტაგევაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობები, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მურად ხინიკაძე, იუსუფ კობალაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ისკანდერ კაიკაციშვილი და მსახიობი ომერ ხალვაში რუსთაველის თეატრის სტუდიის აჭარის სექციაში სწავლობდნენ. ახმეტელმა იმათაც სიხარულით გაულო თეატრის კარი. ისინი შესანიშნავად ცეკვავდნენ „ხორუმს“, განსაკუთრებით კი „გადახვეულს“, რომელიც ძირითადად „ხორუმის“ ილეთებისაგან შედგება. სანდრო ხშირად, რეპეტიციის წინ, ან ბოლოს, ზოგჯერ კი შესვენების დროს მოუხმოდა მათ და მთელი კოლექტივის თვალწინ აცეკვებდა. ალტაცებული იყო ამ ცეკვის მგზნებარებით, რკინისებური რიტმითა და ტემპით. მართლაც და ჟრუანტელის მომგვრელად ცეკვავდნენ ი. კობალაძე, მ. ხინიკაძე და ო. ხალვაში, დღოზე აკომპანემენტს მათ ი. კაიკაციშვილი უწევდათ. კარგად უკრავდა და ამღერებდა ჩინგურზე რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნუნუ თეთრაძე.

ქართული ცეკვების კარგი მცოდნე, მოხდენილი ყმაწვილი პ. სულხანიშვილიც სამოწონებით ჩაარიცხინა სტუდიის მსმენელად, ჩვენ მას სათანადოდ გამოვიყენებთ. ასეთივე შეღავათებით ჩარიცხა სტუდიაში მედოლე-მომღერალი ტობა კრიხელი და სხვები.


სიმონ მთავარაძის დრამა „მლევი“ იდგებოდა რუსთაველის თეატრში, საჭირო იყო კახური ხალხური სიმღერების ცოდნა. განსაკუთრებით სიმღერა „ჩაკარული“, რომელიც მრავენ იცოდა თეატრში. სანდრომ სპეციალურად ჩამოაყვანინა ყვარლის რაიონიდან მოხუცი მიხეილ ავაგროსიშვილი და თეატრის მთელ კოლექტივს შეასწავლა ხალხური შემოქმედების ეს მარგალიტი.

პროფესორი ვასტანე კოტეტიშვილი, როგორც დიდი მკვლევარი ხალხური პოეზიისა, საგულდაგულოდ მიიწვია თეატრში, რომელიც პოეტუკამში გვიკითხავდა ლექციებს. სანდროს დედალებით, ვ. კოტეტიშვილმა განსაკუთრებით არსება ოქლაშვილის ცხოვრების ისტორია შევასწავლა. პატრიოტი მცენებრ-მკვლევარი ანრილი-

ვით დასდევდა არსენას ნაკვალევს და დღეგრძელ მოხუცთა გამოკითხვის წყალობით კარგად იცოდა მისი ცხოვრებისა და გარეგნობის დამახასიათებელი თვისებები. როგორც ვიცით, ახმეტელმა დრამატურგ სანდრო შანშიაშვილს პიესაც დააწერინა არსენას ცხოვრებაზე, დაიწყო კიდევ მუშაობა მის დადგმაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დასცალდა მისი განხორციელება.

აგარაკ ტბაზე 1934-35 წლების სეზონისათვის გაეცხოველებული მუშაობა იყო განაღებული. ერთი ხანდაზმული გლეხკაცი, გვარად ლურსმან-

მომადგება, დროა წავიდე, სჯობია თვითონ დაველოდო, თორემ მატარებელი მე არ დამიციდის!" და წავიდა ბაქანზე, ბორჯომ-ბაკურიანის მატარებლით ჩამოსულ მგზავრებს ეშველებოდა ხელბარგის წაღებაში. სანდრომ ღიმილნარევი გარინდებით გაადგვნა თვალი მოხუცს და თქვა: „რამდენი სიბრძნეა ხალხში! ამ შუბრ გლეხს, ზოგჯერ ისეთი ჭკვიანური რამ დასცდება ხოლმე, რომლის მსგავსი ბევრ მწიგნობარს ფიქრდაც არ მოუვა. მას საათიც კი არ სჭირდება, მუსხ გა-



სცენა სექტაკლიდან „ქაჩალები“

ნაშვილი მოდიოდა ხოლმე ჩვენთან, უყვარდა „ქალაქელბთან“ შესვენება. სანდროს ძალიან მოსწონდა ამ მოხუცის ენაწყლიანობა, მიმზიდველი საუბარი და ამიტომ ხშირად ხედებოდა ხოლმე მას, გაუბამდა საუბარს ქართველი ხალხის ძველი ზნე-ჩვეულებებისა და წეს-ადათების შესახებ. მოხუცი გლეხიც ვატყავებით გვიამბობდა ხოლმე, რაც კი რამ იცოდა. ერთხელაც მოვიდა ლურსმანაშვილი, ჩვენ რეპეტიციას ვატარებდით. მშვენიერი დარი იდგა. სანდრომ შესვენება გამოაცხადა, გართ გამოვიდა, მოხუცი იქ დახვდა, კვლავ გაიმართა საინტერესო საუბარი მათ შორის. განსაკუთრებით დამამახსოვრდა გლეხკაცის გამოხატუებები „მე აბა რიდას მატყნისი ვარ ბერეკაცი? ღმერთისა და ამ ქვეყნის ერთი ვალია და მმართველს: სიკვდილი, ეგ არის და ეგ!“ მერე მოხუცმა უცბად ხელი მოიჩრდილა, თვალმოჭუტვით მუხეს გახედა და გვითხრა: „ეე, შვილებო! მე აქ ძალიან გამიტკბა მასლათი და ეს არ გა-

ხედა და მით განსაზღვრა მატარებლის მოხვლის დრო.“


და მართლაც, სულ მალე ხეობა აახმიანა მატარებლის საყვირის გამბულმა კივილმა. სანდრომ კი მოხუცის ჭკვიანურ ნათქვამებზე, ვრცელი და ღრმა შინაარსიანი საუბარი ააგო, რომელიც ეხებოდა ხალხურ სიბრძნესა და ხალხურ შემოქმედებას.

ხშირად მეკითხებოდა: მაინც როგორ მუშაობდა, როგორ წარმართავდა ახმეტელი რეპეტიციებსო? რეპეტიციებზე სიტყვაჟანგით იყო, ის მხოლოდ მოქმედებდა გულანთებული, აქა-იქ თითო-ორთლა სიტყვას თუ ჩაუბრთავდა მსახიობის გამხრევაბა-წაქეზებისათვის. მუდამ ფეხზე ტრიალებდა გამაგებელი, სარეპეტიციო დარბაზში მას სკამი „არა ქონდა“, დამჯდარს ვერ იხილავდით. ისეთ ნიშანდობლივსა და გამომსახველ დეტალს მიანიშნებდა მსახიობს, რომ მასზე ააგებდით მთელი როლის შინაგან თუ გარე-

ნულ ხასიათს. მის მიერ ნაწვენები მიზანსცენები გამორჩეულად უაღრესი დინამიკურობითა და სილამაზით. სანდროს უსაზღვრო გატაცებით უყვარდა მასიურ სცენებზე მუშაობა. აკი მის დადგმებში სახალხო სცენები იმდენად ძლიერი და საამო სანახავე იყო, რომ მასიური სცენების მონაწილენი მთავარ გმირებს არ ჩამოუვარდებოდნენ. სანდროს შესწევდა უნარი ერთდროულად აემოქმედებინა სცენის სრულიად სხვადასხვა წერტილში განლაკებულ-განაწილებული მსახიობები, ყოველი მათგანი მოძრაობდა თა-

არავეულებრივად კარგ გუნებაზე იყო მიხედვით, კარლოსის რეპეტიცია ალექსანდრე იმედაშვილს უნდა გაეკვლო. სანდრომ განკარგულება გასცა მერვე სურათი „ტავერნა“ მოამზადებით, ასე უწოდებდა იგი „ლუბანის“ სცენას. საერთოდ, იმედაშვილი „ყაჩაღების“ რეპეტიციებს ძალდაუტანებლად, სასხვათაშორისოდ გადიოდა ხოლმე. პარტნიორებს მხოლოდ რეპლიკებს აწოდებდა. მინილოგებს ხან მოსჭრიდა, ხან „ჩააბულბულებდა“. ახალგაზრდებს, რომლებიც კარგად არ ვიცნობდით იმედაშვილის ხელო-

სცენა „საქეტაკლიდან“ „ყაჩაღები“



ვისი როლის ხასიათის შესაბამისად. ამ ზღვა ხალხს იხეთნარად შეზაავებდა ერთიმორეში, ისეთ პროპორციებსა და პარმონიას დაამყარებდა, რომ ვერაფრით გაარჩევდით სცენის რომელი პლანი, რომელი წერტილი იყო უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი. სცენაზე ისეთი ზუსტი, მკაცრი ლოგიკით ჰქონდა ყველაფერი დაკანონებული, რომ ოდნავ გაუთვალისწინებელი მოძრაობაც კი არღვევდა ამ საოცრად მთლიანსა და პარმონიულ კომპოზიციებს. ამიტომ იყო, რომ ახმეტელის საქეტაკლები ვერ გუბოდნენ სხვის ხელს. მისი დადგმები ისე იყო აწყობილი და შერეული, როგორც ლექსი, რომელშიც ვერ ამოაგებდ და ვერ ჩაუმატებ ვერც ერთ მარცავალს. და თუ მაინც ჩაუმატებდით რასმეს, იგი კუსვივით დაემჩნეოდა საქეტაკლს. სხვათა შორის, ამჟივ ვლინდება ს. ახმეტელის მუშაობის „მეთოდი“, რომელიც მსჯელობა-კამათის საგანი იყო მუდამ.

„ყაჩაღების“ ერთ-ერთ რეპეტიციაზე ახმეტელი

ვინებას, ასეთი რამ გვაკვირვებდა. სანდროც არაფერს ეუბნებოდა, ძალას არ ატანდა, მხოლოდ მიზანსცენების საერთო ნახაზს აჩვენებდა ფრთხილად. თავაზიანად. ალბად, იმიტომ, რომ ეს დიდი მსახიობი ბრწყინვალედ თამაშობდა კარლოსის როლს სხვა თეატრებში, გარდა ამისა, იმედაშვილი იმხნად უკვე ჭარმაგი იყო და მის გადაქნაცვას ერიდებოდა.

რეპეტიციის დაწყების წინ სანდრომ ხელი მოხვია იმედაშვილს, განზე გაიხიმა და ჩუმად უთხრა: „საშა! მოდი დღეს „ტავერნის“ სცენა შენებურად „გარკვე“ და ბიჭებიც აიყოლიე. ერთი ვნახოთ, რა გამოვა. რაღაც განსაკუთრებულად ვარ განწყობილი რეპეტიციისათვის და მინდა გული ვიკვიროო“.

„ჩემი თავი შენ გენაცვალოს!“ — მოკლედ მიუგო იმედაშვილმა.

დაიწყო „ტავერნის“ რეპეტიცია. სურათის დასაწყისში კარლოს-იმედაშვილს ბევრი არა-

ფერი ჰქონდა სათქმელი და გასაკვირებელი აქა-  
იქ ურთავდა სიტყვებს საერთო ღრინცელში. მი-  
უხედავად ამისა, ა. იმედაშვილის მიერ წარმოთ-  
ქმნილი ყოველი სიტყვა მკვერთად გამოირჩეოდა  
სიძლიერით. შინაგანი დინამიკით, მზურვალეზით.  
ის ჯერ იატაკზე, სკამებს შორის არის ვაშლარ-  
თული. ვითარება თანდათან დაიძაბა. და აი, კარ-  
ლოსი ფეხზე წამოიჭრა. ა. იმედაშვილმა უუ-  
ლკანურ ტემპერამენტს მიუშვა გადავეები, მაგი-  
დაზე აიჭრა, გრვეინავს, ყოველი მისი სიტყვა  
ყუმბარის აფეთქებას ჰგავს. ეს ტანმორჩილი კა-  
ცი ქანდაკებასაკეთ აღმართა, მკაფიებით რაინ-  
დულად გაშალა და დაიგუუნა:

„აბა, ისეთი ვაჭაკებიც ჯარი მომეცით, რო-  
გორიც მე ვარ და გერმანეთის ისეთ რესპუბლიკად  
გადავაქცევდი, რომ მასთან შედარებით რომი და  
სპარტა დედთა მონასტრებად მიგვეჩვენებო-  
დათ“. სანდრო კი ცეცხლზე ნავთის ასხამს, აქა-  
იქ, ნიშნად დიდი მოწონებისა, წამაქეზებულ სი-  
ტყვეებს ესერის და მიხანში „არტყამს“. კარლოს-  
იმედაშვილის გარშემო მყოფ მსახიობებს და-  
ავერუფათ თავისი თავი, გაოგნებულნი შესცქერი-  
ან გამშაგებულ კარლოსს. მეა დატყვევებული, კუ-  
ლისებიდან ვუცქერი ამ არაქველუბრივი რეპე-  
ტიციის დინებას. კინალამ სცენაზე შესვლა დამა-  
იწყდა. აღარ მასხოს, როგორ შევევარი, ჩემდა-  
უნებურად მეც იმ მაგიდაზე ავიჭერ და წერილი  
გადავეცი. „წერილი, წერილი, ძმისო!“ — მითხრა  
და გადამეხევა. ეს სიტყვები ისეთი მღვდარებით  
იყო წარმოთქმული, რომ ჟრუჟანებად დამიარა.  
წერილს მსწრაფლ გადაავალი თვალი, სახეზე თი-  
თქოს ცისარტყელებმა გადალურინესო. გამშაგე-  
ბულმა წერილი ნაკუწებად აქეია, ფეხებით მი-  
თელ-მოთელა და გაავრდა სცენიდან.

იმედაშვილმა კულისებში ენერჯია მოიკრიბა  
და იქიდანვე დაიწყო ცნობილი მინოლოგი, შე-  
იჭრა გაოგნებულ ყაჩაღთა შორის და დანით ახა-  
ლი ცეცხლი:

„ადამიანო!.. ადამიანო!..“

ნიანგთა ცრუ და ცბიერო მოდგმა... გვეო-  
ნებოდათ, ვულკანმა ამოხეთქათ, სანდრო კი, რო-  
გორც გააფთრებული დირიჟორი, ისე წარმართა-  
ვდა მის სიტყვასა და მოქმედებას. პარტნიორებ-  
ში აფვილიდან ველარ იძვროდნენ. როგორც ჩი-  
ორები შთის არწივს, ისე შესცქეროდნენ მთ  
იმედაშვილას მიერ წარმოთქმული ყოველი სიტ-  
ყვა მათს გადაფთრებულ სახეებზე ისე ინახე-  
ბოდა, როგორც ფოტოფირზე. ბევრი გამოჩენილი  
მსახიობის რეპეტიციის მონაწილე ვყოფილვარ  
ამ დავსწრებივარ, მაგრამ მსგავსი რამ არასოდეს  
მინახავს. აღვექანებრე იმედაშვილი იმ დღეს,  
რადღე განსაკუთრებული, ენით აუწერელი იყო.  
მას საერთოდ იმეათი სიძლიერის, ღამაში ხავე-  
რდოვანი ტემპის ბარიტონი ჰქონდა, მაგრამ ამ  
რეპეტიციაზე ისე ჰქუხდა, გვეგონებოდათ, სარეპე-  
ტიციო დარბაზს ჰქერი უნდა ავლიჯოსო.

სცენა რომ დამთავრდა, სანდრო მიუახლოვდა

ა. იმედაშვილს, დიდი კმაყოფილებისა და მად-  
ლიერების გრძობით მოეხვია და უთხრა: „აი,  
ამას ჰქვია ნამდვილი რეპეტიცია! ყოველი რეპე-  
ტიცია ცეცხლის ქურვაში უნდა იყოს გამოვლილი  
და მაშინ მიიღე ქვეყანა გადავიტარებთო“.

ამ დაუეწიწარ რეპეტიციას ს. ახმეტელმა შთა-  
ბერა სული, მან მისცა ბიძგი იმედაშვილის და  
დიდებულმა მასახიობმა ალლი გულთა უთანაგ-  
რძო დიდ რეჯისორს. ამ ორმა შემოქმედმა ერთ-  
მანეთს გაუტო, გული იჯერეს და დამსწრენიც  
დატყბეს ტემპარტიკი შემოქმედებით.

ყაჩაღებმა ტირანების ქალაქი დაბრბეს, ცეც-  
ხლის ალში გახეიეს, ჯალათებს ხელიდან გამო-  
გლიჯეს სახრჩობელაზე აყვანილი ყაჩაღი რა-  
ღერი გამარჯვებულინი დიდი „ნადავლით“ თა-  
ვიანთ „ბუნებაში“ — ბოქემის ტყეში დაბრუნ-  
დნენ. უსაზღვროა მათი სინარული, ზემომბენ  
თავდაუწყვეით. ამოცანა თითქმას ნათელია ყო-  
ველი მსახიობისათვის, დიდი მონდიმბითაც გა-  
დიან რეპეტიციებს, მაგრამ სანდრო მინც არ  
ისვენებს, შფოთავს, სულ უფრო მეტს მოითხოვს.  
ვერა და ვერ მიავლას საწადეს. სცენაზე პირ-  
ველი შემოვლისათვის შესატყვისი განწყობი-  
ლების მიგნება რომ გაძნელდა, სანდრომ ასეთი  
ამოცანა დაგვისახა:

„ბოქემის ტყეში გამარჯვებული ყაჩაღების  
შემოჭრა უნდა ჰქავდეს გრივალის, ქარიშხლის  
მოვარდანს, მაგრამ ეს ქარიშხალი ძვლებს უნ-  
არ უნდა ჰყინავდეს, არამედ სულამ და გულს უნ-  
და აღეკავებდეს. ხომ გახსოვთ ხალხური პოეზი-  
ის სტრიქონები: „შტონ დაილუწენ ტყისანი!“  
თქვენი სიმღერა და ყიფნა, თქვენი სურბთა ასე  
უნდა შევადგინო ბოქემის ტყეთა შტოებს! ელღუ-  
ჯა — შვადიერ! შენ მოუწოდებ ყაჩაღებს, აბა და-  
გვანახე ლავამაწვევტილი გახლებმა... რეჯისორის  
ასეთმა წაქეშებამ „ყალყზე დააყენა“ ელგუჯა  
ლორთქეფანიძე გულანთებული შევეპოღვა ბო-  
ქემის ტყეში. ჟამთა სიაყისაგან დაგრეხილ-და-  
კორძებული ათასწლოვანი მუხის ფესვებმა და  
ტოტებზე, ვეება ლოდებზე ჯაჭებივით დაქპრო-  
დნენ ყაჩაღები, მათი დელგა-ბორხორცისაგან,  
დანების ელგა-ლაბალაპისაგან ზანზარებად მიე-  
ლი სამყარო.

რეჯისორმა ისეთი ცეცხლი შეუთო „მეორედ  
დაბადებულ“ როლერს (განიკო აბაშიძე), რომ  
იგი ვერხვის ფოთლოვით თრთოდა, რაღაცა გა-  
საკუთრებელი გზებით კითხულობს მინო-  
ლოგს: „მისინებით, თქვე დამთხვევლებო, სახრ-  
ჩობელას სამი საფეხურივითა ვიყავ დამორბეუ-  
ლი... გახურებული ბუხრიდან, უცხად, ყინულში  
რომ შემეძვრალიყავით, ი-ეთ მძაფრ განსხვავებას  
ვერ იგრძნობდით, როგორიც ვიგრძენ მე ჯალა-  
თებისაგან თავდალუწულმა მდინარის მეორე ნა-  
პირზე!“ გასაოცარი იყო ეს სცენა, დაუეწიწარ-  
ენით სიტყვით, ბოქემის ტყეში გამარჯვებუ-  
ლი ყაჩაღების შემოჭრის სცენა ბრწყინვალედ გა-  
დაიჭრა. მაგრამ წინ კიდევ უფრო რთული ამო-

ცანა იყო გადასაწყვეტი: ყაჩაღებს ალყა შემოარტყეს. საჭიროა სამკედრო-საციცოცხლო ბრძოლების წარმოსახვა. დიდმა რეჟისორმა შემდეგნაირად გადაწყვიტა ეს ურთულესი სცენა: — კულისებიდან ისმოდა ბრძოლის ორორტირალი, დაშნა-ფარების ჩანა-ჩუხის, დამბაჩების ბათქიბუთის გამაყრუებელი ხმები. ლაჩარი მაწანწალები უწარმაზარი მუხის ტოტრებზე აცოცა და შემზარავი სტვენა-ღრიანცელი აატყინა. ამ სამინელ აურზაურში ერთი ყაჩაღთაგანი — რაცმანი (მსახიობი სტვენანე ჯაფარიძე) შემოიყვანა დაცარიელებულ სცენაზე, ყველა დანარჩენი შეტევაზეა გადასული. რაცმანი მაჯაშია მიძიმედ დაჭრილი და სისხლისაგან რომ არ დაიცილოს, ლაბადის ნაგლეჯით გადაუხვევია ჭირიბოა. ნაგლეჯის ერთი ბოლო კბილებით უჭირავს, სიმწრისა და ბოღმისაგან გმინავს. მიიხედ-მოიხედავს, იქ რომ ვეღარავის დაღანდავს, ერთს დაილმუკლებს და კვლავ ბრძოლის კორიანტელში გადაიყვება „ცალხელა“ ყაჩაღი. ამ სცენის გათამაშება გაუძნელდა ს. ჯაფარიძეს. მაშინ ახმეტელმა თვითონ გაითამაშა ეს მიზანსცენა, უცხად უბადლო სკულპტურულ ქმნილებას დაემგვანა, საოცრად პლასტიკური და დინამიკური სახე შექმნა. გამხნეებულმა, აღტაცებულმა ს. ჯაფარიძემ უმაღლვე შეასრულა დავალება. პიჯაკის სახელოს ჩაავლო კბილები, სულ დაავიწყდა, რომ ახალი პიჯაკი ეცვა და გახლებულმა სახელოს ბოლო მოაკვნიტა.

ვირტუოზული დეტალების წყალობით სანდრომ ბრძოლის ისეთი სურათი შექმნა, რომ გეგონებოდათ მრავალათასიანი დივიზიები ხელჩართულ ბრძოლაზე გადასულან და მუსრს ავლებენ ერთმანეთსო.

„ყაჩაღების“ დადგმას ისეთი დიდი წარმატება მოჰყვა, რომ მთელი მსოფლიოს პრესა აღაპარაკდა.

„ყაჩაღებმა“, სხვა სპექტაკლებთან ერთად, დიდი გამომავაურება ჰპოვა მოსკოვში. ამ სპექტაკლს დაეწრო მრავალრიცხოვანი უცხოელი მყურებელი, მათ შორის ცნობილი მწერლები, ჟურნალისტები, თეატრალური კრიტიკოსები... დარბაზში მყურებელთა ტევა არ აყო. სულგანაბულნი, სკამებზე დაღურსმულებივით უსმენდნენ და უყურებდნენ ამ საოცარ სანახაობას, საქვეყნოდ რომ გაუთქვა სახელი ქართულ თეატრსა და მის დიდ მესვეურს სანდრო ახეტელს.

# გზა უკვდავებისაკენ\*

შალვა ნუცუბიძე

მამრი ხნისანი ვიყავით. ის სულ რაღაც ერთი თვით იყო ჩემზე უფროსი. ამის მიხედვით სავსებით შესაძლებელია დღეს, აქ ჩვენს შორის ყოფილიყო და მას, ცოცხალს მივსალმობოდით... კაციბრიობა არ ცდებოდა, როცა ფიქრობდა — ყველა გზა რომში მიდისო. ასეა, ადამიანები ერთი მეორეს მიჰყვებიან იმ ადგილისაკენ, საითაც ყველას გზა მიემართება. ბედმა მას ჩემზე ადრე არგუნა ამ გზაზე წასვლა, მე კი დამიტოვა შესაძლებლობა დღეს მისი სახე მოგონებებით წარმოვიდგინოთ.

ჩვენ ერთდროულად დავამთავრეთ საშუალო სკოლა, 1906 წელს. მაგრამ იგი, რატომღაც, ერთი წლის დავიანებით ჩამოვიდა ძველს პეტერბურგში. მაშინ მე არ ვიცნობდი მას. მხოლოდ შორიდან ვაღწევებდი თვალს ამ იშვიათი სახის პატრონ კაცს, რომელიც, სადაც არ უნდა შეგხვდებოდათ, ყურადღებას აუცილებლად მიიქცევდა და დიდხანს დავამახსოვრდებოდათ. ვამჩნევდი, რომ ის პეტერბურგის უნივერსიტეტში და იქ მყოფთა წრეში არ ტრიალებდა ხშირად.

\* შ. ნუცუბიძის, ს. საჭარაიძის, ე. გომიშვილის ღელმდა გეგმუქვეყნული სიტყვები მოღაწოდ მ. ახმეტელმა.



გავიდა დრო. იგი ჩემს მოსხენებაზე მოვიდა. მას მოჰყვნენ სხვებიც იმ გუგუფიდან, რომელსაც უნივერსიტეტთან კავშირი არ ჰქონდა — მათ გულისხმობდა კოტე ფოცხვერაშვილი, როცა თავის პიესაში წერდა „შუნდა საქართველო“. ეს პიესა იღვმებოდა თბილისსა და ქუთაისშიც. გამაკვირვა მისმა ინტერესმა მოსხენებისადმი და იმ ერთმა მომენტმა, მისი სახე რომ დამანახა უცვლად. ჩემთან საკამათოდ ჩემს მასწავლებელს, პროფესორ ვედენსკის მოჰყვა ნიკოლოზ ივანეს ძე კარევეი. ეს ის კარევეია, რომელიც თავის დროზე ევაპერებოდა პლუხანოვს. დისკუსია რომ დამთავრდა, სანდრო მოიჭრა ჩემთან და მითხრა: „ამასთან ბრძოლას ქართული ვაგაკეცნა უნდაოდაო“. შევეკრით, რადგან პეტერბურგის უნივერსიტეტში შევედი სწორედ იმ რწმენით, რომ სამსახური მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი უნდა წარიმართოს ისეთიარად, რომ სასუბით გამოვიარინოთ შესაძლებლობანი ქართველი ერისა. ამიტომაც ერთხანად შინაგანი ნათესაობა ვიგრძენი მასთან ერის კულტურული მოღვაწეობა შეყარება შემოქმედებისა და აზროვნების სფეროებს. სანდრო ახმეტელმა შემოქმედებამი ჰპოვა თავისი ხაზი, მე კი აზროვნების სფეროში მომიწია მოღვაწეობამი. მაგრამ, როდესაც დგებოდა საკითხი ქართული კულტურის განვითარებისა და მისი შესაძლებელი პროპაგანდისა არა მარტო საკავშირო ფარგლებში, არამედ მის გარეთაც, ვრწმუნდებოდი, რომ ჩვენი გზები აქ ერთმანეთს არ სცილდებოდა. ეს ასეც მოხდა.

ისევე მოგონებებს მივუბრუნდები. პეტერბურგის საჯარო წიგნსაცემში დღე და ღამ ვიჯექით რამდენიმე ქართველი კაცი. ერთ დღეს სანდრო ახმეტელი შემოვიდა და გაემართა იქითკენ, სადაც საქმიანი ხალხი ჯდებოდა, სადაც ნაკლებად იყო ჩურჩული და ბაასი. ასე გავიდა ერთი, მეორე, მესამე დღე... სისტემატურად მოდიხ, წიგნების „ციხეში“ წიხ, აუარებელი წიგნი უყრია წინ. გაკვადინერდი და მივედი მასთან, ჯერ არ ვიცნობდი ახლოს. ქაღალდებში ჩაუხედე და ვკითხე: „როგორ ბრძანდებით? რას აკეთებ აქ?“ რაღაცა შინაგანი აუცილებლობა ვიგრძენი ამის კითხვისა. მან მაჩვენა ზოგი დაბეჭდილი, ზოგიც დაუბეჭდავი წერილი თეატრზე. ამას სრულებით არ ველოდი. მისი ცხოვრება თურმე ეს იყო. მე კი ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ამ გზაზე იგი უკვე საკმაოდ შორს იყო წასული. ამ მიმართულებით აპირებდა მუშაობას. უკვე მაშინ გარკვეული კონცეფცია უტრიალებდა. ამიტომაც ძალიან გავოცდი, როცა, ახლახან, ერთგან წავიკითხე — ახმეტელს იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული და თეატრისათვის მომზადებული არ იყოთ

ჯერ ერთი, იურიდიული განათლება მას სრულიად არ შეუშლიდა ხელს, პირიქით. მეორეც — იქ, სადაც მას ვხვდებოდი, იგი იურიდიულ წიგნებს კი არ კითხულობდა, არამედ მუშაობდა ეთნოგრაფიულ მასალებზე, ეთნოგრაფიულ პრობლემებზე.

მაგონდება კიდევ ერთი შემთხვევა, რომლის გახსენება მას თვითონაც ძალიან უყვარდა. ამიტომაც, თავს ნება მიეცემ ასე პატარა საქმეზე შევაჩერო პატიოსანი, დიდი ქართველი საზოგადოების ყურადღება. 1909 წელია. ეს ის დროა, როცა ძველ პეტერბურგში, ევროპული სახის მქონე ქალაქში, ტრანსპორტი არ არსებობდა. ისიც იყო გაიყვანეს ტრამვაი, რომელსაც ხალხი შეხვდა ისე, როგორც პირველ მატარებელს. იცით, ალბათ, რომ რუსეთში პირველი მატარებლის შემოსვლას ხალხი ჯერებითა და მღვდლებით ხვდებოდა. მატარებლის ქვეშ ჩაჯარდნის შემთხვევებიც ხშირი იყო. ტრამვაის მოძრაობის დასაცავად სასტიკი ზომები იქნა მიღებული, რადგან აუარებელი ხალხი იღუპებოდა. აკრძალული იყო დარწმუნე ტრამვაიზე შემოჯება, წესრიგის დარღვევა. სწორედ ამ დროს პეტერბურგში გაიმართა ე. წ. „ავიაციური კვირეული“. ავიაცია კი საინდრისო თავის დროზე თურმე რატომ იმდენ ძალიან აინტერესებდა. მოვიდა ჩემთან და მიხვდა — ამ კვირეულზე წავიდეთო. ეს თურმე დიდი, უჩვეული ამბავია, პირველად შემოსული რუსეთში. გუშინდელი დღე კი არაა, 1909 წელია. პეტერბურგში ჩამოვიდნენ საფრანგეთისა და გერმანიის ცნობილი ავიატორები, მათ შორის ფრანგი ბლერიო და გერმანელი ჰარიმანიცი, თავის აპარატებით, რომლებიც ხალხის თვალწინ შევიდა აფრენილიყო. ამ ამბავს აუარებელი ხალხი ესწრებოდა, ეს იყო რაღაც საკვირველი, თეატრალური სანახაობა.

დამთავრდა ყველაფერი. მაგრამ როგორ გინდა უკან დაბრუნდე. მივლი არემარე ხალხითაა გავქედოდი. რაც კი რამ ტრამვაი არსებობს, ყველას აქ მოყვარა თავი — პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტერიტორიაზე. სადაც ტარდებოდა კვირეული. სამსქესი კი მაინც არაფერი ვეულის. სანდრომ მითხრა: „რაც იქნება, იქნება, ვეცაკურად, ქართულად რომელიმე ტრამვაის შევასტეთო“. „ბიჭო, ნუ იზამ ამას, დაეღუპებით-მეთქი“. ამის თქმა ვერ მოვასწარი, იგი უკვე ტრამვაის საფეხურზე იყო შემხტარი. რა თქმა უნდა, უმაღლვე შეაჩერეს მოძრაობა. კანონის მიხედვით წესრიგის დამრღვევი იქვე უნდა დაეპირათ და პირდაპირ ციხეში ჩასვათ. ვიტაცე თავზე ხელი. ვუყვირო — „ხმა არ ამოიღო, გიჟად უნდა გამო-

გაცხადო“-მეთქი. მივეარი კანონის მცველებს და ვუთხარი:

«Что вы делаете? Ведь совсем недавно он выпущен из психиатрической больницы. Как вы с ним общаетесь?»

სანდრომ კი ჩავედი თავისი ახმეტაიური ხელი მოაჯირს და აბა, ვინ შესძლება მის ჩამოყვანას ბაკანზე? მოვიდა კომისია, ხალხი ჩამოვიდა ვაგონებიდან. მას კი ვერაინ სძრავს ადგილიდან. კლდესავითაა აღმართული, მთელი ძალითაა ჩაბლაჭებული სახელურს. გაუხარდათ, როცა ჩვენი ნაცნობობის ამბავი შეიტყვეს. მკითხვე: მასთან ლაპარაკი თუ შეგიძლიათ? — თქვენი, ოღონდ ხელი არ უნდა ახლოთ. თავი დაანებეთ, თორემ, ვინ იცის, რას გინახს, მის საქციელზე პასუხს არ ვაგებ-მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, მაღინვე თავი დაანებეს, თან გვითხრეს — დაბრძანდით, სადაც გნებავთო.

გავიდა დრო და ეს ამბავი სადღაც სხდომაზე, რომელიღაც დარბაზში გავისინვე. ძალიან ვამა. შენდევ ხშირად ამბობდა ხოლმე: შალვა ნუცუბიძეს ჰკითხეთ, პეტერბურგში მთელი მოძრაობა როგორ შევაჩერეთო. ეს ჩაიღინა ვინმე მოულოდნელად აწვევტილმა პორტფელიანმა პროფესორმა: კი არა, არამედ 22 წლის ახალგაზრდა კაცმა. მან გააკეთა ის, რაც უნდა ექნა მისი ასაკის ყმაწვილს. აღექსეი ტოლსტოი მიაშობდა ხოლმე: „ერთხელ ნოვგოროდში ჩავეყვიანეს, დავინახე იქ უზარმაზარი ზარი, მივეარი და რაც ძალი და ღონე მქონდა, გავაქანეთ. ვრევე და ვრევე ზარი, საგანგებო შემთხვევებში მთელს ნოვგოროდს ფეხზე რომ აყენებდით.“

როთაა ეს ამბავი საინტერესო? იმით, რომ აქ ჩანს ის შინაგანი ალტკინება, რაღაც თავისებური, გაუგებარი, სტიქიური დერეგარია, სტიქიურია და სწორედ იმიტომბა დიდი, მისი ძალა გამოჩნდება მაშინ, როცა კალაპატიში ჩავარდებიან. როცა სერიოზულ საქმეებს მოხმარდება.

იგი სერიოზულ საქმეებშიც ასეთი ბრვე, ასეთი მაგარი, ასეთი გაბედული იყო. აი, ესაა ჩვენთვის ფსიქოლოგიურად საინტერესო. დიახ, ჭაბუკური ამბების გასაღები ავერ კიდა, ისტორიის კედელზე. დღეს ეს პატარა გასაღებია ყველაფრის შემკრები.

გავიდა დრო. ჩვენ წამოვედით საქართველოში. ჩვენ — ივანე ჯავახიშვილის მიერ თავმოყრილი ხალხი, თბილისის უნივერსიტეტი რომ უნდა გაგვეხსნა მისი მეთაურობით. წამოვიდა სანდრო ახმეტელიც. ისიც ასეთივე დიდი კულტურული საქმისათვის მიდიოდა საქართველოში, მიდიოდა ახალი ქართული თეატრისათვის საფუძვლის ჩასასერებად. დანარჩენი თქვენ ჩემზე უკეთ იცით.

მე ამ საქმეებში აღარ ვერვცი. მე მხოლოდ ჩემს მოგონებებს მოგასვენებთ.

ახმეტელი მუშაობს და მუშაობს... ძალიან ბევრი რამაა აქ საინტერესო, მაგრამ განა შეიძლება ყველაფრის გამოტანა? მაღე რთული ვითარება დატრიალდება თეატრში. მე ყველაფერი კარგად ვიცი, მაქვს ცნობებიცა და მასალებიც, ბევრი მისი ნათქვამიც მახსოვს, თუმცა არსად არ დამიწერია. მემუარებს ჯერჯერობით არ ვწერ. ეს დრო ჯერ არ დამდგომია...

ერთ დღეს საგანგებოდ მოვიდა ჩემთან. უნდა მოგასხენოთ, ჩვენი შორის დიდი მისვლა-მოსვლა არ ყოფილა, ისიც და მეც ძალიან მოუცლელნი ვიყავით და საამისოდ არ გვევალა. ვცაბოფილდებოდი მხოლოდ სერიოზულ საქმეებთან დაკავშირებული, განსაკუთრებული შემთხვევებით მოვიდა და მითხრა: „შალვა! დადგა დრო, როცა შენ მე გჭირდები“. რაშია-მეთქი საქმე? ისეთი ურთიერთობა მაქვს მარჯანიშვილთან, რომლის გარჩევა სამედიატორო სასამართლოს უნდა მივაინდო. შენ უნდა იყო ჩემი მხარე. მარჯანიშვილს უკვე გაუგუზავერ ჩემი წინადადება. მან აირჩია თავისი მხარე და თქვენი ერთმანეთს უნდა შეხვედეთო. ის მხარე იყო ცნობილი იურისტი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, იურისტი ისეთი, რომელსაც ვერ გაუძღვოდა ქვა და რკინა. ცოტა არ იყოს, შემეშინდა ამისთანა კაცთან შეხვედრა.

ნება მომეცით, აქ არ გაეხსენო ყველაფერი ის, რასაც სანდრო ლაპარაკობდა, რადგან ჩვენი პატივისცემა დიდი კაცების მიმართ მაშინ კი არაა საჭირო, როცა ისინი გამარჯვებულნი არიან. ჩვენი პატივისცემა ანუ გაჩვენება მაშინაა საჭირო, როცა საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა, როცა არ ვიცით, ვინაა მართალი, ვინ დამნაშავე. ქართველმა ერმა დიდ კაცებთან დაკავშირებულ რამდენ ამისთანა ამბავს გაუძლო. ივარგებს განა, რომ ავიღოთ ჩვენი ქართული ჩინობა ამ საქმეების გასაქექლად? ნუ გამოუდგებიან ასეთ ამბავს. მით უმეტეს რომ, მიუხედავად სიბრახისა, უცაყოფილებისა. იგი მაშინვე დაგვთანხმდა.

მარჯანიშვილიც, მემივით რომ ჰქონდა სახე, ერთბაშად მოიბა, ქაიოშხის შემდეგ მუე რომ გამოანათებს ხოლმე ღრუბლებში, ისე გადაურბინა ღიმილმა. ტკიპილი კაცი იყო. ახმეტელიც უმაღვე დაგვთანხმდა. ჩვენ კი სამედიატორო სასამართლოს მაგარივე შესხვედრა დავინიშნეთ და შევარიგეთ ისინი. ერთმანეთი გადააკოცნეს. ორივე წესიერი, პატიოსანი, უაღრესად კულტურული ადამიანი იყო და იმიტომ.

ყველაზე დიდი სულდილობა მაინც სანდრომ გამოიჩინა, რადგან ის იყო საქმის დამწყები. სა-

ოცრად მიმსიდველი კაცი იყო სიფიცემშიცა და სინანულშიც.

ასე დამთავრდა ეს ამბავი. აბა, რა იქნებოდა, ჩვეულებრივ რომ ჩაერეულიყავით და დაგტაკებოდათ ერთმანეთს. ამას ხომ არავენ გვაპატიებდა...

პატარა ქვეყანა ვართ. ასეული და არა ათასეული კილომეტრებით იზომება ჩვენი სივრცე-სივრცე. ჩვენი მიჯობულ-მოკიდებულ ამბების საზომი, ალბათ, სადღაც, სხვაგან არის შენახული, თორემ საქართველოში სადაა იმდენი ადგილი, ჭორობის დასასოზიში სივრცე რომ დაიტოვოს. თეატრიდან თეატრში მიჰქონდათ პირადი ამბები: ახმეტელი საერთო ენას ვერ პოულობს თანამშრომლებთან, თავის საუკეთესო არტისტებთან: მე ეს საქმე არ გამოიბოძებია. ერთ ამბავი კი ვიცი: ერთხელ სანდრო მოვიდა ჩემთან: ზაფხულში სად მიდისარო? მე ხშირად აბასთუმანში ვიხვეწებდი. საგანგებო მიზეზები არ მქონია, ბუნების სილამაზე მხიბლავდა მხოლოდ. მეც წაშავალ. მართლაც, ჩამოვიდა აბასთუმანში, ჩამოიტანა აუარებელი წიგნი ლიტერატურის, დრამატურგიის დარგიდან. დღევანდელი ვაგიოდა ლიტერატურულ კამათში. რა თქმა უნდა, ეს ცოტა ზღუდავდა ჩვენი დასვენების შესაძლებლობებს, მაგრამ იმდენად საინტერესო კაცი იყო, რომ არაფერი მერჩია მასთან საუბარს.

აბასთუმანს გარეუბნშიც დავუტყუებოდი, გზაობდით, ვთუგზაობდით, საინტერესოდ ვატარებდით დროს, კიდევ ორი მეგობარი ვგახლდა.

ერთ დღეს დანიშნულ ადგილზე არ მოვიდა.

წავედით საძებრად, გზაში შემოგვხვდა აღელვებული: ერთ ჩემს საყვარელ მსახიობს უბედურება დაატყდა — შვილი გარდაეცვალა. ამ წუთშივე თბილისში უნდა წაყვიდ. მე მის კვერდით უნდა ვიყო. ის ამ უბედურებას უნემოდ ვერ გადაიტანსო. შეეწუხდა: „სანდრო! ასე აწყობილი ვაქვს საქმე — კულტურულად, ფიზიკურად, ყოველნაირად ვისვენებთ, ნუთუ შენ ვიყავალ აქედან-მეთქი. ჯერ არ ვიციდი ვისზე ლაპარაკობდა. თურმე ეს იყო კაცი, რომელსაც ჩვენი დიდ პატივს ვცემდით მაშინაც და დღესაც. იგი ერთ-ერთი ბურჯი იყო საქართველოში თეატრალური მოღვაწეობისა, თეატრალური შემოქმედებისა. ნუ ვიტყვი: სახელს. სახელები გაიტაცებინა ფრჩხილების იქით. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. განა ამას იხამდა კაცი, რომელიც საერთო ენას ვერ პოულობდა თანამშრომლებთან? სინამდვილეში კი, იცით, რა ხდებოდა? ენის მიმტან-მიმტანებით გართობამეტყულის მეგობრობაზე რომ დებდნენ თავს, სახლებში ვუხვების ქესტიკულაციას ვარჯიშობდნენ, რათა კანტის გამოდების ილუზი დაუფლებოდნენ, ადამიანთა შორის ურთიერთობის ყველაზე ხელსაყრელ საშუალებად რომ მიაჩნდათ.

საქართველოში დღესაც აპირისპირებენ ერთმანეთთან მარჯანიშვილს და ახმეტელს. აინტერესებთ — როგორ და რა მოხდა მათ შორის. პრესაში შექმდება ეს საკითხი, ამ საქმეში დაუშვებელია მიგვრძობა. მაინც რაში იყო საქმე? ერთმა-

ნეთს შეხვდა ორი სრულიად განსხვავებული ხელოვანი. ერთი — დატვირთული დიდი ცოდნით, დიდი გამოცდილებით, დიდი წარსულით. მეორე კი მხოლოდ ახლა შედიოდა შემოქმედებაში, იშვიათი ნიჭით იყო დაჯილდოებული, წინ ბრწყინვალე მომავალი ედგა. გარდასული დიდება ჰქონდა მარჯანიშვილს, ამომავალი დიდება — ახმეტელს. ორივე კარგად გრძობდა თავის ღირსებას. ერთმა იცოდა, რომ მისი იყო წარსული. მეორემ იცოდა, რომ მომავალი ეკუთვნოდა.

ხელოვნების სფეროა ეს. ხელოვნება კი, არსებითად, შეჯიბრებაა, უკეთესის ძებნა. აქ არ ფიქრობენ ასე: რას მერჩის ის, მე ხომ მას არაფერს ვუშავებო. თუ შენ მოწონებდი ხარ შექმნა უკეთესი, ვიდრე აქამდე, ანდობოდა, ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა ხელოვანს უცხადებ ომს, შეჯიბრს... ვაგება უნდა ამას. მაგრამ ისიც უნდა შევიგნოთ, რომ ასეთ კულტურულ ადამიანებს შორის, როგორც მარჯანიშვილი და ახმეტელი იყვნენ, შეჯიბრება არ მიიღებდა არასასურველ სახეს.

ახლა — საკითხი ეროვნული კულტურის პროპაგანდისა, რომელსაც მეც შევიწერე ჩემი ცხოვრება და ამიტომაც ვიყავი და ვარ ახმეტელთან მეგობრულად, ნათესაურად განწყობილი. დღეს, იგი ჩვენს წინაშე ქანდაკების — ქვისა თუ კლდის სახითაა წარმოდგენილი. ასე მეგონია, რომ ამ ქვას ჩემი ხმა უთბობს იმ ადგილს, სადაც მისი უნდა უნდა ფეჭიქალებს. აქ არ ვიტყვი — მიწაც, მოგვეცი ჩვენი ტვერიო, იგი ხომ ისევ ჩვენი თანაა, ცოცხალია, რადგან გამარჯვებული მთავარში — მან მონახა ქართული სტილი, მონახა ქართული რიტმი, ქართული განწყობა, თეატრალობა ქართველი ადამიანისა.

მან გაიარა ის დიდი გზა, რომელსაც მიყვარათ საერთაშორისო კავშირებთან. რუსეთი მას მუქუნა ტაშის გრალით შეგება და გაუცხნა გზა ევროპისა და ამერიკისაკენ. რუსეთია ჩვენი შუამავალი, ესაა გზა ჩვენი კულტურის გატანისა მსოფლიოში. ახმეტელმა უდიდესი წარმატება მიაპოვა რუსეთში და საერთაშორისო საზღვარს მიადგა. როცა მოსკოვში ჩასულმა უცხოელებმა მისი დადგმები ნახეს, შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ქართული თეატრი გამარჯვების დროში უნდა გასულიყო მოქალაქის დასაკლეთში, ოკეანის მიღმაც და ოკეანის აქეთაც...

ეს მაძლევს საუფუგლს ვთქვა — ეს კაცი, ქვის სახით რომ დაგვარჩენია ჩვენ, არასოდეს მოკვდება. მისი სიკვდილი იყო გზა უკვდავებისაკენ. სიკვდილის სიკვდილით დამარცხებუ ქრისტიანული ფორმულა კი არაა, არამედ ჯანსაღი, ადამიანური შემოქმედების, სააზროვნო საქმის გამარჯვების თვისებაა. იმ დიდი ადამიანებისთვის, რომლებმაც თავი დადეს მშობლიური კულტურის პროპაგანდის, გაფართოებისა და შორს გატანისათვის, არ არსებობს სიკვდილი! ამათი სიკვდილი გზაა უკვდავებისაკენ.

# ლილი, ვაჟკაციური სიყვარული...

სერგო ზაქარიაძე

სამშობლოსადმი დამოკიდებულება ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი საზომია. რამდენადაც წმინდა და სიყვარული და პატივისცემა მშობელი ქვეყნისა, რამდენადაც უანგარო მშობელი ერისათვის გაწეული შრომა, იმდენად დიდია ხალხის გულში აღმართული ძეგლი ამა თუ იმ მოღვაწისა.

კარგი წესი აქვთ ფრანგებს. როგორი დიდი მოღვაწეც არ უნდა იყოს, მას ჯერ საერთო სასაფლაოზე დაკრძალვენ და მხოლოდ ათი წლის შემდეგ, თუკი ამის ღირსად სცნეს, მის ცხედარს პანთეონში გადაასვენებენ.

სანდრო ამხეტელის ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ათი კი არა, ოცდაათი წელია გასული. დღეს ამ შესანიშნავი ხელოვანის სახელს, სამშობლოსადმი მის დიდ, წმინდა და უანგარო სიყვარულს, მშობელი ერისათვის გაწეული სამსახურს ქართველი ხალხი ისევე და უფრო მეტადაც აფასებს.

დღეს მე მინდა, თუკი ამას შევძლებ, ჩაგახედოთ სანდრო ამხეტელის გულში, დგანახოთ ადამიანებთან ურთიერთობაში. ამისათვის იძულებული ვარ ჩემი ცხოვრების ერთი ეპიზოდი მოვიშველიო.

რუსთაველის თეატრში 1926 წელს მოვედი 18-19 წლის ყმაწვილი გახლდით. მოგესხენებათ, რომ მაშინ არ არსებობდა სტუდია. სტატისტიკად მოგეწევა და წილად მხვდა ბედნიერება, მონაწილე ვყოფილიყავი იმ შესანიშნავი სპექტაკლებისა, მაშინ რომ იმართებოდა რუსთაველის თეატრში.

რაკი თბილისში ვმასხურობდი, შესაბამისად ბინაც უნდა მექონა. რაიონიდან ვიყავი ჩამოსული და ამიტომ ქალაქის გარეთ, პეტრიაშვილის ქუჩის ზევით, სასაფლაოსთან, ოთხმა ამხანაგმა ოთახი ვიქირავეთ. გადავიხადეთ ერთი თვის ქირა და გაჭირვებამაც შემოგვიტია. ერთ თვეს ვაიმედდებოდი ჩვენს მასპინძელს, მეორე თვეს კი მიხვდა — ესენი ფულის გადამხდელები არ არიან და დავკითხვო. დავჩინე უბინო. ჩვენებური ბიჭები მოეძებნე და შევხიზნე მათ ერთი კვირით. ძალიან ვიწრო ოთახში ვცხოვრობდით, ყველა რომ დაწვებოდა, მხოლოდ მაშინ ავიღებდი ჭილოფში შერეულ ჩემს ქვეშაგებებს და საღვად

კუნტულში, იატაკზე, ვწვებოდი. ერთი კვირის თავზე მათ მორიდებით მითხრეს — ძალიან გვიჭირს, იქნებ სადმე ბინა იშოვნოთ. ბინის ძებნაში კიდევ ერთი კვირა გადავამეტე, მერე კი საკითხი კატეგორიულად დამიხვეს.

ერთხელაც, შუა თებერვალში, წარმოდგენის შემდეგ მივედი და კარი არ გამიღეს. ვთხოვე — ამაღამ გამათენებინეთ და მერე რაღაცს ვიზამ-მე-თქი. დაპირებამ არ გაჭრა. მომცეს ქვეშაგებელი და გამომისტუმრეს. დავჩინე გარეთ. აბა, სად წავიღოდი იმ ღამეს? იქვე დავიძინე. დილით ქვეშაგებელი მეუფოვს მივაბარე და მივედი რეპეტიციაზე. საღამოზე წარმოდგენაშიც გამოვედი, დამთავრდა სპექტაკლი... საღ წავიდე, არ ვიცი.

არჩილ ჩხანტიშვილთან (იმ ხანად რეჟისორის თანაშემწე იყო) და შალვა წერეთელთან თათბირის შემდეგ გადაწყდა: ჩამკვტავდნენ სარეჟისორო ოთახში, კარს გააღებდნენ დილით, როცა სამსახურში მოვიდოდნენ. ასე გავატარე რამდენიმე ღამე. მოვიხურავდი პალტოს და ვიძინებდი. მე-ხანძრებმა გვიკი აიღეს: ერთ ღამეს კარი შემომიღეს და გამომიღვეს — თეატრში დგამის გათვალისწინებით. თვალ-ჭყაბი იყო. რა გავწყო-ბოდა, სადგურში უნდა წავსულიყავი. ერთხანს ვიტრიალე ბაქანზე. მატარებელი მოვიდ-წამოვიდნენ. სადგური დატარებულა. მილიციელმა გასაქანი არ მომცა — რას უცდი? ვინც წასასვლელი იყო, ყველა გამეზავნათ. ისევ თეატრისაკენ ვიბრუნე პირი. დილის 5 საათი იქნებოდა. 7 საათზე დამლაგებლები მოვიდოდნენ და მათ უნდა შევეყოლოდი თეატრში. საბედნიეროდ, მორიგე მხანძრემ შემამჩნია — დოღლათბეგოვი იყო ამ დალოცვილის გვარი. ჩემად გამიღო კარი და მითხრა: დარბაზში შედი და იქ დაიძინე. შემოვიპარე სწორედ ამ დარბაზში და უკანასკნელ განიერ სავარძელში მოვიკალათე. დილით, ჩვეულებებისამებრ, გამოვცხადდი რეპეტიციაზე. ამხეტელმა პატარა დავალემა მომცა. ვერ შევარულე. დამიყვრა — უფრო მეტად დავიბენი. ხელს წავავლო, გამწვი-გამომწვია მთურიდებლად. მაინც ვერაფერს გაუხდი. ხმა ვერ ამოვიღე. ამხეტელმა ხელი ჩაიჭინა და ჩემი სათქმელი სიტყვები გიორგი საღარაძეს გადასცა. შემდეგი სცენა გიორგი საღარაძესთან და ელგუჯა ლორთქიფანიძეს-

თან ერთად უნდა მეთამაშა. მათ ხელი დამავლეს, მანიშნეს — ჩვენი დრო მოვიდა და იგრძენეს, სიცხე რომ მქონდა. გავეციებულვარ.

შეწყდა რეპეტიცია. ახმეტელი შესვეების დროს ყოველთვის თავის კაბინეტში ჩადიოდა. მასთან მივიდნენ ვანო ლალიძე, ელვაჟა ლორთქიფანიძე, გიორგი სალარაძე, სტეფანე ჯაფარიძე და მოახსენეს — სერგო ზაქარიაძეს ბინა არა აქვს და სადგურში გაათია ღამეო. მაშინვე გამომიძახა, ყველაფერი გამომიტანა, დაიბარა კომენდანტი და უბრძანა — ახლავე თეატრში სადმე ოთახი გამოძებნეთო. მერე რეკვიზიტორს დაავალა — სასწრაფოდ მოუწვევთ ოთახი და დააწვივინეთო. ის ოთახი ქანდარის გვერდით იყო, გამიშალეს ლოგინი, მომიტანეს საუზუნე, მომიარეს, გამომაქანსაღეს...

მაგონდება მეორე შემთხვევა: ერთ ზამთარს, ყინვაში, დავეცი და ისე მოვიტყე ხელი, რომ უნდა მოეჭრა. ახმეტელმა ეს ამბავი შეიტყო. მაშინვე ჩასვა ეტლში და ექიმებთან გამაქანა. გამსინჯეს, მძიმე მდგომარეობა დადასტურდა. ექიმებმა მითხრეს, — ხანგრძლივი მკურნალობა დაგჭირდებათო. ახმეტელმა სამი თვის ხელფასი მომცა თავისი ჯამაგირიდან. მომარჩინა. მერე კი, უბრალო სტატისტი, ისე დამაბრუნა თეატრში.

ასეთი იყო იგი ყოველი თანამშრომლის მიმართ. ყველამ კარგად იცით, როგორ უხმარებოდა კუბრაშვილს გაჭირვების დროს. როცა ემანუელ აფხაიძე ავად გახდა და სამკურნალო მოსყიდვა გაგზავნეს, ახმეტელი საითთაოდ იბარებდა ყოველ მსახიობს, ყოველ მუშაკს და ავალუბდა: დღეს ემანუელს შენ გაუგზავნი წერილსო. აფხაიძეც ყოველდღიურად იღებდა წერილებს. საპასუხო ბარათებს კი, ახმეტელის ბრძანებით, საპატიო დაფაზე აკრავდნენ.

აი, ასეთი გული ჰქონდა მას. ეს იყო კაცი, რომლის ძალას გრძნობდი მაშინ, როცა გიჭირდა. ეს ის ბოძი იყო, მხარში ყოველთვის რომ ამოვიდგებოდა. მაგრამ ის სასტიკი და დაუნდობელი იყო იმით მიმართ, ვინც მის ხატს, მის წმიდათაწმიდას შედლავდა. მისთვის ეს წმინდანი თეატრი იყო. დიდი ნებისყოფის წყალობით მან ისე შეგრა, ისე შეამაჭიდროვა მრავალრიცხოვანი კოლექტივი, რომ თეატრი განუყოფელ მთლიანობად გადაექცია. ხოლო, როდესაც მოინდომეს მის თეატრში ბზარის გაჩენა, ვერ აიტანა ეს და თავიღ შესწირა.

მე მინდა, რომ ეს ძვირფასი თვისებები — მშობელი ქვეყნის, მშობელი ხალხის, ქართული თეატრის დიდი, ვაკეკუერი სიყვარული, გასაცადარი აღდამიანობა, ნებისყოფა, ენერჯია, მომთხონებლობა დღევანდელმა ქართულმა თეატრმა სანდრო ახმეტელისაგან — თავისი დიდი მასწავლებლისაგან შეითვისოს.

# მალღობის გრძნობით

ვასო გოძიაშვილი

ბეჰრი მინახავს, ბეჰრი განმიცვია, ბეჰრიც გულში მაქვს ჩაბარებული და, ალბათ, მოვკიანებით დავიწყებ მეშუარების წერას. ახლა კი ვიტყვი მხოლოდ ორიოდ სიტყვას. მე სწორად ვიგონებ ბატონ სანდროს, განსაკუთრებით მსახიობური დაეჭვების მძიმე წუთებში, როდესაც გინდა, სიმართლე იცოდე შენი ნამუშევრის შესახებ. მაი იცოდა სიმართლის თქმა. ქებაზე ტუნწი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორ გვიხაროდ, როცა რამეს მოგიწონებდა. თვითონაც ძალიან უხაროდა, როდესაც ხედავდა, რომ მსახიობმა რაღაც ნამდვილს მიალადა.

მე მამა არ მახსოვს, მაგრამ იმას, თუ რა არის მამობრივი ზრუნვა, ალერსი, დატუქსავა და მრისხანებაც კი, ბატონ სანდროსაგან ვგრძნობდი წლების მანძილზე. ამის გამო მადლობის გრძნობას მე მთელი სიცოცხლე ვატარებ გულში. მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ მან მასწავლა თეატრის ანბანი, განმსაყვედრა აქტიურიული წარმატების პირველი სიტკბო თავისი პარწინავაღ, ვაკეკუერად დიდებულ „ანზორში“. მე იქ ამას ვიამაშობდი.

მუდამ მზობლავდა სანდრო ახმეტელში მისი არაჩვეულებრივი მუსიკალობა და პლასტიკურობა. ის გრძნობდა ბეჰრისა და მოძრაობის მშვენიერებას. ყველაფერი უაზრო, უსახო და სიცოცხლის სიყვარულს მოკლებული სიძულელის იწყევდა მასში. მას უყვარდა სიცოცხლე, ცხოვრებისა და შემოქმედების მშვენიერება, ტკბებოდა სიმღერით, მშობლიური ცის სილამაზით. ოცდამათეუ გაზაფხული მოვიდა მას შემდეგ, რაც აღარ არის ბატონი სანდრო და ყოველ აპრილს, ახმეტელის დაბადების დღეს, მისი საფლავი გაზაფხულის ნახი ყველგნებით მინდა შევამყო.

ბატონ სანდრო! დღეს მე გულწრფელად ვაცხადებ — ჩემი ცხოვრებაში არ ჩამიდგინა არავითარი ცოდვა. არასე წინაშე ცოდვილი არა ვყოფილვარ, მხოლოდ ჩემს სიცოცხლეში ერთხელ, 1930 წელს, როდესაც იძულებული ვიყავი დამეტოებინა შენი თეატრი, ჩავიდინე ცოდვა, რომელიც დღესაც მაწვალებს. მაგრამ რა ვუყოთ — უცხოდ არ გავერილვარ, სხვაგან, მტრებში ხომ არ წავსულვარ, მამაშენთან წავიდე ისევ. ის მაამაშენ, პაპაჩემი — კოტე მარჯანიშვილია. იმან შემიფარა და დღეს, როგორც ხედავ, ვივინებ იმ ტკბილ წუთებს, რომელიც შენ, შემოქმედების დროს, ჩემთან გაგიტარებია.

# სანდრო ახმეტელის უცხოში წერილები და სურათები

სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი მეგვიერების კვლევა საბატიო და რთული საქმეა. რთულია იმის გამო, რომ მასალები განხეულია პრესაში, მუზეუმებში და არქივებში, საბატიო კი იმიტომ, რომ ახმეტელის წერილებისა და ნაწარვის შეგროვება და თავმოყრა მრავალი გაღაუქრელი პრობლემის ახსნაში, მრავალი შეცდომის გასწორებაში დაგვიხმარება. ამით ნათელი მოეჩვენება ახმეტელის მოვლადეობის ბევრ მხარეს.

როგორც ცნობილია, ალ. ახმეტელის შრავალი წერილი და მოსაზრება უკვე გამოქვეყნებულია. მიუხედავად ამისა, ჭერ კიდევ ბევრი ფუნდამენტული წერილი, მოხსენება თუ საგაზეთო სტატია უნდა იქცეს ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომად. ამჯერად ჩვენ განვიზრახეთ ახმეტელის ორი წერილისა და რამდენიმე ფოტოსურათის გამოქვეყნება. წერილები ხელნაწერის სახით ინახება რუსთაველის თეატრის მუზეუმში.

ჩვენი აზრით, ამ წერილების გამოქვეყნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთი მხტად საკრიბოროტო საკითხის განსაზღვრებად. ზეპირი გადმოცემის მიხედვით საგამოდ ფუნდამენტული საზოგადოებაში აზრი, თითქოს რუსთაველის თეატრიდან კ. მარკანიშვილის წახვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ახმეტელის გამოქვეყნება ურთიერთობა იყო, თითქოს ახმეტელი მოსაზრება თეატრიდან მარკანიშვილის წახვლას და მისი დაგლის დასაკუთრებას. იმასაც საკმაოდ თამამად აცხადებენ, ახმეტელს ქართული თეატრის აღორძინებას საკუთარ თავს მიაჩნის და მარკანიშვილის წახვლას არაფერად თვლის. ამ გავრცელებული აზრის მიხედვით გამოდის, თითქოს ახმეტელი თავის მასწავლებელს სათანადოდ არ აფასებდა. ახეთი მოსაზრება საფუძველს მოკლებულია. უკვლად შემთხვევაში, გარკვეულ პერიოდში, უფრო ზუსტად, 1928 წელს თეატრში მომხდარ მეორე განხეთქილებამდე მსგავსი რამ არ ყოფილა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ ორი დაპირისპირებული მანაყ შეიქმნა არა მარტო მსახიობთა შორის, არამედ, რაც უკვეა ზეწვევა სიტუაციას ქმნიდა, კრიტიკოსებშიც — ამ დრომდე ახმეტელი მარკანიშვილისადმი დიდ პატივისცემასა და ერთგულებას იჩენდა. ამას მოწმობს იმ პერიოდის კვლევა დოკუმენტები.

თეატრიდან მარკანიშვილის წახვლის მთავარი მიზეზი იყო კონფლიქტი მარკანიშვილსა და კობაორაკის შორის და არა მარკანიშვილსა და ახმეტელს შორის. ახმეტელი, როგორც ერთ-ერთი რიგითი კობაორაკელი (ამ დროს იგი მორიგი მამასახლისოც არაა), ამ კონფლიქტში უმრავლესობის მხარეს იყო, თუმცა მთელ რიგ საკითხებში ცდილობდა შეენელებინა მასწავლებელსა და კობაორაკის შორის მომხდარი უთანხმოება, მაგრამ ეს არ მოხერხდა, უთანხმოება გათავითი დამთავრდა.

მარკანიშვილისა და ახმეტელის ურთიერთობის გარკვევის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას უკველი ნიუანსი. კვეთში გამოქვეყნებული წერილები

ბი აშკარად მოწმობენ იმ პერიოდში ახმეტელის დამოკიდებულებას მარკანიშვილისადმი — ქართული საბჭოთა თეატრის აღორძინების მსვეურებისადმი.

ამ პერიოდში მხოლოდ ერთხელ, თავმდაბლად, მორიდებით, აფასებს ახმეტელი თავის წვლილს ქართული თეატრის აღორძინების საქმეში: „ვსარგებლობ შემთხვევით, ვამბობ, რომ ხაზი, რომელიც მე ავიღე ქართულ თეატრში ჩემი თეატრის მოსახლისთანავე, სახეებით გამოდგა წინამორბედის იმ საერთო თეატრალურ გეზისა, რომელსაც ადგია კოტე მარკანიშვილი და რომლისკენაც მიჰყავს ჩვენი თეატრი თამამად და დიდის უნარით ჩვენს დიდებულ ხელმძღვანელს“ (გაზ. „სომელი“, 1928, № 1). ეს შეფასება სრულიად მართებულია და არავითარ შემთხვევაში არ არის გადაამტკებელი. ახმეტელის პირველი ნაბიჯები ქართულ თეატრში ნამდვილად მოსაშვადებელი პერიოდს იყო იმ დღის რეფორმისა, რომელიც მარკანიშვილმა ჩაატარა.

უბღლიაკისათვის ჩვენი წერილები პირობითად დავნომრებთ. პირველი — ბლონოსის ადამიანი მხარესა და წერილი, დაუთმავრებელია, ავლია მე-3 და მე-7 გვერდები, შეიძლება, დასასრულიც დაიკარგა. წერილი ჭვარიდანი ხაზებით წაუშლია და სუფთა მხარეს მეორე დაუწვია.

პირველი წერილი, შესაძლოა, „ლურჯის“ გამოსვლის ირგვლივ გამართული კამათისთვის იყო გამოწვეული, რომელიც გაზ. „ქართულ სიტუაციაში“ გამოართა 1924 წ. მეორე რომელიც მოხსენებისა თუ პირობითური წერილის კონსპექტი უნდა იყოს. წერილები დაუთმავრებელია, მაგრამ შეიძლება მათი დათარღობა. ბლონოსტე დასტამებულია 1928 წ. ი. ი. ფურცელი ახმეტელს 1924 წ. 29 იანვარს (ს.დ. რუჯის“ გამოსვლა) შემდეგ გამოუყენებია. წერილი სწორედ ამ თარიღისა და „ცხვრის წყაროს“ პრემიერის თარიღის მნიშვნელობას შეეხება. ახმეტელის აზრით ის, რაც „ცხვრის წყაროში“ დაამკვიდრა 29 იანვრის გამოსვლაში, უკვე დაკანონდა და თეატრის შემდეგ ამ სიმოქმედ პროგნოზად გამოცხადდა. მეორე წერილი უფრო გვიანდელია.

ეს წერილი ახმეტელს ახასად ამ გამოუქვეყნებია, ჩანს, რაღაც მოსაზრების გამო, დღეს კი ჩვენ მთავრინია, რომ მის გამოქვეყნებას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

მეორე წერილიც, სამწუხაროდ, დაუთმავრებელია, იგი დაბეჭდილია ურნალ „ზრდილიშასა“ 1928 წლის დეკემბრის თვის № 11-ში. ჭვარტრისთვის ვერ მივაკვლიეთ ურნალის მომდევნო ნომრის (იგი დეკადურად გამოდიოდა).

სურათები, რომელთაც ჩვენ აქვე ვაქვეყნებთ, ნაყოლებადაა ცნობილი და მივაჩინა, რომ ისინიც სანდრეტრის დოკუმენტებს წარმოადგენენ საზოგადოებისათვის. ეს სურათებიც დასაბუთებულად იმავე პერიოდშია გადაღებული, როცა წერილებია დათმავრებულია.

თითო დაბეჭდილია.

I

25 ნოემბერს<sup>2</sup> საზოგადოება ქართულ თეატრს გამარჯვებას ულოცავდა.

29 იანვარს<sup>3</sup> საზოგადოება ქართულ თეატრს პროტესტს უცხადებდა და უშტენდა.

რა მოხდა.

29 იანვარს არტისტთა კორპორაციის მიერ დაკანონებულ იქნა 25 ნოემბერში მომდარი ისტორიული აქტი ქართული თეატრის გადართილებისა და ახალი ფორმების შესხმისა.

როდის იყო გულწრფელი საზოგადოება.

25 ნოემბერს.

თუ

29 იანვარს

როდის იცნო თვით საზოგადოებამ თავისი თავი გამარჯვებულად, როგორც ქართული თეატრის განახლებას ზეიმობდა, თუ როდესაც იგი პროტესტით გამოდიოდა კორპორაციის წინააღმდეგ.

რატომ ზეიმობდა ჩვენთან ერთად თეატრის რენესანსს ან

რამ აიძულა იგი პროტესტით გამოსულიყო ჩვენს წინააღმდეგ.

სად არის ნამდვილი სახე საზოგადოებისა.

პასუხი მრავალია: 1) ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია ფორმა მანიფესტის, თუმცა მთელი ჩვენის არსებით თქვენთანა ვართ ახალი გზების ძიებამი.

2) ქართული თეატრი — თეატრია უშინაარსო ფორმის და მაშასადამე იგი არ არის ეროვნული სულისკვეთების გამოხატველი.

3) ჩვენ არ ვიცით, ვის ებრძვის კორპორაცია, როდესაც მოპირდაპირე არსად არის და მაშასადამე სრულიათ მიუღებელი მათი გამოსვლები და დემონსტრაციების მოხდენა თეატრში.

4) თქვენ შეურაცხეთ ქართული თეატრის ბუმბერაზნი და მაშასადამე თვით კულტურა ქართულ ერისა.

5) თქვენ განდევნეთ ქართული დრამატურგია ქართული თეატრიდან...<sup>4</sup>

მესაჭუდ გამოაცხადა თავისი თავი. ეს უდიდესი აქტია — ქართული თეატრის ისტორიაში. ქართული თეატრი და მასთან არტიტი დღიდან დაარსებისა მუდამ სხვისი ოპეის ქვეშ იღება.

ერისთავის დროს, მას ოპეუნებდა ვორონოვი, შემდეგ თავდაზნაურობის მარშლომა, დრამატული გამგეობა და მრავალი სხვა თეატრთან არავითარი კავშირის მქონე პირი.

29 იანვარს თვით თეატრმა და თვით არტისტმა სთქვა თავისი მკვეთრი სიტყვა.

საზოგადოება მიურვევლი ასეთ არაჩვეულებრივ ამბავს თეატრში, კიდევაც მართალია.

მომრ<sup>5</sup>, 25 ნოემბერი კი არ არის გაცურვა ქართული თეატრის, არამედ დასაწყისი ახალი ეპოქის ქართული თეატრისა. შემდარია ის ვინც კოჭერობს, თითქმის ქართული თეატრი 25 ნოემბერს მხოლოდ გამოცურდა, რომ მან, რაც კედება, სული მოიღდა და გაჯანსაღებული გამოჩნურდა.

სრული შეცდომაა.

ის, რაც კედებოდა 25 ნოემბრამდე, ის სამუდამოთადად თავად მოკვდა თეატრალური თვალსაზრისით, მან ლოლიკურად დალია სული<sup>6</sup>.

25 ნოემბერს არავითარ გამოცხადებას ადგილი არ ჰქონია.

1850 წ. ორი იანვრიდან<sup>7</sup> 25 ნოემბრამდე აი ერთი თარიღი. 5 ნოემბერი, 29 იანვარი და შემდეგ აი მეორე ისტორიული თარიღი ქართული თეატრისა.

ერთი ეპოქა ქართული თეატრისა, რომელიც დაიწყო 1850 წ. 2 იანვარს, დასრულდა და ჩაემაღა ისტორიულ ნაოჭებს 25 ნოემბერს.

25 ნოემბრში დაიწყო მეორე ეპოქა — გზა მისი რთული და ძნელია.

29 იანვარი იყო მხოლოდ პანაშვიდი ერთი ეპოქის და ნათლობა მეორეი ახლის<sup>8</sup>.

და აქვე ირღვევა ერთსულვებება საზოგადოების და ხდება აფეთქება ამა თუ იმ ნაწილების და პიროვნების.



საზოგადოება 25 ნოემბერს ზეიმობდა იმიტომ, რომ იგი თეატრის გამოცხადებას თაყვანს სცემდა.

იგი შეცდ თავის შემცენებაში.

საზოგადოების ნაწილი ღელავს, პროტესტს აცხადებს მას შემდეგ, როცა ეგოთ თუ რა მოხდა 25 ნოემბერს.

1

2 იანვარი-25 ნოემბერი დიდი ისტორიული ეპოქა ქართული თეატრისა — მრავალი ბრწყინვალე პერიოდებით. იმს დაიწყო მისი მთავარი.

2

25 ნოემბერი, 29 იანვარი და მომავალი, რთული პასუხისმგებელი დასაწყისი დიად ეპოქისა, იგი დაიწყო კოჭე მარჯანიშვილი.

და როგორც ახალი ეპოქა, როგორც პირველი იწვევს საზოგადოების ნაწილის აღელვებას, იწყებს დავას და მზარდ გაუგებელ აღშფოთებას. ეს ასეც უნდა იქნას. მოვლენა მეტად რთულია. საკითხი მეტისმეტად სერიოზულია; ასე რომ მის გასაშუქებლად საჭიროა უფრო მეტი დაკვირვება და დალაგებით გამოჩვენება ყველა იმისა, რაც იყო და რაც მოხდა...<sup>9</sup>

დრამატურგია — ჰქმნის ახალ თეატრს

შეიძლება თუ არა შეიქმნას ძიების თეატრი — ანდა სწარმოებდეს ძიება ახალ თეატრზე საქართველოში მაშინ, როდესაც ახალი დრამატურგია არ აქვს.

დრამატურგია ჰქმნის ახალ თეატრს. ფაქტები — სამხ. თეატრი...<sup>10</sup>

არის თუ არა თეატრი დამოუკიდებელი ხელოვნება.

რა ახასიათებს თეატრს, როგორც დამოუკიდებელ ხელოვნებას, მისი აუნიკლამელი ბატონობა I — არის მოქმედება, II — განსახიერებელი მოქმედება.

რით?

სიტყვით. და არა მარტო სიტყვით, სულიერი განცდით, სულით და ფიზიკით.

დრამა უმოთვრესად ლიტერატურული ნაწარმოებია. იგი

თამარ ჭავჭავაძე, სანდრო აბშეტელი და აკაკი ხორავა



ს. აბშეტელი, ა. ხორავა, დ. ჩხეიძე, თ. ჭავჭავაძე, ნ. გოციოძე, მ. ნემო

ხდება თეატრალური მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი თეატრალურ ხასიათს იღებს.

დრამა უთეატროდ მხოლოდ სიტყვაა — სიტყვა უფასო. მეორე ატრიბუტი — თეატრალიზა — რომელიც ფერ-შია — და ყველასათვის თანდაყოლილია, ამიტომ გადაჭრით დღეობს, რომ დრამა ჰქმნის თეატრს მაინც არ არის.

1. მოქმედება
2. თეატრალიზა

კრედი ჰქმნის ახალ თეატრს, მაშინ როდესაც მისი მსგავსი დრამატურგია არ არსებობს.

ისტორიული მისია ქართული თეატრისა

ქართული თეატრი იწყება მაშინ, როდესაც ქართული დრამატურგია არ არსებობს.

ქართული თეატრის 2 უდიდესი პერიოდი მომწიფდა მაშინ, როდესაც დრამატურგია სუტით იყო.

მთელი ვასო აბაშიძის პლეადა იყო უქართულ დრამატურგიით. არც ერთს მაშინდელ დრამატურგს თეატრზედ ამსოლუტური გავლენა არ ჰქონია. ასეთივე მისია აქვს ქართულ

თეატრს დღეს, იგი გაუკავიანს გზას ქართულ დრამატურგიაზე ახალ დრამის შესაქმნელად.

2

შეიძლება თუ არა ახალი ფორმების გადმოტანა საქართველოში, მაშინ, როდესაც საქართველოს სინამდვილე, მისი ობიექტური პირობები ხელსაც არ უწყობენ. მაგ. ექსპრესიონიზმი, და სხვა.

ასევე შეიძლება ითქვას სიმფოლიზმზე, რეალიზმზე, შეფეფერებოდა სავსებით საქართველოს სინამდვილეს.

ქართველი ადამიანი — საქართველოს ერი — ევროპის კულტურა. ცვლილება პსიხიკის და სხვა.

შორაპანი — ტფილისი, ტფილისი და პარიზი. ფრანგი — პროვინციელი, ფრანგი — პარიველი, თბილისელი — ფრანგი — პროვინციელი.

3

მომავარი იდეური ძარღვი მომავალ თეატრის

რას უნდა ემსახურებოდეს თეატრი როგორც იდეური ხელოვნება ერის კულტურისა.

მსოფლიო პრობლემებს  
ერის პრობლემებს

შეუძლია თუ არა საქ. თეატრს ამის საკითხს დაუკავშირდეს?

შეუძლიან

არის თუ არა ქართული თეატრი ერთგული თუ იგი ამ პრობლემების განსახიერებას შეუძდა.

როგორი უნდა იყოს მომავალი ძიების თეატრი, ანუ უკეთ — რა სახელმძღვანელო პრინციპებით იწყებს იგი ძიებას თავის დარგში.

ჩვენთვის არსებობს სამი პრინციპი  
პრინციპი — არტიზტის

როგორი უნდა იყოს იგი?  
პრინციპი თეატრის არაქმპტუნის

მისი ტექნიკური დანაწილება — სცენა-დარბაზი  
საკითხი — სინაღლის  
მსსამე ფორმის პრინციპი

რამდენათ ახალი პრობლემის განსახიერებაში გამოპლუს

კოლექტიური სულისკვეთება, კოლექტიური ნებისყოფა, კოლექტიური დინამიკა.

საჭირო შეიქმნა განსახიერება მასისა — არტისტი — მასსელი — კოლექტივი

1

არტისტი რეალისტურ თეატრის, არის ხელშეწყობა განმეორება სცენაზე იმის, რასაც ხედავს იგი მუდამ ცხოვრებაში — მიზანია — მისი სინამდვილის გადმოცემა.

მისი შემოქმედების უნარს — უკვე საზღვარი უდევს. ჩვენთვის კი არტისტი — განსახიერება, იდეური გაგრძელება სინამდვილის (искусство в образе, идейное продолжение жизни).

პრობლემების მიხედვით, რომელსაც თეატრი ისახავს ახლა, მითხზავს არტისტს (многогранный) არტისტი უნდა იყოს...<sup>11</sup>

აი ჩვენი მომავალი თეატრის მომავალი მსახიობი.

2

არხიტექტონიკა თეატრის

კაცუნებს (იხ. ჩო. დღე ქარვასლაში...)<sup>12</sup> თეატრს აკმაყოფილებდა — არსებული ყუთი.

სამხ. თეატრს ალბათ არ მოსვლია...<sup>13</sup> ახალ პრობლემებს მოაქვს ახალი არხიტექტონიკა ახალი პერსონაჟების შემოყვანით. ჩვენთვის მისი გადაგვარება-შეცვლა აუცილებელია. როგორ და როდის ამას მუშაობა დაგვანახებს.

3

ზოგადი ფორმის პრინციპი

ინდივიდუალურ ფორმიდან — კოლექტიურ მასიურ ფორმის ძიებისაკენ.<sup>14</sup>

დასასრული

ხანა აბეკუნების, შინაურობის, რვერანსების, დილექტანტობის ქართულ თეატრის მოკვდა 29 იანვრიდან. დიპლომის შრომის, უნარის, პროფესიონალიზმის ბრძოლის ხანა.

თეატრში შეიქმნა ახრთა ბრძოლა — თეატრალურ შორის — შინაურ ჩურ-ჩურ-კურ-კურის პირადული ინტრიგების გარეშე.

ბრძოლა კულტურული. ლობიერების ხანა მოისპო. ბრძოლა სასტიკი დაუნდობელი. ასე იქმნება კულტურა — ერის სადიდებელი.

შენიშვნები:

- 1 წერილი ინახება რუსთაველის თეატრის მუზეუმში № 236.
- 2 ლოპე დე-ვეგას «ცხვრის წყაროს» პრემიერის დღე.
- 3 კორპორაცია «დურუქის» მინიფესტივის საჭირო გამოქვეყნების დღე.
- 4 დედანს ამის შემდეგ აკლავ ერთი გვერდი.
- 5 როგორც ჩანს, დაკარგულ ფურცელზე იყო პირველი დებულება.
- 6 აქ ამბეტელი გულისხმობს ძველი ქართული თეატრის იმ სახეს, რომელსაც იგი არასოდეს არ იზარებდა.
- 7 გ. ერისთავის მიერ პროფესიული თეატრის აღდგენის თარიღი.
- 8 ამაში არ არის ამბეტელი მართალი, ქართულ თეატრს ჰქონდა მისაბამიც, რომელიც ტრადიციულად მიიღო ახალმა თეატრმა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამბეტელი ამჟვე წერილში ძველი ქართული თეატრის ბრწყინვალე პერიოდსაც შეეხება.
- 9 წერილი იმავე ნომრით ინახება რუსთაველის თეატრის მუზეუმში.
- 10 ვინაიდან დედანი ფაქტობაა შესრულებული და გაფერმკრთალებულია, ორი სიტყვა არ იციხება.
- 11 დედანში აქ თავდება გვერდი ისე, რომ ფრაზა არ არის დასრულებული.
- 12 დედანში სიტყვა დაზიანებულია და არ იციხება.
- 13 აქაც სიტყვა ვერ ამოვიკითხე.
- 14 აქედან გამომდინარე, ამბეტელი თანამედროვე თეატრში მოვარსაკიხებად ანამბულარ თეატრის საკითხს მიიჩნევს.



სხედან: მ. საფაროვა-აბაშიძე, შ. საფაროვა, დ. დანან, დ. ჩხეიძე, კ. მარჯანიშვილი, ი. ზურაბიშვილი, ს. ამბეტელი.



# სანდრო ახმეტელის საჯარო გამოსვლები

საპარტამენტოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ არქივში არსებულ დოკუმენტებს შორის შემორჩენილია სანდრო ახმეტელის საქარო გამოსვლების ტექსტები, რომლებიც მისი მოღვაწეობის მრავალმხრიობას ადასტურებენ.

პირველი დოკუმენტი დაცულია ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ფონდში (ფონდი № 2, აღწერა № 2, საქ. 105) და დათარიღებულია 1933 წლის 30 სექტემბრით. იგი წარმოადგენს ამავე სამმართველოს სახვითი ხელოვნებისა და მუსიკალური განყოფილების მეორე სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშს. აღნიშნულ თათბირზე განიხილებოდა შემდეგი საკითხები: თეატრი და დრამატურგია, თეატრის ფინანსური გეგმები, რაიონული თეატრების მდგომარეობა, საოპერო თეატრი, კომპოზიტორთა კავშირისა და ფილარმონიის

მუშაობა. ამ სხდომაზე სიტყვებით გამოსულან კ. გამსახურდია, ა. წუწუნავა, მ. ქორელი, დ. არაყიშვილი, ალ. ახმეტელი და სხვები.

მეორე დოკუმენტი დაცულია საქართველოს მხატვართა კავშირის ფონდში (ფონდი № 10, აღწერა № 1, საქმე № 43) და დათარიღებულია 1934 წლით. იგი წარმოადგენს დისკუსიის — „ქანდაკება და გრაფიკა გამოყენაზე“ — მეორე სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშს. დისკუსიის მონაწილეობდნენ: ლ. გულაშვილი, დ. კახაბაძე, კ. სანაძე, ალ. ახმეტელი და სხვები.

მკითხველს ვთავაზობთ სანდრო ახმეტელის აღნიშნული გამოსვლების ტექსტებს მცირეოდენი შემცირებებით.

ნინო ქიქოძე

## სიტყვა სელოვანის საკითხავისაჲში მიკვნილი თათბირის სელოვანე 1933 წლის 30 სექტემბერს

ამხანაგებო! სახალხო განათლების მინისტრმა აქ თეატრალური ფრონტის ბევრი საკითხი დააყენა, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მითითებები ნათელია, თითქოს

დადა დრო, რომ სხვაგვარად ვიფიქროთ და სხვაგვარად ვიმოქმედოთ. მაგრამ აქ, ამ დარბაზში კონკრეტულ საუბარს შეჩვეული არ არიან, რადგან განყენებული, აბსტრაქტული

საუბარი გაცილებით უფრო ადვილია... ჩვენს თეატრალურ ფრონტზე კონკრეტულ მუშაობას, კონკრეტულ ნაფიქრ-ნაწარვს ვერ ვხედავთ.

უნდა გავსვოდეს, რომ არსებობს კონკრეტულად რუსული საბჭოთა ხელოვნება, ქართული საბჭოთა ხელოვნება, უკრაინული საბჭოთა ხელოვნება, ბელარუსული საბჭოთა ხელოვნება და ა. შ. აქ, ამ დარბაზში, არ იყო კონკრეტული საუბარი ქართულ საბჭოთა ხელოვნებაზე, ზოგადად ყველაფერზე ვლაპარაკობთ, რეჟისორისა და დრამატურგის ურთიერთდამოკიდებულებაზე, ვინ უნდა იყოს წამყვანი — დრამატურგი, რეჟისორი, თუ არტიტი და ა. შ. მაგრამ არაფერს ვამბობთ კონკრეტულად ქართულ საბჭოთა ხელოვნებაზე. აქ ითქვა — თეატრი ლიტერატურისა და სიტყვის ესტრადააო. ამგვარი თეატრი არც ყოფილა და არც იქნება. მინდა განვაცხადო, რომ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკით ხელოვნებაში თეატრს წამყვანი როლი ეკისრება. სპეციალური დადგენილებით რომანების, მოთხრობების და ხოველების კონკურსი კი არ გამოცხადდა, არამედ თეატრებისათვის გამიზნული პიესებისა. თურმე ნუ იტყვიან, — აქ ითქვა, — მიწერაღეს შორის ყველაზე უსუსტი დრამატურგი ყოფილა, რომელსაც თეატრმა უნდა ასწავლიოს თავისი საქმე და მაინც, დრამატურგი უნდა იყოს წამყვანი თეატრში. თურმე, დრამატურგს მე უნდა ვასწავლო წერა და მერე ის უნდა იყოს ჩემი წამყვანი? რას არ გაიფრთხის კაცის ყური!

თქვენ კარგად მოგხსენებთ, რომ თეატრი საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკაში თვალსაჩინო როლს თამაშობს... მინდა მოგახსენოთ, რომ მოსკოვსა და ლენინგრადში ჩვენ უბრალო სტუმრებად არ ჩაესვლივართ და ამიტომ, ზრდილობისათვის რადი ვუქვივართ. ჩვენ ჩავედით ოლიმპიადაზე, რომელიც წინადადლზე — პირველზე რთული იყო. საქმე ისაა, რომ ოლიმპიადა უცხოელი სტუმრებისათვის იყო ორგანიზებული და მასში მონაწილეობისთვის ოთხი თეატრი მიიწვიეს. ამ ოლიმპიადაზე საზღვარგარეთული სტუმრები — შვედურები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები ჩვენმა მთავრობამ მიიწვია. და აი, ამ ოლიმპიადაზე ოთხი თეატრიდან მხოლოდ რუსთაველის თეატრი მიიწვიეს უცხოეთში საგასტროლოდ. ეს მიწვევა მე ახს. განათლების მინისტრს გადავეცი. ამგვარად, ასეთი მიწვევა სხვა არაერთი თეატრს არ მივიღა. ჩვენმა პარტიამ მოგვცა სასებით მართებული მითითება, რომ განვავრცოთ ჩვენი სოციალისტური თეატრის მშენებლობა. ჩვენს წინაშე მრავლის უმრავლესი გადაჭურული პრობლემა დგას. როგორც ძველ ბურჟუაზიას რაიმე საკითხის გადაჭრა უნდებოდა, იგი ბერლინში ან პარიზში იქებდა ხსნას, იმას, რაც სჭირდებოდა. მაშინ წამყვანი ევროპული კულტურა იყო, ასევე კი ჩვენში წამყვანი პროლეტარული კულტურა და საქმეს თეატრი აქვე, სამედ გაუსვლელად უნდა მოგვადო, ჩვენს პროლეტარულ კულტურას ჩვენ აქვე, ჩვენში ვქმნით, მაგრამ გასარკვევი ისაა, რა წყაროებით უნდა ვკვებოთ, რაზე უნდა დავაფუძნოთ იგი... პარტიის დადგენილებით, გუშინდელი კერძო მიწის მუშა შემოღებულ კოლმეურნეებ გადაიქცევა. რა კაცი იქნება იგი? როგორ ჩამოყვავილობით მისი კულტურა, რა

წყაროებით ვკვებთ იგი, რა ფორმები შევიმუშავოთ საამისთვის?

მოსკოვშიც მჭონდა ამ ახალ ადამიანზე საუბარი. იგი პროლეტარიატის მხარდამხარ მიამიჯვებს. პროლეტარიატს ჩვენ ვიცნობთ, ჩვენ მისი გვესმის, მაგრამ როგორ მივუდგეთ ამ ახალ ხასიათს — კოლმეურნეს, როგორ წარმოვსახოთ იგი სცენაზე? თქვენ არ გინდათ ამ საკითხის აღძვრა, არა და, ეს არსებითი საკითხია. მე, რეჟისორმა, არ ვიცი როგორ გამოვხატო, რა ფორმით ეს ხასიათი... არადა, ინტელიგენციამ უნდა იფიქროს თუ ვინ არის კოლმეურნი, როგორი ფორმით წარმოვსახოთ ეს ახალი შინაარსი. ახლა ზაფხულობით ინტელიგენცია და პროლეტარიატი სოფლად ჩადის დასასვენებლად, მაგრამ ზამთარში, როცა ნაკლები სამუშაო ექნებათ, კოლმეურნეები ქალაქში, ცენტრში ივლიან, დაისვენებენ და პროლეტარულ კულტურას ემხიარებიან. როცა ეს კოლმეურნი კარზე მოგვადგება, მინდა ვიკოდე, რას ვაჩვენებთ მას? მინდა ვკითხო წამყვან დრამატურგებს, როგორ ესმით, როგორ წარმოუდგენიათ ეს ამაგი. მე მგონია, ჩვენ ჯერჯერობით სათანადოდ არა გვაქვს წარმოდგენილი, თუ როგორი იქნება ხელონიდელი კოლმეურნი.

ჩვენში არაივნი წერს, თუ როგორ მვლანდებდა ნაციონალური ფორმა თეატრში, ლიტერატურაში და ა. შ. ამ საკითხებზე მოსკოვში თვარს წერენ. მოსკოველი ავტორები წერენ ქართულ ეროვნულ თეატრს და სხვა ეროვნულ თეატრებზე, მაგრამ ჩვენ თითონ ქართულ ეროვნულ თეატრზე არ ვწერთ. ჩვენ ნაციონალური ფორმა ეთნოგრაფია გვეჩინა. არასდინდეს არ წერენ ქართულ ეგზოტიკაზე, როგორც ჩვენში. ზოგიერთებისთვის სხანგიე მხოლოდ ეგზოტიკაა. ეთნოგრაფიისა თუ ეგზოტიკის საკითხები, თავისთავად, ძალზე საინტერესოა და ისინი ცალკე უნდა განვიხილოთ. როცა გურულები „ალ-ფაშაში“ მღერაან, ეს ეგზოტიკაა, ეთნოგრაფია? ჩვენი შემოქმედებითი ანგარიშების დროს გვიხდებოდა წარმოგეჩინა ყველა ელემენტი, რომლებსაც ეფუძნება რუსთაველის თეატრი, უცხოელი სტუმრებიც გვესწრებოდნენ. როცა ჩვენებმა გურული სიმღერები იმღერეს, ერთმა ცნობილმა ფრანგმა კომპოზიტორმა მკითხა — გვითარგმნეთ, რას მღერაანო, ალბათ, გავაჭეუებთ, ამისთანა სიმღერებს ხალხი ვერ მტყმნისო, მე უკანასკნელ, თეატრის ხელმძღვანელს ვარ და ტყუილების თქმა არ მეხერხება-მეთქი. სხვა სიმღერაც ვიმღერეთ და ის კომპოზიტორი გვეუბნება, — რასაც თქვენ მღერით, თუ მართლა ხალხური მუსიკაა, მეცნიერებამ და ტექნიკამ თქვენს წინაშე მუხლი უნდა მოიყაროსო. ჩვენს ინტელიგენციამ მაგანს და მავანს ეს მუსიკა ეგზოტიკა ჰგონია. ჩვენ სხვაგვარად ვფიქრობთ. ერთი სიტყვით, უზარმაზარი ამოცანის წინაშე ვდგავართ. ეს ამოცანაა კულტურული მემკვიდრეობის ათვისება, ამ მემკვიდრეობის შემდგომი განვითარება. ჩვენ უნდა ბოლომდე დაღრმად გავაგვიანოთ, თუ რა არის სოციალისტური რეალიზმი. იგი ხშირად იმეორდება მემკვიდრეობის გარეშე არ არსებობს. ეს უნდა გავასოვდეთ. რუსთაველის თეატრისთვის სოციალისტური რეალიზმი, უწინარეს ყოვლისა, რადა თქმა უნდა, სოციალისტურ პეროიკას გულისხმობს. ჩვენ ყოფიას, თავისთავად, არც აგსანად. ჩვენ ყოფიანი პერიოკას

ვემბეზები და არა ჰეროიკაში ყოფას, ჩვენ ჰეროიკა ყოფაში გვე-  
გულვის და არა ყოფა — ჰეროიკაში, ჩვენ ამ აზრს ვიცავთ და  
ვაეხმარებით. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ შეგვიძლია თეატრში  
ყოფის ჩვენება, რადგან ჩვენ განსაკუთრებული თეატრი ვართ.  
თქვენ პიესებს წერთ ჩვენი თეატრისათვის და, ინაძრულად  
სრულიად გულდამხედვლებით ეძებთ სხვა თეატრებსაც თქვენი  
პიესებისათვის. თქვენ ისე წარმოგიდგინათ, თითქმის თეატრებს  
შორის არც არავითარი განსხვავება არ იყოს და ძალიანაც ცდე-  
ბით. ჩვენ გამოკვეთილი სახის თეატრი ვართ და ჩვენ ჩვენი  
საკუთარი დრამატურგია უნდა გვკონდეს — ჩვენს დრამატურ-  
გიას თავისი ხელწერა, თავისი ტექნოლოგია, თავისი კონსტრუ-  
ქციის უნდა უქონდეს, მაგრამ სოციალისტური ჰეროიკის თე-  
ატრის შესაქმნელად, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იმ მეთო-  
დოლოგიის პოვნა, რომელზეც დამყარებული იქნება მიზანს.  
მოდი, ვისაუბროთ ამ თეატრალურ მეთოდოლოგიაზე, რატომ  
მიიღო რუსთაველის თეატრმა ასეთი სახე? იმიტომ, რომ მან  
შეიმუშავა თავისი ტექნოლოგია, მან შეიმუშავა, დაისახა თა-  
ვისი სხვათაგან განსხვავებული მიზანი. რუსთაველის თეატრი  
პირველთაგანია, როცა თქვენს წინაშე, აგრეთვე მოსკოველი და  
ლენინგრადელი საზოგადოებრიობის წინაშე გამოიხსნა იმით,  
რაც შექმნა. ჩვენ გავიარეთ გამოცდა და შევიძლია ვთქვათ,  
რომ სირცხვილი არ გვიკავია. ჩვენ 75.000 მაყურებელმა გენა-  
ხა. მთავარი ის კი არაა, გვაქვსდნენ თუ არა, მთავარი ისაა,  
რომ ჩვენი მეთოდოლოგია (მიღების „ყაზალდები“) მაყურებ-  
ლისთვის მისაწვდომი გავხადეთ ქართული არმოცნობილ მაყუ-  
რებლებს ისევე ისდნენ ჩვენს სპექტაკლებზე ღამის პირველის  
ნახევარზე, როგორც ჩვენში სხედან. რითი მივალწვიეთ ამას? იმი-  
თ, რომ ჩვენი საკუთარი მეთოდოლოგია შევიძლია ვთქვათ, გამოე-  
კვეთეთ და იმით ვმუშაობთ. ვისაც ჩვენთან მუშაობა უნდოდა,  
მუშაობდა კიდევ, უბრა აზრისთვის გვიქვამს, დრამატურგე-  
ბთან ცუდი ურთიერთობა არასოდეს გვექონია. პირველად იცდა-  
ქვს წელი შევექმნით რუსთაველის თეატრში დრამატურგე-  
ბის გაერთიანება, რომელიც შემდეგში დიმიშალა. არ დარჩე-  
ნილა დრამატურგი, რომელიც ჩემთან არ მოსულყვის და  
რომელთანაც მე არ მივსულვარ და შეუხვეწნობდი. რამე მომე-  
ცი-მეთქი. ასლა მე თქვენ გვეითხებით — როგორ მოვიქცეთ,  
რა გზით წავიდეთ?

ჩვენ ვამბობთ, რომ რუსთაველის თეატრმა ერთი შემოქმე-  
დებითი პერიოდი დაამთავრა. „ნი ტირანოსისა“ დღემდე ჩვე-  
ნი მუშაობის მეთოდი შევამოწმეთ. პარტიის ორგანომ, „პრაგ-  
მაში“ აღიარა, ეს ნამუშევარი სანიშნოა და მიხვან უნდა ვის-  
წავლით. ჩვენ გავასრულეთ პირველი პერიოდი... თეატრი  
ორგანული მოვლენაა და დაისვა სტუდიის საკითხი. ჩვენ შეე-  
ქმნით სტუდია, რომელიც არსებობს 1927 წლიდან. დრამა-  
ტულ ფაქულტეტთან ერთად გვაქვს ქორეოგრაფიის ფაქულტე-  
ტიც, რომელიც საქმეს ვერ უძლებს. კოლხისური ქორეო-  
გრაფიული მასალა გვეუბება. გამოჩნდა ერთი კაცი — მე მას  
გმირს დავარქმევდი — დავით გარეიშვილი, ვინც ხელი მოა-  
კიდა ამ მასალის შესწავლას. გაავსენით მუსიკალურ-ინსტრუ-  
მენტული ფაქულტეტიც. ჩვენ გვიჩნდა ამ სამი ვეშაპის —  
მუსიკის, ქორეოგრაფიული მიმართობის და სიტყვის — ზურ-  
გზე დაემდგაროყავით. ცდება ის, ვისაც პოინია, რომ სიტყვის

სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდით. ჩვენ ვქმნით ქართული  
ფორმაიის მსახიობებს.

ამ გზით პირველი პერიოდი რომ განველეთ, მეორე პერი-  
ოდში გადავდეთ და დაისვა რეპერტუარის პრობლემა. რე-  
პერტუარის პრობლემა თეატრში ძველი პრობლემაა. რასაკვი-  
რვლია, საქმე პიესების მობრუნებებით არ ამოიწურება. რე-  
პერტუარის საკითხი თეატრის შემოქმედებითი პრინციპის  
საკითხია. საჭიროა, რომ ჩვენი რეპერტუარი ხუთ უმთავრეს  
მიმონტს გულისხმობდეს: ისტორიულ-რევოლუციური, კლასი-  
ციკურ-ეპოპული, ძველბრძნული, ხალხური თეატრალური  
პიესები და ამათი დავიერგვინება — სოციალისტური რეპერ-  
ტურა.

სოციალისტური რეპერტურა უნდა იყოს ის სინთეზი,  
რომელიც მოიცავს ისტორიის ყველა მხარეს. დასავლეთეპო-  
პული კლასიციზმისკენ იმიტომ ვიღვებით, რომ კლასიკური  
სხასათები არა მარტო საკუთარი თავის გამოვლენის საშუა-  
ლებს ვაძლევს, არამედ იმის საშუალებასაც, რომ გავიანზ-  
როთ რევოლუციური მოძრაობის ისტორიული პერსპექტივები.  
ჩვენ ძველბრძნული კლასიციზმს იმიტომ ვისწავლით, რომ  
ქართულსა და ბერძნულ თეატრალურ ჰეროიკას შორის ბევრი  
რამაა საერთო. ჩვენ სახალხო-თეატრალურ ფორმებს იმიტომ  
ვერთვებით, რომ იგი გვაძლევს ფუნდამენტს, რომელიც  
ორგანულად გვაკავშირებს ჩვენი ხალხის განვითარების პერს-  
პექტივებთან. თეატრთან არაფერი უსაქმობა იმას, ვინც წი-  
ნასწავთ ვერ განსტერებს თეატრის პერსპექტივებს.

ჩვენ შევდით მეორე პერიოდში. ჩვენ პირველ პერიოდში  
დავდეთ მიღობი. არ დავიგდებამ „კამლეტი“. ჩვენ ვფიქ-  
რობთ, რომ ყველაფერი „კამლეტიკურა“ მიდის, შიღვრით და  
თვით შექსპირიც კი. ესაა საფუძვრები, რომლებზეც თანდათან  
აღიხარ. ჩვენ თუ კამლეტიკად ვაღწვიეთ, ეს უკვე ჩვენი რეპ-  
ერის მესამე ხუთწლიანი იქნება. ბერძენ კლასიციზმს თაც შე-  
ქნება — ეს დღი საკითხია. უნდა გადაწყვიტო პრობლემა, თუ  
როგორ მიუდგეს საბჭოთა თეატრი ამ კლასიციზმს. მხოლოდ  
სპექტიკლის ჩვენება არ გმარა. საჭიროა სპექტიკალიზ დიდი  
შემოქმედებითი პრობლემის გადაწყვეტა.

ერთი ხანი იყო, თეატრს თუ იდეოლოგიურად გაპარტოლ-  
ბული რეპერტუარი აქვს, ყველაფერი წიღირგამია. სცენაზე  
იდეოლოგიურად მისაღები პიესა თუ მიდის, სანტეგრესოა,  
შეარამ როგორ იყო დღემდე ეს პიესა — არავის აინტერე-  
სებდა. ჩინებულადაც რომ გეთამაშა კონტრკოლუციონერის  
როლი, მაინც გლანდავდნენ. უნიჭოდაც რომ გეთამაშათ და-  
დებითი გმირის როლი, გაქმდნენ. ეს პერიოდი უკან დარჩა.  
ასლა თქვენ შევიძლიათ ძალზე დიდი მნიშვნელობის პიესაც  
დავდეთ, მაგრამ თუ მას მსატერულად სრულყოფილ ფორმას  
არ მიანიჭებთ, არაფერი გამოვიტათ...

ჩვენი მაყურებელი დიდ ემოციურ დაძაბულობას უნდა  
გრძნობდეს სპექტიკალზე. სოციალისტური რეალიზმის მიზან-  
დასახულება ეს გახლავთ. სხვაგვარად სოციალისტური რეა-  
ლიზმი სოციალისტური რეალიზმი არ იქნება. მე ვაღვლებული  
ვარ გარკვეული მიზნების წარგმართო ემოციები. ეს იდეები,  
ცხადია, საბჭოური იდეები იქნება. მე თუ აშვარ ემოციას მი-  
ვალწვი, მამასადამე, სოციალისტური რეალიზმისათვის მიმიღ-

წვეია. აი, ამოცანა უსაა. ჩვენ ვამბობთ, რომ ამისთვის საჭიროა სრულიად ახალი მსახიობი, საჭიროა ახალი შინაარსი, ახალი მეთოდი და სრულიად ახალი ფორმა დრამატული თეატრისა. აი, რა გვეჩივლება — ახალი ფორმა, ახალი შინაარსი. მე ვამბობ, რომ ჩვენ ახალ შინაარსს ძველი ფორმით წარმოვსახავთ, აი, რა არის მიუღებელი... ჩვენ გვეჩივლება თეატრის შესატყვისი დრამატურგია. ჩვენ გვინდა ახალი ფორმა დრამატურგისა, ახალი, ახლებური კონსტრუქცია დრამატული ნაწარმოებისა. ამიტომ, დრამატურგია ჩვენ უნდა გვაღიაროს და ჩვენთვის წუროს, ან არ უნდა გვაღიაროს და არ წუროს ჩვენთვის. როცა ამბობენ, ახმეტელი ჩვენ არ გვაღიარებს და აიძულებს იგი ჩვენი პიესები დადგასო, — სრული აბსურდია. მომეცით, მომეცით პიესები და დავდგამ. მაგრამ მთავარი ეს არაა. როცა მთელი გარდასახეთ, გადავაყვებით, არავინ შემოგვადგვია, მაგრამ როცა ჩვენს დრამატურგს ვთხოვთ გადავაყვით პიესა, ერთ ამბავს ტყუას. ჩვენ დრამატურგს ვუბრუნებთ, რომ, ჩვენის აზრით, ასე და ასე აჯობებდა ჩვენი თეატრისთვის, ჩვენი მიზნისთვის ასე და ასე უმჯობესი, და, თუ შეუძლია, გადავაყვით პიესა. ჩვენ ვინმე ვაიძულებთ, რომ უნდა და თუ არ უნდა, გადავეყვინება თავისი პიესა?

... აი, რა მინდა ვთქვა სიტყვის დასასრულს, 1916 წელს პეტერბურგში ვსწავლობდი, სტუდენტი ვიყავი, როცა თბილი-

სში ჩამოვედი. თეატრის შენობასთან მივედი და რას ვხედავ: ზოგი მსახიობი აუზთან ზის, სხვები სადარბაზოსთან დგანან, რას ელოდებით-მეთქი, კითხვ. ჩვენს ჰედერს ველოდებით, იქ, მაღლა წყდება ახლა ჩვენი ბედიო. ვინ წყვეტს-მეთქი, ახლა ეს ვიკითხე. თურმე, ადვოკატი ბარათაშვილი და პრისტივი ერისტოვი წყვეტდნენ მსახიობების ბედს. იქ, ზევით, არცერთი თეატრალური მოღვაწე არ აღმოჩნდა. მსახიობები ძველად უფლებო ხალხი იყო. 1923 წლიდან, „დურუქის“ შექმნის დღიდან ვითარება იცვლება. მეურვეობამ ჭირი მოგჭამათ. ახლა ეს ბევრს არ მოსწონს და ხშირად გვემისს, ეს რა ბარიერია აღმართული რუსთაველის თეატრში, რომ კაცს ვერ გადაუხიჯებია, შევივინ რეპეტიციებზე, რატომ არ გვიშეშებენო. არა და არა, არ შევიშებთ. განა, როცა თქვენ წურო, ქმნით თქვენს ნაწარმოებებს, გვიშებთ თქვენს სამუშაო კაბინეტში? რადა თქმა უნდა, არ შევიშებთ. აი, ზოგ-ზოგებს ის აცხარებთ, რომ მეურვეობას უკვე ვერ გოწვენ. მაგრამ ამას ვერასოდეს მოესწრება. ნურავის ჰკონია, რომ რუსთაველის თეატრში მოვა და რასაც უნდა, იმას გააკეთებთ. თეატრის შემოქმედებითი ბედი თვით თეატრალური მოღვაწეების ხელშია. ჩვენ ეს უფლება მოვიპოვით. ამ უფლებას არავის დავუთმობთ. ვისაც ეს არ მოსწონს, ომი გამოვიცხადოთ. ჩვენ შეჩვეული ვართ ბრძოლას და ჯერჯერობით ვიმარჯვებით კიდევ.

## სიტყვა ღისაუბრა „ქალაქი და ბაიოჩა ბაიოჩაზე“

ამხანაგებო! მე მინდა ვილაპარაკო, როგორც უბრალო მაყურებელმა, რომელმაც ნახა თქვენი გამოფენა. მეჩვენება, რომ არავინ, ვინც აქ გამოდიოდა, არ შეუხო ერთ მნიშვნელოვან საკითხს. მინდა გკითხოთ, ფერწერის როგორი მანერა აქვს ქართველ მხატვარს? პირველი, რა თქვენს გამოფენაზე თვალში მოხვდა — ესაა მოდუნება, ტემპერამენტის, შემართების დინამიკობის, მკვეთრი რიტმისა და აღზნებული ტემპის უქონლობა. მე რუსთაველის თეატრის წარმომადგენელი ვარ. სწორედ ახლა ღადო გუდაიშვილმა აღნიშნა, რომ ჩვენ ვიყავით მოსკოვში, ლენინგრადში, სადაც ღაპარაკობენ, რომ რუსთაველის თეატრი არ გავს არც ერთ თეატრს. ჩვენს ამბობენ: ეს არის თეატრი, რომელსაც აქვს თავისი დამოუკიდებელი გზა, თავისი დამოუკიდებელი მეთოდი, თავისი შემოქმედებითი სახე. დაახ, ჩვენ არ ვგვერთ არც ერთ თეატრს — ჩვენ ჩვენი საკუთარი სახე გვაქვს. შეიძლება უღამაზო, მაგრამ საკუთარი. თუ გამოფენას ამ კუთხიდან შევხედავთ, მაშინ ვიტყვი, რომ ამ მოთხოვნების პასუხობის თითო-ორთა მხატვარი, მიუხედავად იმისა, რომ გამოფენაზე წარმოდგენილია შორის ძალიან ბევრია ნიჭიერი. რას ნიშნავს ჭკონდეს საკუთარი მანერა? ჩვენ, რუსთაველები ათი წლის წინ გამო-

ვედით და ქართველ საზოგადოებას მოვახსენეთ — ყველაფერს, რასაც ჩვენამდე აკეთებდნენ, უარყოფით მთლიანად, ჩვენ ვდგებით სრულიად ახალ გზაზე, რომელმაც უნდა გამოვედინოთ ჩვენი ხალხის მხატვრული შემოქმედების ორგანოლობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვიყავით უარეს პირობებში, ვიდრე თქვენ. თქვენს ხელთ არის წარსულის შესანიშნავი მემკვიდრეობა, რაც არ გვეკონია ჩვენ. თქვენ იცით, რომ თეატრი წარმოიშვა გაყიდვებით უფრო გვიან. მე ვგვამ ასეთ კითხვას — ამირანაშვილის მიერ გამოცემული მე-12 საუკუნის ქართული ფერწერა, შეიძლება რომ დღეს ჩვენთან განვიტარებულყო? შეგვიძლია თუ არა ჩვენ მისგან ვისწავლოთ ფერწერის ის მანერა, რომელიც დამახასიათებელი იქნებოდა მხოლოდ ქართველი მხატვრებისათვის და რომელიც დაგვემარებოდა საკუთარი თავის გამტანუნებში? მე ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია საესებოთ.

ვივე შეიძლება ითქვას არქიტექტურის შესახებაც. ზოგიერთები რატომღაც საყვედურ მიიჩვენენ ქართული სტილის არსებობას არქიტექტურაში, ღრმამაზროვნად უაყოფენ ამას. ალაბო იმიტომ, რომ ქართული არქიტექტურული სტილი კვლესიდან მოდის...

მინც რა ხდება ფერწერის სფეროში? მე ისე დავწერო-  
ვით არ შევჩერდები თქვენს ნაწარმოებებზე, როგორც გულია-  
შვილი, მაგრამ ვიტყვი — თქვენგან სიცოცხე მოდის. ვიტყვი  
კირიშინის სიტყვებით — გრილა თქვენს გამოყენაზე. მაკა-  
ლითად მზე, ატმოსფერო, რომელსაც თქვენ ხატავთ, შესა-  
ძლოა, ჩვენს სინამდვილეს ფერებით პასუხობდეს, მაგრამ  
ყველაფერი ეს ძალიან ცივი, მოგონილი, მოწყვნილი, ზანტია.

იქნება ვცდებოდე, რადგან ვლავარაკობ როგორც მკაყ-  
რებელი, მაგრამ ვლავარაკობ ვეულებილად და არ მინდა ვინ-  
მე გავაკრიტიკო. ჩემი ყოფნის დროს მოსკოვში იყო გამოყენა.  
მივდი გულწრფელობით ვამბობ, რომ იქ მეტი სიბოძი, მეტი  
დინამიკობა ახასიათებთ, იქ მსურვალე რომანტიზმი უფრო  
მეტარა, ვიდრე ჩვენთან. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენმა აკადე-  
მიამ და ჩვენმა პედაგოგებმა იქიდან, სადაც თვითონ სწავ-  
ლობდნენ, ჩამოიტანეს ბევრი რამ, მაგრამ არ გარდაქმნეს ისე,  
როგორც ეს ჩვენ ქართულ სინამდვილეს შეეფერება. ჩვენს  
ღირსოს სხვის ტკივილს ვასხამთ.

რა არის შემოქმედება?.. ჩემი აზრით, გასათვალისწინებე-  
ლია სამი დებულება, უფრო ზუსტად, სამი დამოკიდებულება:  
პირველი — დამოკიდებულება ბუნებასთან, მეორე — დამოკი-  
დებულება ადამიანისა ადამიანთან, და მესამე — დამოკიდე-  
ბულება წარმოების საშუალებასთან. ყველაფერი ეს ერთდრო-  
ულად უნდა მოქმედებდეს. ამ სამი დამოკიდებულების გაუთ-  
ვალისწინებლად ჩვენ ვერ ვახსახეთ ვერც ერთ მოვლენას. ახ-  
ლა ვნახით რა ხდება საქართველოში. თუმცა ჩვენ უნდა შევ-  
ნებულებ შევხედოთ ცხოვრებას და დავინახოთ ის წინსვლა,  
გასაძებებმა რომ გამოიწვიოს.

სამაგალითოდ მივმართავ საკუთარ თავს. მე დავამთარგ  
სათავადაზნაურო გიმნაზია. შემდეგ პეტერბურგში გამზავნენს  
უმაღლესი განათლების მისაღებად. მართალია, ვსწავლობდი  
ქართულ ემიზნაში, მაგრამ ყველაფერი წარმოებად რუსულ  
ენაზე, ქართული ენის გაკვეთილი მეექვსე იყო და მასაც  
ხშირად აცდენდნენ პედაგოგები. საქართველოში ყველაფერი  
გარედან შემოქონდათ, ეკონომიური ცხოვრება არ არსებობ-  
და. ახლა ავიღოთ ახლანდელი მდგომარეობა. ახალგაზრდა  
ქართველი თბილისში იღებს საშუალო განათლებას, თბილის-  
ში ამათვრებს უმაღლეს სასწავლებელს, თბილისში ხდება  
ინჟინერი, ექიმი და ა. შ. სასწავლებს ვაშენებთ კასპის ცემენტით,  
ციცკაში ჩვენი მასლიდან დამზადებულ ტანსაცმელს, ჭკამთ  
ყველაფერ ქართულს და ა. შ. ამირად, ჩვენ ვაგაქცე ჩვენი ეკო-  
ნომიური ბაზა, ამაშია სწორედ საბჭოთა ხელისუფლების უდი-  
დესი დამსახურება. სოციალისტური მშენებლობის მიზანი  
ისაა, რომ ყოველმა რესპუბლიკამ შექმნას თავისი ეკონომი-  
ური ბაზა, რომელზედაც იგი ქმნის თავის კულტურას, თავის  
ცხოვრებას. ამირადა, ჩვენ შევქმენით ჩვენი ეკონომიური ბაზა,  
ხოლო კულტურა, შემოქმედებითი მეთოდოლოგია, თავის  
პროდუქციასთან ერთად, გარედან შემოგვაქცეს.

ჩვენ ვსწავლობთ რუსულ თეატრს, ვუფლებით ამა თუ იმ  
რეჟისორის სისტემას, ვეცნობით მეთოდს, რომლითაც ეს თუ  
ის მსახიობი აღწევს თავის ოსტატობას, მაგრამ ჩვენ მოვალე-  
ნი ვართ შევქმნათ საკუთარი სისტემები, საკუთარი მეთოდე-  
ბი, წარმოების საკუთარი საშუალებები და ამის საფუძველზე

შევქმნათ ჩვენი ნაწარმოებები. იგივეს ვიტყვი ლიტერატუ-  
რასა და ფერწერაზე...

ახლა რაც შეეხება ეროვნულ ფორმას. ბევრი ფიქრობს,  
რომ ჩოხა-ახალუხი, ხანჯალი, ხმალი, ყაბალახი ან ქალამანია  
ეროვნული ფორმა. მოსკოვში რაბისის კლუბში მკვითხებო-  
დნენ — ეროვნულ თეატრს როგორ აშენებოთ, ისინი ძალზე  
გააცდნენ იმით, რაც მე ვუთხარი — ვაშენებთ ისევე, როგორც  
თქვენ აშენებთ თქვენს ეროვნულ თეატრს. როცა მათ დაინა-  
ხეს ჩოხა — თქვეს: ეს ნაციონალისტური ელემენტია. მე მი-  
ვეუთითე სპექტაკლზე „ჯავნოსანის“, რომელშიც ერთ-  
ერთი მსახიობი სცენაზე შემოდის ტყაპუქით და ვიჭვი, რომ  
ეს ჩემთვის ისეთივე ეჭვოტყავა, როგორც მათთვის ჩოხა.  
ეროვნული ფორმა აზრი არა მდგომარეობს.

მინც, რა არის ეროვნული ფორმა? ამის შესახებ არ ლა-  
პარაკობენ. ეროვნულია მხოლოდ ის ფორმა, რომელიც აღწევს  
ინტერნაციონალურ ზემოქმედებას. ვამისოდ ეროვნულ ფორ-  
მას არავითარი აზრი არა აქვს...

ეუბრუნდები გამოყენას. ყოველ დარბაზში აღმოჩენთ  
ნიტიერ ავტორს... ისინი რომ ნამდვილ გზაზე გაგვეყვანა,  
მათთვის სწორად რომ აგვეხსნა შემოქმედების არსი, მაშინ,  
გარწმუნებთ, სრულიად სხვა შედეგს მივიღებდით...

ახლა კი თქვენი გამოყენებდან დავასახელებდი მხოლოდ  
ორ-სამ მხატვარს, პირველ რიგში გულიაშვილს, რომელზედაც  
შეიძლება ითქვას, რომ ეს მისი საკუთარი გზაა... უმარალე-  
სობამ კი რამდენიც არ უნდა ხატოს ტრაქტორი, რამდენიც  
არ უნდა ხატოს სოციალისტურ თემატიკაზე, მინც არ იქნე-  
ბა მხატვარი, რადგან არა აქვთ საკუთარი გზა, საკუთარი სტი-  
ლი... ვუყურებ თქვენს ნახატებს და ვამბობ — დახატულია  
ცუდად, თქვენ კი მასუხობთ — კი მაგრამ, ეს ხომ ტრაქტო-  
რია? დიახ, ნამდვილად ტრაქტორია, მაგრამ მას უთქვამდა  
და თქვენზე უკეთ ქარხანაში აკეთებენ.

...დადგება ის დრო, როცა მუშები მოისურვებენ გამოყენე-  
ბის დათვალეობებს. განა ისინი მონიღმობენ გამუდმებით  
უყურონ ტრაქტორს ან ქარხანას?

ჩვენ თავდაცვის ასეთი ხერხი გამოვიგონეთ — მკაყრე-  
ბელი ნაწარმოების სულ ბევრ სწვდებათ. უბრალოდ, ცუდად  
ვმუშაობთ და ვინცა სულით შევნიღობთ ჩვენი სისუსტე,  
თქვენს ნახატებში არავითარი სული არ არის...

მხოლოდ იმას ეწოდება მხატვარი, ვისაც აქვს წერის სა-  
კუთარი მანერა. ვისაც ეს არა აქვს, იგი ხელოვანი კი არა,  
ხელოსანია (მე ვთვლი ამხ. მისე თოიძეს დიდ მხატვრად. აქ  
იგი არა მყავს მხედველობაში). მოვეუბნებ ჩვენს მხატ-  
ვრებს — ეძებონ საკუთარი შემოქმედებითი ხელწერა. სხვა გა-  
მოსავალი არ არსებობს ჩვენი მხატვრებისათვის.



# დაუპიწყარი

## რ რ ე

### ეკატერინე ვაჩნაძე

1929 წლის ზაფხულში, წალკერში ისვენებდა რუსთაველის თეატრი.

ცხოვდა. დამსვენებელი ბავშვები შეროვილი მყავდა პატარა მდინარის პირას და წივილ-კივილით ვიკლებდით იქაურობას. ამ დროს ვიღაც მამაკაცმა ხმამალა იკითხა, ელისაბედ ჩერქეზიშვილის აგარაკი სად არისო. მოწიწებით ვუთხარი — წამობრძანდით-მეთქი. მის გვერდით ნაწი, პაეროვანი ქალი იდგა. ვიყვირე: ბებო ლიზა, სტუმრები მობრძანდნენ-მეთქი. ლიზას აღფრთოვანებას სასულვარი არ ჰქონდა: ჩემი სანდრო, ჩემი სანდრო მოვიდაო. ისინი გახლდათ სანდრო ამბეტელი და მისი მუღლუე თამარ წულუკიძე.

მთელი მოაგარაკები გამოიფინენ აივანზე. ალტაცებით და ტაშით შესვდნენ სანდრო ამბეტელს.

ვიდრე ოთახში შევიდოდა ბ-ნი სანდრო, უცბად კარბში გაჩერდა, ოთახში, კედელზე ჩამოკიდებულ სურათს შეხედა. გაიღმა სიამოვნებით. ხელში აიტაცა ელისაბედი, აკოცა და უთხრა: „სცენის მარგალიტო, ძალიან მიყვარხარ, ძალიან. შენი ჭირიმე, რომ ეს სურათი აქ გაქვსო“. ეს იყო კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ამბეტელის სურათი.

სტუმრები სუფრაზე მივიწვიეთ. ლიზამ ბოდიში მოუხადა და უთხრა: რამდენიმე წუთს მოვიცადოთ აი, ახლა „კუკუშკა“ მატარებელი დაიყვირებს და ბორჯომიდან ორი ამხანაგი — ტასო აბაშიძე და ნიკო გოცირიძე მეწვევო.

დიდი ალტაცებით, დიდი სიხარულით შესვდნენ ნიკოს და ტასოს.

ბატონი სანდრო წამოდგა ფეხზე, აღფრთოვანებით გაიშვირა კედელზე ჩამოკიდებულ სურათისაკენ ხელი და თქვა: ვინც ამ სურათს ასე ფაქიზად ინახავს, იმან ილღვერძელის დიდხანს, მუდამ ბრწყინავდეს მისი ნიჭი ქართულ სცენაზეო და გადაკოცნა ელისაბედი. სანდრო ამბეტელმა მთორე დღეს დაპატია ტბაზე ყველა, ვინც კი იქ იყო.

ლიზამ, ნიკომ, ტასომ დიდი იუმორი დააფრქვეს. ლიზამ მე მიხოვა: აბა, შენი რეპერტუარი გააცანი ძია სანდროსო. სხვადასხვა პიროვნებას გაეჯაგურე. ლიზამ „უსუნდარა“ იმღერა, ლანგარზე შემოკრა ხელი და მაცეკვა.

იმ საღამოს ნიკო გოცირიძე და ტასო აბაშიძე ჩვენთან დარჩნენ. მთელი ღამე თითქმის არ მეძინა, ვოცნებობდი მალე გათენებულყო. დანიშნულ დროზე ეწვივნენ სტუმრები ტბაზე სანდრო ამბეტელს. შორიდან რაღაც გაუგებარი მელოდები და სიმღერები მოგვესმა. ახალგაზრდა მსახიობებს სასაცილოდ თავზე რაღაც-რაღაცეები წაყვრათ, საკრავების მაგიერად ქვაბის სახურავებს ატყაპუნებდნენ და ვაშს ძაბილით, ხმაურით მოიჭრნენ. სანდრო ამბეტელმა ხელში აიტაცა ელისაბედი, მერე ხელი-ხელს გადააბეს ახალგაზრდა მსახიობებმა, ელისაბედი ზედ დაისვეს და მთელი უბო შემოატარეს. ჩამოსვეს თუ არა, ელისაბედი დიდი სიყვარულით გადაკოცნა შესანიშნავმა მსახიობმა ნინო დავითაშვილმა. გვერდით თავისი ვაჭი ქართლოსი მყავდა. საოცარი შობაბედილება შემეძქნა. ეს იყო ლამაზი, პირდაპირ ზღაპრული სანახაობა. ახალგაზრდები მოწიწებით ერთ მხარეს იყვნენ ჩამომწკრივებულნი, ხოლო ავაკი ხორავა და ავაკი ვასაძე ამბეტელის გვერდით იდგნენ. ბუნების წიაღში ყველა ლაღად გრძნობდა თავს.

სანდრო ამბეტელის დიდი ტალანტი ამაშიც სჩანდა, რომ შესძლო მოექტანა ბუნების ისეთი წიაღი,

# გულისხმიერება

სადაც ერთდროულად შეიძლება შემოქმედებითი მუშაობა და, ამასთანავე, მსახიობების დასვენებაც. ამ ლამაზ, დაბურულ ტყეში გადიოდნენ რეპეტიციებს ყოველდღე. სანდრო ახმეტელი დიდი სერიოზულობით, აღმაფრენით უხსნიდა სტუშრებს თუ როგორ მუშაობდნენ სპექტაკლებზე. სანდრო ახმეტელი შევიდა ძალიან დიდი, ბებერი ნაძვის ხის ფულურში, თავისუფლად დაეტირა, შემდეგ ნიკო გოცირიძე შეძრა და სიცილ-სიცილით ელისაბედიც შეიპატიჟა. ბევრი იცინეს. მერე სანდრო ახმეტელი უხსნიდა იქ მყოფთ, თურად აირჩია მაინცდამაინც ეს ადგილი. მე ზუსტად არ მახსოვს რა პიესაზე იყო ლაპარაკი, ვინაიდან პატარა ვიყავი. შემდეგ სამზარეულო დაათვალიერებინა. ახლაც თვალწინ მიდგას ის უშველებელი ქვაბები. ახმეტელი ყოველგვარ პირობებს უქმნიდა მსახიობებს და მათგანაც მოითხოვდა, რომ ძალიან დიდი პასუხისმგებლობით მოქცეოდნენ თავიანთ საყვარელ საქმეს.

ნიკო გოცირიძე ზედიზედ ხდიდა ქვაბების სახურავებს, ჩაბუნჯავდა და „კაკალ გულიდან“ მელოდიას წაიმღერებდა. ამას აწყვევდა ტასოს ანკარა ხმა, ხოლო ელისაბედი, რომელსაც არ ჰქონდა სასიმღერო ხმა, ისე გულიანად გაკოილა, რომ ხალხი დახოცა სიცილით. მთელი სპექტაკლი იყო! რა დიდი ნიჭი, იუმორი, ჰუმანურობა, სიყვარული და მეგობრობა იგრძნობოდა ამ დიდებულ პიროვნებებში. ახალგაზრდა მსახიობებმა სტუშრები ველური ყვავილებით შეამკეს. სუფრაზე ტყეში, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, მათი მუსაიფის თემა მხოლოდ და მხოლოდ თეატრი იყო. ძველ კორიფეებს დიდი სიყვარულით, დიდი მოკრძალებით იხსენიებდნენ.

მე ამის შემდეგ ბ-ნი სანდრო ცხოვრებაში არ შემხვედრია.

გავიდა მრავალი წელი. მე უკვე რუსთაველის თეატრის მსახიობი ვიყავი. ქალბატონი თამარ წულუკიძე დაესწრო მთელ რიგ სპექტაკლებს. მე გავახსენე ის ზღაპრული დღე წადვერის ტყეში. ცრემლი მოერია, გადამოცნა და წარმატება მისურვა.



ღმრთმწრ ალექსანდრე გველესიანის სახელთან მრავალი საინტერესო დადგმული სპექტაკლია დაკავშირებული, მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია ალექსანდრე ახმეტელის სახელსაც უკავშირდება. ალ. ახმეტელი ალექსანდრე გველესიანს პირველად 1920 წელს მხვდა. იგი მაშინ ს. შანშაიშვილის „ბერდო ზმანისა“ ამზადებდა. სპექტაკლის წარმატებაში რეჟისორ ალ. ახმეტელთან და მხატვარ-დეკორატორ ვ. სიდიმონერისთვის ერთად თავისი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა დირიჟორმა ალექსანდრე გველესიანმა. ქართული დრამატული თეატრის ისტორიაში პირველად იყო გამოყენებული მუსიკა, რომელსაც ასრულებდა სიმფონიური ორკესტრი ალ. გველესიანის დირიჟორობით.

ალ. გველესიანი წლების მანძილზე რეჟისორის თანაშემწედ მუშაობდა და პარალელურად ორკესტრსაც დირიჟორობდა. მარჯანიშვილის მოსკვის შემდეგ რუსთაველის თეატრის სპექტაკლებში მუსიკალურ გაფორმებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა და უკვე აუცილებელი შეიქნა საკუთარი ორკესტრისა და მუსიკალური ნაწილის შექმნა. ალ. გველესიანი, როგორც ამ საქმის მცოდნე, დაინიშნა მუსიკალური ნაწილის გამგედ და დირიჟორად.

1928 წლის 13 თებერვალს რუსთაველის თეატრის საკონცერტო და-

# ალექსანდრე გველესიანი

მისი საღვთისმშობო გამოსვლის გამო

რბაში გაიმართა დიდი სიმფონიური კონცერტი ალ. გველესიანის დირიჟორობით, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 80 კაციდან შემადგარი ორკესტრი, მომღერლები — სანდრო ინაშვილი და ნიკიტინა, სოლოს ვიოლინოზე ასრულებდა ვახტანგ ნეიმანი. კონცერტის პროგრამაში შეტანილი იყო ნაწარმოებები, რომლებიც თბილისელ მსმენელს ჯერ არ ჰქონდა მოსმენილი: სტრავინსკის „ჯარისკაცის თავგადასავალი“, გუსტავ მალერის მეორე სიმფონია, რაველის „სახარობელაზე“, პრუოფიევის „სამი ფორთოხლის სიყვარული“. ეს იყო ალ. გველესიანის საკონცერტო დებიუტი. ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მათ შორის ყველაზე საინტერესო მაინც ალ. ახმეტელის წერილია, რომელიც დაიბეჭდა გაზ. „მუშა“-ში. ამ წერილს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება თვით ახმეტელის ბიოგრაფიაშიც, როგორც ნიმუში ახალგაზრდა შემოქმედის ღვაწლის, დაფასებისა და პოპულარიზაციისა.

ლია ჯაბრიაძე

პირველად ვნახე ალექსანდრე გველესიანი 1920 წელს „ბერდო ზმანას“ რეპეტიციაზე.

1920 წელი... პირველი ჩემი სარეჟისორო დებიუტი — „ბერდო ზმანა“ და პირველად ქართულ თეატრში მუსიკალური ილუსტრაცია.

კულისის კუთხეში შეიღ თუ ხუთ დამკვერვლს გატაცებით დირიჟორობს ქერათმიანი ახალგაზრდა და ტაქტის ისე ხმამალა ითვლის, რომ პარტურშიაც ესმით.

თავდაპირველად აველას უკვირდა, რომ ღრამის თეატრში დირიჟორი გველესიანი.

არც თვით ახალგაზრდა დირიჟორი იყო დაჯერებული საბოლოოდ, რომ მისი საქმე იყო სწორედ ეს დარგი და ამიტომ უფრო მეტი ხალისით რეჟისორის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა.

მას აქვთ, რაც რუსთაველის თეატრში ქართული ღრამა მკვიდრ ნიდაგზე დადგა და აუცილებელი შეიქნა მუსიკალური ილუსტრაცია, ალექსანდრე გველესიანი სათავეში ჩაუდგა მუსიკალურ ნაწილს.

დაუმრეტელმა ენერჯიამ, საქმისადმი უსუსვლო სიყვარულმა და ნიჭმა მალე საგრძნობლად წინ წასწია გველესიანი.

მუსიკის დარგში ჩვენ არა ერთი და ორი ნიჭიერი პიროვნება გვევს, მაგრამ ქართველი დირიჟორი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი გვევს — სახალხო მსახიობი ივ. ფალიაშვილი.

ალექსანდრე გველესიანის საღვთისმშობო გამოსვლა ამ მხრივ საყურადღებოა.

ეს არის მისი პირველი და სერიოზული გამოცდა.

კლ. ახმეტელი

გაზ. „მუშა“, № 1569, 12 თებერვალი, 1928 წ.



ახმეტელი და შარვაშიძე

# ქართული კინო და მწერლობა

## გურამ გვერდწითელი

მართალი კინო თავისი ასაკითაც და გამოცდილებითაც თვალს უსწორებს მოძველებულ კინოხელოვნებას. ყველამ კარგად ვიცით, რაც მთავარია, სხვებსაც არაერთხელ განუცხადებიათ ხმახმალი, რომ ქართული ფილმები (ცხადია, საუკეთესონი), ადრეულიც და ახლებიც, მსოფლიო კინემატოგრაფის დონეზეა და მათ არაერთხელ გამოუწვევიათ ადვრთოვანება. რაც შეეხება ქართული კინოს თეორიას და ისტორიას, იგი მეცნიერულ საფუძვლებზე, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ახლა დგება და ქართველ კინომცოდნეებს უამრავი სასწრუნავი ერთბაშად, ერთდროულად გაუჩნდა.

ჩვენმა კინომცოდნეებმა ქართული კინოს მწერლობასთან კავშირების სასიცოცხლო მნიშვნელობის დასადგენად, ან კიდევ ამ კავშირების მთელი სიღრმეების თუ მრავალმხრიობის გამოსამწერებლად სერიოზულად ვერ მოიცალეს მათი ცალკეული წირობები ცალკეულ ფილმებზე, ეკრანიზაციის ნიმუშებზე თავისთავად ზოგჯერ უადრესად სასურადადღებოცაა, მაგრამ ეს წირობები თუ რეცენზიები განსოვადებისა და თეორიული პრინციპების გასარკვევად, ან კიდევ საერთო სურათის გამოსაკვეთად, ქართული კინოს ამ თვალ-

საზრისით მდიდარი პრაქტიკის წარმოსაჩენად, ნაკლებად მნიშვნელოვანია. ან კი მართო კინომცოდნეებს რად უნდა დაეკისროთ ამ მძიმე ტვირთის ზიდავა? განა სალიტერატურო კრიტიკისათვის ნაკლებ საინტერესო და სავალდებულოა ამ პრობლემით თავის შეწუხება?

სხვათა შორის, დარგობრივ ჩარჩოებში გამომწყვდევა, თვითიზოლაცია ჩვენი კრიტიკის ჩამორჩენის ერთ-ერთი პირობაც არის და, სამწუხაროდ, დამასასიათებელი ნიშანიც ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგადი საკითხების რკვევის დროს სხვები თამამად მიმართავენ ყველა სფეროს და ეს არა მართო ამრავალფეროვნებს სათქმელს, უფრო სწორი და დამარწმუნებელი მსჯელობის საშუალებასაც აძლევს მათ. ჩვენ კი თითქოს გვემინია სადემარკაციო ხაზების დარღვევისა.

მით უფრო გასაკვირია საქმის სხვათათვის მინდობის პოლიტიკა ისეთი პრობლემების რკვევის დროს, როგორცაა, ვთქვათ, კინო და მწერლობა, სადაც თავად საკითხის დასმაც კი უკვე თავისთავად ითხოვს ორთავ მხარის ერთობლივ თანაბარ დანტრესებას. ამ ყაშირის გატეხვას, ან თუნდაც გზის გაკვლევას მე ვერ ვიკისრებ, რადგან ამას, სხვას რომ თავი დავენებოთ, ქართული კინოს ისტორიის ღრმა და დეტალური ცოდნა სჭირდება (ამ თვალსაზრისით, წერილზე მუშაობის დროს დიდი სამსახური გამიწვია კორა წერეთლის წიგნმა „ქართული საბჭოთა კინო“), ხოლო სპეციალური ლიტერატურით მაინცდამაინც ვერც ამ ცოდნის წყურვილს მოიკლავს დანტრესებული პირი. ასე რომ, ჩემი ეს წერილი სრულიად უპრეტენზიოა და მხოლოდ იმ მიზანს ისახავს, რომ ამ პრობლემაზე, კინოსა და მწერლობის ურთიერთობის უადრესად მნიშვნელოვან პრობლემაზე მივაცნოთ ყურადღება, ცნობილი ფაქტები და დებულებები შევაცხენოთ და ზოგიერთი ჩემი მოსაზრება გავაცნოთ.

როდესაც კინოსა და მწერლობას ერთად ახსენებენ, უპირატესად ლიტერატურული ნაწარმოების (კლასიკურისა თუ თანამედროვეს) ეკრანიზაციის გულისხმობენ. ეს შეზღუდულია, დავიწროება ცნებისა თუ საკითხისა ინერციით მოსდევს იმ დროიდან, როცა მწერლობის ახალი განზრდი — კინოდამატურობა პირველ ნაბიჯებს დგამდა და მისი დამოუკიდებელი არსებობა არავის სჯეროდა, და საერთოდ არც უფიქრდებოდნენ ამ საკითხს. „მუქანი კინოს“ დროის ხელოვნათათვის მწერლობა მხოლოდ უკვე არსებული მხატვრული ლიტერატურის იყო და მათთან საერთო არაფერი ჰქონდა ორიგინალურ სცენარს.

დრომ და გამოცილილებამ, თავად კინოხელოვნების განვითარებამ, მისმა უმდიდრესმა პრაქტიკამ სრულიად აშკარა გახადა კინოსა და მწერლობის ურთიერთობის, ორგანული კავშირის, გადაჯაჭვულობის მრავალმხრივი ასპექტები. უმრავალესობისათვის საყვებით ცხადი და უქვევლი შეიქნა არა მართო კინოდამატურობის, როგორც მწერლობის, რომ გატრეკული სახეობის არსებობა, არა მართო, არც ახალი განზრდი — კინოსცენარი (ორიგინალური თუ ეკრანიზაციისათვის გამიზნული) საფუძვლია, ურთმლისოდაც ვერ ამტნდება კინოხელოვნების საოცარი და მომზიბოავი სამყარო.



არამედ ისიც, კი, რომ მწერლობა უდიდეს გავლენას ახდენს კინოს პოეტის ფორმირებაზე.

ახლა უკვე ზოგი იმასაც კი ფიქრობს, რომ კინოსცენარის ისტორია ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, ვიდრე კინო ხელოვნებად იქცეოდა, როცა კინოსცენარი დასადავლებ მასალის ჩანაწერების სახით არსებობდა. ამისი რა მოგახსენით, ის კი ცხადია, რომ კინოს მალე მიზეზრდა „მოძარკა ფოტოგრაფიის“ როლი და ადრევე იგრძნო თავი ახალ ხელოვნებად. იგი მიხვდა, რომ მიწოდებული იყო მსატრეულად წარმოებასა რთული სოციალური და საზოგადოებრივი მოვლენები, ჩაწვდომიდა ადამიანის სულიერი სამყაროს სიღრმეებს. ამას კი დრამატურების, მსატრეული ლიტერატურის გარეშე იგი ვერ შეძლებდა და ამიტომაც, შეიძლება ითქვას, თავიდანვე დაუკავშირდა მწერლობას.

ეს ინტერესი ცალმხრივი როდი იყო. მართ კინო კი არ ელტვოდა მწერლობას, ამ უკანასკნელმაც ერთბაშად იგრძნო ახალი ხელოვნების მნიშვნელობაც და პერსპექტივებიც. ამ-იტომაც იყო, რომ მწერლები სამოწმებთი თანამშრომლობდნენ კინოს პიონერებთან. სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით ლევ ტოლსტოიც კი დაინტერესებულა კინოთი. ლეონი ანდრევიჩთან საუბარში მას უთქვამს: „მთელი დამე ფიქრობდა იმაზე, რომ საჭიროა კინემატოგრაფისათვის წერა. ეს ხომ უზარმაზარი მასებისათვის არის გასაგები, თანაც ყველა ხალხისათვის.“<sup>1</sup>

საქართველოში 1911-16 წლებში სწორედ ცნობილმა მწერალმა შალვა დადიანმა სცადა ერთგული კინოწარმოების ჩამოყალიბება. ეს ფაქტი უკვე მრავლისმეტყველია, მიუხედავად იმისა, რომ შალვა დადიანის პირველ ცდას შედეგი არ მოჰყოლია. თუმცა, არც შედეგს დაუგვიანდა. როგორც ცნობილია, 1921 წელს თბილისის ეკრანებზე გამოვიდა ერთ-ერთი პირველი საბჭოთა ფილმი — რეჟისორ ივანე პერესტანის „არსენა ჯირჯიშვილი“, რომლის სცენარის ავტორიც შალვა დადიანი იყო.

ჩემის აზრით, შეუძლებელია არ გავიხიზროთ ცნობილი კინოდრამატურების ევგენი გაბრილოვიჩის მოსაზრება: „მოყოლებული სულ ადრეული ხანიდან, კინოსხელოვნების მატთანვე მხოლოდ კინორეჟისორის ისტორია კი არ არის (როგორც ამას მემეტანეები გვიმტკიცებენ ჩვეულებისამებრ), არამედ კინოლიტერატურის ისტორიაცაა — ორიგინალურისა თუ პროზოდან გადმოღებული.“<sup>2</sup>

არა მარტო ახლა, თითქმის ადრევეც ცხადი უნდა ყოფილიყო კინოსა და მწერლობის გახუროფლობა, მაგრამ თავის დროზეც უამრავი დრო და ენერჯია დაინახრა კინემატოგრაფიის ავტონომიურობის, სრული დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად, იმ აზრის დასამტკიცებლად, თითქმის ორიგინალურ ლიტერატურულ სცენარს მხოლოდ კინოშივე ინაუერკლის რთი ეკრანება, რათა შემდეგ კინოშემოქმედებით ხანძარი დაინთოს, რომ მისი მნიშვნელობა მხოლოდ ამით ამოიწერება (ეკრანისაგან შემდგომში უფრო პატივისცემით ეკიდებოდნენ ავტორებს) და სცენარს რაიმე სერიოზული გავმირები არამეთუ კინოსთან, არც მწერლობასთან

არა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ამისი რწმენა შეუძლებელია, რაკილა საფუძველშივე მცდარია იგი, მაინც განსაკუთრებულა იმისა ანდავაკარი განწყობილება, რადგან იგი საკუთარი რეალური საფრთხით გამოწვეული შიშით არის აღძრული.

„მუნჯა კინომ“ საოცარი გამომოწონებლობა გამოიჩინა, რომ უსიტყვოდ, მხოლოდ მოძარკა გამოსახულებით და აქტიორის გამომეტყველებით მოებას მასყურებლამდე ფილმის მთელი ტრაგიკომი, დრამატიკომი თუ კომიკომი. ამ კინემატოგრაფული მიზნების წყალობით იყო, რომ, როგორც მოსწრებულად შენიშნა ერთმა, „სიჩრქვე ყვიროდა“.

ხმაში, სიტყვაში, ეკრანის ამტყველებამ მთელი რევოლუცია მოახდინა კინემატოგრაფიაში, მაგრამ იმისი შიშით დათვას, რომ ახალი ხელოვნება დაკარგავდა თავის სახეს, დაიღუპებოდა.

საინტერესო მოგონებას გვთავაზობს ევგენი გაბრილოვიჩი. ერთხელ, ხმოვანი კინოს კარიერაზე, ვსევოლიდ პულკოვინთან ჩამოუვლიდა ამ თემაზე საუბარი. სულ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ მუნჯ ფილმზე პულკოვინი აღტყვებული, ხმაბლულა, თითქმის ყვირილით ულაპარაკობდა, ხმოვანი კინოს სსენებაზე კი მოღუქმულა, დადუქმულა, ჩამქარალა, თავი მზრებლმ ჩაურგება:

„დაიღუპა ხელოვნება!“ — ბურტყუნებდა იგი.

მისი ნათქვამის აზრი (რამდენადაც მე ეს შემქმდლო გამეო ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოსროლილი სიტყვებიდან) ის იყო, რომ აი, შეიქმნა მშვენიერი ხელოვნება, თავისი განუყოფორებელი და ნატიფი სამყაროთი, საოცრად დაქინებით მოიწერებული, „მუნჯი თვალით“, რომელსაც ძალუქს დაინახოს და გამდობს ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ცხოვრებასა და ადამიანში, მსატრეული კვლევის სულებით, განანაკვივრებელი ძალისა და სიღრმის რამ, აი, კიდევ შეიქმნა ეს გულში ჩამეჭდომი ხელოვნება და... ხმის მიგების გამო ახლა იგი განწყურულია დასაღუქად, გადაგვარება უჭირია. ასეთი კატასტროფა ჯერ არ იცის მშვენიერების ისტორიამ“ (ე. გაბრილოვიჩი, გვ. 12)

იმავ ევგენი გაბრილოვიჩის მონათხრობით და სხვა წყაროებიდან ჩვენ ისიც ვიცით, რომ პულკოვინი ცოტა მოგვიანებით სულ სხვა აზრისა იყო ლიტერატურაზე, რომ მერე კინოსხელოვნება მას უკვე ვეღარ წარმოებდას ლიტერატურის, მისი მახვილი ხედვის, აზრის თუ სიტყვის გარეშე. მაგრამ იყო თუ არა ნახამალი მაინც რეალური საფრთხისა, ოდნავ საფუქვლიანი შიშისა მის დაინდნელ სიტყვებში და განწყობილებაში? მე მგონია, იყო და ამაზე ქვემოთ ვიტყვი.

ხმოვანი ფილმებისთვის კინოდრამატურგიამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა. სწორედ ახლა შეიქნა საჭირო ისეთი ლიტერატურული სცენარები, რომლებიც ქუმპონარტი მწერლობის დონზე იქნებოდა. სწორედ მის შემდეგ ჩამოყალიბდა იგი ლიტერატურულ ჯანრად, როცა სიტყვაში ეკრანისათვის გამოსახლებულზე არანაკლები მნიშვნელობა შეიძინა. სწორედ ახლა გახდა იგი ყველაზე დიდი მკვაშიორე, გნებათ, შემადგენელი ნაწილი, ანებათ, საფუძველი კინემატოგრაფისა.

თუნდაც ქართული კინოს გამოცდილება და პრაქტიკაც კმარა ამისა იოლად დასარწმუნებლად. გავიხსენოთ რევსა ჯაფარიძისა და თენგიზ აბულაძის კინოფილმი „სისხის შვილები“, სულიკო ქვინტის, რეზო გაბრიძის, ერლომ ახვლედიანის, ანზორ საღუქვამის „სუფთა კინოდრამატურების“

<sup>1</sup> Б. Вишневский, Легенда о киносценариях Л. Н. Толстого, «Искусство кино», 1940, № 11.  
<sup>2</sup> Евг. Габрилович, Кино и литература, М., 1965, გვ. 4. ქვემოთ, როლსაც გაბრილოვიჩს, ან სხვა ერთხელ მითითებული წარის დაგომიწებ, ციტატა ტექსტშივე დრჩაილებში მიუწერა ავტორის ვაგის და ვეგარს.

სცენარები, გაიხსენიოთ უკვე ცნობილი და საყოველთაოდ აღიარებული პროზაიკოსების ნოდარ დუმბაძის, რვაჯ ნინოვილის, რეზო ტყეშელის თუ სხვების, მეორე პროფესიისი, — სცენარისტობის ნაყოფი და ჩვენ თვალწინ გადამიწლება ლიტერატურის ნაამაგარი კიოსთათვის, ცხადი შექმნება კინორამატურების დონეც და მისი მნიშვნელობაც კინემატოგრაფიასთვის.

იმდენად ცხადია და თვალნათელი, რომ თითქოს სადავო, და საჭოჭმაო აღრანფერი უნდა იყოს, არც ჩვენში და არც საერთოდ სამდე რომელიმე კინემატოგრაფიაში.

და მაინც „ყველაზე განსაკუთრებული კინოსტუდიების ისტორიაში იქნეს ის გახლავთ, რომ კინემატოგრაფი თუმცა მუდამ წყველა-კრულით იხსენიება ლიტერატურას, მიუხედავად ცდომილად ვერანისაგან გამოიყვანა იგი, მაინც ვერ ელვობა მას, სულ უფრო ბეჯითად, დაუმცხრალი წყურვილით ეძახებოდა მას, ლიტერატურაც სულ უფრო ძლიერად იჭრებოდა კინემატოგრაფის სულსა და ხორცში, განუყოფელი ხდებოდა მისაგან“ (ე. ვანდრეილინი, გვ. 13). ამდაგვარი ანტაგონიზმი შეიძლება მხოლოდ ისტორიის კუთვნილება იყოს, რადგან მაშინ კინემატოგრაფის, თითქოს ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. მართალია, ეს ყალბი განგავი იყო, მაგრამ მაშინ ბევრს სჯეროდა მისი სიმართლე.

ახლა, როდესაც კინემატოგრაფი თავის ძალაშიც საბოლოოდ (და საფუძვლიანადაც) დარწმუნდა და ლიტერატურას მეტყველებდ (და არა „მტრად“) ირწმუნა, როდესაც კინემატოგრაფისა და მწერლობის მჭიდრო თანამშრომლობაში საიდარი ნაყოფი გამოიღო, ისტერიული შეძახილებს „მშვენიერების, ანუ კინოს დაღუპვის!“ შესახებ ვეძიებთ გაიგონებთ, თუმცა უნდობლობა, სიფრთხილე, ზოგჯერ უგულ-კუბულიყოფაც კი დროდადრო გამოკრებიდა ხოლმე კინემატოგრაფისთვის დამოკიდებულებაში მწერლობისადმი, უფრო კი — მათ განხედებებში. საკმარისია გადავავლოთ თვალნიტერიკებს, დიალოგებს, დეკლარაციებს, მრგვალ მაგიდებს, რომლებიც კინოპრესის ეფრელებზე ქვეყნდება, რომ ეს შესამჩნევ გახდეს. ისეთი კინორეჟისორებიც კი, როგორებიც არიან, ვთქვათ, ანტონიონი ან მიხალკოვ-კონჩალოსკი, რომელია შემოქმედებაც, ჩემი აზრით (და მე მგონი ორი-გინაღური არ უნდა ვიყო ამ ჩემს მისაზრებაში), მეტად საინტერესო დრამატურგაის ემყარება (რომლის ავტორებიცა და თანავტორებიც ხშირად თვითვე არიან), თავიანთ მსჯელობებში საკმაოდ ამცირებენ ფილმებისათვის ლიტერატურული სცენარების მნიშვნელობას.

ამდაგვარ დამოკიდებულებას აქვს თავისი რეალური და საფუძვლიანი მიზეზები. საკმე ის გახლავთ, რომ ლიტერატურას, პირველ რიგში სიტყვას, უფრო მეტი ფუნქცია, მეტი როლი და მნიშვნელობა მიანიჭეს კინემატოგრაფიაში, ვიდრე მას მართლაც აქისრია და გააჩნია. ეს მართკ ეჭვიანობის საბაბი კი არ გახდა, არამედ კინემატოგრაფის განვითარების ერთგვარ დამაბრკოლებელ მიზეზდაც იქცა. მე მგონი, უნდა ვავიზიარებთ ამდაგვარი მოსაზრება, რაც კანტიკ-კუნტად ამკოვრებდა ხოლმე ზოგიერთი კინემატოგრაფისტის განცხადებაში, თუმცა უმაღ იკარგება მწერლობის მიმართ ხალხმრავალი გუნდის მიერ შეუწყობლად დაგუბუბუბულ დიორამებში.

კინემატოგრაფისათვის მწერლობის გაზვიადებული მნიშვნელობის და, საერთოდ, კინემატოგრაფის ორიგინალობისა და ავტონომიურობისადმი ერთგვარი იტყნული დამოკიდ-

ბულების მრავალ ნიმუშთანაა ერთ-ერთად, ჩემის აზრით, გამოდგება ი. მანვეიჩის წიგნი „კინო და ლიტერატურა“. ჩემი მხრედ დიდი განვიწყობა კინოს ისეთ მველვერთან რომ ვაპირებ დავას, როგორც ი. მანვეიჩია, მაგრამ ამ გზით მე მინდა გამოვიყვა ჩემი დამოკიდებულება საერთო ტენდენციასთან, რომელიც მხოლოდ ამ ავტორის კუთვნილება არ წარმოადგენს. მე მინდა ვავებოდ და ხმადალა ვავამოვლავო საკუთარი პოზიცია, თუნდაც იგი მხოლოდ უმცირესობის აზრს ესადაგებოდეს.

საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ სინთეტიკობა, მოძრავე გამოსახულება და მონტაჟი, ეს არის ის „სამი ვე-შაპი“, რომელზეც დავს კინოსტუდიუნება. მაგრამ საკმე ის გახლავთ, რომ ნების თუ უნებლით, ბევრნი ცდილობენ თითო-თითოდ გამოხადონ ეს ვეშაპები კინემატოგრაფს, ეს თითქმის მოდად იქცა, და რაც შეიძლება ამას მოჰყვეს, მე მგონი, ახსნას რა საკითხობეს.

როდესაც საფუძვლიანი მსჯელობა იმაზე, თუ რა შეიძინება კინემატოგრაფმა ხელოვნების სხვა დარგებიდან, — ვთქვათ თეატრიდან, მხატვრობიდან, მუსიკიდან, შედეგე კი სულ უფრო და უფრო ძალუბა — მწერლობიდან, — ეს გასაგებია, მაგრამ, როცა კინემატოგრაფის სპეციფიკას და პოეტიკას კინემატოგრაფის არსებობამდეც და მას შემდეგაც სხვაგან, ხელოვნების სხვა დარგებში, განსაკუთრებით კი მწერლობაში ეძებენ და ცდილობენ აღმოაჩინონ კიდევ, ეს უკვე საკუთარი თვის საამართიან გულისწყრომას შეიძლება იწვევდეს კინოს ხელოვნათა შორის.

ი. მანვეიჩი წერს: „კინომოდუნები ჩაუდრამადენე კინოსტუდიების სინთეზის შესწავლას. ხალდი ვაძბა, რომ კინოს დაბადება ხელოვნების განვითარების ათასწლოვანი ისტორიის იყო შემოქმედელი, ხოლო ამისი მოთხოვნილება ადამიანის ფსიქო-ფიზიკურ თვისებებში არის გაბუდებული“ (ი. მანვეიჩი, გვ. 9).

იგი იმეწმებს პოლონელ კინოკრიტიკოსს ალექსანდრ იაცკევიჩს, ვინაც თავის წიგნში „ჯალდსუნური ფარანი“ მიუნიშნებს კინოს ელემენტები მის წარმოშობამდე ჟურ კიდევ ბევრად ადრე. ასე მაგალითად, პირველყოფილი მხატვრის მიერ რამდენიმე ათასი წლის წინ დახატული რვაფუნა ტახი კინოს ჩანასახი ყოფილა, რადგან ამდაგვარად ნასატში მოძრაობის გადმოცემის სურვილი ვამქვანებული, მსგავსი ჩანასახები ბევრია მხატვრობაშიც და სკულპტურაშიც, განსაკუთრებით თვალსაჩინოდა კი იმ ნიმუშებში, სადაც ფრთებიცა გამოსახული, ხოლო პომორისის „ილიადში“ აქილევსის ფარის აღწერილობა თურმე აშკარად კინემატოგრაფული ყოფილა, რადგან ავტორის წყალობით ზედ გამოსახული სცენები გაცოცხლებულია. ასეა დაძმბინილი კინემატოგრაფის ფსევდო მიყოფილი უდველიც წარსულიდან.

ეს, მე მგონი, ცოტა (თუ ბევრად არა) გაუბრალოებული და გულუბრველო მოსაზრებაა, თუმცა მანვეიჩის, იაცკევიჩის თუ სხვების მიერ კინეინერულ საბურველს და ლამაზ ფარაზეშია ვახვეული. კინემატოგრაფის წარმოშობის მიზეზები უფრო „მარტევიან“, მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიძლებადა შექმნილიყო ამდაგვარი რამ და მიზეზებიც საერთოდ ხელოვნების არსებობის დაიწმუნებულაში და მოთხოვნილებებში უნდა დავიანახო, ამისათვის კი არ არის საჭირო პირველყოფილი ადამიანების ფსიქო-

© И. Маневич, Кино и литература, М., 1966.



ფიზიკური თვისებების დამიწმუნება. რაც შეეხება რეაქცია ტანს და აქილევსის ფარს, მე მგონი, ეს იგივეა, სერიოზულად რომ ვამტკიცოთ, ყველა ჩვენთაგანის უშუალო წინაპრები იყვნენ ადამი და ვეა.

ეს მაინც შედარებით უწყინარი მოსაზრებებია, რომლებიც კინემატოგრაფის თვითმყოფლობას და ავტონომიას ისერიავდნენ არ ემუქრება. საფრთხილო უფრო სხვა რამ გახლავთ.

თუ თავის დროზე კინოხელოვნებაში მისი მომხრევე ხელოვნების სხვა დარგები ისე ენერგიულად გამოიყენება, რომ მათი „ოკუპირებაც“ კი დასაძახებს, ახლა, თანდათან, სიტყვის, ფერის, განზომილების, პოლიფონიურობის თუ სხვათა შემომატყობის ისეთი ვითარება შეიქმნება, რომ დაშმავე დარგებმა თავად კინემატოგრაფს შეუკუმნეს საფრთხე. განაღდა ტენდენცია იმისა, რომ, ვთქვათ, მხატვრობა, მუსიკა, მწერლობა და მისი იარაღი — სიტყვა თუ სხვა კომპონენტები კინოხელოვნებისა ძალზე შთაბეჭდილებ, თუმცა თავისთავად, ან გამორჩეულ ნაწილად იქცევი. ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ, ვფიქრობ, მაკალითების მოხმობას არ მოითხოვს.

ცხადია, კინო სინთეტური ხელოვნება და ყოველი მისი შემადგენელი ნაწილი ერთი მთლიანი კინოსახის შექმნასა და გასასა უნდა ერსახურებოდეს. იდეალური ის შემთხვევაა, როცა ცალ-ცალკე არც მხატვრის, არც კომპოზიტორის, არც ოპერატორის, არც მწერლის, არც თვით მსახიობის თუ რეჟისორის ნამუშევარი არ გეცემათ თვალში, გამორჩეულად არ მიიქცევი ყურადღებას, როცა ყოველი მათგანის ნიჭი და უნარი ჩვენთვის ერთბაშად, უხილავად, მაგრამ თანაბრად ძლიერად შეუწყობს ხელს მთლიანი და სრულყოფილი კინოსახის შექმნას. მაგრამ იდეალურ შემთხვევებთან შედარებით იშვიათად გვაქვს საქმე.

უფრო ხშირია რომელიმე ერთი, ან რამდენიმე კომპონენტის გამორჩეულობა. მეტგანკლებად ყველას გაუჩნდა სერიოზი, — მწერალსაც, მხატვრსაც, მსახიობსაც, ოპერატორსაც, კომპოზიტორსაც — რომ იგი იყოს მთავარი კინოხელოვნებაში. თქვენ წარმოიდგინეთ, რეჟისორის ავტორიტეტსა და როლსაც კი ნაკლებად ეუბებიან. ეს კი უკვე მეტისმეტია, რადგან რამდენიმე არ უნდა ვიღავთ, ერთი რამ უღავია, — სწორედ რეჟისორია სხვადასხვა კომპონენტებისაგან შექმნილი ერთი მთლიანი კინოსახის ავტორი, ანუ ფილმის ავტორი და ამ მისი პროორიტეტის ხელყოფა, მეგახე რომ არაფერი წამომცდეს, უბრალოდ ვიტყვი, უმართებულო საქციელია. მე მგონი, არ უნდა გვიკვირდეს და გვაღიზიანებდეს ზოგერთებივით, ვთქვათ, კინოდრამატურ ეგვიტი გამორჩეულები, როცა გაეგვიზნება ამ წავიკეთისათვ ფრანსის „ამა და ამ რეჟისორის ფილმი“....

„კერანზე ხელოვნების სინთეზს მხოლოდ სიღრმე და ორგანულობა კი არ ახასიათებს, არამედ თავისებური მოქნილობა, სხვადასხვა შეხამებათა შესაძლებლობაც.“<sup>4</sup> ამ სიტყვების ავტორი ლუონიდ ფრადკინი (აქვე შევნიშნავ დიდი კმაყოფილებით, რომ უაღრესად საინტერესო, ღრმა და მდიდარი ვკრანისაგანის პრობლემისადმი მიძღვნილი მისი წიგნი) იმასაც უსვამს საგანგებოდ ხაზს, რომ კინოში სხვადასხვა ხელოვნებათა უბრალო ნაერთი, ან თუნდაც შეხამება კი არ უნდა იყოს, არამედ ორგანული ნაჯვარი, რომელიც შექმნის სრულიად ახალ ხეებს, კინოსახებს.

იგი საკავებოდ იმოქმედებს ამისათვის ისეთ ავტორიტეტულ როგორცაა ეინენშტეინი: „...კინოში პირველად იქნა მიღწეული შემხამებლად სინთეტური ხელოვნება — ხელოვნება თავისი არსით ორგანული სინთეზისა, და არა ან სახის სინთეზისა, როცა რაღაც „კონკრეტის“ მავგარი თანამართლებივით არიან „გარიგებულნი“ მომიჯნავე, თუმცა თავისთავად დამოუკიდებელი ხელოვნებები“ (ლ. ფრადკინი, გვ. 25).

ამდგავარი ორგანული კინემატოგრაფიული სინთეზის შემქმნელია სწორედ კინორეჟისორი და, ამდენად, იგია სწორედ კინოსახის და მთლიანად ფილმის ერთპირველი ავტორიც. მაის, არავის, არც კინოდრამატურს არ უნდა აღიზიანებდეს ის გარემოება, რომ ფილმის შექმნაში რეჟისორია მთავარი, სხვები კი თანამართლებივით და განსაკუთრებულ შემთხვევაში მხოლოდ თანავტორები არიან. მაგრამ ეს როლი ხშირად არ აკმაყოფილებთ სხვებს და ამიტომაც ცილიობენ კინოსინთეზის ყოველ ნაერთს თავისთავადობა შეუნარჩუნონ.

თუ შევთანხმდებით, რომ რამდენიმე ათეული წელი ხელოვნებისათვის ხანგრძლივი დრო არ არის, შეიძლება ითქვას, მალე განაღდა იმის ნიშნები, რომ ახლა თავად კინემატოგრაფი შეიძლება გამხდარიყო ოკუპირებული სხვათა მიერ.

საკუთარი დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად კინემატოგრაფმა ცხადა გამოეთიშა ცალკეული მომიჯნავე ხელოვნება. ზოგ შემთხვევაში გაირო თქვენს მუსიკაზე და ფილმი საკამოდ საინტერესო უაზივდა. ვაგისუნთ ისეთი შთაბეჭდილები ფილმები, როგორებიცაა „ერთი წლის 9 დღე“, „იცხვლები და მკვდრები“, „სეუცა“, ან თუნდაც სულ ახალი ფილმი, შესანიშნავი კინემატოგრაფიული ნაწარმოები „ნატორის ხე“ და სხვ. თურმე დეკორაციების გარეშე შეიძლება ფილმების ვადლება, ასე რომ, მხატვრის დანიშნულებაც ზოგჯერ მინიმუმად დავიდა, ან საერთოდვე გამოირაცხა, თუმცა, რაკდა კინოში უმოაფრესი გამოსახულება, ეს სულ სწორი და მართებული არ უნდა იყოს, ზოგმა რეჟისორმა უარი თქვა პროფესიულ მსახიობებზე და არც ამას დაუღუპია ფილმები.

ცხადია, ეს ექსპერიმენტები, და ზოგ შემთხვევაში დიდი წარმატებით დაგვირგვინებული ექსპერიმენტები, მართლაც, ამ მართკ იმითგ არ მოუხელოვნებია კინემატოგრაფს, რომ თავისი დამოუკიდებლობა დაემტკიცებინა, როგორც ეს ხეშით ვთქვი. მთავარი მიზანი კინოების, კინომეტყველების, კინოს პოეტისა ახალი შესაძლებლობების ძიება იყო. და ამ ძიების გზაზე კინომ კვლავ გაიხსნა თავისი სიყრმის, „დიადი მუნჯის“ წლები და მისი გამოსვლა, რადგან ყველაზე დიდ მოწინააღმდეგედ მას ექცა ყველაზე დიდი მოკავშირის, მწერლობის მიერ კერანზე მოტანილი სახსლე — სიტყვა.

როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ კინო ვერ იარსებებდა დრამატურების გარეშე, რომ უწყურლობოდ კინემატოგრაფი დარჩებოდა მხოლოდ ტექნიკურ სასწრაფოდ, ან ვთქვათ, ინფორმაციის თუ სხვა საშუალებად და ყველათარ შემთხვევაში ვერ იქცეოდა ხელოვნებად, რომ სწორედ სცენარი აღუდებებს ბუნწილად კინოს სინთეზის ყველა ელემენტს და სხვა და სხვა — ეს ყველაფერი გასაგებია და მისაბეჭები, რაკ არ უნდა მაღალფარდონდა ის ნათქვამი ეს: „ლიტერატურა კინოხელოვნების მაკოსტუმბელი ნაწილია. მხოლოდ მისი დაწავებით იძენს კინო სიცოცხლის უნარს. კინოს ფესვები

<sup>4</sup> Л. Фраддин, Второе рождение, М., 1967, стр. 25.

მით უფრო მსავალეფეროებასა და ხშირი მისი გვირგვინი, მით უფრო სწრაფად იზრდება მწვანე ტყე კინოხელოვნებისა“ (ა. მანგვიი, გვ. 23).

ეს ყველაფერი სწორია. სწორია ისიც, რომ მითოლოგიამ, ფოლკლორმა, მერე კი მწერლობამ თავისი არსებობის მრავალი საუკუნის უკვე ათასწლეულების მანძილზე ისეთი სამყარო შექმნა, რომელიც უხვად კვებავდა და კვებავს ხელოვნების ყოველ დარგს. აქ უკვე თვარტად და კინო აღარც არის მოსახსენებელი, რადგან მწერლობა თავი ორგანული, აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. თავისი არსით, ბუნებით, მასალით მწერლობისაგან ისეთი „დამოუკიდებელი“ ხელოვნებებიც კი, როგორცაა ფერწერა, სკულპტურა, კამერული თუ სიმფონიური მუსიკა, საბოლოოზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სასწრაფოდ და სასწრაფოდ ლიტერატურით, მისი ცალკეული ნიმუშებითა და სახეებით. ამისი მკვალითების ჩამოთვლა ჩემგან უბრალოდ უახსენელი იქნება, ჯერ ერთი, მთელი ტომები დასკრინდება ამას, მეორეც, ყველასათვის ცნობილია. მხოლოდ ერთ მათგანს ვერ ვუვლი ვგვიღეს, რომ არ ვახსენო, რაკილა იგი დღევანდელი და, რაც ჩემთვის მთავარია, ქართული ნიმუშთა ამგვარი სასწრაფობის შედეგური გამოხატულებისა. ეს გახლავთ მერამ ბერძენიშვილის მონუმენტური სკულპტურა „კიდვაც და აიზრებობა...“ ქართული ფოლკლორული ლექსით შთაგონებული ხელოვნების ეს ღვაწლიერივი ნიმუში, განსხეულებული ჭალისა და ბავშვების საოცრად ცოცხალი, მეტყველ, წინმისწარგებულ ფიგურებში (გაისხენეთ, რა სათუთად და ენერგიულად უბიძგებს ხელს დედა შვილებს) ადამიანური ტრავზების, გაუტყველობისა და იმედის დათან სიმოლოდ იქცა. იგი არა მარტო თავის კონკრეტულ მიზანს, ომში დაღუპულთა სსოფნის მარადიულობის იდეის მსატრულ გამოხატვას აღწევს, არამედ ბევრად უფრო მეტ განსოვადებას იძენს და ქართული ლექსების, ხასიათების, ტიპების უმეგობით, რაც მთავარია, მსატრის უსაზღვრო ნიჭიერების წყალობით საერთოდ ადამიანის პატიოტული და მოქალაქეობრივი მოვალეობის უკვდავ ჰიმნად ფერს.

დას, ეს ყველაფერი სწორია, ხოლო მწერლობაზე, მის როლსა და მნიშვნელობაზე, მისი გავლენის სფეროსა და ძალაზე იმდენი რამ არის ნათქვამი, უკეთესად მე კი არა, სხვასაც კი შეიძლება გაუჭირდეს თქმა, მაგრამ..... მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ვისმეს უფლება ჰქონდეს ხელოვნების სხვა დარგები ნებისთენე უხეშდღეთ დამკვიროს. მწერლობის ჯერ ისეთი არაფერი გასკრინებია, რომ სხვისი იგნორირებით შეეცადოს აღწევებს. არც ხელოვნების სხვა დარგებს, მით შორის კინემატოგრაფს, უჭირს სამიხსიდ რაიმე, რომ სხვებთან შემოქმედებით შეჯიბრს შემუშინდეს და შეურყვიატ მეთორ თუ კიდევ მერამდენიცაა როლის თამაშს ეროვნული კულტურის საზრიელზე. ჩვენთვის, მე მგონი, ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ დღეს ამ სარბიეზე ქართული მწერლობაც, მსატრობაც, მუსიკაც, ქორეოგრაფიაც, თვარტიც, კინემატოგრაფიაც მთავარ როლს ასრულებენ და მათი წარმატებები საყოველთაოდ, საქვეყნოდ არის ცნობილი.

ეს ყველაფერი მე იმიტომ მოგახსენეთ, რომ ვერ დავეთანხმები მანგვიის მოსაზრებას იმის თაობაზე, თითქოს ხელოვნების სხვა დარგებთან და კერძოდ კინემატოგრაფთან შედარებით „ლიტერატურა უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, უფრო უმაღლეს ხმაურება მის მით-

ოსებს“ (ი. მანგვიი, გვ. 24) და ეს, თურმე, სკრინული მუდმივი დიკრიტიკა თუ უნირატისობა ყოფილა მისი, დაუბრუნებელი რეპლიკები მირიკოპოტის სპეციაფერი და დამახასიათებელი ნიშანი. ეს არც ისტორიულად უნდა იყოს სწორი და არც მით უმეტეს, დღევანდელი გამოცდილების თვალსაზრისით. ვინ დაადგინა და ასწონ-დასწონა (ან კი შეიძლება ეს მოიმიქმოდ კაცმა?) ანტიკური სკულპტურა და საერთოდ, ხელოვნება (გნებავთ უფრო ძველიც) უნირატისობა თუ იმ დროის მწერლობა, ან რეჟისანის ექიპა უმაღლეს მწერლობა შექმნა, თუ მსატრობამ? ვინ აუტარა კინემატოგრაფს გზისგამკვლევის, ცხოვრებისეული პრობლემების პირველდამომჩენის როლი, ცხოვრების მითოლოგებზე სხვებზე აღრე გამომხატურების, მათი მხატვრული გაასრების და წარმოსახვის უფლება? ეს ჩემთვის გაუგებარია და მიუცემებელიც.

თუნდაც მხოლოდ ის რომ იგულისხმებოდეს ამაში (არადა, ი. მანგვიი ამით სულაც არ იფარგლება), რომ ფილმის შექმნას რაკი წინ უსწრებს ლიტერატურული სცენარის არსებობა, ამგვარად მაინც ჯერ მწერლობაა და მერე კინოთ, მაინც არ იქნება ეს მართებული მსჯელობა. ლიტერატურული სცენარი თუმცა საფუძველია, მაგრამ მაინც ერთი შემადგენელი ნაწილია კინემატოგრაფისა და საბოლოო სახეს იგი ფილმის გადაღების დამთავრების შემდეგ იღებს.

ანტიონინი ამბობს: „სცენარი მხოლოდ საწყისი ეტაპია, რომელიც იმიტეტივიდან უნდა შევამოწმო, სწორია თუ არა ის, რაც ქალაქზე დაგწერე. სცენარიში წარმოსახულ სურნებს აღწერე, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ პაერნა გამოიკიდებელი. ხმრავა გადაღებაზე მყოფი მსახიობი უფრო მეტყველია, კიდრეც ეს ჩაფიქრებული გვიჩნდა, აჟერ რომ, ზოგჯერ მითილის მიზანხასის შეცვლა გიხდება. ეს მე ხშირად მემართება... როდესაც მსახიობი თამაშს იწყებს, მაშინ ვხვდები, თუ არ არის ზედმეტი მის მოქმედებაში და ყველაფერს ვცვლი, ზოგჯერ ითი ამ იმპროვიზაციას უწოდებს. მაგრამ ეს იმპროვიზაცია არ არის, ეს მხოლოდ ფილმის შექმნის პრაქტისია... როდესაც ფილმი მზადაა, უკვე ციცი, რომ თქმა მსურდა და აი, მაშინ, თავიდან აწერ ხოლმე სცენარს.“<sup>45</sup>

საერთოდ, ცნობილია ანტიონინის თავისუფალი დამოკიდებულება ლიტერატურულ სცენართან, მას ამიტომ იმპროვიზატორს უწოდებენ. სწორედ ამის გამო უსკამ ანტიონინი ხაზს იმ გარემოებას, რომ ეს იმპროვიზაცია ვერ არის, არამედ ფილმის შექმნის პროცესიაო. და ამაში შეუძლებელი არა დაეთანხმოს მას კაცი. შეიძლება მისი ფილმზე შემართობის მთლიანი ყველასათვის მისაღებია არ იყოს, სხვები უფრო ერთგულები იყვნენ თავდაპირველი სცენარისა (და ეს ასეც არის), მაგრამ ის ფაქტი, რომ ლიტერატურული სცენარი მეტ-ნაკლებად განიცდის ცვლილებას და ზუსტდება ფილმის შექმნის პროცესში (ამაში „ბრალი“ მიუძღვით არა მარტო მსახიობებს, ვისზეც ანტიონინი ლაპარაკობს, არამედ ოპერატორსაც, მსატრანსაც და, საერთოდ, მიუღ შემოქმედებით კოლექტივს), ეს, მე მგონი, უფალო უნდა იყოს.

თვით ისეთი მკაცრი ნიმუშებიც რომ ავიღოთ სცენარისტისა და რეჟისორის ურთიერთნდობისა, პატივისცემისა და თანამშრომლობისა, როგორცაა, ექიპა, რეჟა ჩხეიძის და სულიყო ჟენტიბის, ან ვიდარ შენგელიასა და რეჟა გაბრიას ტანდემები, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ფილმის გადაღების პროცესმა, სხვა თუ არაფერი, ახალი ნიუანსები, შტრიხები, აქცენტები, იქნებ უფრო უფლება შეიტანა თავდაპირველ სცენარებში. ალბათ,



უბრალოდ შეუძლებელი იქნება ფილმების „კარისკაცის მა-  
სის“ ან „მრგვალების“ მიხედვით დაწერილი სცენარები  
მთლიანად და სავსებით დაემთხვას მათ თავდაპირველი  
სახით არსებულ ლიტერატურულ სცენარებს. ეს თეორიულად  
უნდა იქნას გამოირცხვლი, რადგან რეჟისორებმა ლიტერატურ-  
ული სცენარების საფუძვლზე ბევრი რამ დაამუშეს ზედ, ბევ-  
რი რამ შეუქარავეს მათ იმისათვის, რომ საკუთარი კიხისაზე,  
თავისი პოეტიკა, მთლიანი ფილმი შექმნიან.

ჩემს ამ განცხადებაში, თუ რწმენაში სულაც არ მინდა  
ვინმემ კინოდამატურების მნიშვნელობის თუნდაც ყოფიერ-  
დენი უგულებელყოფა დაიანახოს. პირებიც, მე სწორედ  
კინოდამატურების მწერლობის სურულფულებიან კანრად  
აღივრის მომზერ ვარ, სავსებით ვიზარებ ვეგვინ გაბრი-  
ლოვრის მოსაზრებასაც ამ საკითხზე და მის ოპტიმიზმსაც,  
კერძოდ, რომ „ჩვენი დღევანდელი სცენარი, ეს არის ლი-  
ტერატურის დიდი ნაწარმოები. ახლოდგება დრო, როცა გა-  
მორჩეულ სცენარები გადაიღება არა ერთხელ, როგორც ახ-  
ლა ხდება, არამედ რამდენჯერმე და სხვადასხვა რეჟისორე-  
ნის მიერ“ (ე. გაბრილოვიჩი, გვ. 22).

მწერლობასთან შედარებით ხელოვნების სხვა დარგების,  
ამ შემთხვევაში კინემატოგრაფიის ერთგვარ მთრეულ პლანზე  
გადასაცვლების ტენდენცია მართკ დაზგვარი განზოგადებ-  
ული მსჯელობების დროს როდი იჩენს თავს, როცა საუბარი  
პირველ აღმონჩაზე, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირზე,  
წინეგრსალირზე და ამდგვარებზე ჩამოგდებული. ერთგვ-  
არი უგულებელყოფა, მე ვიტყვდი, დაუსაზურებელი დამ-  
ცირება სხვა საკითხებშიც, უფრო კონკრეტული მსჯელობის  
დროსაც იჩენს თავს.

უტყუარ, იმთრემენ კინოს ცნობილი მკვლევარის მიხეილ  
ბლიუმანის აზრს: „ალბათ არ არის უფრო „კინემატოგრაფი-  
ული“ კინემატოგრაფი, ვიდრე ეიუნშტეინის ხელოვნება  
„ჯაგუმოსან პოტიონში“. ამასთანავე, ამ ფილმის მსატერ-  
ული თავისებურებები ყველაზე ნაკლებ არის წარმომბოილი  
იმ ეპოქის კინემატოგრაფიით და უფრო მეტად არის დაგაღუ-  
ბული ლიტერატურისაკან“. ამას მოყოლებული მსჯელობის  
იმას, რომ ეიუნშტეინის პირველი ფილმები აღმოცენდნენ  
მაიაკოვსკის პოეზიაზე, სერაფიმოვიჩის რომანტიკულ პროზა-  
ზე, კერძოდ „რკინის ნიღღარზე“ და სხვა ლიტერატურულ  
საფუძვლებზე. ეს სწორია, მაგრამ აქედან არ შეიძლება იმ  
დასკვნის გამოტანა, რომ ლიტერატურისა და კინოს ურთი-  
ერთშემოქმედება სწორედ ამ სკემით ითიარდება, საერთოდ  
ამ თავისებურებით ხასიათდება (იხ. ი. მანევიჩი, გვ. 25).

ის, რაც მართებელი იყო ოციანი წლების კინოსათვის, არ  
შეიძლება განვაზოგადოთ, ყოველი ეპოქის საერთო კანონზო-  
მიერად მივიჩნიოთ. თუ ეიუნშტეინისათვის თავისი გენია-  
ლური ფილმის შესაქმნელად დასაყდრენ ლიტერატურის გა-  
მოცდილება წარმოადგენდა, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ  
იმ დროს კინოხელოვნებას თავისი ტრადიციები თითქმის არ  
გაანდა, ყოველ შემთხვევაში, რევოლუციური მსატერული კა-  
ნემატოგრაფი არ არსებობდა, რევოლუციური ლიტერატურა  
კი ძლიერი იყო. ამ კერძო ისტორიული ფაქტის განზოგადე-  
და და იმის მტკიცება, თითქმის საერთოდ ფილმების მსატერუ-  
ლი თავისებურებები უფრო ლიტერატურით არის შთაგონებუ-  
ლი, ვიდრე კინემატოგრაფიით, მხოლოდ მწერლობის ისტო-  
რიულად ჩამოყალიბებული როლია და ავტორიტეტით, ან

მის წინაშე ქედის მოხრით თუ აიხსნება. ვის შეუძლია დაგვარა-  
რწმუნოს იმაში, რომ თანამედროვე ქართული კინოსა და ლი-  
ტერატურის თუნდაც ასე მჭიდრო ურთიერთობის, თანამშრო-  
მლობის პირობებში, ვთქვათ, რუსო სხივობის, გიორგი მენ-  
დალიას, ოთარ იოსელიანის და რომელიც გნებავთ სხვა ურთი-  
სობის მსატერულ სამყაროს უფრო ლიტერატურა აყალიბებს,  
ვიდრე კინოხელოვნება. დღეს, როცა ხელოვნებათა ურთიერ-  
შემოქმედება ბევრად უფრო ნაყოფიერია, ვიდრე ეს ადრე  
იყო, მაინც კინემატოგრაფის თავისებურებებს ვერ კინებატერ-  
გრაფის გამოყდილება და მისი მდიდარი ტრადიციები გან-  
საზღვრავს და უკვე მერე სხვა ყველაფერი, მათ შორის მწერ-  
ლობაც.

მეტიც შეიძლება ითქვას, არამცთუ დღეს, უკვე „ელოსის“  
გადაღების დროს, ფილმისა, რომელიც საბჭოთა კლასიკის  
განმკუთვებდა, მისი მსატერული თავისებურებები ლიტერატურ-  
რაში კი არ იღებდნენ სათავეს (მით უმეტეს, რომ იგი კრანი-  
ზაციას წარმოადგენს), არამედ — საბჭოთა კინემატოგრაფის  
ნიმუშებში, უპირველეს ყოვლისა, კი ეიუნშტეინის შემოქ-  
მედებში. თუ ეიუნშტეინს „ჯაგუმოსან პოტიონში“ მსა-  
ტერის სტიქიური მოძრაობის გამოსახატავად ნიმუშად მსატერუ-  
ლი ლიტერატურა აქონდა, ნიკოლოზ შენგელიას იმავე მსა-  
ტერის სტიქიური მოძრაობის, მასის ფსიქოლოგიის გასახსნელად  
უკვე ეიუნშტეინის, ანუ კინემატოგრაფის გამოყდილება გა-  
ანდა.

ასე რომ, ეიუნშტეინის პირველი ნაბიჯების, თუნდაც გე-  
ნიალურებით აბეტყდილი ფილმების მაგალითიც კი ვერ და-  
გვაჯერებს იმაში, რომ საერთოდ კინემატოგრაფი მხოლოდ  
კლასიკულად მწერლობის და თავად არსოდეს არის გზის  
კავებად. და ამ აუცილებელ ჭეშმარიტებას თუ მაინც სტრ-  
დება მტკიცება, ერთ სარწმუნო მაგალიტს მოვიტან. 50-იანი  
წლების დასაწყისში ქართულ ხელოვნებაში „პატარა ადამი-  
ანის“ პირობების წამოტარა სწორედ კინემატოგრაფმა ითავა,  
როცა თრეზონ აბულაძემ და რევაზ ჩხეიძემ „მადანას ლურ-  
ჯა“ გადაიღეს და ამით დაუდეს სათავე იმ მძლავრ ტალღას,  
თუ ტენდენციას, რომელმაც დიდი განახლება და მშენიერი  
ნაყოფი მოუტანა ქართულ მწერლობას თუ ხელოვნების სხვა  
დარგებს და რომელიც დღემდე გრძელდება. „მადანას ლურ-  
ჯას“ ისტორიული მისია უპირატესად სწორედ ამით განისა-  
ზღვრება.

აქ უკვე მინდა დავიმოწყო ვეგვინ გაბრილოვიჩი და დავე-  
თანხმო მის განცხადებას, უფრო კი, სამართლიან რწმენას,  
რომ „ჩვენი კინოხელოვნება“ (იმიტომაც, რომ იგი ყველაზე  
მასობრივია!) ხალხის ცხოვრების ადღამში კი არ  
უნდა იყოს, იმის გადამღერებას კი არ უნდა უნდობ-  
დეს, რაც უკვე დანახული, აღწერილი და გამოკვეუ-  
ლია პიესებსა თუ პროზაში, არამედ ავანგარდში უნდა იყოს,  
როგორც გზისკავკალაგი“ (ე. გაბრილოვიჩი, გვ. 22)

ამისი საიმედო საწინდარია კინოდამატურისა და კი-  
ნორეჟისურის შემოქმედებით თანამშრომლობა და არა ურ-  
თიერთდაპირისპირება ან ჯიბრი. ლიტერატურა სულ უფრო  
ღრმად იჭრება კინოხელოვნების სულში, სულ უფრო მეტ  
როლს თამაშობს კინემატოგრაფის გენეიატორში, და ეს  
კარგია, მაგრამ ზომიერების გრძნობის დაკარგვა მხოლოდ  
ზიანის მომტანად, მუხრუჭად შეიძლება იქცეს და ეს ასეცაა.  
ლიტერატურულ სცენარი ფილმის შესაქმნელად იწერ-



ბა და უკვე აქ მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული კინოს სპეციფიკა, კინომატყველების, კინოაზროვნების ხერხები და საშუალებები. ეს არის მთავარი და ყველაზე ძნელი შედარებით იოლი სიტყვების ხარვეზ ფონს ვასვლა, როცა ყველა გასაჭირიდან თავის დაღწევის საშუალებად სიტყვა, მისი უნივერსალუმი და ამოწურვადი შესაძლებლობები არის მოხმობილი. სიტყვით ყველაფრის ასხნა და გაგებინება შეიძლება, მაგრამ ამით ბოროტად არ უნდა სარგებლობდეს არც რეჟისორი და არც კინოდრამატურგი. სიტყვას კი ფილმებში სულ უფრო მეტი, თანდათან უნდებოდა და ამდენად, კინემატოგრაფისტთვის უაყოფიერი მნიშვნელობა ეძლევა.

ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი დღეს კინოხელოვნებაში ჩემი აზრით, სიტყვის დამორჩილება, მისი მოთოვება, რომ იგი მხოლოდ აუცილებლად სპორიულად წარმოადგენდეს და არა საქმის გათვლების საშუალებას.

მართლაც მაიკური სიტყვის ძალა, განუსაზღვრელია მისი შესაძლებლობები. დღესაც იგი ჭეშმარიტად უძლიერესი და უნივერსალური საშუალებაა ახალგაზრდას ყოფის, ფსიქიკის, სულის მხატვრული გახსნის თვალსაზრისითაც. არც ის არის ახალი აღმოჩენა, რომ სიტყვას გაანია თავისი ფორმა და ფერი, მუსიკა და კრებითი უნარი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გორკი ლიტერატურას „სიტყვიერ ფერსადაც“ უწოდებდა, რომ მესხკალიბა ლიტერატურაში მხოლოდ პოეზიის კუთვნილება და უპირატესობა კი არ არის, არამედ პროზასაც არანაკლებ ახასიათებს. ვიუჟე, ანდრე ბლუი წერდა და სამართლიანადაც, რომ „გოგოლი მარტო მწერალი კი არ არის, არამედ მულოდების კომპოზიტორიცაა, მათი ინსტრუმენტების მწვენიერი უნარის მქონეცაა. ის მკითხველი, ვინც ვერ ამჩნევს გოგოლის პროზის ხმოვანების სიმდიდრეს, ბევრს კარგავს.“<sup>6</sup>

ყველა ეს თვისება მართლაც გაანია სიტყვას, მაგრამ მისი გამოხატება ღრმად სინთეზიკად და უნივერსალურად იმ თვალსაზრისით, როგორადაც ჩვენ ამ თვისებებს კინემატოგრაფის ნიშანდობივ თვისებებურებებად ვხედავთ, მისი მნიშვნეა კინოხელოვნების საფუძვლადაც და ყველა სპეციფიკის მატარებლადც უბრალოდ არ იქნება სწორი. ჩვენ ამით ისევ და ისევ იმას ვცდილობთ, რომ მეტი ფუნქცია დაეკისოს სიტყვას, მეტი რამ დაგინახოთ მასში, ვიდრე ის სინამდვილეშია. მხატვრულ სიტყვას რომ თავისი ფერი და მუსიკალობა გაანია, ჩვენ რომ არა მარტო გვესმის იგი, არამედ ვუღვათ კიდევ მას, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი ისევე სინთეტიკურია, ისევე აკუმირებს და აჯვარებს ერთობის სხვადასხვა ხელოვნების კომპონენტებს, როგორც ამას კინემატოგრაფი აკეთებს. მთელი თავისი ამ თვისებითა და უნარით, სიტყვა მაინც ერთი შემადგენელი ნაწილია იმ სინთეზის, რისი ერთადერთი შემქმნელიც მხოლოდ კინოხელოვნებაა.

„კინოხელოვნება ლიტერატურისაგან იღებს არა მარტო სინთეტიკობას, არამედ დროსა და სივრცეში მოძრაობის მხატვრულ ხერხებსაც, ითვისებს და ანიჭობს მათ საკუთარი ბუნების შესაფერისად“ (ი. მანვიჩი, გვ. 30), გვარწმუნებენ, მაგრამ ისევ არ ამოსწურავს თურმე კინოს ლიტერატურისაგან დამოკიდებულებას და დასესხების მასშტაბებს.

„მონტაჟი — კინოს ეს მესამე სპეციფიკური თვისებურება — ჩვენ ადვილად შევიკვილია აღმოვაჩინეთ პოეზიასა და პროზაში. ძნელია მონტაჟის რაიმე ხერხის დაძებნა, რომელიც არ

არსებობდეს ლიტერატურაში. მისი ლიტერატურული ფუნქცია ნათელია“ (ი. მანვიჩი, გვ. 31).

ამდგავარი მოსაზრებების საფუძვლიანობის, უტყუარობის სარწმუნოდ ისევ და ისევ იშველიებენ ეიზენშტეინს და სხვა მრავალი გამოჩენილი კინორეჟისორის გამოხატვებებს. მაგრამ არა მგინი ეს ეფექტური იყოს, რადგან ამ დროს ერთი, ჩემი აზრით, სერიოზული შეცდომა მოსდით. ეიზენშტეინი კინოხელოვნების შესაქმნელად, მისი ფუნდამენტის ჩასაყრელად მადლიერების გრძნობით იშველიებდა ყველა საშუალებას და პირველ რიგში ლიტერატურის გამოყვლილებას. იგი საკუთარი ნიჭითა და გამოცდილებით ასწავლიდა სხვებს თუ როგორ ესწავლათ ხელოვნების სხვა დარგებიდან კინოს სპეციფიკური თვისებების მიგნება და სრულყოფა. მას ყველაზე მეტად სჭირდებოდა ლიტერატურის დახმარება, რადგან ეიზენშტეინი ერთ-ერთი პიონერი იყო ახალი ხელოვნებისა. მიუხედავად ლიტერატურის ზეგავლენის ძალისა, მაინც დღეს ამდგავარი ფუნქციები მას დაკარგული თუ არა, ძალზე შემცირებული აქვს.

გავლენის მეტ-ნაკლებობაზე ლაპარაკი და დავა კიდევ შეიძლება, რადგან აქ ძნელია ზუსტი დონების დიდგნა, მით-უშვებია, როცა თვით გამოჩენილი კინორეჟისორებიც, ცხადია, საქმიანად და გულწრფელად, მაგრამ ჩვეული თავაზიანობის გამო, იქნენ ერთგვარი გაზვიადებითაც, თავად უსვამენ ხაზს ამ გავლენებს და მხატვრული ლიტერატურისადმი თავისი მოწონებას ამდგავარი გამოხატვებით დაუსრულებლად შევიკვილა მოიტანათ. მაგრამ როცა ზოგიერთები დაბოჯითებით ცდილობენ (და ამისი მაგალითები მე თქვენ გაგახსენეთ) კინოს წაწარხან სინთეტიკობის, მოძრაი გამოხატულების და მოწვევის უპირატესობა, ანუ მისი განსამარტვრულ სპეციფიკური თვისებებიც, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთად ან ცილა-ცალკე გამოთავილი დახელოვნების ის „სამი ევშაპი“, რომელზეც იგი დგას. და რაკი დაბეჯითებით გვიმტკიცებენ, რომ ეს სამი ევშაპიც თურმე გაუმძღარი ლიტერატურისა გადუკლავებს, ან თავიდანვე მისი კუთვნილება ყოფილა, სულ გაუგებარი აღარ უნდა იყოს კინოსა და ლიტერატურის შორის ანტაგონიზმის ერთგვარი ნაშთების შემორჩენა.

სავარაუდოა, რომ ეს უსიამო ნაშთები საბოლოოდ მაშინ გაქრება, როცა კინოსა და მწერლობას შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტიდო, პროფესიული კვალიფიკაციური იქნება, როცა კინოხელოვნება სრულყოფილად შესძლებს მწერლობის გამოყენებას, ხოლო მწერლობა მისთვის განკუთვნილ ავიღოს და როლს, მეტად მნიშვნელოვანს, მაგრამ მაინც დამოუკიდებულს, დასაყრდენად ეყრანზე. ეს პროცესი, ჩვენ-და ხასიახრულიდ, სულ უფრო დამატარული და ინტენსიური ხდება.

ამ პროცესის ერთ-ერთი დამატარებელი ფაქტორია სიტყვის, როგორც კინოსამყაროს ერთ-ერთი საშენი საშუალის, საჭიროებისამებრ და დანიშნულებისამებრ გამოყენება. „მუნჯი კინოსაგან“ თვალის გაქვევა, მისი როლისა და მნიშვნელობის მთელი სიხალდე ახლებური შერგნება უკან მისობურებულად არავის სჭირდება, ეს მხოლოდ ახალი კინემატოგრაფული სიმაღლეების დასაპყრობად მოხმობილი ერთ-ერთი საინელი ტრადიციაცაა.

სიტყვის სხვადასხვა ფუნქცია გვისრება განსხვავებული ქანრის ფილმებში. ვიუჟეთ, მისი მნიშვნელობა განუზომლად დიდია ისეთი ხასიათის ფილმებში, როგორებიცაა „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“, „მარი-ოქტომბერი“, „პრემია“ ან

<sup>6</sup> A. Белый, Мастерство Гоголя, М. 1934, гл. 233.



„ღვინის ქერდები“ ამდაგვარ ფილმებში, მე ვიტყვი, თუკრალული ფილმებში, დრამატურგია ძირითადად სიტყვას ეყრდნობა, ძირითადად მას ეყრდნობა შუამავლობის ხელშეწყობა და მჭიდრობა შორის და უკვე ამის მერე ყველა სხვა საშუალებას. მაგრამ ეს კანონზომიერებად არ ჩაითვლება, უფრო შესატად, არც ერთადერთი და არც უნივერსალური ფორმა კინოხელოვნებასა და მის მიმხმარებელს შორის ურთიერთობისა.

მარსელ მარტენი, ცნობილი თეორეტიკოსი, ვის სიტყვასაც დავეყრება, თავის წიგნში „კინოს ენა“ წერს: „გამოსახულება კინოსის ძირითადი მასალა... ეს პირველად კინემატოგრაფიული ენასა და, ამასთანავე, უაღრესად რთული რეალობა“.<sup>7</sup> არაფერია არც გასაკვირი, არც მოულოდნელი იმაში, რომ ეკრანზე სიტყვის მიერ მოტანილი დიდი ძვრების შემდეგ, ამ ფენომენის ყოველმხრივი ათვისების და გამოყენების შემდეგ კინემატოგრაფი კვლავ მიუბრუნდა თავის „მეტყველების“ ძირითად საშუალებას და ეკრანზე მოვარდნილი ამ „ნიაღვრის“ — სიტყვის გონიერულად ანუ მხოლოდ აუცილებლობის ფარგლებში გამოყენება გადაწყვიტა. ეს ტენდენცია განვითარების ლოგიკის კანონის თანახმად, ადრე თუ გვიან, უნდა აღმოცენებულიყო, რადგან „ნიაღვრის“ ის საშინოვარად სდევს თან, რომ ფსევდული და უფასური თანაბრად შეიძლება წაიღოს და შთანთქმოს.

ამ ტენდენციის გამოსატყულება მიხელო კობახიძის უსტყვო ფილმები, რომლებმაც თავისი მშვენიერებით მოფილოსი უყრდნობა მიიპყრეს, საყოველთაო აღიარება მიიპოვეს, მისივე სცენარებიც, რომლებიც, იმედია, ადრე თუ გვიან მიზნს შეისახმენ ხორცს ეკრანზე, ალექსანდრე რეჟისორის საოცრად საინტერესო ფილმი „მზატარია“, სადაც მხოლოდ პოეტური კომენტარები გვემისხება ახბადული ენის და ისევ რეჟისორის თავდაპირველი ჩანაფიქრის საწინააღმდეგოდ, მისივე „ნუკა“ (ამ ფილმს მე კიდევ მიუვრუნებდები) სიტყვის უაღრესად რაციონალური, კინემატოგრაფიული გამოყენებით.

თანამედროვე კინოხელოვნებაში სულ უფრო დაბეჯითებით მიდის წინდა კინემატოგრაფიული ხერხების ძიება.

თანამედროვე კინემატოგრაფია კიდევ ერთხელ ცხადყო, თანაც ცხადყო მისთვის სასარგებლო უდიდესი საკანძორების, მათ შორის სიტყვის მიწვნისა და გამოყენების შემდეგ, რომ მას გააჩნია საკუთარი კინოება და, მიუხედავად მისი სინთეტური ხასიათისა, შეიძლება ითქვას ნებისმიერი კომპონენტის, მათ შორის სიტყვის გამოირცხვაც ვერაფერს დააკლებს მის სიციცხლისუნარიანობას.

და კიდევ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, სახელობრი იმისა, რომ არ შეიძლება დავასკვნათ, თითქმის რაკილა კინემატოგრაფს უსიტყვოდაც შეუძლია გაძლის, ეს იმას ნიშნავს, რომ მას საერთოდ უშეუქლოდოდ შეუძლია არსებობა. კინოდრამატურგია თუკრალური დრამატურგიისაგან იმითაც განსხვავდება, რომ იგი არ ეფუძნება მხოლოდ დილოგებს, მას სხვა საშუალებებზე გაჩნია სათქმელის გამოსახატვად. მას შეუძლია კინომეტყველების საექვიოკის გათვალისწინებით ისე გამოხატოს სატყმელი აღწერილობით, რომ დილოგები ან მხოლოდ, ანუ ცოცხალი და წარმოსათქმელი სიტყვა საერთოდ გამოირცხოს საკუთარი არსებლიდან. ასე რომ, კინოდრამატურგიის გარეშე კინემატოგრაფის არსებობა წარმოუდგენელია, იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი აშკარად გამოსატყ-

ლი დოკუმენტურობით არის აღბეჭდილი. ამან არ შეუძლებს ვიყავის შეცდომაში და უნდა გვასხოდეს, რომ კინემატურული მზატურული მართ ფილმები კი არ არის, არამედ მწერლობაცა და ერთისა და მეორის ნიშუშებიც თანამედროვე მსოფლიო ცივილიზებულ მაცარობას ერთად ქართულ ხელოვნებასა და მწერლობასაც გააჩნია.

აი ამიტომ, შეიძლება ზოგს კიდევ ეჩვენება, რომ ასე თუ ისე, შეგულედ მწერლობის როლი კინოსათვის, მინდა იმავე სიტყვებით დავამოვროს ეს ნაკვეთი ჩემი მსჯელობისა, რითაც დავიწყებ კერძოდ, რომ კინო მწერლობასთან სიახის ტყუილები არის დაკავშირებული და მისგან ხელოვნური დაცილება არაფერ სიკეთეს მოიტანას.

\* \* \*

ახლა კი მინდა შევხვი ლიტერატურისა და კინოს ურთიერთობის იმ სპეციფიკურ ფორმას, რასაც ეკრანისაყია ჰქვია, ამ პრობლემის ზოგად პლანსაც და კონკრეტულ გამოსატყულებასაც ქართულ კინემატოგრაფიაში. ცხადია, ყველას და ყველაფერს მე აქ ვერ მოვიხსენიებ, მით უმეტეს, რომ ჩვენდა სასახაროდ, ქართული კინოს ამდაგვარი კავშირებიც ეროვნულ მწერლობასთან დრმა, ორგანული, მდიდარი და მრავალფეროვნაია. მინდა გავიმოხრო გულისტკივილით, რომ ქართული კინოსა და მწერლობის ურთიერთობის ეს ფორმა, ეკრანისაყია, უკვე კარგახანია ულის საფუძლიან შემსწავლელს, ისტორიკოსს და თეორეტიკოსის საყიკილურ უწრადლებას. მე კი, ვასაკვი მიზეზებით შემოფარებული, მხოლოდ ცალკეულ საკითხებზე და ფილმებზე თუ მოვახსენებ რამდენიმე სიტყვას თქმამ.

ჩემი ყურადღება ძირითადად იმ ფილმებზე გამახვილებული, რომელთაც ეკრანისაყიის თვალსაზრისით საყუკაპო მნიშვნელობას ვანიჭებ. სამწუხაროდ, ეკრანისაყიის ბევრი სუსტი ნიშუშიც გვაქვს, მაგრამ მე მათ ნაკლებად მოვიხსენიებ. ასე გამოირჩეულად ფილმებზე საუბარი ჩემი სწობისტური პოზიციით სულაც არ არის გამოწვეული. მოგეხსენებათ, ზოგი კრიტიკოსი თავმოწონედ აცხადებს, რომ მის მოვალეობას სულაც არ წარმოადგენს ხელოვნების ცუდ ნიშუში მსჯელობა. მე სხვა შეხედულებას ვახსენებ.

და თუ ამ შემთხვევაში მე მიზნს გამოჩრეულ, ანუ „ამაღლებულ და საყუთესო“ ფილმებზე მეტნება უფრო საუბარი, ეს მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ ამ წერილის ძირითადი მიზანდასახლება სხვა უფლებას და საშუალებას არ მაძლევს.

საჭირო კი არის ეკრანისაყია?

თითქმის ყველა, ვინც ეკრანისაყიის პრობლემას ოდნავ მინც საფუძლიანად შეხება, თავიდანვე სვამს ამ კითხვას, თუცა უმრავლესობისათვის ამასუხი იმთავითვე ნათელია, — დადებითია. მიუხედავად ამისა, საკითხის ამგვარი კატეგორიულობით დასმას არა აქვს მხოლოდ რიტორიული მნიშვნელობა. როგორც ჩანს, საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე ეს ერთ შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. მთელი შემდგომი პათოსი იმის მტკიცებისა, რომ ეკრანისაყია საჭიროა, აუცილებელია, კინოხელოვნებისათვის კვარივით სასიციცხლო მნიშვნელობისა, უბილად ოპონენტებთან, ზოგჯერ იქნებ საკუთარ თანთან, შინაგან გულისთქმასთან გამუდმებული კამათის მიმნიშვნელოვანა.

და მინც, ამ კითხვაზე ორგვარი პასუხი არსებობს: ერთნი (უმცირესობა), რომელთაც მე უტოპისტებს შევარქმე-

<sup>7</sup> Marsel Marten, Язык кино, М., 1959, стр. 25.



შეტ ნაკლები გამაწვანობით და კატეგორიულობით აცხადებენ, რომ ევრანიზაცია არ არის საჭირო, მეორეინ (აბსოლუტური უმარავლესობა), რომელთაც რეალობად მოვანდაც, თავდა მოდებით ამტიკებენ, თითქოს ამ საკითხის დასმაც კი ზედ-მეტია (არადა, თავად მაინც სვამენ), იმდენად ნათელია ევრანიზაციის აუცილებლობა და სიკეთე. საინტერესო ის გახლავთ, რომ ორთავ მხარეს აქვს საწინააღმდეგო არგუმენტები და მათი პოპოციებიდან ერთსაც დაეჯერება და მეორესაც.

თუ თვორიულად, უფრო სწორად, განყენებულად ვიმსჯელებთ, ევრანიზაცია მართლაც არ უნდა იყოს მისაწინააღმდეგო, არც წინასწარმეტყველები რამ. ევრანიზაციის დროს კინოხელოვნებას მეთრადი ფუნქცია ეკისრება, იგი ერთხელ უკვე მხატვრულად ნათქვამის გადამღერებას უნდადა, მისი უშუალო დაკვირვების საგანი ცხოვრება, აღამიანი კი არ არის, არამედ ისევ ხელოვნება ან ლიტერატურაა. ამდენად, იგი მაჩანაწლის რაღონი გამოიღოს. უფრო კორექტულად, თავაზიანად ეს აზრი რ. იურენიშვილს ასე ჩამოაყალიბა: „კინემატოგრაფი, როგორც ყველა უმცროსი ძმა, დიდხანს დადიოდა ლიტერატურის და თეატრის გამოხატვალ, გადაკეთებულ ტანსაცმელში, იგი გაიზარდა, ახლა საჭიროა მისთვის ახალი ტანსაცმელი შეეცუკროთ...“<sup>8</sup>

სავსებით მართლია მისაზრება. სხვა საწინააღმდეგო არგუმენტი, რომელსაც ევრანიზაციის მოწინააღმდეგენი იშველიებენ, ის გახლავთ, რომ გადანერგვის პროცესი ხელოვნებაში მომაკვიდინებელი თუ არა, უთუოდ დამასაჩინრებელია. ამასთან დაკავშირებით, ერთი ანალოგია შეიძლება მივიხედოთ: როგორც ცნობილი გახდა, ქრისტიან ბარნაბე, როგორც მის უსწავლელს, ამ „კვიბიტაუნელმა ჯადოქარმა“, ამჯერად ხელი აიღო ახალი გულის გადანერგვაზე, რადგან შეუთავსებლობას ევრაფერი მოუხერხა. შეუთავსებლობის პირინები შეტ ნაკლები ძალით ხელოვნებაშიც არსებობს, რადგან ყოველი მხატვრული ნაწარმოები თავისთავად ცოცხალი და ფაქტში ორგანიზმი, თავისი გარკვეული სამყაროს შვილია, მყარ ნიდაგზე, მისთვის სასიცოცხლო ატმოსფეროში აღმოცენებული და მისი სხვა სამყაროში გადანერგვა მომაკვიდინებელი თუ არა, დიდად საზიარო მისთვის მაინცაა.

და კიდევ, ევრანიზაცია კინორამატურების განვითარებას აფერხებს, რადგან კინოხელოვნება ეტევა მზამარულზე ცხოვრებას და ზანტი, ინერტიული ხდება.

დაიხ, განყენებული მსჯელობის დროს ეს ყველაფერი ძალზე საწინააღმდეგო ვლდრს. თუ ოცნებას მივეცემით, არაფერი იქნება იმაზე უკეთესი, კინოხელოვნება რომ მხოლოდ ორიგინალურ კინორამატურების ეყრდნობას, სადაც ყველაფერი თავიდანვე კინოს სპეციფიკისათვის და საშუალებებისათვის იქნება გამოწვნილი და უშუალოდ ცხოვრებაზე დაკვირვებით იქნება შექმნილი, ამჯერად საფუძველზე, დრამატურგიაშივე იქნება მიწინააღმდეგო მომავალი ფილმის კინოსახეობა და პოეტუაც, მაგრამ ამდგავარი ოცნება მხოლოდ უტოპისტების საქვე. საკარნისია რეალისტის თვალთ შეგვიხედით ყველა ან არგუმენტს, რომ ხუხულასავით დაინერგვა იგი.

ცნობილია, რომ ხელოვნებაცა და მისი თვორიაც უკვე არსებულ გამოცდილებას ეყრდნობა, მისი პროგნოზირება, მითუმეტეს, შორეული პროგნოზის კეთება მეტად საძნელო რამ არის, თუ საერთოდ შეუძლებელი არაა. ამიტომ ძნელი საბუქ-

სულია, როდის დადგება დრო (საერთოდ თუ დადგება) ევრანიზაცია აღმდგო კატეგორიული განცხადება ჩანს სულ უშეძლებელი. ევრანიზაციის მომხრენი იმეფებენ ხოლმე ისეთ ავტორიტეტს ხელოვნებაში, როგორცაა გ. ტოსტონოვოვი (ამ შემთხვევაში გადანერგვის პრინციპული მნიშვნელობის თვალსაზრისით, ევრანიზაციასა და ინსცენირებას ერთნაირი არგუმენტები და კონტრარგუმენტები იმსახურება ჰქონდეთ) და მის სიტყვებს, რომ „მხატვრული ლიტერატურა ყოველთვის იყო და მუდამ იქნება თეატრის რეპერტუარის უძმაღვრესი რეჟერი. ინსცენირება იმდენად ბორტება კი არა, უდიდესი სიკეთეა თეატრისათვის.“<sup>9</sup>

„უდიდესი სიკეთის“ რა მოგახსენიოთ, მით უმეტეს, ევრაფერს ვიტყვი იმაზე, რომ „მუდამ იქნება“, მაგრამ რომ ევრანიზაცია და ინსცენირებაც იყო, დღესაც არის და, აღბრუნებ, კიდევ კარგა ხანს იქნება კინოსა და თეატრის მასაზრდოებელი, ეს უშეძლებელია.

უმცროსი ძმის, კინოსათვის „ახალი ტანსაცმლის“, ანუ ორიგინალური კინორამატურების მოთხოვნა კარგია, მაგრამ „გამოხატვის“, ანუ ევრანიზაციის გარეშე არსებობა დღესაც კი, გუშინდელზე რომ არაფერი ვთქვათ, რამდენად რეალურია, ესა მთავარი. საბჭოთა კინემატოგრაფი ყოველწლიურად, თუ არ ცვდები, 200-მდე ფილმს უშვებს, საკუთრივ ქართული — 15-ს და მეტს. ეს იმას ნიშნავს, რომ კავშირის მასშტაბით ვინდროულად 5-6 ასული სცენარე უნდა იყოს მზად, რესპუბლიკაში კი, სულ ცოტა, 4-5 ათეული მინც. ასეთ ვითარებაში ევრანიზაციას უარის თქმისაკენ მიწოდება უბრალოდ კინემატოგრაფისათვის დათვრილი საშუალების გაწვევა იქნება და, კიდევ კარგი, ამას სერიოზულად არაიენ მოითხოვს.

გადანერგვის საშიშროებით დამფრთხილთ (და არა მხოლოდ დამფრთხელთ), ზოგს, ვთქვათ, ი. ხარონს კონკრეტული და კატეგორიული დასკვნებიც გამოაქვს, კერძოდ, რომ „კინოხელოვნების ოქროს ფონდს, სრულიად უშეძლებლად, მხოლოდ ორიგინალური ნაწარმოები შეადგენს, და არა ევრანიზაცია.“<sup>10</sup>

ეს უკვე მეტისმეტია. განა როგორ უნდა გილატატოს კაცს მესხენებან, რომ დაივიწყო ფილმები? „დედაა“, „ჩაბა-ვი“, „პეტრე პირველი“, „ირომცდამეერთე“, ან ქართული — „ელისა“, „მაგდანას ლურჯა“, „ლავერდობა“, „ვედრება“, „ნუცა“, „ივანე კობარაძის ამბავი“, „ნატკრის ხე“, და რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოთვალათ. განა ეს ყველაფერი ორიგინალურ სცენაზე შექმნილ თუნდაც რომელიმე ფილმებს ჩამოუდარებ? განა ეს ფილმები მართლაც კინოხელოვნების „ოქროს ფონდს“ ან გარკვეთენება?

დაიხ, რეალისტებს და მათ პოპოციას გაცოცხლის მეტი სიკეთე მოაქვთ კინემატოგრაფისათვის, ვიდრე უტოპისტებს და მათ თუნდაც კეთილშობილურ, მაგრამ მაინც ფუჭ ოცნებას.

ევრანიზაციის მნიშვნელობის აღიარება იმას არ ნიშნავს, რომ დავგავწყვედს თუ რა სირთულეების, რა საფრთხის წინაშე გვაყენებს იგი. საშუაზაროდ, მიყოლებული პირველი ფილმიდან დღემდე, ევრანიზაციის ნიმუშებს უფრო მეტად

<sup>8</sup> „Литературная газета“, 1962, 15/II.  
<sup>9</sup> Я. Харон, «Писательский кинематограф... и его профилактика», «Вопросы литературы», 1962, № 10.



იმედები გაკურნებითა ჩვენთვის, და მხოლოდ იმავით შემთხვევაში მოუტანიათ ჭეშმარიტი სისარული. ასეა ქართულ კინემატოგრაფიაში, ასეა საერთოდ საბჭოთა კინემატოგრაფიაში მით უფრო, ასეა დასავლეთის კინემატოგრაფიაში. ამას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზებიც აქვს, რომელთა გარკვევა სწორი გზის, პეიოლის, საშუალებებისა და ხერხების მიგნვისათვის უნდაოდ აუცილებელია.

ეკრანიზაციის მრავალჯერადი მეოდი და ფორმა არსებობს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ერთი შეუვალი პირობის დაცვა აუცილებელია. კერძოდ აუცილებელია პირველწყაროს მთავარი სათქმელის, მისი ფილოსოფიური აზრისა თუ პირობულმატიკის, მისი სახეობრივი სისტემისა და პოეტის ღრმად ჩაწვდომი და ყოველივე ამისათვის ეკრანული გამოხატულების მოძებნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორიგინალის სული დაიკარგება და მამასადამე, კავშირც გაწყდება მასთან.

ამიტომ ეკრანიზაციის წარმატებით დაგვირგვინება მარტო რეჟისორის პროფესიულ ნიჭსა და ოსტატობასზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ორი სხვადასხვა დარგის შემოქმედის, მწერლისა და კინოხელოვნების სულიერ ნათესაობაზეც, მათი ინტერესების, მხატვრული ხედვის, თვითგამოხატვის და მთავრეველზეც.

თუ ეს მთავარი პირობა დაცულია, უკვე ნაკლებ საჭირო მან ჩანს ის მეოდი თუ ფორმა, რომელსაც რეჟისორი ეკრანიზაციისათვის ირჩევს, იქნება ეს ლიტერატურული ნაწარმების მოდერნიზაცია, თუ მხოლოდ მის მოტივებზე დაყრდნობა, პირველწყაროს ერთგული ეკრანული ილუსტრირება თუ შემოქმედებითი ათვისება და გადამწყვეტება, აქცენტების საკუთარი დასმა და მხატვრული აზრის ერთ ან რამდენიმე თეზაურ მოტივზე კონცენტრირება; იქნებ უფრო თავისუფალი და თამამი მიდგომაც კი.

არა მგინია, მართალი იყვნენ ისინი, ვინც ცდილობდნენ ეკრანიზაციის შემოქმედებით მასშტაბები ეიწრდ შემოიფარგლოს, ვინც პირველწყაროს ჩართობის უსუსტად დაცვას მოითხოვს და, ამდენად, გამორიცხებს, ვთქვათ, მოდერნიზაციას ან მოტივების მიხედვით ფილმების გადაღებას. ეკრანიზაციისადმი ამგვარი ცალმხრივი მიდგომა უფრო იმიტი არის გამოწვეული, რომ პირველწყაროსადმი თავისუფალი დამოკიდებულება უფრო ხშირად თავებურ გამოხატულებას პოეებს და მარცხით მთავრდება ხოლმე.

ამისი დიდი და სამწუხარო გამოცდილება აქვს საზღვარგარეთულ კინოხელოვნებას. კლასიკის მოდერნიზაცია იქ ეკრანიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიზანდასახულობად არის მიჩნეული, უფრო სწორად, მოად არის გადაქცეული უპირავე ფილმში ან პრინციპზე დაფუძნებული, როგორც წესი, შედეგი სავალდებულოა; ამის თვალსაზრის და, ცხადია, უაღრესად საშუალორი ნიმუშად სამართლიანად მოაქვთ დოსტოევსკის რომანის მიხედვით გადაღებული იტალიური ფილმი — რეიხსორ ლ. ვისკონტის „თეთრი ღამეები“, სადაც მოქმედება თანამედროვე იტალიაშია გადმოტანილი. მიჩნეულია, რომ ამ ფილმიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: მის დოსტოევსკის ამავე სახელწოდების რომანის ფილოსოფიასთან და პოეტისთან თითქმის არაფერი აქვს საერთო. ასე რომ, ისეთ ცნობად და აღიარებულ ოსტატსაც კი, როგორცაა რეჟისორი ვისკონტი, ამდაგვარი ექსპერიმენტები არ გამოვიდა და ეს თავისთავად დამაფიქრებელია.

დასავლეთის ეკრანებზე ნიაღვარებით მოვარდნილი მო-

დერნიზებული კლასიკა, ჩვეულებრივ, იმედების გატყვევებით იწვევს, მაგრამ ბედნიერი გამოხატულებებიც არსებობს. უკვე უნდა ვთქვათ, რომ კარგად გვახსოვს მარსელ კარნეს ფილმი „ტრეპაზ რაკინი“, ემილ ზოლას ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით გადაღებულია. და თუმცა ეკრანზე ეს კლასიკური ნაწარმოები გათანამედროვეებულია და სიუჟეტური ცვლილებებიც და რეჟისორის ორიგინალთან თავისუფალი დამოკიდებულებაც აშკარაა, მაინც ფილმი ძლიერ შეამტყვილებს ახდენს, რადგან იგი აშკარად ზოლასეულ სოციალურ და ზნეობრივ საყრდენზე დაფუძნებული, მწუხრის შემოქმედების სულიც და პოეტისაც ძირითადად შენარჩუნებულია. ბევრწილად სადავო, მაგრამ მაინც საინტერესო ფილმია სოციალურ რეჟისორის ა. მიშელის „კალოქარი“, სადაც ა. კურნინის მოთხრობის „ოლუხისა“ სიუჟეტია გამოყენებული. აქაც მოქმედება რუსეთიდან სკანდინავიაში გადატანილი, შეცვლილია სოციალური გარემოც, მაგრამ, როგორც იტყვიან, ფილმი მაინც გამოვიდა.

თუ ამ ფილმთან დაკავშირებით მაინც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, კლასიკის მოდერნიზების აშკარა და უშუალო გამარჯვება რობერტ ჯაუნის „ექსტრაიდური ისტორია“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ მიხედვით შექმნილი სოციალისტის, მშვენიერი ამერიკული ფილმი-მიუსიკლი. აქ მოქმედება ძველი ვერონიდან თანამედროვე ნიუ-იორკის ქუჩებშია გადატანილი და ახალგაზრდა შეყვარებული ქალ-ვაკის ტრაგიკული ისტორიაც დიდგაროვანი ოჯახების მტრობის კი არა, ორ მოქმედებზე ბანდათა შორის უღალისა და ბრძოლის გამო დატრიალდება. თვით შექსპირის შებედავმ, მისი კლასიკური პიესის ასეთმა თანამშრომელმა მოდერნიზაციამ კი არ გამოიწვია პროფესიონალითა თუ ფართო მკურებლის რაიმე გულისწყრომა, თუნდაც მცირეხარისხი უკმაყოფილება. პირით, მან საერთო აღიარება და აღფრთოვანება ჰპოვა, ამერიკულ ფილმთა შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ იქნა მიჩნეული და უამრავი ჯილდო და პრემია სამართლიანად დაიმსახურა.

ცხადია, კლასიკის მოდერნიზაციის დროს რეჟისორის განსაკუთრებულ ნიჭიერებასთან, ორიგინალურ კინოაზროვნებასთან ერთად, კიდევ აუცილებელია პირველწყაროს სულის, პოეტის, მხატვრული სახეების, მორალური და ფილოსოფიური საფუძვლების ღრმა წვდომა, რადან ორიგინალიან კავშირის ისეთი შედარებით ილი საშუალებები, როგორცაა გარეგნული ნიშნები და ილუსტრირება, ამ შემთხვევაში კინოხელოვნან აღარ გააჩნია, ამასთანავე, კლასიკის მოდერნიზაციის მიზანთ მკურებელს ორიგინალისადმი ერთგულების და საკუთარი კონსერვატიზმის გამო უნდობლობა უკიდურესად აქვს გამაძვირებელი. თავი დიდ სიორთულებს უჭმის ეკრანიზაციის ავტორს. მაგრამ, რაკილა თუნდაც თითო-ორილა ნიმუში კლასიკის მოდერნიზაცია წარმატებით დაგვირგვინებულა, მამასადამე, პრინციპი კი არ არის მთლიანად უარსაყოფელი, როგორც ამას ბევრი კინომოდენე ჩადის, არამედ უარსაყოფელია ის თვითდაკარგებული და ზრუელე დამოკიდებულება, რაც ხშირ შემთხვევაში ახასიათებთ მოდა აყოლილ რეჟისორებს, უარსაყოფელია ის კომერციული მიდგომა, რასაც ასე შეუნიღბავად ამჟღავნებენ დასავლეთის კინოს მესვეურები.

(გაგრძელება იქნება)

# მ ა მ ნ ე

ოთარ ჭილაძე

\*\*\*

შურამ სალარაძის ის ბედნიერი შემოქმედია, რომელსაც არა მარტო სიტყვის და-  
მორჩილების უნარი შესწევს, რაც თავისთავად ბევრს ნიშნავს, არამედ სულის იმ იდუ-  
მალი და შეუღწეველი წილის წარმოდგენაც შეუძლია, სადაც სიტყვა იბადება. ამი-  
ტომაცაა, რომ საუკუნის თუ ათი საუკუნის წინათ დაბადებული სიტყვა მის ხელში  
პირველყოფილ ფერს, გემოსა და სურნელებას იბრუნებს და პირველყოფილი ძალით  
მოწონებებს ჩვენზე, მსმენელებზე, თითქოს ჩვენც პირველად გვესმის, თითქოს აქამდე  
არასოდეს გაგვიგია და კი არ ვუსმენთ, თანამონაწილენი, მოზიარენი ვხდებით იმ დიდი  
წებებისა, სიტყვების რომ ჩამარხულან სამუდამოდ, სამარადისოდ.

რაც გურამ სალარაძე ლექსს კითხულობს, ის ანტიკური ტრადიციის მაცნესა გავს,  
ნანახითა თუ გაგონილით აღზნებულს, სასწაულის მოწმეს, სირბილით რომ მოვარდ-  
ნილა ჩვენამდე, და ჯერ კიდევ დაბნეული, ჯერ კიდევ აქოშინებული, სხაასახუბით,  
ფაცა-ფუცით, სულის შემძვრელი გულბრწყვილობითა და პირდაპირობით, უფრო სწო-  
რედ — დაუნდობლობით გუაუწყებს თითქოს ახლახან, თითქოს ჩვენს გვერდით მომხ-  
დარ ახალ საოცრებას, ადამიანის სულის კიდევ ერთი იდუმალი ვულკანის აღზევებას,  
რაც, ადვილი შესაძლებელია, ჩვენთვის საერთოდ შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ანდა  
სინაჰაირად გაგვევო, მაინცადამაინც ამ მაცნესთვის რომ არ მოგვესმინა.

მსახიობს შეუძლია ხელმოკრედ დაბადოს პოეტი, ხელმოკრედ გვაზიაროს მის  
სილიადეს, მაგრამ საამისოდ, რა თქმა უნდა, მარტო ტექსტის დაზუპირება კი არ არის  
საკმარისი, რაც არ უნდა დიდებულად ეძვრდეს ტექსტი, არამედ — სულიერი და-  
მგობრება თავად პოეტთან, მსახიობმა საკუთარ ტკივილად უნდა აქციოს პოეტის  
ტკივილი, ღანდღვით უნდა გაეციდოს უკაცურსა და ხიფათიან გზაზე დამდგარს და  
ის ელდა და მღელვარება უნდა შეამჩნიოს, რითაც ლექსი იწერებოდა და რისი შემ-  
ჩნვეაც თავად პოეტს არ შეეძლო, რადგან მხოლოდ ელდა და მღელვარება უნარწუ-  
ნებდა სიცოცხლეს, ელდა და მღელვარება აიძულებდა კიდევ ერთი ნაბიჯის გადად-  
გმბას უკავადებისკენ.

გურამ სალარაძე, უპირველეს ყოვლისა, პოეტის მეგობრად, თანამარხველად  
გვეკლინება სცენიდან და, ჩემი აზრით, სწორედ ესაა უდავო და დამსახურებული წარ-  
მატების მიზეზი. მხატვრულ კითხვას პირობითად შეიძლება ერთი მსახიობის თეატრი  
წვეწოდოთ, ხოლო ამ თეატრის მნიშვნელობა განუსაზღვრელია. ტექსტარტა მსახიობის  
მიერ წაყთხული ტექსტარტი პოეზია არა მარტო პოეზიის პოპულარიზაციას გულის-  
ხმობს, რაც თავისთავად მეტად კეთილშობილური საქმეა, არამედ, საერთოდ ადამი-  
ანის სულიერ გაკეთილშობილებასაც, ურომლისოდაც, ადვილი შესაძლებელია, პოეზიამ  
დიდი ხნით დაკარგოს აზრიცა და დანიშნულებაც და უშანქისი გახდეს, როგორც  
ზღვის ფსკერის შლამში ჩამარხული მარგალიტი.



„რაიკოსის შლივინი“. გიორგი ჭავჭავაძე — გურამ სალარაძე

# გურამ სალარაძე

ვაჟა ძიგუა

1975 წლის ოქტომბრის ერთ-ერთი საღამო... საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი, რომელიც ორიათას ხუთას მაყურებელს იტევს, საესე იყო. შუქი ჩაქრა, სცენაზე გამოჩნდა საქართველოს სახალხო არტისტის გურამ სალარაძის ნაცნობი სილუეტი. ტაშმა იგრილა. წამიც, და ირგვლივ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. ეს „უხერხული“ დუმილი გურამ სალარაძის მთრთოლვარე, ლელვისაგან დაგუბებულმა, ხავერდოვანმა ტემბრის ხმამ დაარღვია. „ხმა კატამონთან“ — ირაკლი აბაშიძის ამ შედევრით დაიწყო გ. სალარაძემ ეს უჩვეულო, ორიგინალური, ჭეშმარიტად დაუვიწყარი საღამო, სადაც მაყურებელი მთელი სისაესით ეზიარა ქართული სიტყვის სიმდიდრესა და სიღამაზეს.

— ო, ენავ ჩემო,

დედაო ენავ,

შენ, ჩემო ნიჭო,

სრბოლავ და ფრენავ,

შენ, ჩვენი სუნიჭვის დიდი ალაპო,

შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,

შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,

შენ ერთს,

შენ ვერ გთმობ

სამარის პირთან.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ გურამ სალარაძე განსაკუთრებული მოვლენაა მხატვრული კითხვის სფეროში. იგი არ არის მხოლოდ აღიარებული, ნაცადი ოსტატი, ნიჭიერი მკითხველი. არა, მსგავსი უკითხვები გ. სალარაძის ხელოვნებას არ მიესადაგება — მისი ხელოვნებამ იმდენად ამაღლებულია, თავისთავადი, რომანტიკული ფერადოვნებითა და მშვენიერებით აღსავსე, ღრმა აზრითა და ემოციურობით დატვირთული, რომ მასზე მხოლოდ ასევე ამაღლებული ფრაზებით შეიძლება საუბარი.

„ერთ გამოირჩევა გ. სალარაძე ლექსის მკითხველთა შორის, თუნდაც ეს მკითხველები თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები იყვნენ? უპირველესად, თავისი ჭეშმარიტად არტისტული ღირსებებით. ამ შემთხვევაში, ცნება არტისტულში მე გველისსმობ არა მხოლოდ ოსტატობას, არამედ იმგვარ პიროვნულ თვისებებს, რაც მოკვდავს აქცევს მამულიშვილად, რომლის გული სამშობლოს სიყვარულით, მისი სისხრულით და

ტანჯვით ძვირს. იგი უბრალოდ მკითხველი ან თუნდაც ნიჭიერი ინტერპრეტატორი როდია, არამედ განუმეორებელი პიროვნება, ინდივიდუალობა, რომლის შინაგანი სამყარო მითითვს მხატვრულ ემანაციას — როგორც აუცილებლობას, როგორც თავისი არსებობის ერთ-ერთ გამართლებას.<sup>14</sup>

ნოდარ გურბანიძის ეს სიტყვები ზუსტად ახასიათებს გურამ საღარაძის, როგორც მკითხველის შინაგან იმპულსს, მის კრდოს, მისწრაფებებს, მის მიერვე შექმნილ ვერტოწოდებულ ლიტერატურულ თეატრში, ანუ ერთი მსახიობის თეატრში გამოკვეთილ მიზანს.

ესტრადაზე გურამ საღარაძე მუდამ არტიკულად აღგზნებული და მღვლელობა. მას მგზნებარედ, თავდავიწყებით, მთელი არსებით უყვარს პოეზია და ასევე დაუოკებლად ეწაფება მის გრძელ სამყაროში წვდომის საიდუმლოებას. რა ხერხებს მიმართავს მსახიობი ამ ურთულესი პროცესის დასაუფლებლად? — ყველაზე მარტივს, ნათელს, უტყუარს და შეუცდომელს. გ. საღარაძისთვის გამომსახველობის მიღწევის საფუძველია თვით სიტყვა, რომელშიც იგი ეძებს ტემპირიტ აზრს. მის მიერ წარმოთქმული თითოეული ფრაზა იქცევა ხოლმე სრულყოფილ სცენურ სახედ.

არსებობს მოსაზრება, რომ სიტყვა იტვირთება აზრით, თუ შენ ცოცხლობ, ღღავ, გრძნობ და აზროვნებ, ლოგიკურად მიჰყვები ნაწარმოების შინაარსს. ეს, რა თქმა უნდა, სწორია, — მკითხველი ტექსტს ამდრინებს საღებავებით, ნიჟანსებით, მაგრამ ეს ყველაფერს როდ წინშავს. აუცილებელია მკვეთრად, ორგანულად შეიგრძნო, თუ რა არის ლექსი! აქ საქმე მხოლოდ პოეტური სამყაროს დანახვის მიგნებაში როდია, არამედ მკითხველს უნდა შეეძლოს მისი პოეტური ხმის გაგონება; მის გაერმე პოეტის სახიერი სისტემა, მისი მხატვრული ინდივიდუალობა გაუგებარი დარჩება, ე. ი., მსახიობს, რომელიც ლექსებს კითხულობს, არა მხოლოდ გონებისა და წარმოსახვის დაძაბვა ესაჭიროება, არამედ — სძენისაც.

გურამ საღარაძის კითხვაში ჩვენ მკვეთრად ვგრძნობთ თითოეული სიტყვის წონას, მისი ელვარდობის სისასეს, ფრაზის დაძაბულობასა და მოქნილობას, დრამატულ განცდათა გამოვლენისას ზომიერების დაცვის უნარს. მის წაკითხვაში ვერასოდეს ვერ შეინიშნავთ ვერც ყოფითობამდე დაყვანილ, ხელოვნურად მიღწეულ სიმართლეს, ვერც სწრაფი წარმოთქმით გამოწვეულ მოჩვენებით ემოციურობას, ვერც შიშველ უსალტაციას. იგი სიტყვას უბრალოდ არ წა-

რმოთქვამს, გულდასმით უდგას ყურს თითოეულ ბგერას, თითოეულ ხმოვანსა და თანხმოვანს, ბოლომდე იძიება სიტყვათა ულამაზეს, უმდიდრეს მირვეში. გ. საღარაძე ხაზსასმელი აღმაფრენით, ერთგვარი მოწინააღმდეგეა სიტყვას მძებნის, ქვემეცნულად ესივრებება მას; მაყურებელსაც აიძულებს მოუსმინოს, ჩაწვდეს, ჩაუფიქრდეს სიტყვის მნიშვნელობას. იგი ზუსტად აზნებს ფრაზის, მონაკვეთის აზრობრივ ცენტრს. მის წაკითხვაში ვერასოდეს ვერ იპოვით დაშტამპულ ინტონაციებს, სიტყვის ყალბი გათამამებისკენ ლტოლვას; ვერც საკუთარი ხმით ტკბობის მიდრეკილებას შეინიშნავთ მას. ყველაფერი ეს გ. საღარაძეს ესმარება იმაში, რომ ფართო აუდიტორიამდე მიიტანოს ლექსის შინაარსი და სრულყოფილი ფორმა, ფრაზის განუმეორებელი მშვენიერება.

გ. საღარაძის კითხვაში უდიდეს როლს ასრულებს რიტმი. მსახიობი პროზაშიც პოულობს რიტმულ საფუძველს. როგორ ნელაც არ უნდა კითხულობდეს იგი, თქვენ მუდამ მისი მკაფიო რიტმის გალენის ქვეშ ექცევით. საღარაძისკული უბრალობა, ბუნებრიობა და კეთილშობილია ასევე უნდად და ბუნებრივად ირწის თავს კითხვის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ რიტმში. თითოეული პოეტური სახეებისათვის, ზუსტად ისევე, როგორც იმ მწერლებისთვის, რომლის ნაწარმოებებსაც იგი ასრულებს, საღარაძე პოულობს თავის საღებავებსა და განსაკუთრებულ, განუმეორებელ, ერთადერთ შესაძლებელ გააზრებას მოცემულ ატმოსფეროში.<sup>15</sup> (ე. გუგუშვილი).

გურამ საღარაძემ რთული, ნაყოფიერი და ვრცელი გზა განვლო ესტრადაზე. თეატრში აქტიური როლი მიღვაწობის პარალელურად იგი მუდამ მშფოთვარე ენერგიითა და ენთუზიაზმით მუშაობდა და მუშაობს მხატვრული კითხვის საიდუმლოებათა დასაუფლებლად. უმთავრესად, თეატრის მსახიობები მოგვიანებით მიმართავენ ხოლმე საესტრადო სარბიელს და, როგორც წესი, მათი ძირითადი ზრუნვის ობიექტად თეატრი რჩება. გ. საღარაძე ამ შემთხვევაშიც გამოწაკლისად გვევლინება. მისი თეატრალური გატაცება მხატვრული კითხვით დაიწყო. პირინერთა სასახლეში იგი ერთდროულად დადიოდა ორ წრეში — მხატვრული კითხვის, რომელსაც ნოდარ ჩხეიძე ხელმძღვანელობდა და დრამატულ წრეში, რომელსაც სათავეში ედგა აწ განსვენებულ რეჟისორი თედო ვერძოძე. თავისი შინაგანი მოწოდებისთვის გურამს არც თეატრალურ-ინსტიტუტში სწავლის პერიოდში და არც მისი დამთავრების შემდეგ არ უღალატნია

— 25 წლის მანძილზე საესტრადო სარბიელს იგი ერთი წუთითაც არ მოსცილებია. ამ ხნის განმავლობაში მსახიობის რეპერტუარი გამდიდრდა, დაიხვეწა, საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა: რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟა, ბართაშვილი, ბესიკი, ორბელიანი, საიათნოვა, იუთიმ გურჯი, გალაკტიონი, მაიაკოვსკი, ესენინი, პეტროვი, პუშკინი, ლერმონტოვი, მიცკევიჩი, ლენინიძე, ჩიქოვანი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლადო ასათიანი, მუხრან მჭავარიანი... აი, როგორი ვრცელია მსახიობის შხატვრული სიტყვის სასპარეზო მასალა! გ. სალარაძე მათ კითხულობს სიმფონიური ორკესტრის თანხლებით, კაპელის, ვოკალური ანსამბლების „გორდელასა“ და

თვალშეუვლებლად, მოუხელთებლად, თანდათანობით, შინაგანი გარდასახვის მაღალი ოსტატობის კარიბჭიდან. ამ დროს ჩვენ მთელი სისასხით შევიგრძნობთ მხატვრული კითხვის ქუეშმარტ ოსტატს, რომელიც თავისუფლად ფლობს ტექნიკური სირთულის ყველა ელემენტს და, აქ მხოლოდ შიშველი ტექნიკა როდი დომინირებს — თვითუღ სიტყვას, პაუზას, ფრაზებს შორის არსებულ სუნთქვასაც კი განსაკუთრებული გრძნობით ათბობს გურამ სალარაძე. მისი მოძრაობა, უფრო სწორად, დღომის მანერაც სხვაგვარ იერს იძენს. აქ უფრო ძუნწი, თავშეკავებული და ლაპიდარულია მსახიობის ფესტი, ხოლო გამოხედვა, მინზა-მინზა მეფერი მე-



„საბარადებო დასცენა“. ჭეოშვილი — გ. სალარაძე

„რუსთავის“ ფონზე, კითხულობს ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოებებთან ერთად, მონაწილეობს პოეტთა საიუბილეო საღამოებში. ქართული მსახიობის მაღალ, შთაგონებულ ხელოვნებას აღტაცებით ეგებებიან არა მხოლოდ საქართველოში, არამედ — მოსკოვში, კიევში, კუბიშევიში, ერევანში, ბერლინში, საარბრუკენში, ბუქარესტში, ვარშავაში...

ელვარე ტემპერამენტით, ხატოვანებით, ღრმა გამოცდილებით კითხულობს გ. სალარაძე შოთა რუსთაველს. ამ დროს მსახიობი თითქმის სავსებით გარდაიქმნება — სცენაზე დგას ფილოსოფოსი, სიბრძნითა და დარბაისლობით დამშვენებული, მშფოთვარე ფიქრებითა და კეთილშობილური მიზნებით დატვირთული, სულიერად ამაღლებული, მღელვარე, ბოჰოქარი... და, რაც ყველაზე მეტად საოცარია გ. სალარაძის შესრულებაში — ეს გარდაქმნა მიმდინარეობს

დიდურობითაა შეფერადებული. თუმცა, ვიშორებ, ყოველივე ამას გ. სალარაძე წარმოგიდგენს საოცარი „შეზღუდვითა და მომჭირნეობით“, ძირითადი აქცენტი მას შინაგანი სულიერი ძვრების გამოვლენაზე გადააქვს.

„ავთანდილის ანდერძში“ გ. სალარაძე განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოგიდგენს ადამიანის, პიროვნების ძლიერებას, მისი ავთანდილი მყარად, ღონიერი ფეხებით დგას დედამიწაზე და უშიშრად, ქედმოუხრებლად მიილტვის სიკეთის, სიმამაცის, კაცთმოყვარეობის დასამკვიდრებლად: „ვემბო კაცსა აუციანსა, ცრუსა და დალატიანსა!“ — ომიხიანად, ზეაწვეული რიტმიით შემოსასხების მსახიობი და ორიღვე ფრაზის შემდეგ ოდნავ გაღიზიანებული ტონით, მზარდი რიტმით, შემუსვრული პირდაპირობით დასძენს:

რა უარეა მამაცა ომშიგან პირის  
მხმეჭეღსა,  
შემდრკალსა, შემინებულსა და სიკვდილისა  
მეჭეღსა!  
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა  
ქლისა მბეჭეღსა?  
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა  
მოსახვეჭეღსა!

გ. საღარაძე ლირიკული ხილვების ბურუსში  
გხვეთ. მის ხმას საოცარი სიბილღე და სიფა-  
ქიზე ეუფლებს. თვალთა სიხვი სიმშვიდესა და  
ნეტარებას აირკვლავენ. ეს განწყობილება კი-  
დევე უფრო ღრმადდება და მთელი სისავსით  
ვლინდება „აეთანდლის ლოცვაში“:

ნაწილობდა. ამ საღამოზე გ. საღარაძემ მშობ-  
ლიურ ენაზე წაიკითხა ნაწევრები „ვეფხისტყაოსნიდან“. ყოველგვარი გადაჭარბების გა-  
რეშე, თამამად შეიძლება ითვას, რომ ყველაზე  
დიდი წარმატება იმ საღამოს სწორედ გურამს  
ხვდა წილად. სხვადასხვა ეროვნების მკურნებე-  
ლი მონუსხულივით უგდებდა ყურს ქართული  
სიტყვის მელოდიკას, მის სიზვიადეს, რიტმულ  
თავისებურებას. ყოველი პაუზის შემდეგ დარ-  
ბაზს ტაში აზანზარებდა, საბოლოოდ კი —  
მსახიობის მაღალი ხელოვნებით მოხსნილი  
მოსკოველები დიდხანს არ უშვებდნენ ესტრადი-  
დან ქართველ შემსრულებელს. ეს ფაქტი ნათ-  
ლად დალადებს იმაზე, თუ რაოდენ განუსაზღვ-

სკენა სპექტაკლიდან — ნათან ბრძენი-  
სულთან სალაღინი — გ. საღარაძე,  
რუხა — მ. ჯანაშია



ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი  
ჭვლობ ქვენათ ზესსა,  
შენ დაბაბდე მიჯანრობა, შენ აწესებ მისსა  
წესსა,  
მე სოფელმან მომამორვა უკეთესსა ჩემსა  
მზესა,  
ნუ ამოჭფხერი სიყვარულსა, მისგან  
ჩემთვის დანათესსა!

ამ შემთხვევაში გ. საღარაძემ უარყო სულიერ  
ანარეკლთა სარკე-თვალები. დგას მსახიობი  
გარინდული, გრძნობათა მორევში ჩაძირული  
და თითქმის ჩურჩულით, ნახევარტონებში გვიმ-  
ხელს თავის გულისთქმას.

ათილდე წლის წინ მივლმა მსოფლიომ ზეი-  
მით აღნიშნა რუსთაველის დაბადების 800-  
წლისთავი. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავში-  
რებით მოსკოვში ჩატარდა საღამო, რომელშიც  
ჩვენი ქვეყნის ბევრი გამოჩენილი ოსტატი მო-

რელ შემოქმედებით ზეგავლენას ასდენს ნების-  
მიერი აუდიტორიის მსმენელზე გურამ საღარა-  
ძის მხატვრული კითხვის ტემპირიტი ოსტატო-  
ბის ძალა.

მრავალეროვან აუდიტორიათან ზეიმური  
შეხვედრის კიდევ ერთი მაგაფი ნიმუში იყო რა-  
დინიმიე წლის წინათ თბილისში ამიერკავკასი-  
ის პოეზიის საღამოზე გურამ საღარაძის მონა-  
წილობა. პოეტს პოეტი ცვლიდა, მკითხველს  
— მკითხველი. როგორღაც გაჭიანურდა საღამო,  
გადაიღალა მსმენელი, სწორედ ასეთ ვითარე-  
ბაში მოუხდა გ. საღარაძეს აუდიტორიის წინა-  
შე გამოსვლა და აქ მოხდა მოულოდნელი რამ  
— დარბაზი მყის გაირინდა, ერთი სუნთქვით  
შეიკრა, დაიძაბა რაღაც სიასხის, განსაკუთრე-  
ბული ესთეტიკური ტკობის მოლოდინში:

დედაო ღვთისაჲ, მზუო მარიამ!  
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,

ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია  
და შორეული ცის სილაქვარდე...

ოსტატმა მართლაც სასწაული მოახდინა — ერთი ამოსუნთქვით, გულის ძლიერი ფეთქევით, დრმა შთაგონებით წაიკიბა მან გალაკტიონის პოეზიის ეს უჭკობი შედეგები და პოეტური ხილის უმწვენიერესი მიკროსკოპებით მიმოაფრქვა დარბაზში. საერთოდ, გალაკტიონს გამოჩენული ადგილი აქვს მიჩენილი გ. სალარაძის შემოქმედებაში. მის პოეზიას გურამი სავსებით განსხვავებულად კითხულობს. აქ იგი გადაჭრით თავყოფს მიწიერ, რეალისტურ, ყოფით მანერას რომანტიკული, ამალბებული, მღვლვარება.

სულიერი დრტივება, ზღვა ტემპერამენტი, — აი, რა ნიშნებით გამოირჩევა გ. სალარაძისეული: კითხვა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებების ინტერპრეტაციისას. აქ მსახიობის სული უკიდურესად მღვლვარება, თვითიული სიტყვა დაუმტვლია და განსაკუთრებული ძალითაა დანაღმული. გ. სალარაძე ფართო მონასმებით გამოყოფს ნ. ბარათაშვილის სულის კვირის, ბრძოლის დაუოკებელ წყურვილს, თავგანწირვაში შევების მოპოვებას.

გ. სალარაძე, როგორც მკითხველი, ხშირი სტუმარია აგრეთვე ცისფერი ეკრანისა და რადიოსი. იგი აქაც ახერხებს დაატყვევოს და მიხიბვლოს მსმენელთა ფართო აუდიტორია

გურამ სალარაძის, როგორც მხატვრული კითხვის აღიარებული ოსტატის სახელი იმდენად შორსაა გატანილი, იმდენი თავყვანისმცემელი შეიძინა მისმა მალამმა ხელოვნებამ, რომ მასობრივი ურთიერთობის ყველაზე მისაწვდომი და პოპულარული სარბიელის სრული „დალაშქრის“ მიუხედავად, მსმენელთა სრული დაკმაყოფილება ჯერჯერობით მაინც ვერ მოხერხდა. ამის დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ დღემდე გამოსული ორი გიგანტი ფირფიტა (რომელზედაც აღბეჭდილია „ვეფხისტყაოსანი“), ფირფიტები (ბარათაშვილის, გალაკტიონის და სხვათა ნაწარმოებების შესრულებით) უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

დიდია გ. სალარაძის პოპულარობა, განუზომელია მისი დამსახურება ქართული პოეზიის პროპაგანდისა და მხატვრული კითხვის მხატვრულ ხარისხში აყვანის საქმეში.

გურამ სალარაძე შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი და ამ თეატრის საიმიტო ძალაა. თეატრალური ხელოვნების სიყვარული გურამს ბავშვობიდანვე ჩაენერგა, კინაღდან ხელოვანის ოჯახში დაიბადა და, როგორც იტყვიან, თითქმის კულისებში გაატარა მთელი თავისი ბავშვობა. ამიტომაც, სავსებით ბუნებრივია, როდესაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ერთი წამითაც კი არ უფიქრია იმაზე, თუ სად გაეგრძელებინა სწავლა — 1947 წელს

გურამ სალარაძე თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ინსტიტუტში მისი პედაგოგები იყვნენ ცნობილი რეჟისორები დიმიტრი ალექსიძე და მიხეილ თუმანიშვილი. მეტყველებას მალევე მრვეულიშვილი ასწავლიდა. სწავლის პერიოდში მან განასახიერა მთელი რიგი რთული სცენური სახეები: სენ გიბსონი — სობოს პიესაში „მეორე ფრონტის ტიქით“, ვაგინი — გორკის „მზის შვილებში“, ვინაფი ალბაგევა — ბოზარმუს „ფიგაროს ქორწინებაში“ და სხვ., სადაც თვალნათლევ გამოავლინა უცილობელი აქტიორული მონაცემები, გმირის არსში შეღწევის უნარი. ყველაზე დიდა წარმატება ინსტიტუტის კვლევებში გ. სალარაძეს მაინც რაკიტინის ურთულესი სახის შექმნა მოუტანა ტურენევის პიესაში „ერთი თვე სოფლად“ (რეჟისორ-პედაგოგი მ. თუმანიშვილი). ამ როლში ახალბედა მსახიობმა მიღწეა პერსონაჟის სამყაროს ფსიქოლოგიურ სიღრმეებში, მისი ბუნების უფაქიზეს ნიუანსებში წვდომას, შინაგანი ხედვის გამოუმუშავებას. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი გვეგუქორის მოგონება, რომელიც ხელნაწერის სახით რუსთაველის თეატრის მუზეუმშია დატული: „მე მაგონდება გურამ სალარაძის პირველი ნაბიჯები სცენაზე. რუსთაველის სახე-

სცენა სექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე“. ვეფხიტორი — გ. სალარაძე, რეჟისორი — ვ. ვოგოტიძე



ლობის თეატრალური ინსტიტუტი. ტურგენევის „ერთი თვე სოფლად“ მის. თუმანიშვილის დადგმით, რაკიტინის როლი — გურამ საღარაძე. მსახიობისთვის რაკიტინის როლი ურთულესია, მითუმეტეს დამწყები მსახიობისთვის, მაგრამ გურამმა პირველი გამოჩენისთანავე დაიპყრო მაყურებელი თავისი მიმზიდველი გარეგნობით, სცენაზე თავის დაჭერით და თანდათან შეიყვანა იგი რაკიტინის ურთულეს შინაგან სამყაროში“.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გურამ საღარაძე რუსთაველის თეატრის სახელგანთქმული კოლექტივის წევრი გახდა. სულ მალე მან ამ თეატრში თავისი განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. გურამმა აქტიორული გზის დასაწყისშივე შექმნა ისეთი საყურადღებო სცენური სახეები, როგორიცაა: ფლანკი — ფოჩიკის პიესაში „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“, გაბრო — ილ. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობში“, დონ-ხაიმე და მილანეს — ჟ. ფლეტიერის „ესპანელ მღვდელში“, ლეო — ი. ვაკელის „საქმიან კაცში“, ქაიხოსრო ქათამაძე — დ. კლიდიაშვილის „შემოდგომის აზნაურებში“, ბოიარინი — ალ. პუშკინის „ბორის გოდუნოვი“, გეგა — მ. მრგვლიშვილის „ზვავში“ და სხვ. ამ როლებით გ. საღარაძემ მაყურებელს შესაძლებლობა მისცა ნათელი წარმოდგენა ქიწილად მის

აქტიორულ პოტენციალზე. სცენური გარდასახვისა და განცდათა სიმართლის არა ერთი მაგალითი ჩინებული ნიმუშით მიიპყრო ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება, მაგრამ ნამდვილი აღიარება და სასწუხ მუშაობით გამოწვეული ჭეშმარიტი შემოქმედებითი სინარული მსახიობს მოუტანა როგან სტიბორის განსახიერებამ პიესაში „როცა ასეთი სიყვარული“.

საერთოდ, ეს სპექტაკლი, რომელიც თხუთმეტილდე წლის წინათ განახორციელა რეჟისორმა მის. თუმანიშვილმა, ერთგვარ სემეტი მნიშვნელობის ნაწარმოებად იქცა რუსთაველის თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. დადგმა გამოირჩეოდა მონოლითურობით, მასტაბურობით, საოცრად თანაბარი რიტმით, ბრწყინვალე აქტიორული ანსამბლით. აქ შექმნეს თავიანთი დაუვიწყარი როლები — სერგო ზაქარაძემ (კაცი მანტიით), მედეა ჩახავამ (ლიდა მატისოვა), რამაზ ჩივიკაძემ (პეტრი პეტრუსი), სალომე ყანწელმა (ლიდა პეტრუსოვა).

ამ ანსამბლში ახლებურად, მთელი სისასვით გამოანათა გურამ საღარაძის ნიჭმა: „გ. საღარაძე, რომლის ნიჭი არასოდეს გეჭვ არ იწყვედა, მაგრამ არ იყო გამოვლენილი სრულყოფილად, ამ სპექტაკლში მართლაც სრულიად ახალი მხარით გამოჩნდა“ (ნ. გურაბანიძე).

რავი გამოიხატებოდა გ. საღარაძის ნიჭის ახალი ძალით გამოანათება ამ სპექტაკლში? გმირის ფსიქოლოგიურ ხვეულებში ჩაღრმავება, დრამატულ განცდათა გამოცემისა და სცენური სიმართლის შეგრძნების უნარი მან თავის ადრეულ ნამუშევრებშიც ხაზგასმით გამოკვეთა და გამოამუყურა. სტიბორის როლში მსახიობმა სრული მასტაბურობით გვეგრძნობინა გმირის სულიერი აღზვევის, დრამატულ სიმძაფრეთა ზრდის თანდათანობითი, აღმაგლი პროცესი. აქ გ. საღარაძე გვაოცებდა ტიტანური შინაგანი ენერგიით, უნარით — ყოფილიყო მუდამ შემართული, დაძაბული, აღზვევებულ-აღვლებული. მსახიობის ტემპერამენტი ძლიერ შემოქმედებას ახდენდა მაყურებელზე. „ამ „ორლესული გრძნობების“ პარალელურად გ. საღარაძე თავის გმირს საოცარი ღირიზმითა და პოეტურობით, უსასობითა და განწირულების საშინელი შეგრძნებითაც უხვად აჯილდოებდა. დღესაც სახიერად მიდგას თვალწინ სტიბორისა და მატისოვას სცენა კაფეში, როცა გაკვირვებული ლიდა ეკითხება მილანს, ნუთუ მას შეუძლია შეერთოს ქალი, რომელმაც წინა ღამე სხვათთან გაათია. იმდენად თავდავწყევით, ვიტყვი, არანორმალურად უყვარდა გ. საღარაძე — სტიბორს ლიდა, რომ ამ საზარელი სიმართლის შეტყობის შემდეგაც მის თვალეში კარგა ხანს არ ქრებოდა აღტაცებული სიყვარულის გამოშატველი ნაპერწკლები: „მე შენ მიყვარხარ, ლიდა! მე შენ მიყვარხარ!“ ნეტა-


სცენა სპექტაკლიდან „სელიმის პროცესი“. ჯონ ჰელი — გ. საღარაძე, ელიზაბედ პროქტორი — ზ. კვერენჩილაძე



რებით აღსაყვებელ ჩურჩულთ მრავალჯგონის იმორება ამ სიტყვებს და მხოლოდ შემდეგ ჩაუხვდებოდა ლიდას სიტყვებში გამოსატულ მწარე სინამდვილეს. აქ უკვე იფურცლებოდა ამაღლებული რომანტიზმი, მთელი სხეულით მივშვებოდა სტიბორი — საღარაძე, სულიერი ტკივილებისაგან მოკრუნხული, ლასლასით გამობრუნდებოდა და გაოგნებული გაუყვებოდა გზას საკუთარი შორეული ოცნებებისაკენ... შემდეგ ისევ ძველი სტიბორი წარმოვიდგებოდა მოიდევნო სცენებში — აღგზნებული, სიყვარულისაგან გახლებული, მომთხოვნი და უკომპრომისო. სწორედ ასეთი სტიბორი ეკვეთებოდა პირისპირ თავის მეტოქეს პეტრი პეტრუსს და აქ მსახიობის ვნებათა ღელვას საზღვარი არ ჰქონდა — იგი დრტივინავდა, მძინეარებდა, მზად იყო აღეგავა პირისაგან მიწისა თავისი სიყვარულის დამრთუნავი, უმწიკლო გრძობების წამბილწავი და შემბლაღავი ადამიანი. როგორი უკიდევანო ზიზღი და ცოფმორეული მღელვარება გამოსჭვიოდა ამ დროს გ. საღარაძის შესრულებაში, რა დაუნდობელი და შემამუსვრელი იყო მისი გამოხედვა, როგორ უთრთოდა და უკანკალებდა მთელი სხეული, რამდენი ბოღმა და ღვარძლი იყო ჩანახებული მის ტრეში!.. და, აი, პეტრუსი ეუბნება, რომ მასაც უყვარს ლიდა. აქ გ. საღარაძის სტიბორი უეცრად გარდაიქმნებოდა. მყის ნელდებოდა მის არსებაში გაბატონებული ვნებათა ქარიშხალი, წამით კეთილი ღიმილითაც კი გაუნათებოდა სახე. უკვე ყველაფერი გაირკვა მილანისთვის და, ამავე დროს, ყველაფერი დამთავრდა...

გ. საღარაძე მილანის ხასიათში ერთნაირი სიმკვრივით კვეთდა, ერთ სიბრტყეზე წარმოგვიდგენდა მის როგორც ამაყ, შეუპოვარ, შეუვალ, ისე საოცრად სათუთ, მგრძობიარე, პოეტურად ამაღლებულ ბუნებას. მსახიობი ტაქტიკა და გემოვნებით აზავებდა კონტრასტულ საღებავებს, ერთი ამოსუნთქვით, შინაგანი ექსპრესიით მიჰყავდა მთელი როლი.

1965-66 წწ. თეატრალურ სეზონში გ. საღარაძეს შესაძლებლობა მიეცა რუსთაველის თეატრის სცენაზე განესახიერებინა ნიკოლოზ ბარათაშვილი — მ. მრევლიშვილის ამავე სახელწოდების პიესაში. მსახიობი განსაკუთრებული მონდომებით, გატაცებით შეუდგა მისთვის ახლობელი საყვარელი პოეტის სახეზე მუშაობას. მისი შესრულება გამოირჩეოდა რომანტიკული ზეაწეულით, ამაღლებული პოეტურობით, იმის მკვეთრი საზგასამით, რომ ნ. ბარათაშვილი, პირველ ყოვლისა, ზეგარდმო ნიჭით მირონცხებული პოეტია. გ. საღარაძის შესრულების მეორე პლანი მუდამ ამოიკიხავდით ტატოს პოეტური ქმნილებების ანარეკლს. მსახიობი ბარათაშვილის ლექსების შინაგანი რიტმიდან იღებდა თავისი გმირის წარმოსახვას



„ლალი“ — საბა-ბერი — გ. საღარაძე

სათავეს. ამ როლს სხვა შემსრულებელიც ყავდა, შეიძლება ითქვას, სახელგანთქული შემსრულებელი — გიორგი გვეჯკორი.

მასხარას მეტად საინტერესო სცენური სახე შექმნა გ. საღარაძემ „მეფე ლირში“. ეს სახე ყურადღებას იპყრობს რეჟისორული და აქტიორული გადაწყვეტის სიახლით, გაბედულებით, შემოქმედებითი სითამამით. შექსპირის მასხარამხოლოდ პირველ სამ მოქმედებაში მკაცრ გამოყვანილი, შემდეგ კი ლირი მარტო რჩება. რეჟისორმა მ. თუმანიშვილმა რუსთაველელთა სპექტაკლს გ. საღარაძის მასხარა ბოლომდე შეუნარჩუნა. გარდა ამისა, რეჟისორმა და მსახიობმა მეტად თამამი გადაწყვეტილება მიიღეს — მასხარას ჩამოაცილეს ყოველგვარი სახეშარო, „მასხრული“ ელემენტები, რითაც ძირეულად გარდაქმნეს როლის შინაგანი სტრუქტურა. ამ ორიგინალურ, ერთი შეხედვით უჩვეულო ხერხის წყალობით მასხარას სახემ სახეებით სხვა მნიშვნელობა შეიძინა, სხვაგვარად აქედნდა სპექტაკლში. გ. საღარაძის მასხარა გვევლინებოდა როგორც ლირის შინაგანი ხმა, მისი ტრადიციის თანაბრად გამოზარდებული. მსახიობი თავის შესრულებაში გამოვეითდა გამოყოფილ ტრაგიკულ საწყისს და მჭიდროდ უკავშირებდა თავის არსებობას ლირის არსებობას. გ. საღარაძე



რადის პარტნიორი ამ სპექტაკლში საბჭოთა სცენის გამოჩენილი ოსტატი სერგო ზაქარაიძე იყო, რომელიც თავისი უბადლო შესრულებით დიდად უწყობდა ხელს დადგმის საერთო ჩანაფიქრის ხორციუმსხმას. ს. ზაქარაიძეც ასევე ორიგინალურ ასპექტში წარმოგიდგინდა ღირს. მას თითქმის უკუვადებული ჰქონდა ღირის მეფურე ღირსებები; საოცრად მიწიერი და ადამიანური იყო ღირი მსახიობის წარმოსახვით. ალბათ ამიტომაც, ასე ბუნებრივი და ორგანული იყო მეფის სულიერი კონტაქტი მასხარასთან. აი, რას წერდა თვით ს. ზაქარაიძე ამასთან დაკავშირებით: „ჩვენ ძალიან საინტერესოდ ახლებურად მოგვეჩვენა მასხარასა და ღირის ურთიერთდამოკიდებულება. და, საერთოდ, გ. საღარაძის მასხარა სავსებით უჩვეულა. მასსა და ღირს შორის საოცარი აშანაგური დამოკიდებულება, თითქმის თანაწირობა სუფევს...“

შექსირთან მომდევნო შეხვედრა კვლავ მ. თუმანიშვილის რეჟისორული ინტერპრეტაციით მოხდა. ამჯერად მას იულიუს კეისრის რთული როლის განსახიერება დაეკისრა. გ. საღარაძის შესრულება გვიპრობდა მეფური სიზავადის ხაზგასმული მედიდურობით, გონებრივი გამჭრიახობით, მოქმედებათა სიღარბისით, ეპოქისა და სტილის მკვეთრი შვერებების უნარით. მსახიობი მთელი სპექტაკლის მანძილზე ზომიერად ანაწილებდა კეისრის მძაფრ შინაგან კადცებს, მხოლოდ კულმინაციის მომენტში აძლევდა სულიერ აღტყინებას სრულ თავისუფლებას.

ინტელექტი და თანამედროვე თვალთახედვა გამოაქვიოდა გ. საღარაძის იაზონის როლში (ანუსი „მედეა“). აქ მსახიობი ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელ შინაგან მოტივებს მოხდენილად უხამებდა დღევანდელობას.

სახასიათო მსახიობის ჩინებული თვისებებზე გამოვლინა გ. საღარაძემ ჭეიშვილის განსახიერებაში — ნ. დუმბაძის „სპარალდებო დასკვნაში“. ამ ტრავიკომიკურ როლს მსუბუქად, ძალდუტანებლად, იუმორის ღრმა შვერებებით განსახიერებს გურამ საღარაძე.

მსხიობის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილ თანამედროვე საბჭოთა ადამიანის ღირსეული წარმომადგენლის გიორგის ჯაფარიძის სახეს (რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“). ამ როლზე გ. საღარაძემ განსაკუთრებული გულმოდგინებით იმუშავა. როლზე ინტენსიური მუშაობის წყალობით მსახიობმა დასახულ მიზანს მიაღწია.

გიორგი ჯაფარიძე გ. საღარაძის შესრულებით — ესაა სანიშნო პარტიული მუშაკის ტიპური წარმომადგენელი, რომელიც უკომპრომისოდ ებრძვის ყველივე სიყალბეს, მოჩვენებითობას, რუტინას საბჭოთა სინამდვილეში. გ. საღარაძე თავისი შესრულებით გიორგი ჯაფარიძის სახეში ავითარებს ორ ძირითად ხაზს — პირად ტრაგედიას და პარტიული მუშაობით განცდილ მორალურ კმაყოფილებას. გ. საღარაძის შესრულების ძირითადი მამოძრავებელი მარცვალი იყო — გიორგი ჯაფარიძის ხასიათის სიმტიკე მისართლისათვის ბრძოლაში.

რუსთაველელთა გახმარებულ სპექტაკლში ბრქატის „კავკასიური ცარცის წრე“ (რეჟისორი რ. სტურუა) გ. საღარაძემ სამი ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებული სახე შექმნა, რითაც ერთხელ კიდევ თვალნათლივ დგავაქმუნა თავისი ნიჭის მრავალმხრიობაში, აქტიორული გარდასახვის უნარში. პირველად მსახიობი მაყურებელს თავადი ყაზბეგის ნიღბით წარუდგება. ამ ნიღბს მიღმა გამოშვლებულად მოჩანს ყაზბეგის სისხლისმსმელი, დაუნდობელი ბუნება; ამაზრუნვია მისი შხამნარევი, ნაძალადევი სიცილი, დამორგუნვია — ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების საშუალებანი. გ. საღარაძის მეორე გმირი — ფერეიტორი კი სეპრე და გონებაშუღდული ადამიანის სახიერი მაგალითია. რამდენი სილაღე და უშუალოება, ღრმა მუსიკალურობა და ფანტაზია ჩააქსოვა მსახიობმა ამ სახეში; შეუდარებელია მისი პლასტიკა. სულ სხვა ხასიათი გამოქრწვა გ. საღარაძემ ბერის როლით. გამუდმებული ლობობისაგან ხმანახრინწულ, ცხოვრებაზე ხელჩაქნულ ბერს ერთადერთი მიზანი ამოძრავებს — რაც შეიძლება მეტი დასაცანცლოს მოკვდავთ. ამ სამივე სახეს გ. საღარაძე ერთ სამოსელში ახვევს — მწარედ დასცინის, შეუბრალებლად ააშკარავებს მათ სულიერ სამყაროს.

გურამ საღარაძე ბუნდებიერ ხელოვანია. მისი შემოქმედება ხალხს უყვარს, ხალხს სჯერა მისი ეს კი ყველაზე დიდი ჯილდოა ნამდვილი შემოქმედისთვის.

„ბაკონი“. დარკონი — გ. საღარაძე.



# მხატვარ ბივი ვაჟაკიძის ვერნისაჟზე

ელგუჯა ამაშუკელი

ასალგაზრდა მხატვრის გივი ვაჟაკიძის ნამუშევრების გამოფენა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის ფოიეში საყურადღებო მოვლენა გახლდათ მრავალი წინით. ინიციატივა, რომელიც გამოიჩინა თეატრის ხელმძღვანელობამ ამ გამოფენის მოსაწყობად, ჩემის აზრით, გასცდა ერთი ხელოვანის შემოქმედებისადმი ყურადღებას და იგი იმ მხატვრული ტენდენციის ქომაგად წარმოსდგა, რომელსაც ნიჭიერება ჰქვია. ცნობილია, რომ ნიჭი, გასაგები და გაუგებარი მიზეზების გამო, ძნელად იმკვიდრებს ადვილს ცხოვრებაში. გასაგები მიზეზია გაბატონებული სტერეოტიპი, რომელიც უბრძოლველად არ თმობს თავის ეს-თეტიკურ პოზიციას, ხოლო გაუგებარი მიზეზებია ადამიანთა ურთიერთობაში წმინდა ფსიქოლოგიურ თუ ქვეშეყენულ ფაქტორებზე აღმოცენებული წინააღმდეგობები, რომელთაც მხოლოდ დრო ხსნის და აანალიზებს. ჭეშმარიტი შემოქმედისათვის უცხოა სულის ცდუნება. მარკუს ავრელიუსის თქმით, „თუ შენი მზერა მახვილია და ღრმა, მიიქვცე შენივე სულიერი ცხოვრების ჭვრეტად“. და, აი, რუსთაველის ფოიეში მოწყობილი პატარა გამოფენა ერთი ასალგაზრდა მხატვრის სულის უშუადავთო ქმედობის დიდებული ნიმუში გახლდათ. თავისთავად თუ რა მხატვრული ღირებულებისა და მასშტაბის იყო იგი, ამაზე დამაჯერებელ პასუხს მხატვრის სრული შემოქმედებითი მემკვიდრეობა გასცემს მომავალში. ამჯერად კი


მე მინდა ვილაპარაკო გამოფენის ნახვით მიღებულ ჩემს სუბიექტურ შთაბეჭდილებაზე.

გივი ვაჟაკიძე, როგორც მხატვარი, ჩემთვის პირადად დიდი ხანია „აღმოჩენილია“. საგამოფენო კომიტეტში ბევრჯერ ვყოფილვარ მისი შემოქმედების ქომაგი. მრავალჯერ განუცდია მის ხელოვნებას უსამართლო თავდასხმა ამა თუ იმ ორთოდოქსალი „რეალისტისაგან“, მაგრამ მას არასოდეს დაუკარგავს ზომიერების გრძნობა და არასოდეს გადაუბიჯებია თავის თავში იმ შესაშურებელი მიჯნისათვის, რომელსაც მოკრძალება და მოთმინება ჰქვია. მაგონდება ჩემი მეგობრის, მხატვარ ჯიბსონ ხუნდაძის სიტყვები (გივი მან გამაცნო თავის სახელოსნოში ამ რამდენიმე წლის წინათ): გაიცანი! ნიჭიერი, მოკრძალებული, შრომისმოყვარე კაცი და მხატვარი. ეს უკანასკნელი სიტყვა მხატვარი ისეთი მახვილით იყო თქმული ჯიბსონის მიერ, თითქოს ჩვენთან დღეს ამ სიტყვას დაკარგული ჰქონდეს აზრობრივი მნიშვნელობა და მას მხოლოდ პროფესიის ზედაპირული მინიშნებისათვის წარმოთქვამდეთ. მართლაც, მძიმე პატივია იწოდებოდე მხატვრად, პოეტად, იყო მუხის მსახური, და როგორც გალაკტიონმა, იტოდე: „ვიცი ვიქნები! მშვენიერი მიზნის სიძნელეთი თუ კი მოვედი“... მოვიდა მხატვარი გივი ვაჟაკიძე თავისი მიზნის სიძნელეთი, რწმენით, ლამაზი პოეტური ასოციაციებით, გრძნობისა და გონების სიღრმით, რაციონალურისა და ემოცი-

ურის მთლიანობით, საკუთარი ესტეტიკური მრწამსით. მოვიდა და, ცხადია, ლოგიკურად თან მოჰყვა დავა, კამათი. დაუპირისპირდა ერთმანეთს პროფესიული და დილექტანტური ასოციაციები. პირველნი, პროფესიონალები, როგორც ყოველთვის, ცდილობენ მას მიუყვონ შეფასებათა უშუღავათო კრიტერიუმები. არის თუ არა მის შემოქმედებაში ფერისა და ნახატის ანტიკური მთლიანობა, კომპოზიციური სისავსე, სიხლოვე თანამედროვე მხატვრული აზროვნებისათვის დამახასიათებელ ტენდენციებთან და მრავალი სხვა. ყოველივე ეს, ცხადია, ალქმის პროცესში მაყურებლისაგან ითხოვს ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობას, შემოქმედებითი უნარის გააქტიურებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ზოგიერთს მართლაც გაუნდეს დილექტანტური ასოციაცია ამა თუ იმ მოდერნისტ მხატვართან.


ურბანიზებული ცხოვრების რიტმი, ათასი ჯურის კულტურულ ინფორმაციასთან საკუთარი ნებით თუ სტიქიურად შეხვედრა, ყოველდღიურობით დამუხტული ნერვიული წამი, ცნობიერების ნაკადი, ცივილიზაციის და ბუნების კონფლიქტი... ერთი სიტყვით, თანამედროვე მოაზროვნე ადამიანისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები არეკლილია მხატვრის სულში და გადატანილია მის მიერ ტილოზე დიდი ტაქტიკით და ოსტატობით. ვაშაკიძის თითქმის ყველა სურათი ერთი სულიერით მდინარებისაა. მხატვრის სტილისტური თავისებურება ყველა მათგანში გამოკვეთილია ნათლად. ამიტომაც საუბარი მეჭნება არა ერთ რომელიმე კონკრეტულ ნაწარმოებზე, არამედ ზოგადად მის შემოქმედებაზე.

დღეს ქართული მხატვრობის ძირითად ტენდენციას განსაზღვრავს ფორმის თავისთავადი, ნიშან-თვისებათა ხარისხი. ფერწერაში — ფერის სისავსე, სიღრმე, ქანდაკებაში — ფორმის სიმკვრივე, სიმძიმე, სივრცობრიობა, გრაფიკაში — ხაზის კულტურა და სხვ. ადრე ჩვენნი მხატვრობისათვის დამახასიათებელი ლიტერატურული აზროვნება თანდათანობით გზას უთმოხს საკვიციკურ ლირებულებათა ფერმონს, მხატვრულ ხარისხს. ვაშაკიძის შემოქმედება ამ მხრივ ჩვენთან ახალი და მეტად საინტერესო ფაქტია, რამდენადაც მისი მხატვრული აზროვნების საფუძველი, ძირითადად, პოეტურ ასოციაციებზე, ფანტასტიკურ ხილვებზეა აღმოდგენილი, რაც, თავისთავად, მაყურებლისაგან აქტიურ შემოქმედებით დამოკიდებულებას ითხოვს. მისი კომპოზიციები მნახველს უღვიძებს ფანტაზიას და ალქმის პროცესში იგი მხატვრის თანავგორი ხდება. ვაშაკიძის სურათების სახელწოდება პირობითია და



აეტაპორტრეტი

გრილი ნიაფი უღანოში



ისინი, შესაძლებელია, ყველა მაცურებლის განწყობილების შესატყვისი არც იყოს. კომპოზიციური აზრობრივი ქვეტექსტი წარმოჩენილია არასაგანთა მოქმედებით, თხრობით, არამედ პლასტიკური და ფერწერული ფაქტურით, რაც ყველა მხსველში, ბუნებრივია, განსხვავებულ ემოციებს იწვევს. ვაშაკიძის მხატვრული ფორმა დახვეწილია და ფაქიზი. იუველირისათვის შესაშური ოსტატობით ავლებს იგი უაღრესად ესთეტიკურ, სუფთა ხაზს, ამთავრებს ფორმას სტერეოსკოპული სიღრმით და ანიჭებს მას სივსავლობას. მის პალიტრას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაქვს ფერის თავისთავადობის და სიღრმის პრეტენზია. ფერი მის სურათებში მხატვრის სულიერი მოძრაობის მუსკალური ფონია და იგი ხშირად იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რა განწყობილებისა კომპოზიცია, ან რა აზრობრივი ქვეტექსტი უდევს მის საფუძვლად.

რამდენიმე სიტყვა მხატვრის ფილოსოფიურ პოზიციაზე, მისი მხატვრული აზროვნების სუბიექტურ ღირებებზე. შესაძლებელია, ჩემი შეხედულება ბევრისათვის მიუღებელი და სადავო იყოს, განსაკუთრებით მათთვის, ვინც კარგად იცნობს ვაშაკიძის პიროვნებას, ვისაც ყოველდღიურად უხდება მასთან ურთიერთობა. მაგრამ, ვფიქრობ, ყოველგვარი საუბარი მეორე ადამიანის შემოქმედებაზე, ხელოვნებაზე უხედაპირული და არაფერისმოქმედი იქნება, თუ არ შევეცდებით მხატვრის სულიერი ძალებით შექმნილ რეალობას და პიროვნულ თვისებებს შორის არსებული კავშირის ძიებას და პოვნას. ვფიქრობ, სიტყვები — სიმართლე, გულწრფელობა, უშუალობა, ინტუიცია და სხვა, აუცილებელი ნიშან-თვისებებია ჭეშმარიტი მხატვრობისა, შემოქმედებისა და არსად ისე ნათლად არ აირეკლება, როგორც პიროვნებასა და მისი ბიერ შექმნილ მატერიალურ ღირებულებათა დაპირისპირებისას. ხშირად გვსმენია ამა თუ იმ შემოქმედებაზე ასეთი სიტყვები: მას აკლია გულწრფელობა, არ არის უშუალო, ან პირიქით, მისი შემოქმედება დიდ შინაგან სიმართლენა ადმოცნებული, ცხოვრებისეულია, ის ჰკავს საკუთარ პიროვნებას. ან, — მისი ანტიპოლია და სხვა. სინამდვილეში, ცხოვრებაში ყოველი ადამიანი ცდილობს ფიზიკურ გარემოსთან თუ სულიერ მოთხოვნილებებთან იპოვოს პარმონიული კავშირი. ამ მხრივ გვივ ვაშაკიძის შემოქმედება, ერთი შეხედვით, თითქოს არა ჰკავს ავტორს. მისი ნამუშევრების მხატვრული ფორმაგაცილებით გართლებული და ჰაიპერბოლიზებულია, ვიდრე მისი საკუთარი ადამიანური საწყისი; ბუნება, ვფიქრობ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში ვაშაკიძე ღრმა და საინტერესო პიროვნებაა, რომელიც, ჩემი პირადი დაკვირვებით, ყოფაში თავის სულიერ თვისებებს ძალიან ძუნწად ამჟღავნებს, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, დიდი შინაგანი ტაქტის, ზომიერების და მოკრძალებული ბუნების გამო. ვაშაკიძის შემო-

ქმედებაში ეს თვისებები „კალიგრაფიული“ სიმართლითაა გამოხატუნებული. არ შემიძლია არ აღვნიშნო შემოქმედის „მხატვრული სმენა“. ყოველი მისი ნაწარმოები საკუთარი, განსხვავებული ფერწერული „მელოდიის“ შემცველია, სადაც ყველა ბგერა, „საგანი-ინსტრუმენტი“ იმ სმას გამოსცემს, რომელიც უმცირესი ნიუანსებით აბსოლუტური სიუსუსტით ერთვის ძირითად ფერწერულ-მუსიკალურ გამას.

გვივ ვაშაკიძის კომპოზიციები, ზოგჯერ ღრმად ფილოსოფიური, ზოგჯერ გულმტყვილოდ უშუალო. ვიზუალურად რეჩიტატიულია, თხრობითია, მაგრამ წარმოსახვით-ფანტასტიკური. მხატვრის გამოფენაზე ჰქონდა ერთი ასეთი სახელწოდების კომპოზიცია: „შემოქმედი“. უზარმაზარი ლოდის წინ დგას ხელოვნაწილი მუხა, რომელიც მზადაა შეეჭიდოს და ლოდის ტყვეობასაგან გამოათვისაუფლოს დატყვევებული მშვენიერება — სიკეთე; ლოდში შემოქმედს დემონიც ელოდება, რომელიც ბრძოლის გარეშე არ დასთმობს თავის საცოფფელს. ყოველივე ეს კიდევ უფრო მაცდუნებელს და მიმზიდველს ხდის და ზრდის ბრძოლის ტინს მშვენიერების გამომხსნისათვის. ეს სიმბოლიკა კარგი შეგონებაა ყველა შემოქმედისათვის, ვისაც ძალუძს იგრძნოს დიდი ბრძოლებით გამომხსნილი მშვენიერების ფსიხი.

მინდა ვუსურვო ჩემს ახალგაზრდა კოლეგას, გვივ ვაშაკიძეს დიდი და შინაარსიანი შემოქმედებით ბრძოლებით აღსასეს გზა, რათა მას მოულოდნელად ამ გზაზე განცხრომისაგან არასოდეს ჩასძინებოდეს, ვინაიდან, როგორც გოეთე იტყოდა, „ძილი შემოქმედისა დაწუნება სანახობაა“.

ფრანთი ქალაქკარტო



1937 წელს, თეატრში მუშაობა რომ დაიწყო, გარკვეული მსახიობური გამოცდილება მქონდა — ოლნდ, კინოში, მუნჯ სურათებში. კინოში თამაში ერთია, თეატრში კი — სულ სხვა. ამ თემაზე ბევრი დაწერია და აქ სიტყვას აღარ გაავრცელებ.

თეატრში მოვლისთანავე, ორი რეპეტიციალა

ბით კავშირს, უშუალო, ადამიანურ ფსიქოლოგიურ კონტაქტებს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სპექტაკლის წარმატებისათვის.

„სირანო დე ბერჟერაკით“ დაიწყო ჩვენს თეატრში მუშაობა 1943 წელს მოსკოვიდან მოწვეულმა ცნობილმა რეჟისორმა იოსებ თუმანიშვილმა. აკაკი ხორავას და მე დავეყვისრა სირანოსა და როჟანას როლები. მასსოვს, თეატრში დიდ შემოქმედებითი მუშაობა წარიმართა. კარგი რეჟისორი, დიდი კულტურისა და გემოვნების ადამიანი იოსებ თუმანიშვილი ისე ორგანულად შეერწყა ჩვენს დასს, რომ მისი რეპეტიციები ყველასთვის მეტად პასუხსაგებ და საყვარელ საქმედ იქცა. ასე ხდებოდა ყოველ დიდ ტილოზე მუშაობისას ამ შესანიშნავ, ჭეოიკული სტილის თეატრში, თანამოაზრეთა შერეულ და ძლიერ შემოქმედებით კოლექტივში. დიდი რეჟისორების — კ. მარჯანიშვილის და ს. ახმეტელის მიერ შექმნილი, დამკვიდრებული, საღი ტრადიციის ერთერთი გამგრძელებელი აკაკი ხორავა იყო.

საბჭოთა თეატრის საგანძურში შევიდა აკაკი ხორავას ანზორი, იჩო, კარლ მთორი, კაპიტანი ბერსენევი, პლატონ კრჩეჭი, არსენა, ოტელო, ოლეკო დუნდიი, სირანო დე ბერჟერაკი, ივანე მრისხანე, მეფე ლირი, ოიდაბოს მეფე...

რეჟისორი იოსებ თუმანიშვილი და აკაკი ხორავა როსტანის ჭეოიკულ კომედია „სირანო დე ბერჟერაკზე“ მუშაობის დაწყებისას შეთანხმდნენ, რომ, როგორც სპექტაკლი, ასევე მსახიობის მიერ შექმნილი ყოველი სახე ზუსტად უნდა გადაწყვეტილიყო ისე, როგორც ეს შეეფერებოდა ჩვენი თეატრის სტილს, მის ჭეოიკულ-რომანტიკულ პათოსს. აკაკი ხორავა სირანოს სახეს აღიქვამდა, როგორც ჭეოიკულს და არა კომიკურს. აკაკი ხორავასათვის როლის კომიკური ინტერპრეტაცია სრულიად უცხო იყო და, ალბათ, მიუღებელიც. დაიწყო რეპეტიციები. ასეთი შთაგონებული და აღტყინებული აკაკი არასოდეს მინახავს.

თუ სხვა როლებზე მუშაობისას ეღი დინჯი, მძიმე, ხშირად წარმშვრული, აუჩქარებელი იყო და ხალისიანი იშუათად გენიხავს, სირანოს რეპეტიციებზე სულ სხვაგვარი წარმოგვიდგა. იგი მთელი არსებით თითქმის რაღაც ახალი ტემპორიტმით იყო შეპკრბილი. შემდეგ, თვეების მანძილზე, რეპეტიციებზე, მეონი ქვეყნობიერად, სირანოს სახეში კომიკურიც იპოვა.

ოსებ თუმანიშვილი თავიდანვე დიდი ტაქტიკით მიუღდა აკაკი ხორავას, მის არტიტულ ხასიათსა და ჩვევებს. აკაკი არ ჩქარობდა მაკიდრან ადგომას, როლზე დამოკვიდებლად მუშაობას და-

# აკაკი ზორაშას გახსენება

ალექსანდრა თოიძე

მქონდა გავილი, რომ უკვე მზა სპექტაკლებში მომიხდა შესვლა. ეს ნამდვილი წამება იყო ჩემთვის. პარტიორს მსახიობი, უპირველესად ყოველისა, რეპეტიციების დროს „ეჩვევა“, მე კი ამის შესაძლებლობა პირველ ხანებში არ მქონდა.

ყველა სპექტაკლში ჩინებული პარტიორები და რეჟისორები მყავდა, მაგრამ მათთან რეპეტიციებზე მუშაობა ფაქტიურად არ მიწევდა და მხოლოდ შემდგომში წლების მანძილზე, უკვე სცნაზე თამაშის პროცესში, მივალწვი ამ დიდოსტატებთან ტუმარტიად შემოქმედ-

ვეული, ისებ თუმანიშვილის რეკისურას საოცარი ინტერესით მოვიკადა, და ეს ინტერესი დღითიდღე იზრდებოდა.

რამდენიმე თვის განმავლობაში ჩემს თვალწინ მიხდა გასაოცარი გარდასახვა. ყოველ რეპეტიციასზე იმადებოდა ახალ-ახალი ხაზი, ნაკვთი, ნიუანსი. ასე იქმნებოდა და სრულდებოდა ფრანგი პოეტის ჭეშმარიტად მომხიბვლელი სახე.

განსაკუთრებით აწუხებდა აკაკის პირველი სცენა; ოროფეხებზე ვდგავარო, მითრას. მაგრამ რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ პირველი აქტის სცენებს შესანიშნავად გაართვა თავი. თვითონაც დაწყარდა და ჩვენც დაგვაჯერა როლის შინაგან სიმაართეში.

1944 წლის 13 იანვარს მიზანსცენებზე გადავედით.

ისებ თუმანიშვილის რეპეტიციები, მისი მიზანსცენები სანატრესო და ორგანალური იყო. იგი ფაქიზად გვეპყრობოდა, ანგარიშს უწევდა, მსახიობების მოხავეჭვებს და შესაძლებლობებს, ცდილობდა, რომ თვით ბუნებრივად გვეგრძნო. აკაკი ამბობდა: მოვიწონს ასეთი რეკისურა, სულ არ მოგვაგოს. მესამე აქტის რეპეტიციები ადრე დავიწყეთ. ერთ-ერთი რეპეტიციის შემდეგ ყველანი ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 20 წლის თავის გამო გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე დავერთოთ თეატრში. საღამოს რეპეტიციასზე აკაკი ხორავა საკვირველად მონადომებული შექვენა. ხალისიანად გამოიყურებოდა, ხელში ასრესდა, ეშმაკურად იღიმებოდა, ხუმრობდა, ეს იღას ნიშნავდა, რომ სირანოს სახე ძირითადად უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა და აღარ ორჭოფებდა. პირიქით, როგორც თეატრში იტყვიან, კარგად მოთავსდა, ჩაჯდა სირანოს როლში. უკვე კოსტუმებზეც დაიწყო ლაპარაკი. დღგორაკიებს და კოსტუმებს ახლა საქვეყნოდ ენობილი, მაშინ კი ახალგაზრდა მხატვარი სოლიკო ვირსალაძე ქმნიდა. სანატრესოდ ვუმზამოდი უკანასკნელ აქტზე. აკაკი ყოველთვის ტონში, ე. ი. შხა სპექტაკლის ხმით გადიოდა რეპეტიციებს. ისეთი შთაბრძნობით ვგრძობოდი, რომ, კი არ დადიოდი, დაფრთხილავდი. მოსკოველი მეგობრები მოყრდნენ, „სირანო“ ორ თეატრში — ვახტანგოვსა და ლენინური კომკავშირის თეატრებში — ვხანეთო. ზოგი ერთს აქებდა, ზოგი — შიორეს, ხოლო ჩვენ სპექტაკლზე ძალზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

1944 წლის 19 აპრლს წარმოვადგინეთ „სირანო დე ბერჟერაკის“ პრემიერა. მიზნად გავიხსენო მესხეთე აქტი, რომელიც განსაკუთრებულად შთამბეჭდავი იყო, სოლიკო ვირსალაძის შექმნილ გარემოში თეთრი მონასტრის ფონზე, ზემოდგომის ხეებქვეშ, ნაცისფერ ქვეყნულად დაკვნილ დიდ ყვითელ ფოთლებზე სცენის მარცხენა მხრიდან შემოდიოდა ვახთი ხელო, მაღალი, გამხდარი სირანო, ოდნავ წელში მოხრილი, შვე ტანსაცმელში, შავი ფართო ფარფლებიანი ქაღიდი, ტანჯულ სახეზე შავი ბრილა თვალებით. ეს უკანასკნელი

სცენა ისეთი შთაბრძნობით, ისეთი დამსხტული, გადადმები გრძობით მივაყდა, რომ მე, აკრემ-ლუბულ როქანას, ქვეყნობიერად მესხლდა მაყურებლის ღღვავა და ჩემი კვითი, ხოლო სირანო-ხორავა დიდი გამოლილი ტოტებიანი ხის ძირას, ამ ბოლო მონოლოგში, დამთით ხელში, მოჩვენებებთან, სიკვდილთან, სიცრუესთან ბრძოლით გამაწრებულ თვალთვან ნაპრწყლებს ყრიდა, მესხითე ქუნდა, როცა დაჭირილი არწივით მიაღწევდა მონოლოგის კულმინაციას, უცებ სიბიძხულდა. მთელს სიბიძხით დაეჭრებოდა გადაწულ დანას და აწითლებული თვლებით გასცქეროდა თითქოს უხასრული სივრცეს. ძალა დალატობდა, ფორდემობდა, სუსტდებოდა, ეს იყო დიადი, დაუეწყარი სცენა, და ბოლოს, მისი სიკვდილი ჩემს კალთაზე ისე ამაღლვებელი იყო, რომ აცახცახებული ვჭვითინებდი. აუწერელი წარმატება ჰქონდა მთელ სპექტაკლს, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელ სცენას.

აკაკი ხორავამ განსცენა სიცივე არასდროს მიგრძენია. ის სპექტაკლებშიც, როცა აკაკი დილის განცდით არ თამაშობდა, ის ყოველთვის მართალი იყო, მას არ შეეძლო ხელთფერად შევემკა ემოციურობის შთაბეჭდილება. ყალბი არც ერთ წუთს არ იყო. ის აბსოლუტურად გულწრფელი იყო და, სწორედ ამიტომ, მიუხედავად ჩემი გამთლებლობისა, მასთან ლაღად ვგრძნობდი თავს.

უმრავლეს შემთხვევაში, სპექტაკლი „ოტლო“ შთოდა რუსთაველის სახელობის თეატრში ისეთ მაღალ შემოქმედებით ტონში მიდიოდა, რომ ჩემს იმპროვიზაციას ფრთა ესხმობდა და ჩემი დრამატიზმიან დროთა განმავლობაში გამოიწრით და სპექტაკლს ორგანულად შეერწყა.

ის მეტამორფოზა, რაც ჩემს თვალწინ „ოტლოში“ ხდებოდა, სიყვანის ბოლომდე გასაოცარი საიდუმლოებად დარჩება ჩემთვის.

აკაკი ხორავა თეატრში შემოდიოდა მხარამოყრილი, თავიქანდრული, თითქოს ძალზე დაღლილი, ხოლო საათნახვერის შემდეგ, სცენაზე გასვლის წინ ოტლო-ხორავა უსათრად შემოვიდოდა ჩემს საკახმულში, უკვე შთაგრებული, ნაპრწყლიანი თვლებით შემოთანავდა, გაიღიმებდა, კეთილი ღიმილით. უსაროდა საყვარელი როლის თამაში, ხალხმრავალი დებრზის ხმები. მეც რომ სახეიმო განწყობას შემბატყობდა, უფრო ელვარე იერს მიიღებდა და სცენისაკენ მიიმართებოდა ამაღლებული, ახოვანი, გამართული. ნამდილი სარდალი. ჩემს თვალწინ ხდებოდა შინაგანი და გარეგანი აბსოლუტური გადვალსახვა.

აკაკი ხორავა ბავშვივით უშუალოდ განიცდიდა იმ გულწრფელ მსხვედრებს, რასაც გემარათვდნენ სპექტაკლის შემდეგ მშობლიურ თეატრში, პერიფერიაში, მოსკოვში თუ უკრაინაში, ამავე დროს, ღირსების გრძობით, დინჯად, ჩუმიად ჩამილაპარაკებდა: — „მიდი და ნუ თამაშებ, თუ ვაჯაკი ხარ, აბა, შენ იცი, არ შეკრათ“.

1939 წლის ზაფხულს ჩვენი თეატრი საგასტროლოდ უკრაინაში გაემგზავრა. ყოველივის მადლიერების გრძნობით ვიგონებ ჩვენ გასტროლებს კიევიში, ხარკოვსა და ოდესაში, ასლაც თვალწინ მიდგას გრანდიოზული შეხვედრები ამ ქალაქებში.

დაუვიწყარია შეხვედრები და მეგობრობა უკრაინული კულტურის გამოჩინული მოღვაწეებთან: ალექსანდრე კორნეიჩუკი, მიკოლა ბაჟანი, ნატალია უჟვი, ვნატურა, კიპარენკო დამასკი, კრუშელნიცი, გრიშკო, კლავდია შულეჟკო, კრიტი-



აკაკი ხორავა

კოსი ანდრეი ნელჟეცსკი, იურისტები კედენსკი, მამონტოვი და არსენი გურვეიჩი ოჯახებით არ გემორღობოდნენ, სიყვარულით გვაცნობდნენ უკრაინის ძველი კულტურის ძეგლებს.

ვლადიმეროვით ჩვენს სპექტაკლებზე, მსახიობებზე. ყველა აღნიშნავდა აკაკი ხორავას წარმატებას, მის ბუნებრივ მონაცემებს. აკაკის ტემბრის თვალსაზრისით, დაბალი, ლამაზი, დიდი დიპლომატიის, მუსიკალური ინსტრუმენტებით ძლიერი ხმა ჰქონდა. ყვირილი არ ჰქონდა. ტრაგიკული სცენები მისი შესრულებით ბუნებრივად ქვდებოდა.

უკრაინაში დიდი წარმატება ჰვდა ყველა დღემას: სანდრო შანშიაშვილის „არსენას“, ოსტ-

როუსკის „უდნაშაულო დანაშავენს“, რომლებიც აკაკი ვასაძემ დადგა და გასტროლებშიც განაახლა.

„ოტელო“ მაშინ ახალი სპექტაკლი იყო, აკაკი ხორავამ მოაჯადოვა უკრაინელები.

აკაკი ხორავა მრავალ წელს თამაშობდა ოტელოს დიდი შემართებით, ახალ-ახალი ნიუანსებითა და დეტალებით ამდიდრებდა ამ სახეს.

1945 წლის 25 მაისს სპექტაკლ „ოტელოზე“, — ეს უკვე ბილისში, — მამარჩი — მხატვარი მოსე თიძე დავაპტიყე. იმ საღამოს წარმოდგენაზე, ჩვენი ინტელიგენციის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი გვეწვია. თეატრში პრემიერის მსგავსი ატმოსფერო შეიქმნა. პარტერის წინა რიგებში ჩვენი გამოჩინილი მეცნიერები: ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე, დიმიტრი უსნაძე, ილია ზურაბიშვილი და მესარიონ ჯენტი ისხდნენ. სპექტაკლმა ერთობ კარგად ჩაიარა. აუდიტორიას თავს რომ ვუკრავდით, მაშინ შევამჩნიე ჩვენი მოღვაწეები. მეორე დღეს მამას დაურეკე, მომილოცა წარმატება და მითხრა: დიდებული სპექტაკლია. ალექსანდრე ჯანელიძეს სპექტაკლის მეორე ნახევარში სახიდან ცხვირსახოცი არ მოუშორებიათ.

1946 წლის 5 დეკემბერს ვეზაღებოდი „ოტელოს“ სათამაშოდ. მასურებელი ერთი კვირის განმავლობაში თეატრის წინ იყრიდა თავს. ბიულეტებს და კონტრამარკებს ელოდნენ. სპექტაკლის დღეს კი სრულიად აუწერელი აეთოტაჟი იყო. ექვსასი კონტრამარკა გაიყიდა. თეატრი ზალხით იყო გაჯედილი. ფარდის იქით, დაბაზში, ისეთი ჩოჩქოლი შეიქმნა, რომ შეუძლებელი იყო სპექტაკლის დაწყება. პარტერში უცხოელი სტუმრებიც ისხდნენ. აშშ პრეზიდენტის რუზველტის ვაჟი ელიოტ რუზველტი და მისი მეუღლე ამერიკელი კინოფარსკვლავი ფეი ემერსონი. როგორც იქნა, მასურებელი დაწყნარდა და სპექტაკლიც დაიწყო.

ხორავა-ოტელო იმ დღეს რაღაც გასაცრად თამაშობდა. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ სტუმრები შემოვიდნენ სცენაზე, მსახიობთა საერთო ფოთიში. ყოველი რგულიც გვესმოდო, ისე მეტყველად განივლიდით როლებს, რომ ყველაფერს ვიგებდითო. გვილოცავდნენ აღფრთოვანებულნი, წრფელად გვიზიარებდნენ თავიანთ განცდებსა და ფიქრებს. ხორავა-ოტელოს განცვიფრებული უყურებდნენ — ასეთი ოტელო ვერც წარმოგვედგინაო. ჩვენ ვიხილეთ დიდებული, რომანტიკული და აღწევებელი შექსპირი, სპექტაკლი „ოტელო“ თქვენი დიდი კულტურის მაჩვენებელიაო.

სანამ ფოტორეპორტიორები სურათს გვიღებდნენ, მასურებელი არ ცხრებოდა. ხორავას და სხვა შემსრულებლებსაც იხმობდა. აღარ მახსოვს რამდენჯერ გაიხსნა ფარდა. აკაკი ძლივს იდგა ფეხზე, დაქანებულიყო, სახე კი, როგორც ყოველთვის, სიხარულს გამოხატავდა, დალილებს მა-

ყურების აღტაცება გვამხნევებდა და, რასაკვირველია, გვასარებდა.

მინდა მოვიფროს სპექტაკლი „ოტელო“ 1947 წლის 7 მაისს, როდესაც ნორვეგიელები გვესტუმრნენ, მათ შორის ცნობილი ტრავიკოსი, ჰამლეტის როლის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი მსახიობი ნილსენი. მასზე ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საერთოდ სპექტაკლმა, საინტერესო და შესანიშნავმა დადგამამ, ოტიელისა და იაგოს ხასიათების სრულიად ახალმა ინტერპრეტაციამ. ნილსენმა შთაბეჭდილების წიგნში ჩვენთვის სასწავარი სიტყვები ჩაწერა, ხოლო მეორე დღეს ნორვეგიელთა დელეგაციის დიდ მიღებაზეც მივიღე საღამო ქართული თეატრის ქება-დიდება გვესმილა.

დაახლოებით იგივე აზრი ექვრდა მის სიტყვებში, რომ თქვენი „ოტელო“ შექსპირისეული მასშტაბის, აბსოლუტურად მართალი, ადამიანური და ამიტომ ამაღლებელი და გამაკეთილშობილებელია.

1947 წლის 8 ივლისს მოსკოვს ვაჩვენეთ „ოვანე მრისხანეს“ პრემიერა. სპექტაკლებს საუკეთესო საზოგადოება ესწრებოდა. წარმატება დღითი დღე მატულობდა. 12 ივლისს დაიდვა „ოტელო“, რომელმაც, მოსკოველების სიტყვები რომ გავიმეორო, არაგონილი და არახელა შთაბეჭდილება მოახდინა. „ოტელუს“ უკანააქნელ წარმოდგენას ისეთი გრანდიოზული წარმატება ჰქონდა, რომ სიტყვებიც არ მყოფნის მის გამოსახატავად.

სპექტაკლი ქართული თეატრის ტრიუმფად გადაიქცა, რასაკვირველია, პირველ რიგში აკაკი ხორავას ტრიუმფი იყო. გვიოცავდნენ მოსკოვის თეატრების ვასკვლავები, მსახიობები: ოლღა კნიაზერ-ჩეხოვა, ტურჩანინოვა, ალისა კონენი, რეჟისორი ალექსანდრე თაიროვი, სამხატვრო თეატრის მსახიობები: ალა ტარასოვა, კლავდია ელანსკაია, ანგელა სტეპანოვა, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე ალექსანდრა იაბლოჩინა, ელენე გოგოლევა, იმ დროს დიდად პოპულარული დარია ზურკალოვა. გვესალმობოდნენ მისი ულანოვა, ტატიანა ვერესლოვა, მარინა სემიონოვა. ვახტანგოვის თეატრიდან — ცეცილია მანსუროვა, სცენის დიდი ოსტატი მარია ბაშანოვა, სოფია გაიკინტოვა, ვალენტინა სეროვა, მოვლდნენ ვასილ კაჩალოვი, მიხოელსი, რუენი სიმონოვი, ზუბოვი, ჩებანი, ბერსენევი და სხვები და სხვები.

აკაკი ხორავას ოტელომ განცვიფრებაში, აღტაცებაში მოიყვანა ბევრის მხახველი მოსკოვის მაყურებელი.

ხანდახმულემა მოიგონეს რუსთაველის თეატრის 1930 წლის გასტროლების განუმეორებელი წარმატება, იხსენებდნენ „ანზორას“, „ყაჩაღებს“. იგონებდნენ დასახსომებელ შთამბეჭდავ სცენურ სახეებს და დიდ რეჟისორს სანდრო ახმეტელს. გასუბეში, ჟურნალებში დაიწერა წერილები.

გასტროლების წარმატებას მოჰყვა სანტერესო შეხვედრები, მრავალი დარბაზობა.

აკაკი ხორავა წლების განმავლობაში, ყოველ სპექტაკლზე ოტელოს სახეს ახალ ფსიქოლოგიურ ნიუანსებს მატებდა. ტრავიკოსს მესამე და მეოთხე მოქმედებაში არაერთხელ შემინიშნავს მის ინტონაციაში, მოძრაობაში, თვალების გამომეტყველებაში, ვესტებში ახალი სიძლიერით გამიხატული ეჭვი, შემდეგ ზიზღი, ხან მარტოობის საშინელი განცდა. ხან კი სიხარული გაიღვივდა მის თვალსა და ტუჩებზე, იმ წუთში მას სჯეროდა და უხელომანს სიმართლე და ერთგულება. აკაკის სახე შეეცვლებოდა, მკვირვალ ზურგს შემაქცევდა, ეტყობოდა, რომ ეჭვმა გაუღვდა და მაშინ კი ისეთი გაავეხული თვალებით შემომხედავდა, გამოორთქებისაგან ტუჩები უკანკალდება, მზად იყო ავეკუწე, ისეთ ზიზღს და სიძულვილს გამოსხატავდა, რომ გრიმის ქვეშ ვყოფირობოდი და სუნთქვა მიმწიფდებოდა. ძალზე გაამბდინი იყო ხორავა-ოტელის გრძნობები. აკაკის უტყუარი ფსიქოლოგიური გადასვლები კი არ აწვრილმანებდა ხორავას სახეს, პირიქით, აღრმავებდა და ამით ამდიდრებდა კიდევ.

მეხუთე აქტში ხორავა ნამდვილი ბუნებრივი ცრემლებით ტირიდა, მაგრამ არავითარ სენტიმენტალობაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, რადგან ხორავას გემოვნება არასდროს ღალატობდა. ზომიერების გრძნობა მის ბუნებაში ორგანულად იყო ჩაქსოვილი. ყველა განცდაში აკაკი ხორავა-ოტელო კეთილშობილი, ამაღლებული იყო.

კვლავ ვიმეორებ, თუ ა. ხორავა ამდიდრებდა და აღრმავებდა სახეს, ეს ხდებოდა მხოლოდ პარტნიორებთან ურთიერთობის შედეგად.

ხორავა-ოტელო არასოდეს ყოფილა განკერძოებულნი ან კოლეგებისაგან იზოლირებული, დამოუკიდებლად მოქმედი მსახიობი.

ის იყო გმირულ-რომანტიკული მიმდინარეობის სკოლის დიდი მსახიობი. მის მიზანს არ წარმოადგენდა ღრმა ფსიქოლოგიური ნიუანსების კამერული დამუშავება, არამედ მძაფრი გრძნობების, დიდი მასშტაბის ხასიათის შექმნა. დარბაზთან მისი კონტაქტი, სხვა სახეს იღებდა. მაყურებელს მძაფრი განცდები აღუვლებდა. ხორავა ამ გზით მაყურებელს პატრიოტიზმის, კაცობიუფრობის გრძნობებს უღვივებდა.

ახალაღ, როცა ვიგონებ დაუფიქვარი აკაკი ხორავას, რომლის გვერდითაც წლების მანძილზე ვიღვწოდი, კიდევ ერთხელ ვამბობ:

— ეს მართლაც ბედნიერება იყო!




ქართველმა ხალხმა უკანასკნელ  
გზაზე გააცილა თავისი საყვარელი  
მსახიობი, ქართული კინოს თვალსა-  
ჩინო წარმომადგენელი, საქართვე-  
ლოს სსრ სახალხო არტისტი, სახელ-  
მწიფო პრემიის ლაურეატი სპარტაკ  
ბალაშვილი.  
ჩვენს მესხიერებაში არასოდეს წა-  
იშლება სპარტაკ ბალაშვილის მიერ

შვილის პირადი ღირსებები — რაინ-  
დული მომნიშვნელობა, სიმამაცე,  
კეთილშობილება...  
ყველა ამ პიროვნული თუ არტის-  
ტული თვისების ერთიანობა მხოლოდ  
მისთვის ჩვეულ, სახოვან მჭევრმეტ-  
ყველებსთან, უდიდესი შინაგანი ძა-  
ლით აღსავსე პლასტიკასთან ქმნიდა  
სპარტაკ ბალაშვილის განუმეორებელ

(„ვედრება“). მუდამ გეზიბლავდა  
და კვლავც მოგვიბლავს თითოე-  
ული მათგანის ეპიკურობა და სიღარ-  
ბაისლე, ის კაცური თვისებები, რომ-  
ლებიც ჩვენს ერს დღემდე მოუტანია  
და რომლებიც ასე უხვად იყო თავ-  
მოყრილი სპარტაკ ბალაშვილის პი-  
როვნებაში.  
ნამდვილი ხელოვანის მგზნებარე-

# ქართული კინოს რაინდი



სპარტაკ ბალაშვილი

მაღალი ნიჭიერებით წარმოსახულ  
გმირთა სახეები, უპირველეს ყოვლი-  
სა კი — არსენა! ხალხის ცნობიერე-  
ბაში ერთგვარად გაიგივდა სამართ-  
ლიანობისათვის მებრძოლი ლეგენ-  
დარული გმირი და მსახიობი, იმდენ-  
ად დაემთხვა ერთმანეთს არსენა  
ოძელაშვილისა და სპარტაკ ბალა-

ინდივიდუალობას. სწორედ ეს თვი-  
სებები გამოარჩევს მსახიობის მიერ  
შექმნილ ჭეშმარიტად სახალხო, და-  
უვიწყარ მონუმენტურ სახეებს: ხე-  
ვისბერს („ხევისბერი გოჩა“), მეფე  
ლუარსაბს („გიორგი სააკაძე“), ვა-  
ჟას („აკაკის აკვანი“), მარტიასა  
(„თეთრი ქარავანი“) და ლეთისიას

ბით, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ახ-  
მარდა მსახიობი თავის ნიჭსა და ოს-  
ტატობას ქართულ ეკრანს და თა-  
ობებს მემკვიდრეობად დაუტოვა ის  
მომნიშვნელოლი სამყარო, რომელშიც  
მუდამ იცოცხლებენ ქართული კინოს  
ამ ჭეშმარიტი რაინდის გულმხურვა-  
ლუ გმირები.

31  
81

# სკრიპინის ეტიუდები

ია კვირიკაძე

სკრიპინის ეტიუდები წარმოადგენენ ამ ჟანრის შესანიშნავ ნიმუშებს. მხატვრული თვალსაზრისით ისინი გაცილებით უფრო მაღლა დგანან იმ ეტიუდებზე, რომლებიც რუსი კომპოზიტორებმა შექმნეს სკრიპინამდე. კომპოზიტორი ქმნიდა ეტიუდებს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე: მისი ყველაზე ადრინდელი ეტიუდი (cis-moll op. 2, № 1) დაწერილია 15 წლის ასაკში, მოსკოვის კონსერვატორიაში შესვლამდე. ბოლო ეტიუდები (op. 65) შექმნილია სიცილიის წინ ე. წ. შემოქმედების „გვიან“ პერიოდში. ეტიუდების მიხედვითაც სულ სკრიპინის 26 ეტიუდი აქვს შექმნილი. მკაფიოდ ჩანს სკრიპინის შემოქმედებითი სტილის ევოლუციის პროცესი.

ეტიუდის ფორმამ განვითარების ვრცელი და საინტერესო გზა გაიწეა. თავიდან ეტიუდს უწოდებდნენ მეტალები სიონის საეკლესიოებს, რომელთა ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა საშემსრულებელ ტექნიკის სრულყოფა. თანდათან, ინსტრუმენტული მუსიკის განვითარებამ განაპირობა მისი მხატვრული ფუნქციის გაფართოება. ამას მოწმობენ კლემენტის, ჩერის, კრემერის, კვილერის, პუშუტკის, ტალბერგისა და სხვათა პედაგოგიური დანიშნულების ე. წ. ინსტრუმენტული ეტიუდები, რომლებშიც ტექნიკური საწყისი მიზანდასახვას მხატვრული შინაარსის გამოსატანად. ამ აზრს ამატებს ჭეშმარიტად მაღალმხატვრული განსახიერება ჰოვანოშკინისა და ლისტის შემოქმედებაში. სწორედ ისინი გვეუბნებიან ამ ჟანრის უდიდეს რეფორმატორებად.

სკრიპინი გაკვეთა შოპენისა და ლისტის მიერ დასახულ გზას. თუმცა მას არც რუსი კომპოზიტორების მიღწევებისათვის აუვლია გვერდი. განსაკუთრებით კი თავისი უფროსი თანამედროვეს — ლიადოვის გამოცდობისათვის. სკრიპინმა ისევ, როგორც დებუსისა და რახმანინოვმა, ახალი ფურცელი ჩასწერა ამ ჟანრის განვითარების ისტორიაში. დებუსის ეტიუდები წარმოადგენენ იმპრესიონისტული პიანისმის შესანიშნავ ნიმუშებს. რახმანინოვმა „ეტიუდი-სურათები“ შექმნა. ამ ჟანრში შეიტანა პროგრამულობის ფარული ელემენტები, სკრიპინმა კი მოგვცა „ეტიუდი-განწყობილობების“, „ეტიუდი-განცდების“ შესანიშნავი ნიმუშები. მან ეტიუდის მცირე ფორმაში წარმოასახა რთული და დიდი გრძნობები, მას-შტაბური პრობლემები. თვით სკრიპინი — წერს ბ. ფ. შუბერტი:

«Занимаясь фортепианными вещами, среди которых есть этюд, по силе и величию превосходящий 3-ю симфонию!».

სკრიპინის თვითუღი ეტიუდი გამოსატანად ერთ გარკვეულ განწყობილებას, სულიერი ცხოვრების ამა თუ იმ მომენტს, რომელიც განვითარებასა და მოძრაობაშია მოცემული. მის ეტიუდში ვხვდებით პროტესტს თუ აღმავრებას, მელანქოლიასა და ღრმა მწუხარებას (ეტიუდები cis-moll, op. 2, b-moll, op. 8 № 11) სისხარლის განცდას (ეტიუდები H-dur op. 8 № 4 ან ეტიუდი As-dur op. 8 № 8) ნაღვლიან განწყობილებას ფარული გზებით (ეტიუდი Fis-dur op. 42 № 4), ეპიკურ-ბალადური ხასიათის თნობას (ეტიუდი dis-moll op. 8 № 9), სხარტი ცვეკადობის ელემენტებს (ეტიუდები cis-dur op. 8 № 1, A-dur, op. 8 № 6) და სხვ.

განწყობილების გადმოცემის დროს კომპოზიტორი არ იძლევა რაიმე კონკრეტული მოვლენის ასახვას და არ იტყვის ისეთი პროგრამული, როგორც დამახასიათებელია ლისტისა და რახმანინოვის ეტიუდებისათვის. სკრიპინი ამა თუ ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებას ჯერ გამოაწრთობდა განცდასა და განაჯის ქურაში და მხოლოდ ამის შემდეგ გადაქმნიდა იგი მუსიკის ენაზე. ის სახეებიც არ, რომლებიც ლირიკული პეისაგებისა, თუ ლანდშაფტის ასოციაციას იწვევს, ბუნების სურათებს კი არ ასახავენ, არამედ წარმოადგენენ ამ თუ იმ მოვლენის სიმბოლოს. ერთი სიტყვით „ეტიუდი-განწყობილებები“ ადგილი აქვს ამა თუ იმ ფსიქოლოგიური მდგომარეობის, ემოციური განწყობილობის ასახვას. ერთი სიტყვით, სკრიპინი სრულიად გამორიცხავს ეტიუდის ტრადიციულ გაგებას, მიუხადა არ ისახავს კონკრეტული ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტას. ეს განაპირობებს მისი ეტიუდების თავისებურ ქსოვილას და ფაქტურას, რომელშიც ვერ შეხვდებით ტექნიკური ტრენაჟისათვის გამიზნულ ორმაგ ტენციებსა და ოქტავებს. ამ ხერხებს იგი სხვა საშუალებებთან ერთად იყენებს. (ეტიუდები — Des-dur, op. 8 № 10. As-dur op. 8 № 6, gis-moll op. 8 № 9, dis-moll op. 8 № 12). ხშირად მიმართავს შემდეგ ინტერვალებზე — კვიტა, ნონა, სექსიმა აებულ ტექნიკურ ფორმლებს. (ეტიუდები op. 65 № 1, № 2, № 3). სკრიპინისთვის არაა დამახასიათებელი არც მუსიკალური მასალის დაყოფა მთავარ (მელოდია) და დამხმარე (აკომპანემენტი) პარტიებად მარჯვენა და მარცხენა ხელის მიხედვით, რასაც ხშირად ვხვდებით მის წინამორბედთა ნაწარმოებებში. მთელ რიგ ეტიუდებში (cis-moll op. 2, As-dur, b-moll op. 8) მარჯვენა ხელი ერთდროულად ასრულებს რამდენიმე ფუნქციას, უკრავს რამდენიმე ხმას, ამათგან უნდა ხმას მიჰყავს მელოდია, შუა კი საჭიროებისამებრ პოლიფონიურ, პარმიონულ და რიტმულ როლს ასრულებს.

ყოველთვის ეს შემსრულებლებს უქმნის სპეციფიკურ სირთულეებს. პიანისტი უნდა გააჩნდეს კლავიატურაზე მსუბუქად მოსრიად. ელასტიური თითები, რათა შექმნას ელერადობის განსაკუთრებული პერსპექტივა, რომელიც არ უნდა იყოს სტაბილური და სტატიური, არამედ დინამიკური და ცვალებადი. მასვე უნდა გააჩნდეს მელოდიური ხანების პლასტიკური გამოძიწვის, წამყვანი ინტონაციების მიგნებისა და გამქდავების უნარი. შით უფრო, რომ ეს ხშირად შენიღბულია მუიკალურ ქსოვილში, მოცემულია ხან ერთ, ხან ფორე ხმაში.

სკრიპინის ეტიუდების შესრულებებელი უნდა გეგობდეს კოლორისტულ ტექნიკას, ბგერადობის უმდიდეს პალიტრას ზეისი მსუყე ფერებიდან, ვიდრე აკაიელის მსუბუქ გამჭვირვალე საღებავებამდე. სკრიპინის ეტიუდები საორგესტრო

1 და ბლეკი, სკრიპინის ეტიუდები, მოსკოვი, 1963 წ.

ელვარდაობას მოითხოვენ, რაც ტემპერების განსაკუთრებულ შეგრძნებას საჭიროებს, რადგან ხშირად პიანისტს ფორტუპიანოზე უბედურად სხვადასხვა ინტერპრეტაციის ელვარდაობის იმიტირება. ყოველივე ამის გამო სკრიაბინის ეტიუდების შესრულების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება პედალიზაციას. სამწუხაროდ, თვით სკრიაბინს, რომელიც პედალიზაციის უნადლო ოსტატო იყო, საბოლოო ტექსტში არ აღნიშნავს პედალის პარტია, მიუხედავად იმისა, რომ იგი შემსრულებლისაგან პედალიზაციის ნაირგვაროვანი ხერხების (ღრმა, მსუბუქი, ნახევარი და მხოლოდ გრძლიობის პედალი, ტრემოლო) მაღალოსტატურ ფლობას მოითხოვს. მის ეტიუდებში ჩვენ გხვდებით როგორც ფერასევე მოცულობით ელვარდაობას, რომელიც მოითხოვს ღრმა და „სუბ“ პედალიზაციას, ისე უაღრესად დახვეწილსა და რაფინირებულ, ამასთან ექსპრესიულ სახეებს, რომელთა შესრულება შეუძლებელია ფაქიზი, მგრძობიარე ე. წ. „მსუნთქაჯი“ პედალიზაციის გარეშე. სკრიაბინის ეტიუდების შესრულებისას არ უნდა გვემინდვს მოჭარბებული ან გაომეიათებული პედალიზაციისა. აქ არ გამოგვადგება ზომიერება, პირიქით, ბევრად რელიეფს სწორედ ეს ანიჭებს თავისებურ ელფერას და კოლორისკ.

სკრიაბინის ეტიუდების შესრულება თავისებურ რიტმულ ინტერპრეტაციასაც მოითხოვს. აქ არ შეიძლება რიტმის მკაცრი, თანაბარი ზომიერი თვლა, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად ვაწყვილებთ. ეს უწინააღმდეგეა სკრიაბინისეულ ჩანაფიქრს. ამას მოჰყობს ის ნიუკაური ჩანაწერი, რომელზედაც აღბეჭდილია თვით სკრიაბინის შესრულება ეტიუდას dis-moll op. 8 №12. სკრიაბინის ეტიუდებში ფაქტები თანაბრად, მექანიკურად არ უნდა მისდევდნენ ერთიმეორეს. აუცილებელია რიტმული თავისუფლება, ცვალებადია rubato დამყარებული ურთიერთკომპენსაციის კანონზე. ამ მხრივ საუკრადღებია სკრიაბინის ეტიუდების ა. იგუმსოვისა და ი. მილუტჩინისეული რედაქცია, რომელშიც მოცემულია ავტორისეული სამშენსრულებლო მითითებები, ეს მითითებები თავის დროზე თვით კომპოზიტორის მიუცია იგუმსოვისათვის. აქედან თვალსაჩინოა სკრიაბინისეული tempo rubato-ს თავისებურება. იგი მოითხოვს რიტმულ თავისუფლებას, განმუხტებას, რაც სრულიადაც არ ნიშნავს თვითნებობას, პირიქით, სკრიაბინისეული რუმბატო შინაგან ლოგიკაზეა დამყარებული, მუსიკალური აზროვნების სპეციფიკითაა ნაკარნახევი. იგი ეუფლება ე. წ. ნეპელობის საწყისს (**Волевое начало**), რომელიც მკვეთრიცა და მყარიც, უფრო უსუსტად კი ინერველ იმპულსს, რომლითაც გამსჭვალულია სკრიაბინის მუსიკა. სწორედ ეს იმპულსი ანიჭებს სკრიაბინის ეტიუდებს ცვალებადობას, აღმაფერნას, თროლივას, გზნებებს, ანიჭებს სიცოცხლეს.

ეთიუდების ფაქტურა მოცულობის თვალსაზრისით ხშირად იმდენად ფართოა, რომ შესრულებისკავს ხელის სწრაფ და ელასტიურ გადატანას მოითხოვს კლავიატურის საკმად დიდ დისტანციასზე. ადრე — ბეთოვენთან, შოპენთან, ლისტთან, ეს ნახტომი ნაწილდებოდა მარჯვენა და მარცხენა ხელის პარტებში. სკრიაბინთან კი ნახტომი ამა თუ იმ პარტიის პოზიციამ უნდა განხორციელდეს. ამას მოჰყობს მარცხენა ხელის პარტია ეტიუდისა (dis-moll op. 8 №12). თვით ავტორისათვის დაუმუშავებელი ამოცანის გაიოლება — ერთი ხელისათვის განუთვინილი პარტიის — ანუ ამა თუ იმ ნახტომებში შემავალი ბგერების შესრულება მეორე ხელით. იგი კატეგორიულად უარყოფს ასეთ მიშველებას.

ეს პრინციპი ვრცელდება სკრიაბინის სხვა ოპუსებზედაც განსაკუთრებით კი ეტიუდებზე dis-moll op. 8 №12 და cis-moll op. 42 №5. აქ კლავიატურაზე მარცხენა ხელის სწრაფი და ელასტიური მოძრაობის გარეშე შეუძლებელია საჭირო ემიციური დაბალეობისა და მისი შესატყვისი ელვარადობის გადმოცემა. ეს თავისებურება კიდევ უფრო რთულდება რიტმული კომპლექსურობებით, კონტრასტულობით, პოლირიტმითა და ასიმეტრიით. ეტიუდებში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება შერწყმა ტრიოლისა დუოთან, კვარტოლისა და კვინტოლისა, კვარტოლისა კვინტოლთან, კვინტოლისა სექსტოლთან და ა. შ. რაც ყოველი შემსრულებლისაგან მხატვრულსა და ტექნიკურ ოსტატობას მოითხოვს.

სკრიაბინი უკვე თავის პირველსავე ეტიუდში cis-moll op. 2 უარყოფს სტადიკულ, ვირტუოზულ მიდგომას ამ ეპირინსადმი. ეს ნაწარმოები პოემას უფრო უახლოვდება, მას ეტიუდები-პოემა შეიძლება ვუწოდოთ. იგი ძირითადად, ნაღვლიანი, მელანქოლიური ხასიათისაა, დროდადრო ღრმა, მწუხარე დრამატისში გადადის. ზოგიერთი მუსიკოსი ამ ეტიუდს „უსიტყვეო სიმღერას“ უწოდებს. აქ მართლაც იგრძნობა ახალგაზრდა ხელოვანის ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი „უცოდველი“ ტკივილი, ამაზე მიგვანიშნებს ამ ეტიუდის, თსრობით-მონოლოგიური ხასიათი. ამ ნაწარმოებში თავი იჩინა სკრიაბინისეულმა ინდივიდუალობამ, რომელმაც შემდეგში უფრო მეტად და მრავალმხრივ გამოხატულება პოვა.

შემდეგ სკრიაბინმა შექმნა ციკლი „ორმეტი ეტიუდი“ op. 8. აქ სკრიაბინი უკვე მოპენისა და ლისტის მემკვიდრედ გვევლინება. ციკლი ადბეჭდილია შინაგანი მილიანობით, სტილისტური ერთიანობით, მხატვრული სახეების მრავალფეროვნებითა და სიმკვეთრით. მიუხედავად მილიანობისა, აქ, ისევე როგორც შოპენთან და ლისტთან, თვალსაჩინოა ფაქტურული მრავალმხრობა, ტექნიკური ხერხების სიმრავლე, მასალის თავისუფალი იმპროვიზაციული განვითარება, ემოციური განწყობილებების ნაირგვაროვნება და სხვა.

სკრიაბინის შემდეგი ციკლი op. 42 რვა ეტიუდისაგან შედგება. ეს ციკლი ფსიქოლოგიური თვალსაზრისითა და სტილისტურადაც უფრო რთულია, ვიდრე წინამოხმედი, ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ეტიუდების ამ ორ ციკლს ერთმანეთისაგან აპირებს 8 წელი. ეს იყო კომპოზიტორის სულიერი წართობის, შემოქმედებითი ძიებისა და აღმავლობის, დაოსტატების წლები.

ამ პერიოდში სკრიაბინმა შექმნა თავისი მეორე და მესამე სიმფონიები, მეორე, მესამე და მეოთხე საფორტუპიანო სონატები და პიესები. ამასთან ერთად სკრიაბინი ეწეოდა ინტენსიურ სამშენსრულებლო მოღვაწეობას, რუსეთში, და საზღვარგარეთაც, რამაც განუზომლად გააფართოვა მისი შემოქმედებითი თვალსაზრეობა და გამოცდილება.

ეთიუდების ციკლს op. 42 მსჭვალავს ერთი იდეა: რაც შეიძლება სრულად გამოისახოს ადამიანის შინაგანი სამყარო. აღინიშნავთ ეტიუდებში კომპოზიტორი, ძირითადად, გარე სამყაროდან მიღებულ მთაბეჭდილებებსა და განწყობილებებს (მაგალიად, ბუნების სურათები) გამომგვევლია, აქ კი მისი უკრადლება გამაზვიებელია ინტიმურ განცდებზე, რთულ ფსიქოლოგიურ წიადსებებზე. ციკლში op. 42 იმ ორმა საწინააღმდეგო ტენდენციამ იჩინა თავი, სკრიაბინის შემოქმედების შემდგომ ე. წ. „გვიან“ პერიოდს რომ ახასიათებს. ესაა, ერთის მხრივ, სურათვა დიდი მასშტაბისაბრუნისკენ (მაგ. ეტი-

ული cis-moll № 5), ხოლო მეორეს მხრივ, — მინიატურული ფორმებისაგან, სადაც კომპოზიტორის ხელწერა მაქსიმალურ ლაკონიურობამდეა დაყვანილი (მაგ. ეტ. fis-moll № 2). აქედან გამომდინარე, პირველი ჯგუფის ეტიუდები დაწერილია სონატური ალევროს ფორმით, მეორე ჯგუფის ეტიუდები კი მოცემულია პერიოდის ფორმით. უფრო ზუსტად სამ ნაწილიანი ფორმით (მარტივი და რთული).

სკრიაბინის ეტიუდების op. 42 თანმიმდევრობა, ისევე როგორც ციკლისა op. 8, ემყარება კონტრასტულობის პრინციპს. თუმცა ციკლში op. 42. აღსანიშნავია ერთგვარი სიახლოვე პირველსა და შერეე ეტიუდებს შორის.

განწყობილებების თვალსაზრისით ციკლი op. 42 შედარებით უფრო შეზღუდულია. იგი განსჭვავებულია მღვღვარებით, იდუმალი ლტოლვით, სწრაფვით. აქვეა ლირიკული შედგერი (Fis-dur № 4).

ციკლში op. 42 უაღრესად რთული და დახვეწილი პიანისტური საშუალებებია გამოყენებული. ხშირად ვხვდებით პოლირიტმის, არა მარტო ტრიოლის შერწყმას დულოთან, არამედ კენიტლოთანაც (ეტიუდები № 1, 6, 7, 8). ვხვდებით კიდევ უფრო რთულ კომბინაციებს (ეტიუდი № 6), სადაც პუნქტირებული რითმით გამოსჭვავული დარღვეული წონასწორობა რიტმსა და მეტრს შორის, აღინიშნება „ფარული“ პოლიფონიურობა (მაგ. ეტიუდი Des-dur № 1) საგრძობლად გართულებულია პარმონიული ენა. აღსანიშნავია მკვეთრი ტონალური გადახრები, დომინანტეპატაკორდები, ალტერირებული აკორდები და სხვა პარმონიული კომპლექსები, ყოველივე ეს მოწმობს კომპოზიტორის პარმონიული აზროვნების გაღრმავებასა და გამდიდრებაზე.

ციკლში op. 42 აღსანიშნავია აგრეთვე ვირტუოზულ-პიანისტური სიახლეებიც. აქ სახეებით გადალახულია კლასიკოსებისა და რომანტიკოსების, კერძოდ, შოპენის პიანისმის გაღვლეა. მასში თავმოყრილია სრულიად ახალი და ორიგინალური ტექნიკური მიგნებები, ამასთან, ტრადიციული ტექნიკური სტრუქტურები, მაგალითად, ტრიოლი, იქნენ ახალ ორნამენტულ, „აღმაფრინით“ (volando) მნიშვნელობას. (მაგ. ეტ. Fis-dur № 3).

ტექნიკური სიახლენი „თავს იღებენ ნაწარმოების შინაარსიდან კომპოზიტორის სულიერი განწყობილებიდან. ისინი ემსახურებიან მხატვრული ამოცანების ხორცშესხმას და წარმოადგენენ სკრიაბინის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფს. სკრიაბინი, როგორც პიანისტი, ჩამოყალიბდა საკონცერტო ესტრადაზე საკუთარი ნაწარმოებების სისტემატური შესრულების გზით. ამიტომაც ერთმანეთისგან განუყოფელია სკრიაბინისეული ეტიუდების ტექნიკურ-მხატვრული ამოცანები.

სკრიაბინმა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე სულ 5 ეტიუდი დაწერა op. 65, op. 49, op. 56, რომლებიც შესულია სხვა პიესებთან ერთად საფორტეპიანო მინიატურების პატარა ციკლებში. ეტიუდი op. 49 წინ უძღვის ორ პიესას — „პრელუდიას“ და „ოცნებებს“, ეტიუდი op. 56 კი ავირრვიენებს ციკლს, რომელშიც გაერთიანებულია „პრელუდია“, „ირინია“, „ნიუანსი“. ეტიუდი op. 49 მიეკუთვნება სკრიაბინის „ვიკანი“ პერიოდის ნაწარმოებებს.

ბოლო სამი ეტიუდი op. 65 ჭეშმარიტად უნიკალურია. ეტიუდი №1 ნონეში (B-dur), ეტიუდი №2 სექსტიმში — (Cis-dur). ეტიუდი №3 კვიტებშია — (G-dur) გადაწყვეტილი.

# აღაქიანი და პირაქიდა

ჯურსა ნადირაქი

არქეოლოგ ჯურსა ნადირაქის ეს ნაშრომი მოგვითხრობს ეგვიპტის ზოგიერთ ძეგლსა და საქვეყნოდ გახმარებულ არქეოლოგიურ აღმოჩენებზე. ნაშრომი, ავტორის პირად შთაბეჭდილებებთან ერთად არსებითად, ეყრდნობა იმ მეცნიერთა გამოკვლევებს, რომლებიც არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ და წლების მანძილზე სწავლობდნენ ეგვიპტის უძველეს ცივილიზაციას.

ჯარ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე დღევანდელი კაროს ტერიტორიაზე დამპყრობელმა გადაბუცა მასინდელი მსოფლიოს ერთი უძველესი ქალაქი. ჩვენს დროში მის არსებობას არაფერი არ ამტკიცებდა, გარდა ცაში აღმართული გრანიტის ობელისკისა, რომელიც დღემდე უფარადღებო იდგა კაროს ვარეუანში.

1912 წელს აქ ინგლისელი არქეოლოგი ფლენდერსის პიტრი მოვიდა. მან მიწაში ძებნა დაუწყო მეორე ობელისკს, რომელიც ტანრის შესახველში, მის კვერდით უნდა ყოფილიყო აღმართული არქეოლოგმა ობელისკიც იპოვა და გრანიტოზული კედლის ნაშთებიც. ეს

იყო უძველესი ქალაქის ნანგრევები. მას ბერძენებმა პელიოპოლისი დაარქვეს, ხოლო თითონი ეგვიპტელები ეინრას — შვის საბრძანებელს, შვის საცხოვრისს უწოდებდნენ. ამ ქალაქში არსებობდა მსოფლიოს უძველესი უნივერსიტეტი, რომლისგანაც ძველი სამეაროს მეცნიერული აზრი დღემდე იყო დავალებული. აქ, ეგვიპტე ქურუმებთან სწავლობდნენ ისინი, ვისი სახელიც კაცობრიობამ საშუალოდ დამახსოვრა.

ამ ქალაქში დიდხანს ცხოვრობდა ალკატონი, ხოლო მისმა მოწადემ ასტრონომია ევდოქოსმა ეინრეს მეცნიერთაგან ისწავლა დღევანდელ ზუსტი გაზომვა და დაადგინა წელიწადის ხანგრძლიობა, რაც ბერძენებისათვის უცნობი იყო. ეგვიპტედან ათენში დაბრუნების შემდეგ, სწორედ მან — ევდოქოსმა გამოიგონა შვის სათი, ბერძენებმა სწავლულებმა განსაკუთრებით ბევრი რამ შეიმჩნეს ეინრეს სამედიცინო სკოლის მეცნიერთაგან, და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც იქ ძველი კულტურის ნაღვრადლი ბუთავდა მხოლოდ და ქალაქი თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, კიროსის შრისხანე შვილმა, კამბიზმა ძველი წალთადრიცების 25 წელს მოსრსა და მიწასთან გაასწორა ზემო და ქვემო ეგვიპტის საზღვარზე აგებული ქალაქი ეინრე. გვიდა წლები, იქ კვლავ ავიდა მეცნიერების ჩირაღდანი, მაგრამ ქალაქს ძველი დიდება აღარ დაბრუნებია, მისი მზე ეგვიპტის ძლიერების გაქრობასთან ერთად ჩავსვენა.

ძვ. წელთადრიცების 25 წელს მკვდარი ქალაქის ნანგრევებს შორის ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი დაამჩვენდა და სამშობლოში დაბრუნებული წერდა, რომ მან ნახა უზარმაზარი სახლები, სადაც ქურუმები ცხოვრობდნენ, წარსულში იქ ისინი ასტრონომიასა და ფილოსოფიას სწავლობდნენ, მაგრამ ახლა მათი მოღვაწეობის კვალიც არ ჩანსო. სტრაბონს ავიწყდებოდა, ან არ უნდოდა გაეხსენებინა, რომ ბერძენები ეგვიპტელი ფილოსოფოსებისა და ასტრონომების ნკვალებზე იდგნენ და თან საუკუნეების განმავლობაში გულმოდგიენედ ცდილობდნენ ელინურ კულტურაში ეგვიპტური ნაწარვის მიჩქალვას. თვით ბერძნული მითოსიც კი ეგვიპტურ გავლენას განიცდიდა. ელინური ბელოვების ზოგიერთი მუშა ნილოსის სანაპიროზე ცხოვრობს, რაც იმას მოწმობს, რომ ისინი ერთ დროს ეგვიპტური პოეზიის ან მუსიკის მუშები იყვნენ და არა ბერძნულია.


მას შემდეგ, რაც აღექსანდრე მაკედონელმა ეგვიპტე დაიპყრო, მეცნიერულ აზრთან ერთად ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებისაკენ უწვავდ მიედინებოდა ამ ქვეყნის სიმდიდრე. მოგვიანებით კი რომაელებმა, თავიანთი ქვეყანაში პურტულისა და სხვა დოვლათის გასატანად ზემო და ქვემო ეგვიპტის საზღვარზე ცხიე და მცირე ნავსაყუდელი ააშენეს. ციხის გარშემო დასახლება გაჩნდა და იგი შემდეგ დიდ ქალაქად გადაიქცა. მემფატანენი იმ დროიდან იწყებენ კაიროს ისტორიას.

აღრეულ და გვიანდოვალურ ხანაში კაირო მსოფლიო გზათა შესაყარი იყო. საუკუნეების განმავლობაში, წულითა და ხმელეთით მისიენ აურაცხელი სიმდიდრე მიედინებოდა. იგი აზიის, აფრიკისა და ევროპის კონტინენტებს შორის მდგარ უზარმაზარ ბელელსა და კომერციულ ბანაკს წარმოადგენდა. ვაჭრობის შედეგად გამოდრებული კაირო ათას ერთი დამის ზღაბრულ ქალაქად იქცა.

დაახლოებით ორმოცდათორმეტი საუკუნის წინ, როდესაც ფარაონმა მენესმა ქვეყანა გააერთიანა და ზემო და ქვემო ევიპტის საზღვარზე თავი მოუყარა მშენებელთა უზარმაზარ არმიას, რათა საფუქცილი ჩაეყარა მსოფლიოს უძველეს ქალაქ მემფისისათვის, ეგვიპტელი გლეხები თხოითა და კავით ხელში, მაშინაც ისე გულმოდგინედ შრომობდნენ როგორც დღეს: კრეფდნენ უურძენს, მკიდნენ პურტულს, წვავდნენ ხახვია და ნიერის გალებს. დენით, ნძით, შუ-



ფარაონ ჟოსტრის პირამიდა ძვ. წ. აღ. XXVIII ს.



ფარაონი ჟოსტრი. ძვ. წ. აღ. XXVIII ს.



შეკითხვა და წითელი ბოლოებით დატვირთული ნავები განუწყვეტლივ მისრავლებდნენ მემფისისაკენ. მხოლოდ მამლა მუშებს, მებათქაშებსა და ქათო ხურბებს, განხიზრებულ ინფირებს, მხატვარებსა და ხუროთმოძღვრებს შეეძლოთ შეეკმნათ გრანიტოვანი ნაგებობანი და ხელოვნების ის ბრწყინვალე ძეგლები, რომლებიც ამჟინებდნენ ძველ მსოფლიოში სახელგანთქმულ ეგვიპტის პირველ დელაქალქს.

გზა, რომლის ორივე მხარეს მაღალი პალმები ჩარჩებულნი, ქალაქის კარიბჭესთან თავდება. შესასვლელში, რკინა-ბეტონის პავილიონის ქვეშ რამზისის ოცმეტრანი ქანდაკება ზურგზე დაკეპული იგი აქ ერთ დროს კვარცხლბეგზე მდგარა, წაქცეულია და ფეხზე აღარ წამოუყენებიათ, უზარმაზარი კოლოსი სიმბოლოვრად გამოხატავს დამხობილი ქალაქის გარდასულ დიდებას.

ქალაქს, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულის დასასრულს ააშენეს, ეგვიპტელები ზეთ-კა-პოხას ეძახდნენ, ხოლო ბაბილონელები — ზე-კუ-პოხას. ამ უკანასკნელის მიხედვით ბერძენებმა ქალაქს, და შემდეგ მთელ ქვეყანას, ეგვიპტოსი უწოდეს და იმ ვაიდან მოყოლებული, ნილოსის ქვემო სანაპირო მთელი მსოფლიოსათვის ამ სახელითაა ცნობილი.

დაახლოებით ათასი წლის მანძილზე იდგა ქალაქ ზეკუპოხაში ფარაონთა ტახტი. აქ მფეზობდნენ უველაზე ძლიერი მეფეები, რაც კი ციკლოპოზის ახსოვს თავისი არსებობის მანძილზე. მათ შუბლს ამშვენებდა ზეშო და ქვემო ეგვიპტის ორმაგი ვიკრიცია. ნილოსის უზარმაზარ ველზე ისინი ზეობდნენ, როგორც მეფენი და როგორც ღმერთები. ფარაონთათვის არ არსებობდა არაფერი მიუწვდომელი. მათ კარზე თავმოყრილი ათასი ჭურისა და ხელობის ადამიანები ცდილობდნენ უზენაესისათვის ამქვეყნიური სამოთხე შეეკმნათ და თვითონაც მის გვერდით შესაფერი ადგილი დაემკიდრებინათ ზეკუპოხაში ლეგლივებდა ტბები და უყოფდნენ ბაღები, მზებზე ბრწყინვალე მარმარილოს სასახლეები მაღალი ნათელი დარბაზებით, ციწრო დერეფნებით, საიდუმლო გასასვლელითა და მუდგრო ოთახებით. ქალაქს ამშვენებდა სემირამისა და ქურუმების, მხატვრებისა და ხუროთმოძღვრების, მეცნიერებისა და მწერლების, სახელმწიფო მოღვაწეების და ლამაზი ქალბატონების სასახლეები. სუფთა, მო-

კირწულული ქუჩები მემფისობოდა ფართო მოედნებისაკენ, რომლებზეც აღმართული იყო ქანდაკებები. ერთი ქანდაკება დღესაც აქ დგას და დიდიდანი შებინდებამდე მას გარს ეხვევიან ტურისტები.

ოქროსფერი ქვეპიშ, საგან გამოკეთილი ლომკაცის ქანდაკება მიიწნედ წევს გრანიტის კვარცხლბეგზე. ნადირთა მეფე ადამიანის თავითაა გამოხატული, იგი ფარაონის სახეს გამოხატავს; დგას, ვით სიმბოლო დიდებულებისა და ძლიერებისა, ბაგეც მშვიდი ღიმილი აქვს შერჩენილი. მას არ აღფიქრობს ნანგრევებზე ცქცეული საკუთარი ქალაქის სამარისებური დუმლი. წუთისოფელივით დრებივით იყო იგი და უნდა დაღუბებულიყო. და დუმდა კიდევ, მაგრამ ის, რაც ფარაონმა იმქვეყნიური მარადისობისათვის შექმნა, როგორც ღვათებამ, შეურყევლად დგას ათასეული წლების მანძილზე. ნილოსის მწვანე ველის მიღმა, ლურჯი ცის ფონზე გამოკეთილი პირამიდების მარადისობის რწმუნაა აღბეჭდილი ფარაონის შუბლზე.

ქალაქის ნანგრევებს შორის აღმართული ქვის უზარმაზარი დაფები აქრტლებულია იეროგლიფებით. რამდენიმე ნიშნის ცნობა თუ მინც იგი, უსათუოდ შეეცდები კარტუში ჩასმული ასობის მიხედვით რომელიმე მეფის ან დიდფელის სახელი ამოკითხო.

### მსოფლიოს უძველესი ნაგებობა

უდაბნოს საზღვართან, ბაღიდან გამოტანილ ცვრიან მანდარინს არაბი გლეხი ტურისტებს აწონებს. თუ ფული არა გაქვს, ვაჭრობა ნატურით შეიძლება: ორ კოლოგამ ოქროსფერ ნაყოფს სიამოვნებით გაგიცვლიან ერთ კოლოფ სიგარეტში. აფრიკის შუის ქვეშ დაღლილი მგზავრისათვის ეს დიდი წყალობაა, მით უმეტეს, რომ სასმელი წყალი ამ ახლო-მახლო არსად იშოვება. ძმების ღობის იქით, რომლითაც მანდარინის ბაღია შემორაგული, ათიოდე ნაბიჯს გადაადგამ და ფეხები სიღაში ჩაგეფლობა. ეს უდაბნოა. ამ მიწას ღაწიწეუბ-

ხეოფის პირამიდა ძვ. წ. აღ. XXVII ს.



სტ-ნქი. ძვ. წ. აღ. XXVII ს.





ლი აქვს წვიმის სიხარული. სიყარვიელ და მდუმარება, რომელიც თან მიჰყვება ოქროსფერ, მკვდარ ქვიშას, უსარსლოებაში ინიჭება და აღმაიან ბუნება აგრძნობინებს, რომ იგი სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე დგას. სწორედ აქ, ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე, სი-ცოცხლის დაზიანებულ ველსა და მკვდარი უღბანს გასაყარზე და თავშესაყარზე, მშფოსლმა ფარაონებმა უხსოვარ დროში დაარსეს თავიანთი სამარადისო განსასვენებელი. აღმართს რომ ათავებენ, სამ-ბრეთ-დასავლეთით, უღბანის სიღრმეში აიღანძება გრანდიოზული ნაგებობის რუხი სილუეტი. ეს ფარაონ ქოსტრის საფეხურებიანია პი-რამიდა. იგი მედიდურად ბატონობს საკარის ზეგანზე. საყარა ეგვი-პტის უძველესი ნეკროპოლია. მეოთხე ათასწლეულის დასასრული-დან აქ მოღვაწეობდნენ გენიოსი აღმანებნი. ისინი აგებდნენ და ხა-ტადდნენ ფარაონთა განსასვენებლებს და თავიანთი გამოკონებებითა და შემოქმედებით წარუშლელი კვალი დაინიჭეს კაცობრიობის ის-ტორიას.


ზეგანზე აღმართული პირამიდა ნაპირს მოახლოებული გემოვით თანდენ იზრდება და... უცხად მაღალი კედლის იქით უჩინარდებ-ბა. კედლი, რომლითაც ნეკროპოლია შემოზღუდულია, თხუთმეტი მეტრი სიგანისა და ათი მეტრის სიმაღლის, მისი ზედაპირი ნილო-სის გაღმა მხრიდან მოტანალი თეთრი კირქვის ფილებით არის მოპო-ბრკეთებული. ეს კედელი ისე, როგორც ქოსტრის პირამიდა, ქაოთ აშენებული უძველესი და უპირველესი ნაგებობაა დედამიწის ზურ-გზე. ოთხათასი რვაასი წელია იგი რძისფრად კიაფობს უღბანის რუხ პირამიდებზე, ახლა სანახევროდ დაქცეულია გაღვინის თავზე ოდესღაც მშომედ დაბიჭებდნენ ეგვიპტელი გუშაგები და გარდა-ცვლილი ფარაონის სამარადისო მუდღრობებს დარჩობდნენ. აღმო-სავლეთის კედლის სამხრეთ ნაწილში ჰქონდა და აქვს ტრაპედიოთი შესასვლელი. იგი მონუმენტური კარის სადარადა გაფორმებული, მაგრამ გასასვლელი მეთად ვიწროა. ფეხს დააფარა სამირაკელს, კა-რებს გასვლენი და თვალწინ ლერწმის კონის ფორმის სვეტები აღი-მართება. შენობის სახურავიდან აქა-იქ მზის სხივები იღვრება — ექვსმეტრიანი სიმაღლის ორმოცი თეთრი ბოძი, ორმოცდაათი მუ-ტრის სიგრძეზე რომ არის ჩარჩობული, თითქოს გყარნაობს, რომ მოკრძალებითა და დღმობით იარო წინ — ოზირისის საუფლოსკენ.

აქ ტურისტებიც კი არ ხმარობენ და სიწუმეში გეგის როგორ ხრა-შუნოს ფეხებზე ქვიშარავე უღბანის სილა. ოდესღაც აქ თითო-ქვის ფილების იატაკი ეგო და ეველაფერი თეთრად ქოქათებდა. ზურთომოდვარს, რომელმაც პირველად შექმნა ქვის ბოძები, მათ გასაფორმებლად ეგვიპტეში ადრე არსებული ხის პრეტექტურის ფორმები გამოყენებია და სვეტებისათვის ლერწმის კონის ფორმ-მიუცია. ქვეში გაყვანილებულ ლერწამს რელიგიური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან ლერწამი იყო მარადმწვანე სიმბოლო. დეოაბა ოზირისისა, ოზირისი კი ღმერთის სიკვდილ-სიცოცხლისა. რდესაც ღმრეთდან გავიდა და მარტენიე შემობრიალდები, თქვენს წინ ისეე აღიმართება პირამიდების დედა.

ფარაონ ქოსტრის პირამიდა აშენებულია ოთხათასი რვაასი წლი-წინათ, ძველი წელთაღრიცხვის ოცდამეგრე საუწუმეში. იგი ცისზეე აღმართული პირველი ნაგებობა ეგვიპტის მიწაზე. მანამდე კი ფარა-ონთა განსასვენებლები, ალიოთი აშენებულ სწორკუთხედი ფორში დაბალი შენობები, ე. წ., მასტაბები იყო. ამ ნაგებობის ცენტრში მოთავსებულ აქლდამაში, განისვენებდა მიცვალებულის მუშია.

მასტაბებს მომდევნო ეპოქაშიც აშენებდნენ მუფთა კარის დიდე-ბულები. ქვეთ ნაგები პირამიდები კი მოლოდ ფარაონთა წლებე-ბრი იყო. პირველი ასეთი ნაგებობა შექმნა ზურთომოდვარმა იზხოთე-ფამა. არქეოლოგი ზაქარია მოამედ ლონეში, რომელიც გათხრებს აწარმოებდა საკარის ნეკროპოლში, ქოსტრის საფეხურეთი პირამი-დის მშენებლობის პროცესს იყო წარმოადგენს: „თავდაპირველად ფარაონის ზურთომოდვარმა ააგო დიდი მასტაბა, რომელიც მესამე დინასტის ფარაონ ქოსტრისათვის“ ზემოეგვიპტეში, ბეთ-ხალიში აგებულ ანალოგიურ სამარს მგავდა, მაგრამ ბეთ-ხალიბის მასტაბი-საგან განსხვავებით, რომელიც ალიოთი ნაგებ მოგრომ შენობას წარმოადგენდა, საკარის მასტაბს ევლარატული ფორმა მისცეს და ქვის ბლოკებისაგან ააშენეს. ქოსტრის მმართველობის წლებში ქვის მასტაბა გააფართოვეს, მაგრამ მინაშენი დაბალი გააკეთეს და წარ-მოიქმნა ორი საფეხური. შემდეგ ზურთომოდვარმა გეგმა შეცვალა და სამარხი დაგრძელა, როგორც ჩანს, ვერც ამან დაემაყოფილა მისი ბატონი და თვით ზურთომოდვარსაც, რადგან მან მეოთხეტიერ გააფართოვა შენობა, ხოლო შემდეგ შექმნა ისეთი რამ, რაც მანამდე

გიზას პირამიდები. ძვ. წ. აღ. XXVII ს.





ხეოფტის პირამიდის აღმშენებელ ხემფუნის ქანდაკება ძვ. წ. აღ. XXVII ს.

არცერთ მშენებელს არ გაუყვებია. იმხოთეფა უზარმაზარი ბრტყეული მასტაბის მოედანზე ააგო კიდევ ერთი სერია სამი მასტაბისავე, რომელთაგან თითოეული წინაზე უბატარა იყო. ასე აღიზარა პირველი საფეხურებიანი პირამიდა — ეგვიპტის პირამიდების დღეა.<sup>7</sup> იმხოთეფმა კაცოაგან პირველმა დალო ქვა ქვაზე, კედელი აიუჯანა და გრანდიოზული ნაგებობა შექმნა.

ისევე, როგორც ისრის, ბორბლოსა და იალქნის გამოგონებას ეპიკოპრიობის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ქვით კედლის შენობის გამოგონებამაც წარუშლელი კვალი დააჩინა ეპიკოპრიობის განვითარებას. ამ ხელოვნებამ ათასწლეულებს დაუმარცხებლად გადმოაბოძა და, თუ დღეს ისარი და იალქანი მხოლოდ სპორტის საყოფრებად იქცა, დღემდეწინ უყვლა კეთხეში ქვიხურებიანი ჭრ კიდევ იმხოთეფის ნაკვეთებზე დგანან.

უდიდეს შობებედილებს ახდენ ჩრდილოეთ სასახლის კედლებზე აღმართული თეთრი ზობების მწკრივი, რომლებსაც პაპირუსის ვაშლილი ფოთლების მსგავსი კაბიტები ამშვენებენ. ნატიფი ჩუქურთმებით შემკული სვეტები პირველად იმხოთეფმა გამოიყენა შენობის გასაფორმებლად და შემდეგ, ასეული წლების მანძილზე, მრავალი თაობის ხუროთმოძღვართვის წარმოადგენდა შთაგონების წყაროს. ამიტომ იქნენ ისინი მომდევნო ეპოქებში ეგვიპტური არქიტექტურის მუდმივი თანამგზავრებად. ხოლო ჩვენს დროში მსოფლიოს მრავალი ხალხის არქიტექტურამ შეითვისა პირამიდის იმ ამბრავრებულული სახით.

რელიეფური ხელოვნების განვითარებაში ასევე დიდი როლი შეასრულა კოსტის ანსამბლის დეკორატიულმა კედლებმა. მნახველებს წარუშლელ შობებედილებას ტოვებს უნოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში სალოცველის კედლებზე გამოსახული წმინდა გველების ბრწყინვალე ფრეზი.

ციცხლისმურჭვეველი გველები ეგვიპტურ მითოლოგიაში მეფეებისა და ღმერთების მფარველად ითვლებოდა. ისინი აქ გარდაცვლილი ფარაონის მაგიურ მცველებს განსახიერებდნენ, მაგრამ ვერაფერმა უშველა ფარაონებს. მათი მუღღრობა დარღვეულია, აჯღღამები შეღწეულია და სარკოფაგები დამსხვრეული. გადარჩა მხოლოდ გენიის ნაყოფი; ოთხთაოს რვაჯანი წლის წინათ ტიტანური ნიჭის აღმაინი დაბიჭებდა აქ მშით გავრჯარებულ საკარის ზეგანზე და მის გინებაში ისახებოდა თეთრი ტპარებით გარშემორტყმული, შვის სხვივით ცაში აწედილი თეთრი პირამიდა. ვინ მოთვლის, რამდენი ქვიხა მოიტანა და წაიღო მას შემდეგ უღანოს ქარმა საკარის ზეგანთან, მაგრამ ის, რაც იმხოთეფმა შექმნა, დღესაც აქ დგას და დიდების შარავანდედით მოსავს ეპიკოპრიობის იმ შორეული წინაპრის სივანს.

იმხოთეფი სიციცხლემივე დიდი პატივით სარგებლობდა. საკარის ნეკროპოლში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ერთ საბეჭდვეზე იკითხება, რომ იგი იყო მშენებლობის უფროსი, ფარაონის პირველი ვეზირი და უმაღლესი ქურუმი. დიდი ხუროთმოძღვარ — დიდი ექიმი და აბტრონომიცი იყო. სიციცხლის შემდეგ ის ხალხმა გაამერთა და პატივს სცემდნენ, როგორც დვთაება ფთახას შვილს. შემდგომ საუკუნეებში, ვინც კი წინას შეუღებებოდა, უპირველეს ყოვლისა, სიტყვას წარმოისქვამდა მის სადიდებლად. როდესაც ბერძენები ეგვიპტეს გაეცნენ, იმხოთეფი მკურნალობის ღმერთ ესკულაპესთან გაავივის და პატივს სცემდნენ, როგორც ბერძნული ნანთეონის დვთაებას.

ქოსტის პირამიდა შვინთაუც ძალზე რთულადანა ნაგები. თუ მოგვიანო ხანის ფარაონთა დასაკრძალავი აჯღღამები ნაგებობის შუაგულში მდებარეობდა, მიწის პირიდან რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზე, ქოსტის პირამიდის ფუნდამენტის შუაგულში, კლდეში ჩაიხორცილა 27 მეტრის სიღრმის ქვა, რომლის ფეკრტყე ასუანის გრანიტით ნაგები აჯღღამაა მოთავსებული. ფარაონის შემოსის დარქაძავის შემდეგ იგი ოთხტონიანი გრანიტის ლოდით დაუხუფავთ და დაახლოებით ოთხასი წლის მანძილზე აჯღღამა ხელუხლებლად უოფილა შემონახული, ქა უკავშირდება საიდუმლო გასასვლელებს, რომლებიც პირამიდის სიღრმეში ოთხივე მხარეს მიემართება დაბერინთებდა დახლაროთულ დერეფნებში. ლურჯი შორეკეციებით მოპირკეთებული დერეფნების მიღმა ურცხვ ოთახებში ინახებოდა ფარაონთა აურაცხელი სიმდიდრე. ძველეგვიპტური რელიგიის მიხედვით, ცრუ ფარაონს აშქვეუნად გაანდა, იმქვენიური, მარადიული ცხოვრებისთვისაც საჭირო იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ეგვიპტის რელიგიაზე ადრე დაიბადნენ უძველესი პროფესიის, რწმენა-



ხუროთმოძღვარი ხსინა. ძვ. წ. აღ. XXVIII ს. ზეზე შესრულებული რელიეფი.

შერეული ადამიანები, რომლებსაც არ ჯეროდათ იმპერეუნიო მარალიზაცია. ქურდები გამუდმებით უფელთავლებდენ ფარაონის სიმდიდრეს და მათმა სიბერეთმ ზედის დროში მრავალი არქეოლოგი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა და გააოცა.

ახლა დანადგომებით შეიძლება ითქვას, რომ ჯოსერის დაკრძალვიდან 400 წლის შემდეგ, გამდიდრების ენით შეპყრობილი ადამიანები შეუდგნენ მძიმე და სახელისწერო სამუშაოს. მათ კლდეში ხერეთი გამოთხარეს, ფარაონის აკლდაბას მიავგეს და სიმდიდრე გაიტაცეს.

ეგვიპტის არქეოლოგიის გარიერაზე, გერმანელთა ექსპედიციამი მომუშავე იტალიელმა არქეოლოგმა, მენუ-ფონ მიუნთალიმ, როდესაც ჯოსერის აკლდაბის საიდუმლო ლაბირინთებში შეღწევა ერთერთ გასასვლელში იპოვა ოქროს ფურცლებით დაფარული თავისქალა და ფეხის ტერფი. ფიქრობენ, რომ ეს იყო უმნიშვნელო ნაწილი ფარაონის ნეშტისა, რომელიც შიშით შეპყრობილ აჩქარებულ მძარცველებს სინდელში დაეკარგათ.

თავისქალა გერმანელებმა სათუთად შეახვიეს და სამშობლოში გაგზავნეს, მაგრამ გემმა ვერ მიადგია რეინის ნაპირებს. ხმელთაშუაზღვის ბოიოქარმა ტალღებმა შთანთქმეს იგი და დიდებული ფარაონის თავისქალა ზღვის სიღრმეებმა მიიბარა.

საქარის ნეკროპოლის ეშოენი და შემოგარენი სახევა ქვალორლისა და მიწის გორებით. ეს არქეოლოგების მიერ ამოხსნილი ათასწლეულების „ფერფლია“, რომელიც წინათ აქ ტაძრებს, სასახლეებსა და პირამიდებს ეყარა თავზე. საუენუნე მეთია მუშაობენ არქეოლოგები საქარის ნეკროპოლში. აქ სხვადანსვა დროს გათხრებს აწარმოებდენ ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, ამერიკელები, ეგვიპტელები. მეცნიერებმა: ფერსმა, კვიბელმა, შუკეიმ, ლაურემა, ეფარდისმა, ბრესტდემმა და სხვებმა ბრწყინვალე ნაშრომები უძღვეს საქარის ნეკროპოლის ძეგლებს. ისინი ზოგჯერ გულისხმიან იგონებენ დღევანდელს, როდესაც დაღლილი არქეოლოგები იმდღეაგრუებულები ტოვებდენ მასტაბებისა და პირამიდების სიღრმეებში დიდი ზნის დამაბული მუშაობის შემდეგ მიგნებულ დაცარებულ ოთახებსა და სასრუფებს. საქარის ნეკროპოლის არქეოლოგიის ისტორიაში დრამატული ამბები მოხდა 1951-54 წლებში, როდესაც არქეოლოგმა მოპამედ ზაქარია ლონიშმა ჯოსერის ტაძრების მახლობლად აღმოაჩინა დეკარული პირამიდა.

ლონიშმა, რომელმაც კარის უნივერსიტეტი დაამთავრა და დიდახანს მუშაობდა ეგვიპტის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტში, 1951 წელს გათხრები დაიწყო საქარის ნეკროპოლში. იგი ფიქრობდა, რომ აქ დამარბული უნდა ყოფილიყვნენ ჯოსერის მემკვიდრე მესამე დინასტიის სხვა ფარაონები. დიდი ფანტაზია უნდა ჰქონოდა არქეოლოგს, რომ საქარის ზეგანზე დაეწყო ძებნა მეორე ისეთი ნაგებობისა, როგორც ჯოსერის პირამიდა. სად უნდა ყოფილიყო ასეთი ნაგებობა? საქარაში არსად ჩანდა სილის მთები, რომელთა ქვეშ შესაძლოა მოყოლილიყო დიდი პირამიდა. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ეგვიპტის არქეოლოგიაში დრამად ჩახედული კაცი იყო და, თუ გულწრფელად წერს, რომ მაინცდამაინც ჯოსერის მემკვიდრეების განსაქვენებელს ეძებდა, ამ შემთხვევაში მას მხედველობაში უნდა ჰქონოდა სილისაგან დაფარული დანგრეული ან დაუმთავრებელი პირამიდა. არქეოლოგმა იპოვა იგი და ამ ამბავმა მსოფლიო შესძრა.

როდესაც ლონიშმა გათხრებისათვის საქარო თანხა იშოვნა, ზემო ეგვიპტეში, სოფელ კობტოსში წერილი გაუგზავნა ძველ მეგობრებს. კობტოსელმა დიდი ხანია რაც ბახზა-ანების თოხი და კავი არქეოლოგის ბარზე გაეცალეს და არქეოლოგიის სპეციალისტებად არიან ცნობილი. ძველეგვიპტელთა შთამომავალი კიდევაც ამაყობენ ამით და დიდი აღმორჩენის ამბებს ლეგენდებით მოუთხრობენ თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს. კობტოსელები მუდამ უცხოელთა არქეოლოგიურ ექსპედიციებში თანამშრომლობდნენ და, რა თქმა უნდა, თანამემამულის წინადადება სისარულით მიიღეს. მოვიდნენ იბრაჰიმმა, რომელიც 1914 წლადან მუშაობდა გამორჩეულ ინგლისელ არქეოლოგ ლინდერტს პეტრისთან, თავი მოუყარა გამოცდილ „არქეოლოგ“ მიწის მოხრეულებს და 1951 წელს მოპამედ ზაქარია ლონიშის ეახლა საქარის ზეგანზე.

ლონიშს გათხრების დასაწყისშივე გაუღმა ბეღმა — ბარის პირველვე დეკრით აღმოაჩინა გრანდიოზული კედლის საძირკველი. მეცნიერული თავგანწირვის ფასად ეგვიპტის უძველეს ცივილიზაციას მან ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი შესძინა და ფა-



ფარაონი ხეტუნე. (ფრაგმენტი).

ფარაონი ხეტუნე. ძვ. წ. აღ. XXVIII ს.



ჩაონ სტეზმეთთან ერთად საუკუნოდ უკვდავყო თავისი სახელი...

არქეოლოგმა ზღუდის შიგნით გათხრები რომ დაიწყო, იქ უამრავი პატარ-პატარა ნაგებობების საძირკვლები აღმოაჩინა, ისინი ფარაონ ქონსების გალავნის შიგნით ადრე გათხარული ცრუ ნაგებობების გეგმის შუედარა და მიხვდა, რომ მანამდე უცნობი ფარაონის პირამიდის ეზოში იდგა. როგორც თვითონ წერს, იმ დროს ცოტა ვინმეს სჭეროდა მისი. „...1952 წელს პირველ მონახულებებში ნახულობდა ჩვენს გათხრებს, აქ თეთრი კედლები ვარდა მინშენლოვანს ვერაფერს ხედავდა, ქვალორასა და ქვებს შორის შიშულ პლატოზე პირი დაელო რამდენიმე შატს. ერთი მათგანთან მუშები მივს ვედილობდნენ. — პირამიდა სადაა, — ლიბილით მეკითხებოდნენ ჩემი კოლეგა არქეოლოგები და მეც ვერაფერს ვპასუხობდი, გულს მხოლოდ შინაგანი რწმენა მიმაგრებდა და მჭეროდა, რომ, ადრე თუ გვიან, ქვიშის უსასრულო საფარქვეშ უსათუოდ ვიპოვიდი, რასაც ვეძებდი“.

ზორად ნიჟირი და ფრიალ განსწავლული ადამიანებიც კი ვერ ფარავერ პრეფიციულ შუდლს და მეცნიერული სიდიდებით შეფარულ შხაშს ანთხვენ კოლეგების ნაშრომებსა და ახალ აღმოჩენებს. ერთი არქეოლოგის ბიოგრაფიისათვის საკაისი ზეგაზე მოქაქათე თეთრი, გრანდიოზული კედელიც კმარდა, მაგრამ 1952 წლის სეზონის ბოლოს დონეშიმა გალავნის ცენტრში პირამიდის კედელი რომ აღმოაჩინა, ბერს გაუცუდა იქედნური დიმილი. მომდევნო სეზონში საკარაში თავი მოიყარეს აფრიკის, აზიის, ევროპისა და ამერიკის ფურნალბის, გავთებისა და რადიოს კორესპონდენტებმა და ფოტოკორესპონდენტებმა, ყველა მათგანი ცდილობდა თუნდაც ერთი წუთით გამოლაპარაკებოდა მანამდე ყველასათვის უცნობ მოქამედ ზაქარია ლინეიმს. გარს უვლიდნენ არქეოლოგის მიერ აღმოჩენილ პირამიდის და სალაშობიანი კაისის ტელეგრაფებსა და სატელეფონო ქსელებს მთელ მსოფლიოში მიჰქონდა ამბები ეგვიპტეში მომხდარი ახალი დიდი აღმოჩენების შესახებ.


ლინეიმ განაგრძობდა მუშაობას და... ფიქრობდა. საფიქრალი და მუშაოა კი ძალზე ბევრი ჰქონდა. მან იპოვა მესამე დინასტიის რომაულდე ფარაონის მშენებლობის პროექტში მიტოვებული, დაუშოვებელი პირამიდა, იგი შვედ საფეხურად იყო ჩაფიქრებული და ქოხრის პირამიდაზე დიდი უნდა უფილიყო. რატომ არ დამთავრეს ეს გრანდიოზული განსაკუთრებული? იყო თუ არა აქ ფარაონი დამარბული? ეს კითხვა მოსვენებას უყარავდა მკვლევარს და იგი გულმოდგინედ ეძებდა აულდაზისაქენ მიმავალ შესასვლელს. ასეთი შესასვლელი იპოვა კიდევ და, ადამიანები პირამიდის სიღრმისაქენ დაძრნენ.

ერთ-ერთი ქის გასუფთავების დროს დაცურებულმა ლომმა თან ჩაიტაცა ხუთი კაცი. ერთი მათგანი გარდაიცვალა. მუშებმა უარი თქვეს გათხრების გაგრძელებაზე. ხალხი ამბობდა, დიდი ფარაონის სული გააბროტეს და იგი ყველას დალუავსო.

ექსპედიციამ მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შესძლო სამუშაოების განახლება. არქეოლოგები დიდი სიფრთხილით წმენდნენ შესასვლელ დღერფანს და ალა-ალა დრო-ფაშის სძმისაგან ჩამონგრეულ თაღებს ბიჯით ამარტყდნენ. მიწის პირიდან ორმოცი მეტრის სიღრმეში, სიციხე და სიხნელით მოცულ დღერფებში ფრთხილად დაფრთხავდნენ და ნელ-ნელა მიიწვედნენ წინ — საიდუმლოებით მოცულ საუკუნეთა სიღრმეში.

ერთ დღეს მკვრიდან ჩამოცვენილი ქვა-ღორღი გაწმინდეს და დღერფანში, რომლის ორსავე მხარეს ასეულობით მცირე და დიდი ზომის საყუარებელი იყო გამოკვეთილი, სხვადასხვანაირი ქვისგან გაკეთებული ათასგვარი ფორმის ქურტელი იპოვეს. მერე ოქროს ბრწყინვალემა გაკვეთა ბნელი და ლინეიმმა თიხაში ჩაურბილი ოცდერთი ოქროს სამაჭური დათვალა. აქვე იყო ოქროს ნამალი-სებური კვერთხი, ოქროს საწინსაყებელე უუთი, სამკლაურები და სხვა ნივთები. ძვირფასი სამკაული ფარაონის მახლობელი რომელიც კალბატონის საყურებელ მიჩნეოთ. მკვლევარებმა ამ აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭეს იმის გამო, რომ ეგვიპტის ადრეული ხანის არქეოლოგია შედარებით დარბიბა საიუველირო ნაწარმიბი.

მეცნიერებისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო თიხის პატარა საბეჭდები, რომლებიც დოქის საცობებს წარმოადგენდნენ და რომლებზეც ეწერა ფარაონის ვინაობა. როგორც შემდეგში ლინეიმი წერდა, ამ საბეჭდების აღმოჩენა უდრიდა თვით პირა-



ფარაონი მკენრასი ღვთაებებს შორის  
ძვ. წ. აღ. XXVII ს.



ქვა სენები თახიო, ადრეული მეფობის  
ხანა

მიღის აღმოჩენას. ეგვიპტის მეფეთა სახს უცნობი ფარაონის, სენსემთის სახელი შეიძლება. მისი მოღვაწეობის შესახებ მანამდე არაინ არაფერი იცოდა. სრულიად აშკარაა, რომ სენსემთი ძლიერი ფარაონი იყო. მან წინაპართან შედარებით უფრო დიდი განსახვეწების აღმართვა განიზრახა, მაგრამ ბრძანების ცხოვრება, როგორც ჩანს, ტრაგიკულად დამთავრდა და მისი მოღვაწეობა, იხე როგორც მისი განსახვეწებელი, 1800 წლის მანძილზე სილით იყო დაფარული და სინდელით მოცული. 1954 წლის 31 მაისს არქეოლოგები მიაღწენ ლოდებით დახუფულ აკლამას, რომლის მიღმა შესაძლოა უფილიყო სარკოფაგი ფარაონ სენსემთის მუშითა და საგანძურით. 1954 წლის მაისში არქეოლოგებმა აკლამის შესახვეწულში აღმართული ლოდები შეანგრიეს. ამ დაუფიქრარ წუთებს აქ ივონებს მოჰამედ ზაქარია ლინეიმი: „კლდეში გაქრალი შესახვეწული უზარმაზარი თაღვანი ქერის ბოლოში გადიოდა. ჩემს წინ პირი დაელო შავ სივარდიეს. უფოუმანოდ გადავივი მასში და ნახვეწვრო ჩაჯურდი, სანახვეწრი ჩავვრდი მიწისქვეშა სასუფეველის იატაკზე. უკან მოფნი მომევა. როცა გამოვეყვიეთ და ფარნები ჩავრთეთ, ჩვენს წინ გადაიშალა საუცხოო სანახახე: ტლანქად გამოყვეთილ ოთახის შუაგულში, თითქოს სტუმრებს გეგებოაო, ნახვეწად გამჰვირვალე. ბაცი ოქროსფერი ალებასტრის სარკოფაგი კიაფობდა.

მიუწალოვდი. პირველად ეს გავიფიქრე: ხელუხლებელია თუ არა-მეთქი? ელექტრონის ფარნის შუქზე სწრაფად დავიხარე სასურავისაკენ. მაგრამ სად იყო სახურავი? თვით სარკოფაგი და მისი ზედა ნაწილიც მოლიანი ლოდისაგან იყო გამოყვეთილი... სარკოფაგის გაპირალებული ზედაპირი ქერიდან ჩამოყვეთილი პატარა ქვების შუქ ფენას გადაფარა. ირგველი უფრო დიდი ქვების ეყარა. უკვალ

მათგანს ჩამოვარდინისა შეეძლო გავეტყა ან ძალზე დაეწინაინა ალებასტრის უფოი, მაგრამ იგი რალეც სასწაული იყო გადარჩეწოწუწილი.

სარკოფაგის ზედაპირზე იღო სამუქუთხედის მსგავსად ვანლაგებული რომლოლაც ბალახისა თუ ბუჩქის განმწარი და დანახორებელი სარჩენები. იგი ძალზე ვავდა დასაქარალეც ვიკრავინს, რომელიც აქ ოთხათას რვაასი წლის წინ მოიტანეს სარკოფაგის დამდგმეუბმა.

უველაფერი იმდენად საოცარი იყო, რომ არც ეკ ვიკეროდა რამდენიმე ხანს მე და ჰოფნი გავკრავებელი შევცქეროდი ამ ტლანქად გამოყვეთილ დაუმთავრებელ აკლამაში მოლოლდენლად აღმოჩენილ ობლად შონილ ალებასტრის სარკოფაგს.

ამ ხნის განმავლობაში დანარჩენი მუშები ერთი მეორის მიყოლებით მიყოცავდენ ზერელში. მდელვარებისაგან თითქოს შთლად დაეკრავთ გონი. ვეღარც მე უფუწევი ჩემს თავს კონტროლს და ახლა გზა მივიცი დიდი ხნის შეკავებულ გრძნობებს. სარკოფაგის ირგვლოვ ვცეკვავდი და ერთმანეთს ვეზვევოდი. ლოყებს ცრემლები გვივსვლდებდა. ეს იყო საოცარი სცენა მიწისქვეშა სასუფეველში, უდაბნოს ზედაპირიდან ოროსიკი მეტრის სიღრმეზე“.

არქეოლოგმა ერთი თვე მოანდომა მოსამზადებელ სამუშაოებს. ამ ხნის განმავლობაში მისი სახელი არ სცლდებოდა მსოფლიოს პრესას. ახლა მასთან მწერლებსა და ეურნალისტებს აგზანდენენ სხვადასხვა ქვეყნების დიდი გამოცემლობის, ტელეკომანიებისა და რადიომაუწეებლობის მეხვეურები. ღონეში უამრავ ტელეგრაამს იღებდა მსოფლიოს უველა კუთხიდან. ტელეფონით ურკავდენენ ნიუ-იორკიდან, ბერლინიდან, პარიზიდან, ამერკის ერთ-ერთმა გავიეთმა მას საქმლად სოლოდური თანხა შესთავაზა გათხრების გასაგრძელებ.

სახელმწიფო მოხელის კაბერას ქანდაკება, აღრეული მეფობის ხანა


ფარაონ სნოფრეს შვილი რახოტები და მისი ცოლი



ლად. მას შემდეგ, როცა აკლდამა ასობით უფრანოსტმა იჩახუნა, 26 ივლისს სიძველეთა დაცვის დეპარტამენტის წევრებთან და მუშებთან ერთად, ღონიმი აკლდამაში შევიდა სარკოფაგის გასახსნელად. საგანგებოდ მოწოდებულ ამწეების თოკებზე გამოხეული კავები მუშებმა სახურავს ჩააბეს. არქეოლოგმა ნინაში მისცა. გაიშა ლიოონისა და ქვის ღრქაილი, სახურავს ბერკეტი შეუდგეს და, როდესაც ნაოურამ ბნელით მოცული სარკოფაგი განათა, არქეოლოგმა თვალბეს არ დაუტარა: კირისა და თაბაშირის სწნარით ჩაღებულბეული სარკოფაგი, რომელიც სრულიად ბელუბდებელი იყო, ცარიელად აღმოჩნდა.

ღონიმი სიმწრის ოფლმა დაახსა. იგი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. დაცარიელდა საკარის ზეგანი. არქეოლოგი მალე უველამ დიონიწა. ერთ დღეს ნილოსში ჩავიდ საცურაოდ. და... მას შემდეგ აღარავის უნახავს...

არქეოლოგს სარკოფაგის საიდუმლო ამოუსწენელი დარჩა, მაგრამ საკარის ზეგანზე საუკუნოდ დგას სხებზეთის დაუმთავრებელი განსახებენბელი. სილა და ქარი ლამობს მის დამარჯვბეს, მაგრამ ეკვიპიტის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტი, სადაც ღონიმი მრავალწლის მანძილზე მუშაობდა, გულმოდგინედ იცავსა და ასუფთავებს „დაკარგულ პირამიდას“<sup>10</sup>.



მემფისის სტინისი

პირამიდები ლიზიის ზებანზე

აღმოსავლეთის უძველესი ერები ეგვიპტეს „მისის“<sup>11</sup> უწოდებდნენ. ეს სიტყვა აღნიშნავს მკიდროდ დასახლებულ ადგილს, ქალაქს ან ქალაქებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ამ ნოეიტრი მიწის წყალბობით გაშენდა და აღმოცენდა ნილოსის სანაპიროზე. ცისფერი მდინარის ციცილიზაცია უყვე იმთავითვე აოცებდა სხვა ქვეყნის შვილებს.

ძველმა ბერძენებმა ამ ციცილიზაციის გვირგვინად დიდი პირამიდეები მიიჩნიეს და მსოფლიოს შვიდ საოცრებებათ რიცხვში პირველს ადგილი დაუთმეს.

ქრისტეს დაბადებამდე დიდი ხნის წინათ გადახმა და დაინერგა სემრამიდას დაკიდული ბაღები, რომლებიც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორს მეორედ ტერასებზე გააშენებდა თავისი მეუღლის — მიდიის მეფის აშულის პატივსაცემად.<sup>12</sup>

ძველი წელთაღრიცხვის 566 წელს პატიმოყვარე და გაიძვერა ბეროსტრატემ, თავისი სახელის უფავდასაუფთად, ცეცხლს მისცა არტემიდეს დიდებულნი ტაძარი, რომელიც დვოსისა და ადამიანური ნიჭის საიდუმლოდ ბუროთმოძღვარმა ქერქსტორნმა ააგო ეფისში.

ძვ. წელთაღრიცხვის 278 წელს მოქალაქე პარესმა როდოსის ურტუმი აღმართა 38 მეტრიანი ბელოსის ქანდაკება. 567 წლის შემდეგ ეს უღამავალი კოლოსი მიწისძვრამ ლოდებდა დაახავა რომოლისი ურტულზე. ასევე დაღუპა ფიდაიასი მიერ იქრისა და სპლოს ძელისხანა გამოკვეთილი ზეგის ქანდაკება.

ძვ. წელთაღრიცხვის 280 წელს ალექსანდრიაში უქნდულ ფარაბოს სისტრატ კნიდელმა ააგო 120 მეტრის<sup>13</sup> სიმაღლის შუქურა. მაშინდელი მსოფლიოს ეს უმაღლესი ნაგებობა 17 საუკუნის განმავლობაში უნათებდა გზას ხმელთაშუა ზღვაში მოქარაზე, აღუქსანდრიაზეც მიმავალ გემებს და მერე მიწისძვრამ იგი წყალში გადაასროლა.

XV საუკუნეში ჭკაროსნებმა დაანგრეს და წინდა პეტრეს ციცი-სიმაგრის მშენებლობაზე გამოყენებს ბეროთმოძღვარ პითეუმასა და საბაროზიოსის მიერ აღმოქარანაში აგებულნი მეფე ქარი მაკროლის დიდებულნი განსახებენბელი. ასე დაიღუპა მსოფლიოს ექვსი საოცრება. ამ საოცრებათა შორის ყველაზე დარტული იყო ზეგის ქანდაკება. როდესაც მას გენიალური ფიდაიასი აქანდაკებდა, პირამიდებზე უყვე ღრმად მოხუცები იყვნენ. უდაბნოს ქობინა ორიათას ორასწლიანი ბრძოლა ჰქონდათ მოგებულნი და შემდეგ კიავე ოცდახუთი საუკუნე ჰქონდნენ სილიანი ქარები.

კარიონდებ გზაში მიმავალი კაცი ხედავს, ლობის უდაბნოს მოყვითალო ფონზე როგორ იზრდებთან და მალდებთანა ძველი მსოფლიოს ლტენდარულ საოცრებათა შორის სადღესიოდ დედამიწის ზურგს შემორჩენილი სიწმარეული გიგანტები. მზის სხივები იქ-

როსხრად აფერადებენ მათ უზარმაზარ ფერდობებს და გონებას წვდამს შეეცინიარს აზრი, რომელმაც პირამიდეები მიიჩნია ჭკუების უზარმაზარი მთა, შენ უყვე მის ძირში ხარ. — აღფრთოვანებულნი შექნულნი კოსტების შორის, კაიოსი მხრიადა ზეგანის ძირს მისული კაცი წესს არ აღმართება ბეგის განაღებულობა განსახებენბელი. იგი ჩვე კიდევ არ ჩანს მთლიანად. აღმართს შეუფუები და სილაშემონამქრული ფერდობების თავზე ზღაპრულად იზრდება ქვის უზარმაზარი მთა, შენ უყვე მის ძირში ხარ. — აღფრთოვანებულნი და შედარუნებულნი; აქ სილის ნაძეციის ტოლნიც კი აღარ ჩანარკაცი აქ ჰიაწვევლის ემხავებენ, მაგრამ თავს იმით იწუგებენ, რომ ამავე გრძობდნენ და მერე ხმააღლა ამბობდნენ ყველაზე გულუზიად აღამიანები, მათ შორის იყვნენ მეცნიერები, მწერლები და იმპერატორებიც კი, პირამიდეები არის სიმბოლო ეგვიპტისა, სიმბოლო დაუთავიერი ბელგეგუნებისა და დიდი საკაცობრიო ციცილიზაციის დასაწყისისა. მათ წინაშე უფლური აღმოჩნდა დრა. და, აღამიანები არ თაკილობენ ქველ მოხარონ მარადისობის წინაშე.

ხეოფისის პირამიდა შენებებულა ორმოლოწნხვებვარი ბლოკისაგან.<sup>14</sup> ამბობენ, რომ პირველი რაივის ქვების წონა 15-20 ტონას აღწევს, ხოლო ამ არტერიო ქვა არ დღვს ორტონანახავარზე ნაყლებს, სიმძიმისა.

ავილი წარმოსადგენი იქნება ამ ნაგებობის სილაიდე, თუ გავითვალისწინებთ, რომ სიმაღლზე დაწყობილი ერთი მილიონი უჯარის ფურცელი 11 სართულიანი სახლის სახურავს უტოლდება. ზეოფისის პირამიდის რაივილი რომ შემოუარო — კილომეტრზე მეტე უნდა განვლო. მისი ერთი ფუძის სიგრძე 230 მეტრს უდრის, ხოლო სიმაღლე 146 მეტრი იყო.<sup>15</sup>

4 ათასი წლის განმავლობაში ასეთი სიმაღლის არტერიო ნაგებობა არ აღუშროთავი დედამიწის ზურგზე.

გვიანფეოდღურ ხანაში, ეგრასაში აგებულმა, რამდენიმე ტაძრის გუმბათის წერხმა მიადუნა 140 მეტრს, ხეოფისის პირამიდას ორმოლოდარობტეო ათასი კვადრატული მეტრი ფართობი უჯარია ან ვიებერბული ფართობზე დალაგებულ უყოფილა ქვის წყობის 220 რაიკი პირველი ქვის ბლოკების სიმაღლე 1,5 მეტრს უდრის, მეორე რაივისა — 1,25 მეტრს, ხოლო ყველაზე მცირე ზომის ბლოკების სიმაღლე 1 მეტრსა და 55 საწინდარკარი შორის მეტრებობს.

ქვეყნის ეს უზარმაზარი მასა შეიღახვებვარი მოიღოს ტონას იწონის. ჩვენს დროში ვინმეს რომ მოენდობებია მისი სხვა ადგილზე გადატანა, ამისთვის . საქარო იქნებოდა 7 ათასი მძიმე წონის მატარებლის შემადგენლობა ან ერთი მილიონი თვიობდული.

ხედრენის პირამიდა ზომებით ოდნავ ნაკლებია, მისი ერთი ფუძის სიგრძე 215 მეტრია, ხოლო სიმაღლე — 148 მეტრი.

ამ ვიკატების გვერდით მდგარი მიკერინის პირამიდა შედარებით მცირე ზომისაა. მისი სიმაღლე 66 მეტრს აღწევს, ხოლო ერთი ფუძის სიგრძე 108 მეტრს.

ნაპოლეონმა გამოითვალა სამივე პირამიდის ქვების რაოდენობა და დაასკვნა, რომ ამ ქვებისაგან შესაძლებელი იქნებოდა საფრანგეთისთვის გასაშვრეველი ის კამეიტრის სიმაღლისა და ოცდაათი ანტიმეტრის სიქის კედელი. როგორც ლაფიერ წერს, აზამიანს საწინააღმდეგო არა მარტო ნაგებობა გრანდიოზულობა, არამედ მშენებლობის დროს გულშემატნებელი შესრულებული წარღმანი დეტალები. დიდი პირამიდების კედლების წყობა ეკვლია დროის საპირისპირო ტექნიკის ნამდვილ შედეგს წარმოადგენს. ინგლისელმა არქიტექტორმა ფლენდერს პეტრომ გამოამარჯვია, რომ ქვების შეერთების ადგილზე ნაწარბების სიხვე, რომელიც ერთი მუხლზედ ვიკანსააღმა სწორ ხაზებად გვეჩვენებს, ხოლო ზოგჯერ სრულეხით არ ხაზს, ცერა თითის 1/10 ნაწილს ან ნახევარ მილიმეტრის უდრის. მძელი წარმოსადგენია სიმშრედადგენისა და მშენებლობის მაღალი ტექნიკა, რომლის წყალობითაც მთიან წონის ლოდები თითქმის მიკროსკოპული სიზუსტით არის ერთმანეთზე მოსადაგებული. ასტრონომი პაიაც სმითა ამ სამუშაოს ადარებდა შოტლანდიელი ოსტატების შრომას, რომლებიც ოპტიკის ზუსტ ხელსაწყოებს ემყარებიან.

პირამიდა მოპირკეთებული იყო ნილოსის გაშალა მხრიდან მოტანილი ტურის რისხვიერ კორქის ასოხუმიტეგობის ზეთის ფილათა. საყურეების განმავლობაში ამტკვრედნენ, უმოწყალოდ ძარცვადნენ მის საძირს. ოღსდაც ითვება უმთავრესად ღვთიერ ნაგებობას ახლა უნდა ფერადგაქარვას და უძველეს სიერეცემში უთავუძოდ ნაზეტაილები შემოძარცვული გლობალითი დაღს ლბიის ზეგანზე.

პირველი უტხოვლი მეცნიერი და მოგზაური, ვინც პირამიდებს ეტყობა, პეროდოტი იყო. იგი ამ ორთაბის ბუთისი წლის წინათ დიდი პატივით მიიღეს ინინებს წყალმდივანს და გზაში ვაჭარბრუნელ ბერძენს თან გილი ახალეს. ეს კაცი თარბანისი მოვალოებასაც ასრულებდა და სტუმრის მშობლიურ ენაზე ესაუბრებოდა. ხეფოსის პირამიდას მაშინ ჭერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა თუბო პირანგი და ქვის ფილები უპირავი წარწერით იუკ აქრულებული.

პეროდოტი ამბობს: „ეს კარგად მახსოვს, ერთი წარწერის წაკითხვის შემდეგ მოაჩვენებო მეტონელებს, რომ მუშების განსაკუთრებულ მხოლოდ ნიორზე, ხაზზე და ბოლოზე 1600 ტალანტი დახარჯათ ეს სიმაღლივლს შეეყრებოდა, მაშინ რამდენი უნდა დახარჯულიყო მუშების სხვა საყურებზე, ტანსაცმელზე და რჩინის იარაღებზე“. ისტორიის მამამთ ამ იცოდება, რომ ხეფოსის პირამიდის სარკივავით სწორად ჩამოიღო კორქის არქითი ფილას ან ჰქონდა შეხებული ფილაღის საკრთიელი და რომ გოზს პირამიდების აღმართის შემდეგ ათსზე მეტმა წელმა განვლო, ვიდრე რჩინას გამოაოთხედნენ.

საყარბო და გიზაში არქიტოლოგებმა აღმოაჩინეს მაგარა ქვის ჭინბანან კეთილდებოდა სფეროსებური ფორმის დიდი ურბოები, ხის ტარბანსა და ქვის ჩაქურბები, კაფის საყურებო, ორღსულები კაფის დანებო, ძელქვის ძელში ჩამაგრებული კაფის ბურღები და ქვის სალიტები. ეგვიპტელები განრჩიეს და მარბაროების ადგილად კარდნენ სილენძის მავთულთ. მავთულს ქაზე უხსენებდნენ, კვარცის ქვეშის აურადნენ და წყლით ასელებდნენ. ამ ხელსაწყოს ქვირის ხერხი ერქვა. იგი იმდენად სრულყოფილი იყო, რომ ხერხისაგან გაჭრული მარბაროლის გაჭრაილება ადარ სჭირდებოდა. გოზაში მჭრელირჩინის სხვადასხვა ფორმისა და სხვადასხვა დანიშნულების სილენძის სატებოები აღმოჩენილი, რომელთა ეკვლი ახლავა შემოჩრჩეული გრანიტის ლოდებზე. კაროს მუჭებზედა გამოყენილია ადრული შეფობის ხანის ხისტარბანი ცალბირა ნაქაბები, — სახერტეტლები და ქვის სათლელი ერბოები. ძირითადად ამ იარაღით ემუშავებოდა უნტიფერის ალებსატრის ქურბებო, ხის, გრანიტის და მარბაროლის ქანდაკება მსოფლიოს შედეგები, ამ იარაღებით მარბაროლის ობელისკზე გასაოცარი ელასტიურობით მკვეთდნენ იეროლოგებს და უზუსტეს გეომეტრიულ სხეულებად ამუშავებდნენ პირამიდებისა და ტაძრების საამუშენებლო ლოდებს. ძელი წელთა-

ღრიცვის ოცდაშვიდედ საყურეში ასე შეიარაღებული ასთაბაკი იყო წლის განმავლობაში აშენებდა ხეფოსის პირამიდის

„როდესაც აღივებული ნილოსი კალამოტიდან გადმოდებოდა და მისი ლბინი, ყავიფერი წყალი დფარავდა ეგვიპტელთა ურნებს, ზედაშეღებულმა ასთაბაკმა მიწის მარბარო ტრეპებოდნენ გიზას ზეგანზე“, და იქ გამუდმებით ისმოდა მუშათა ღრინაცელი. მჭრელიერ გამბედავებმა, რომ მუშებს ევალებოდათ ქვები მოტანათ ქვის სატებოებიდან, რომლებიც არაკბის ქლებზე, ნილოსის სხვადასხვა მხარეს, იქნებ მდინარებზე გვებითი გამოტანის შემდეგ ცხვა ეგვიპტელებს ევალებოდათ ლბის ზეგანისაზე წყელით იგიპირივად, სამი თვის განმავლობაში შეუსვენებლად მუშაობდა ასთაბაკი. ვიკანებში და წელშივე იტანებოდნენ, რომ გზა პირვეტებთან ქვების გადასაზრდად. მე მგონია ამ გზის ვაგვანა პირამიდის აშენებზე ცტობა ნაჯებ სამძირო იყო. მისი სიგრძე 5 სტადიონია, სიგანე 10 ორბიონი, ხოლო ეკვლავი მაღალი ადგილის იგი 8 ორბიონს აღწევდა. გზის ორავ მხარეს აღმართულია გამოსახულებებით შემკული გათლილი ქვის კედლები. ახლა გზა აღარ არსებობს, დაქვლილი კედლები და ნავაღლივი წმინტობა, მაგრამ კაცს შეუძლია წარმოადგინოს მასზე გამჭრეკილებული ვეებრთელა ლოდები, რომლებიც ვას ასევეადა შეად მზრინავი დაუბრუნელი მონები, — ისინი მზამალა ჰყვირან და ერთმანდ იმორბენენ თავიანთი ბრინადების სახელებს, „ხელოსნობაზე“ ისინი ლოდების ბაბუკი და გიზას ზეგანზე საყურებოთა ეურვა მეთის განსახელებულს, რომლებიც ფარბანი უწოდებს „ხებტ, ხუფუს“, რაც „ხეფოსის პირამიდის“ ნიშნავს.

მაგრამ, როგორ აქონდათ მძიმე წონის ქვები საძირკვლის ზემოთ შეტარბანებოდა ასროლოდაქვითი მეტრის სიმაღლივლზე? როგორ აღმართეს მსოფლიოს პირველი უმაღლესი ნაგებობა?

უხსოვარი დროდან დღემდე სხვადასხვა სკიპოლოზისა და სხვადასხვა ტრეპების მეცნიერები ცდილობდნენ და ცდილობენ პასუხი გასცენ ამ კითხვაზე. ძველთაგანვე არსებობდა ორი ერთობა ნეთის საწინააღმდეგო აზრი, ერთი ეკვლიდა პეროდოტს, ხოლო მეორე — დიოდორე სიცილიელს. პეროდოტი წერს, რომ უდელი პირამიდა საფებურებად შენდებოდა. აღმართებოდა იგი ასე, საყურებოდა დასაფებურების შემდეგ დაწარბებ ქვებს ეტილებოდათ მხოლოდ ნაჭრებისაგან გაკეთებული მაქანებით. თავდაპირველად მიწვიდა ქვება პქონდათ საყურებოების პირველ რიგზე; აქ დადებოდა თვითიული ქვა ვადაქვლილად სხვა მაქანაზე, რომელიც პირველ საყურებურს იდა.

ამქად მესამე მაქანიი ვადაქვლიდა მეორე რიგში. საერთოდ კი იმდენი მაქანა იყო, რამდენიც საყურებრი ჰქონდა პირამიდას, ანა — ერთი, რომელიც ადვილად ვადაქვლიდათ ერთი რიგად მეორეზე. ორ ხერხზე ელბარბობდით იმბოტ, რომ ასე ვაქონდა ვაგიონი. პირველ რიგში პირკეთებდნენ პირამიდის ზდა ნაწილს შედეგ მომდევნის და ბოლის ქვედა ნაწილს, რომელიც მიწაზე დებს.

პეროდოტისაგან განსხვავებით, დიოდორე სიცილიელი ამტკიცებდა, რომ ეგვიპტელებმა ასე ჰქონდა მაქანები. ისინი პირამიდებს აშენებდენ მიწაზედებოდათ, რომლებიც კედლებთან ერთად იზრდებოდა და რომლებზედაც მაგარბებდნენ საწენ ტრბალი ჩვენს დროში ორივე ბერძენს უპირავი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰქავს.

სამშობლოდან კარგა ხანით ვადაქვლიშმა ბედას ევროპელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა გაიჭრა ცხოვრების დიდი ნაწილი პირამიდების ძირას. ეგვიპტის ძეგლებზე ფანატურად შეყვარებულმა და ღრბად ნაგაბილებულმა და ნიჭიერმა ხალხმა ცტა მღლიანი როდდა დაზარტა, რომ პირამიდების მშენებლობის საიდუმლო ამოცხნათ რთული მათემატიური გამოთვლებით, საამუშენებლო წესების ცოდნით და მათი მოშუდებით თავიანთ მოწინააღმდეგე კლდეებს ისინი სასტიკად უსწროდებოდათ, რაგორც ტყვიანი, ერთმანეთის ომებრებებთან ქვას ქვაზე აღრ ტყვიან. მკვლევარების სადელიდ ორ ჭგუფად არიან გაყოფილი. მექანიკების მომხრენი, რომლებსაც მჭრელიერ მომდევნარი შიშობება ვუწოდებ, და მიწაერილების მომხრენი, რომლებიც დიოდორე სიცილიელის მოსაზრებებს იცავენ და აღრბეებენ. წყაიანთა ერთი ამ ჭგუფის რომლებიც მექანიკის წიგნს და მუშების ნაეული გავლბა, ან თუ როგორ აშენებდნენ პირამიდებს, მაგრამ როდესაც საწინააღმდეგო დებულებას გაეცნობი, უკვე აღარ იყო, რა ხერხს მიმართავდნენ ძველი ეგვიპტელები პირამიდის მშენებლობის დროს.

Handwritten notes in red and blue ink, including numbers like 114, 86, 57, 65, 49, 3, and some illegible text.

ორიგინალური თეთრია აქვს წამოყენებული გერმანელი ინჟინერს ლ. კროსს. საცამოდ ზუსტი და დამატირებელი მათემატიკური განა-  
კარის შესებად იგი უარყოფს მიწაყრბლების თეორიას და და-  
კარის, რომ სხვაი საშუაოს შესრულება უფრო მეტ დროს, ენერ-  
გიასა და ხარჯებს მოითხოვს, ვიდრე თეთი პირამიდის შესრულებლობა  
მეცნიერი ვეპაჯახოს ე. წ. „პედულოზის“ ვარაუდს. შადეფი სხვა  
არაღერია, თუ არა იმერეთში კუბის წინ დასობილ ორკაპ ბოძე  
გადაღებულ კვებერთელა ხის ძელი, რომლის წერტილ კაჭითი მი-  
მისი წარსულში კილან წყლის იღებენ. ჩვენში ამ მარტე მქე-  
პის ოქროსი უწოდებენ, ევროპაში კი ევგავტორ წერის ეძიანა.  
კროსს წარმოადგენს ამ მექანიზმის შედარებით სრულყოფილ ვა-  
რიატს, რომლის საშუალებითაც მშენებლებს ბლოკები აქირდით  
დიდ სიმაღლებზე. მეცნიერის აზრით, ეს წამოყობილობა შესდგებოდ  
გრძობა თავისიგან, თავზე გადავიდებით იგი შეველად აღმარ-  
თულ სარტყელზე, იგი ტრიალდება სარტყდენის გარშემო პირამი-  
ტურად და ეტრიალდება. პირამიდის საფუძველზე დამატრ-  
ებული ამ მარტე მქეპისთვის ბერკეტის მოკლე მხარეს ბლოკს ამა-  
ღლებ, გრძელ მხარეს მუშებით თოქით ძირს ატრეკობდენ. ასე ამ-  
ქონდათ სამშენებლო მასალა საფუძველზე და საფუძველზე.

ფრანგი მეცნიერი ლაუერი, რომელიც ხეროთომოსელის იუმ  
და თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი პირამიდების შესწავლის მო-  
ანდობა, დამატრებლად უარყოფს კროსის მოსაზრებას. იგი ემხრო-  
ბა მიწაყრბლების თეორიას, რომელიც თავის შესწავლის წესში  
„ეგვიპტოს პირამიდების შესახებ“ მოცემული აქვს აგრეთვე დან-  
დისს. სამშენებლო გზა „ზრდობდა პირამიდის კედლებთან ერ-  
თად — სიმაღლესზე და სიგრძესზე, ამასთან, ყრბის ზედა ნაწილ  
ვიწროვდებოდ პირამიდის კედლების შევიწროების შესახებისად  
თუ პირამიდის დახარბობის კუთხე უფროა 90°. ყრბის გვერ-  
დები 50° იყო დახრილი, რათა ყრბი არ ჩამოქცეულიყო“.

პირამიდების ამ ხერხით მშენებლობა უფრო დამატირებლად  
გ მოყოფებია, რადგან არქიტექტურა ადამიანების ასეთი მიწაყრ-  
ბების ნაშთები, 16 სის მორტი და ხარკველები, რომლის საშუა-  
ლებითაც კუბის მიმარჩებდნენ პირამიდის კედლებზე მიხედნენ. დიდ  
სამშენებლო გზაზე. როდესაც ნაგებობის კუბითი მშენებლობა  
მიუჯერებდა, შემდეგ ზემოდან ქვემოთ იტყობდა თეთრი ფულ-  
დების მისი მოპირკეთება და შესახებისად სიბრტყდის თანდათან-  
ობით შევიწროვდა, ასე იმარტებოდა და შემდეგ ისევე ამოდიდა მიწი-  
ვი კვადრული ნაგებობა. ლურჯი კის ფიწვე თერაქად მოქაპობ  
მის ეკლებს საშუალებად ეშუაღობებდნენ მშენებლები. ისინი მი-  
მედ მიიჭედნენ ძირს და შემდეგ, გაოცებული „მეშურებდნენ სა-  
უფთაო ხეღრის შექმნილ დიფთორი ფარაონის გრადიოზულ განს-  
სვენებელს“.

კაცი, რომელიც ვიზს პირამიდებს უშუბრს, გრძობს, რომ მი-  
სი მშობლიობა სიცოცხლემო აჯავისგან არაფრით არ იყო მეზღუ-  
დული. განსუზღვრული იყო მისი სურვილი და ძალაუფლება. ფა-  
რათი ითვლებოდა ცოცხალ ელვაებად, კეთილ ღმერთად. სწორედ  
ამის გამო ეგვიპტელებს უფლება არ ჰქონდათ მოგზებდნენ იგი,  
როგორც კაცი და როგორც მუფე. მის სახლს წარმოქაქავდნენ  
არა პირამიდი, არამედ ქარაგებულად. როდესაც ლაპარაკ იყო მე-  
ფედზე, ახენდერს სახლს, სადაც იგი ცხოვრობდა, მამასთანად, „დღ  
სახლს“, „ფერისს“. ამ ეგვიპტური სიტყვის მიხედვით ჯერ ძელმა  
ეტრიალებმა, ხოლო შემდეგ ბეძინებმა ნილოსის ქვეყნის მეფეებს  
უწოდეს „ფარაონები“. მეოთხე დინასტიის I მეორე ფარაონმა ხე-  
ფანს, რომელიც ვარდაცვალბიდან რიკიასს სუბოხს წლის შემდეგ  
ბერკეტმა მონადედა ამ სახელით, ხოლო სამშენებლო ხუფუ ერ-  
ვა, საეფთარი ნემვის გასაპროცენებლად აღმართა მსოფლიოს ეს  
უღადესი ნაგებობა.

ძველ ეგვიპტელთა რელიგიური წარმოდგენის მიხედვით, ავა-  
მანი დაბლებდნენ განყოფილება „მა“-დ, სულად და „კა“-დ. —  
ორტუდლად. ეს იყო მისი მფარველი ანგელიზი (გენია). ვარდაცვა-  
ლების შემდეგ იგი მზარუნელობდა ადამიანს, რომელიც კვლავ აღს-  
დებოდა და მიწირი სიცოცხლეს აგრძელებდა ქვენ სოფელში, სა-  
დაც დღური ნათების შემდეგ ზედა ჩაიდოდა. იქვეყნური ცხოვრ-  
ბისათვის კი ხაჭირი იყო ფარაონის ნემოი სასულდოდ უყოფილოე  
დაცული. ამისათვის აუშენებდნენ პირამიდებს. იქ შექმნილ ფარა-  
ონის დაბლაშირებული სხეული, რაც აგრეთვე აუცილებელი იყო  
სულის შესანარჩუნებლად. სწორედ ამიტომ ეგვიპტელებმა მარლე-  
ბისა და ბალახული წამლებიდან შექმნილი ნივთიერებით მიაღ-

წიეს ადამიანის სხეულის ისეთ სრულყოფილ ბალსამირებას, რომ  
კარის მუხურში დღესაც იხსება ოთხთავის წლის წინააღმდეგ  
ვლილი ადამიანების კარგად შენახული მუმფიციკირებელი გვამები.  
პეროდოც მოგვიხიბობს ბალსამირების სამ წესზე. პირველი —  
ძალევი ძირად ფასობდა და მხოლოდ მეფეებისთვის იყო ხელმი-  
წვდომი. მეორეც საშუალო ფასე სარგებლობდა, ხოლო მესამე —  
იმათთვის იყო განკუთვნილი, ვისაც არ გააჩნდა აკლადამები და შეე-  
ნიწის ზოლს გადაღმა, ქარსახად გამოყოფილ სილან ნიადგვი  
იბრტყდებდნენ. ბევრი მთავარი დაღესე მშველად განსვენებს შრო-  
ბილდურ მიწაში. ხოლო ფარაონების ნემოი დიდი ხანია მათ სიბილ-  
რესთან ერთად გაქრა.

95  
94  
90

**შენიშვნები:**

- 1 ქალაქის ბერძნული სახელი ეგვიპტურიდანაა თარგმნილი. პე-  
ლოპოლისი მის ქალაქს ნიშნავს.
- 2 ჟოანო ვიანდელი წარმოშობის არაბული სიტყვაა: კიბრა —  
ალ-კიბრა) ტიხსიმადგებს ნიშნავს. 969 წელს ფტომიძების დინას-  
ტიის სარდალმა, ყოფილმა მონამ გახურამ დიდი ქალაქის, ფსტატ-  
ტის ჩრდილოეთით, დღევანდელ კაროს ცენტრში დაარსა სამე-  
ფო რეზიდენცია და ახალი ქალაქი.
- 3 ფინას-საქრო-ოზობის იყო ფარაონთა სულისა და განსაცუენ-  
ბლის მფარველი ღმერთი. მისი სახელისგან წარმოგება სახელწო-  
დება ასეაა.
- 4 შემოხრებული კედლის სიგრძე 721 მეტრია.
- 5 დრეული დინასტიის ფარაონთა აკლადამები, საცამოდ დიდი  
მოკლებით ნაგებობები იყო. ფარაონ გორ-ახას აკლადამს 561 კვ.  
მ. ფართობი ეყავა, ჟეთას აკლადამს 672,5 კვ. მ. ხოლო პირველი დი-  
ნასტიის ფეასანტელი მეფის — კის აკლადამა სიდიდით ორჯევე აღე-  
მატებოდა.
- 6 ზოგაერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ მესამე დინასტიის პირვე-  
ლი ფარაონი ნეტეკა იყო.
- 7 პირველი დინასტიის მეფობის ხანა მითითავს ძვ. წ. 3200-2980 წწ.  
II დინასტიის ძვ. წ. 2980-2780 წწ. III დინასტიის ძვ. წ. 2780-  
2680 წწ.
- 8 ვებური არაბული სიტყვაა. ამ თანამდებობის პირს ეგვიპტურად  
„წათი“ ეწოდება.
- 9 დენიცი ნილოსში დაიხრილი 1959 წლის დასაწყისში, მან სა-  
კარის ვაიბრებს მიემდინა პოპულარულად დაწერილი წიგნი სათა-  
ურით „დაქარგული პირამიდა“. წიგნი თარგმნილია მსოფლიოს მრავ-  
ალ ენაზე. მისი ქართული თარგმანი გამოქვეყნდა 1965 წელს.
- 10 მეფობა ძვ. წ. 605-562 წწ.
- 11 შექურბის სიმაღლე ზოგაერთი ავტორის მიხედვით 170 მ უდ-  
რიადა.
- 12 ეს რიცხვი თითქმის არცერთ წიგნში არაა ერთნაირად მითო-  
თებული. ზოგაერთი ავტორის აზრით, იგი 2300000 ბლოკისგანაა  
მშენებული, ზოგაერთი 300 000 000-საკ მითითებთ. ყველაზე მარ-  
თეული ჩანს ლუტერის მოსაზრება, იგი ბლოკის საშუალო სიმა-  
ღმით იღებს 2,5 ტონას. ამ შემთხვევაში გეოლოგის, რომ სეოლოგი  
პირამიდა მშენებლობა 26600000 ბლოკისაგან.
- 13 ხეუფის პირამიდის სიმაღლე ამჟამად 137 მეტრია.
- 14 პირამიდაზე შექმნილ აუარებელ სამეცნიერო ლტერატურაში  
ტექნიკური მონაცემები განსხვავებულია და ერთმანეთს არ ემთხვე-  
ვა.
- 15 სტალინი და ორგონი ძველბერძნული სიტყვის სახში ერთ-  
თებულბა. ოლიმპიური სტალინი უდრია 184,97 მ. სიგზაო სტა-  
ლინი — 157,5 მ, ხოლო ორგონი — 185 მ.
- 16 გზაში არქიტექტურაზე ხეფერნის დასაკრძალავი ტომარის მახ-  
ლობად იბოგეს მიწაყრბების ნაშთები, რომლის სიგზა 13 მ. ხო-  
ლო დახარბობის კუთხე 4,5-ს უდრიადა.
- 17 IV დინასტიის ფარაონები მეფობდნენ ძვ. წ. 2680 წლიდან  
2565 წლამდე. ამ დინასტიის პირველი ფარაონი იყო ხეოფტის მა-  
მა — სინოფტი.

(გარტყეულა შედგენ ნომერში)

# მობონებების წიგნი\*

პინკაპარმინიში ჩივილის ხოლმე ხსენაში ძველ თბილისის კოლორიტული სურათები... აქლემების გრძელი ქარავნები, ოქრომჭედლების სახელოსნოები, ქვევრები, დოქები, ტინჯილები, აზარფუშები... საცარი ფერებით აჭრელებული ბაზრობები... რა და რა ჯურის საქონელი არ მოქონდათ ამ ბაზრობებზე! შეუძლებელია ერთხელ მიიწე გენახა ეს სურათი და როდისმე დაგვიწყებოდა... როგორ არ ეცვათ, რა ენაზე არ ლაპარაკობდნენ... სხვათა შორის, ამ ბაზრობებსა და, საერთოდ, მთელს ამ სანახაობებს აუცილებელ აკომპანენტად ახლდა მუსიკა... რანაირი პანგი არ ისმოდა!

მასხვს ყვენობა—ქართული თეატრონი... ძალიან მიყვარდა ეს ხალხური სანახაობა... უკიდევანო ფანტაზიას აღძრავდა... მასხვს დუდუქზე ცეკვა, მტკვარზე დამისთევა, ტივები, სანთლები და, ბოლოს, დილით დაგრევილი და ახლო სოფლებში ჩამოტანილი ქორფა მწვანელი, ხურჭინადაკადღებული სახედრები... მემავწენები...

ყოველივე ეს მხატვრისათვის ძალზე საინტერესო საწყაროს ქმნიდა... არც შეიძლება აქ მხატვრული ნიჭი არ გაღვიძებულიყო... აკი გაიღვიძა კიდეც... მავალითისათვის მარტო ფიროსმანის გახსენებაც კმარა.

რა თქმა უნდა, აქედან ბევრი რამ ჩვენი წარსულის ბედუკუღმართობის შედეგი და ანარქული იყო, მაგრამ მაინც იზიდავდა თვალს მისი მრავალფეროვნება და სიტრელე... იგი არც მხოლოდ აღმოსავლური, არც მხოლოდ ქართული, ძველ-თბილისური იყო, ან უფრო ზუსტად, როგორც ამას სოსო გრიშაშვილი უწოდებდა, „ქალაქური“... მას ჰქონდა თავისი სიღამაზე, თავისი კოლორიტი, რომელიც აოცებდა უცხო თვალს და გულს... (გაიხსენეთ როგორი გატაცებით წერენ ამ პერიოდის თბილისზე კონსტანტინე პაუსტოვსკი, ილია ერენბურგი და სხვანი...)

განსაკუთრებით მხატვრებს იზიდავდა ძველი თბილისი, მისი აივნაინი და ბანიანი, ჭრელნოებგადმოფენილი, ჩუქურთმებიანი სახეები... ადამიანთა ჩაცმულობა, ჩიხტიკოპიანი მანდილოსნები, ვიწრო, ოკრო-ბოკრო ქუჩები და დამით ამ ქუჩებში დანთებული ფარნები... რარეკ გულსატკენია, რომ ყოველივე ეს თითქმის მთლიანად, ერთი ხელის მოსმით და-აფრეს... თბილისი იმდენჯერ გადაუწვავთ და გადაუბუვავთ. იმდენ მომხდურს და გადამთიელს აუხოხრებია საუკუნეთ-მანძილზე, რომ რამდენიმე ტაძრისა და ციხის ნანგრევების გაღდა, თითქმის აღარაფერი გადაარჩინილა... ის უბანი კი,

რომელსაც ტრადიციულად დღესაც ძველ თბილისს ვეძახით, თითქმის მთლიანად მეცამეტე საუკუნეშია აშენებული... მასში თითქმის არაფერია წმინდა ქართული, ეროვნული, მაგრამ თვით ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდში ასეთი სახლები აშენდა, ხომ არის თბილისის არსებობის ერთი მონაკვეთის, თუნდაც სავალთო, მაგრამ მაინც ნამდვილი ისტორია... მაშ, რატომ უნდა ვკრათ ხელი მას... ჩემს თვალში დანგრეა მშვენიერი ქარავნები, მეჩეთი, ეკლესია, შესანიშნავად ნაშენები პატარ-პატარა სახელოსნოები... მოსატული დუქნები, ძველ-თბილისური ხიდები... როგორი რომანტიკა შემოქმნიდა ყოველივე ამას, რომ მაგონდება, გული მტკიავა...

არც კი იცოდნენ, რას სწადიოდნენ... რა სიმდიდრე განიავდა... დაამახინჯეს მეტეხის ულამაზესი კლდე, დატოვეს მხოლოდ რამდენიმე სასლი და ქუჩა... ყოველივე ეს პირადად ჩემში დიდ გულსტკივლს იწვევს... მახსოვს, რამდენს დაობდა, რამდენს კამათობდა ამის შესახებ ულენე ახვლედიანი... „მომავალი თაობები ამას არ გააკატევენო“, — ამბობდა იგი და მეც ასე მეზინა... ძალიან განიცდდა ყოველივე ამას სოსო გრიშაშვილიც... ყველაზე მეტი ხარკი მაინც მან მოიხადა ძველი თბილისის წინაშე... მარტო მისი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქსი“<sup>1</sup> რად ღირს, სხვას რომ ყველაფერს თავი დაეანებოთ.

ახლაც თვალწინ მიდგას მისი მუდამ ღიმილიანი სახე... რატორ უყვარდა თბილისის ქუჩებში სიარული... თვითელ-სახლის ისტორია იცოდა... შემომხედებოდა წიგნებით ხელში...

— ნახე, ბუკინისტებთან რა წიგნი ვიყიდე... ჩემს ბიბლიოთეკას შეგმატოსო, — იტყოდა, და აუცილებლად ძველ თბილისისაკენ გაუყვებოდი... იგი ხომ იმ უბანში დაიბადა... ყველას იცნობდა... ბევრი რამ ასსოვდა და, მუდამ ხალხის მიამობდა ძველ ხელისნეზე, მეპურეებზე, მემწვანელებზე, სირაჯებზე, მეწვდებზე, საერთოდ, ძველი თბილისის მოქალაქეებზე... მისთვის დიდი სიამოვნება იყო ამ ხალხის გახსენება...

მიამობდა, როგორ უკითხავდა მათ წიგნებს, უამობდა ამ წიგნებში ამოკითხულ თქმულებებსა და ზღაპრებს... ეს ყველაფერი მოსწონდათ და მადლობის ნიშნად სპილენძის შაურანიით მასაჩუქრებდნენ. მე კი ამ ფულით ბუკინისტებთან გავრბოდი და ახალ წიგნებს ყვიდებოდი. წიგნები ჩემი ყველაზე უკეთესი მეგობრებიაო, — იტყოდა ხოლმე... ყველაფერს გაიმეორებ, წიგნის გარდა... არავისთან იმდენი წიგნი არ მინახავს, რამდენიც მასთან. ბოლოს კი მივიღი ბიბლიოთეკა თავის ხალხს შესანიშნავ საჩუქრად დაუტოვა... მასხვს, წიგნებთან ერთად ღიღის მოწოდებით ეძებდა

\* გაგრძელება იხ. „საპოქოთა ხელთნება“ № 5-12, 1976. № 1-3, 1977.



და აგროვებდა ძველი თბილისის მოქალაქეთა ნივთებს — ვერცხლულს, ყანწებს, ასარფუმებს, ღვინის დოქებს, ვერცხლის ქაშერებს, კრიალოსნებს... ასევე ძველებურ საკრავებს — არღნებს, თარს, დუდუკს, სტირის...

ძალიან კოლორიტული ბუნების ადამიანი იყო... როგორი გამორჩეული ინტონაციით კითხულობდა ხოლმე თავის ლექსებს... თითქოს ახლაც ჩამქმნის მისი ხმა:

*მეუფას თბილისი არაკლავით მისა მშოშოვარო  
და მსურს აქ მოკვადე, რომ მღოს მზე სწავადეს ჩემს კუბოს...*

ძველი თბილისი, წიგნები და თეატრი — ეს იყო მისა მთავარი გატაცება და საზრუნავი...

ხშირად ჰყვებოდა ვალერიან გუნიანზე, ვასო აბაშიძეზე, ლადო მესხიშვილზე, კოტე მარჯანიშვილზე... ამ ადამიანებთან სხვადასხვა დროს ახლო საქმიანი ურთიერთობაც ჰქონდა და სასიამოვნო მოგონებებიც აკავშირებდა.

ერთხელ ვალერიან გუნიან თავისი დასით ხარფუხს სწევვია. სწორედ იმ პერიოდში ერთ პატარა კლუბში, სადაც მუშები თავიანთ წარმოდგენებს მართავდნენ, სოსო თურმე უუასო სუფლიორად მუშაობდა... შემთხვევით გუნიას დასის სუფლიორი არ მოსულა და მას ერთი იტაური მასხაიბოსათვის უთხოვია, — თქვენი სუფლიორი მომიყვანეთ...

სოსო მიყვებოდა: — წარმადგინეს მე... ვალერიან გუნიას ჩემს დანახაზე სიცილი აუტყდა.

— კაცო, მე სუფლიორი მინდა და არა ეს გაშვებო — მაშინ 15 წლისა თუ ვიქნებოდი... გვერდზე შეკრული ხალათი მეცაა და ძველებური ვერცხლის ქაშარი მკეათა.

ესაა, ბატონო, ჩვენი სუფლიორი — უთქვამთ... გუნიას მოსწონებია მისი კარნახი და თავისთან დაუბარებია.

— მას მერე ქართულ დასს აღარ მოვცილებივარ. თითქმის სულ ვსუფლიორობდი... ერთი-ორჯერ კი ეპიზოდური რო-

ლების თამაშზე მღერის... ცოტაოდენი ხელფასი რომ მღერის... გუნიან სცენაზე ზოგჯერ ორიოდე სიტყვასაც მათქმევინებდა... მათამაშედნენ ლაქიებს, გლეხის ბიჭებს, მესასულავეებს... ოღონდ ეს იყო, ყოველთვის მცირე ლაქია ვიყავი, ამ მასამე მესასულავე, პირველი ლაქიათაა, ან პირველი მესასულავეთა ჩემი სანატრლო იყო... — ღმილით ჰყვებოდა ხოლმე.

— რა დამაწივევებს... ვასო აბაშიძე რომ ჩაცუცქებებოდა და მტყუტდა: სოსო, დღეს როლი კარგად არ მასოსეს, შენ იცი, როგორ მიკარნახებო.

ხანდახან კი ისე მიტაცებდა მათი თამაში, რომ კარნახი სულ მაგონწყებოდა... უსასრულოდ შეეძლო თეატრზე საუბარი...

მასოსეს, მისი პოეზიის საღამოები... როგორი დიდი სიყვარულით ხვდებოდა ხალხი მის სცენაზე გამორჩენას... განსაკუთრებით, მის სასიყვარულო ლექსებს...

*რა კარგი ხარ, რა კარგი,  
შეშობარა და მჩქვფარე,  
როცა მოკვადე, გენაცვა,  
ძეილად გააძვივარო...*

რა გაახუნებს მის ტრიოლეტებსა და სონეტებს, მუხამბაზებსა და მუნასიბებს, მის უღრულო, სასიყვარულო ლექსებს...

სოსო გრამშაშვილი ერთგან წერს:  
„...როგორც ცხოვრებაში შეიჭრა ახალი ტემპიკა, ახალ-სტული, ახალი აზროვნება, ისე ელიტარტურაში მისისო რომანტიული სულის თვისება და ინდივიდუალიზმი, ესაა სცალიან „ლოპიანას დარღებისათვის“ და ქაბანის უწყინარი მელოდიისათვის? ვის გჭირვება „აბანოში ღვინის“ და ქაქუხზე ახტებული წმინდა სათალებით სიარული? მაგრამ, აწურლებო, პოეტებო, ნუ დაგვიზომბთ თბილისს არქეოლოგებს. უშუალოდ შევემეცნეთ მას, ვისუნიქოთ მისი პაერთი, ქუჩაბანდებით, და შევიყვაროთ იგი, როგორც ჩვენი პირველი ლექსიო“.


ჩემი სათქმელიც ესაა...

„ხელოვნების პრინციპი ერთია: ესაა ჭეშმარიტება. ვინც ამ პრინციპს ვაიგებს, გზასაც იპოვის. თქვენ ვერ შეასწორებთ ბუნებას, მაგრამ უცადეთ, გადმოიტანოთ ის, რასაც უნება გასწავლით. ბუნებას ენდეთ... რასაც ის გადმოგიცემთ. გაატარეთ გულში და მერე მიეცით ნება თქვენს ხელს, რომ აკეთოს. ჭეშმარიტების პოვნა უდიდესი და უძლიერესი სიხარულია. ქანდაკებას არ სჭირდება ორგინალობა, მას უნდა მხოლოდ სიკონსლეუ“ — ეს სიტყვები ცნობილ ქართველ მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს ეკუთვნის. დიდ და ამაღლებულ განცდებზე იწვევს ეს სახელი მის გულში, ვისაც მშობლიური ხელოვნების სამსახური თავისი ცხოვრების მთავარ მისზად უქცევია.

რთული და მიძიმე იყო გზა, რომელიც იაკობმა განვილო. მას, პირველ ქართველ მოქანდაკეს, უნდა აღედგინა და გაეცოცხლებინა ქართული ქანდაკების ჩაწყვეტილი ფესვები, გაეზარდა ოპოზიცი. ჯერ კიდევ გაუკავფავ გზაზე უხდებოდა სგლა, მაგრამ რწმენა, რომ ემსახურებოდა მშობელ ქვეყანას და მის შემოქმედებას ჩვენი უნდა დაენერგა ქანდაკების კულტურა, ბიძგი მიეცა მისი განვითარებისათვის, ძალას მატებდა დაუშრეტელი ენერგიით ავსებდა...

დღეს ალბათ, საქართველოში ცოტა მოიძებნება ადამიანი, ვისაც არ ენახოს ოპერის ბალში აღმართული დიდი აკაკის ძველი, ილიას საფლავის ძველი მთაწმინდაზე, ჩახრუბაძისა და ეგნატე ნინოშვილის ძეგლები, არ იცნობდეს მათ ავტორს. იაკობ ნიკოლაძის სახელი განუყოფელია ქართული ხელოვნე-

იაკობ ნიკოლაძე



ბისაგან. იგი მისი ერთ-ერთი უპირველესი და უდიდესი წარმომადგენელია. უჩვეულო და არტისტული პიროვნება იყო იაკობი თვითონაც.

თუ მაშინვე არ ჩაუდგი მარმარილოს სული, თუ თავიდანვე არ გააღვიძე სიცოცხლე მასში და ბოლომდე არ მიჰყევი მას, ძალიან ძნელია ცივ ქვაზე მუშაობა. მიქანდაკე, რომელიც ქვას არ მიჰყავს, უბრალო ხელოსანია. ასეთი მიქანდაკე ადვილად დაამტვრევს ქვას, მაგრამ შექმნაში ვერ მიიღებს მონაწილეობას, ხელოვანმა მარტო ორი კვირისათვის კი არ უნდა იმუშაოს, არამედ მომავალი თაობებისათვის. საუკუნეთა წინაშე პასუხი მარტო ხელოვანმა კი არა, თაობამაც უნდა აგოსო. — ამბობდა იგი და ამასვე ასწავლიდა ახალგაზრდობას, თავის სტუდენტებს. იაკობ ნიკოლაძემ ხომ ამ მხრივაც განუსაზღვრელი ამაგი დასდო ჩვენს ხალხს.

იგი მუდამ მოუღელღელ მუშაობდა, — რადგან სწამდა, რომ მისი გამოცდილება აუცილებელი და საჭირო იყო ახალგაზრდობისათვის. ეს მართლაც ასე მოხდა. იაკობ ნიკოლაძე სიცოცხლეშივე მოესწრო ქართული ქანდაკების აღორძინებას. არაერთმა მისმა მოწაფემ საქვეყნოდ გაითქვა სახელი და მსცოვან ოსტატს ცხოვრების ბოლო წლებში სიხარული და ასალი აღიარება მოუტანა.

როცა იაკობის ბიოგრაფიას ვაგვლებთ თვალს, ისიც გვჩიბლავს, რომ იგი ახალგაზრდობაში როდენის მოწაფე ყოფილა.

„ვერ მიპოვია იმისთანა თანამშრომელი, რომელიც შესალებდა გავყო ჩემი მუშაობის პრინციპები. თქვენ თუ დამაკამყოფთლებთ, ჩვენ ვივლით ერთადი“. — უთქვამს მისთვის როდენს.

ცნობილი ფაქტია: როდენი თავის სახელსონოში შევირდებმსოლოდ რამდენიმე დღეს აჩერებდა და შემდეგ ითხოვდა. იაკობმა მასთან ერთი წელი დაკყო. საინტერესო და შთაბეჭდილებებით სავსე იყო მისთვის ეს ერთი წელი, რის შესახებაც გვიამბობს თავის წიგნში „ერთი წელი როდენთან“. ძალიან მიყვარდა იაკობთან საუბარი... ხშირად ვხვდებოდი. მუდამ ალერსიანი და ღიმილით განათებული მახსოვს მისი სახე. მშვენიერი მისაუბრე იყო, დიდი გეგმები ჰქონდა. იაკობი ძალიან ფაქიზი ადამიანი იყო, მაღალი კულტურის... თავყანა სცემდა სილამაჟუს, უაღრესად ნატიფი გემონგება ჰქონდა. აზარფერი საჯობად მასთან ყოფნას... იუმორის გრძობითაც უხვად იყო დაჯილდოებული.

ერთხელ თქვა: ხედავ, რა თავისუფლად გაგაკეთე ჩანრუსადის პორტრეტი, ახლა უფრო მეტი გამბედაობა მმართებს, უფრო თავისუფლად უნდა ვიმუშაო.

ნამდვილი ქართული ტემპერამენტი ჰქონდა, ფიცხი, სიცოცხლით სავსე, ემოციური იყო. იაკობი ის მოქანდაკეა, რომელიც ძიებების შედეგად ჩაწვდა ეროვნულ სასიას, ქართულ ქანდაკებრივ ფორმებს, იგი ამ მხრივაც ძალიან დასასყებელია. ბევრი რამ განუხორციელებელი დარჩა. მასსოვს, ოცნებობდა „ვეფხისტყაოსნის“ უპიზოდების მარმარილოში გამოქანდაკებაზე, ხშირად მესაუბრებოდა... მარმარილოში გამოქანდაკებაზე, ხშირად მესაუბრებოდა... მარმარილოში გამოქანდაკებაზე. ყველაზე მეტად ეს მენანება მისი განუხორციელებელი გეგმებიდან.

ხშირად მოდიოდა ჩემთან. შენს ნახატებში განსაკუთრებით თვალები მომწონსო, — მოხარვა ერთხელ. ასეთ თვალებს ვერავინ ვერ ხატავს, შენ როგორ გამოგდისო.

— რა ვიცი, ამას განზრახ კი არ ვაკეთებ, თავისთავად გამომდის... ხომ იცნობ ქართულ ფრესკებს და რადატომ გი-



იოსებ გრიშაშვილი

კვირს-მეთქი, გუპასუხე. — კი, მაგრამ შენ სულ სხვანაირად ხატავ... თუშეც ამოსავალი მაინც ქართული ფრესკა და ხასიათიათა, — თქვა... მეც მიინდა მხოლოდ ქართულიდან ამოვიღებდე... ჩემის აზრით, ამ მხრივ ზოგი რამ უკვე გაგაკეთე... განსაკუთრებით ჩახრუხადის პორტრეტშიო — მითხრა...

მართლაც, „ჩახრუხადე“ მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია... მასში ნამდვილად იგრძნობა ეროვნული საწყისების ძიება...

მასსოვს, ახალგაზრდობაში როგორი ნაღვლიანი სახით დადიოდა იაკობი... მე კათალიკოსივით ერთი ვარ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კათალიკოსის სიკვდილის შემდეგ მაშინვე მისი მავიერს აირჩევენ. მე კი უმემკვიდრეოდ წავალო, მაგრამ ეს იყო ადრე... იგი ბედნიერი იყო იმით, რომ თვითონვე მოესწრო და საკუთარი თვალთნ ნახა მისი დაწყებულება სკანის აღორძინება... დღეს საქართველოს დიდად ნიჭიერი მოქანდაკეები ჰყავს... და ამაში ერთი ყველაზე თვალსაჩინო წვლილი იაკობ ნიკოლაძეს მიუძღვის.

ბევრი სანტრეტუსო ადამიანი შემხვედრია ჩემი ცხოვრების გზაზე. ბევრი მათგანი უკვე აღარ არის. მიინდა, ისევ მოვიგონო ისინი, ჩემს წარმოდგენაში ისევ გაავსოცხლო მათი ღიმილი... გავიგინო ხმა... ზოგი მათგანი ისე ძალიან მიყვარდა, მოგონებისათვის არც მემეტება... და თუ მაინც ვიხსენებ, როგორც ჩემს მუღმივ თანამგზავრს, როგორც ცოცხალს... ერთი ასეთი ადამიანი ჩვენთვის პოლიკარგე კაკაიაძე იყო... მასსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა დავითთან, რომელსაც ის ძალიან უყვარდა. ასლო ნათესავებაც იყვნენ და ხშირად ნახავდით ერთად.

— ასეთი ნიჭიერი ადამიანი იშვიათიათა, — იტყოდა ხოლმე დავითი. ძალიან დიდ ანგარიშს უწევდა მის აზრს ყველაფერში...



მასხოს „ყვარყვარე თუთაბერის“ პირველი წარმოდგენე-ბი... უმანგი, მარჯანივილი... პირველი დღეებიდანვე გასა-ოცარი პოპულარობა მოიპოვა ამ გმირმა. „ოთარანთ ქერი-ვის“ შედეგ მე არ ვცი მცორე ნაწარმოები, რომელიც ასე გადასულიყოს ხალხში. პირდაპირ ეპოქალური ამავი იყო ქართული თეატრის ისტორიაში...

მისი ასეთი დიდი გამარჯვების მთავარი საიდუმლო, ჩე-მის აზრით, ის იყო, რომ ყვარყვარე ნამდვილი ხალხური პე-რსონაჟია, ხალხის წიაღიდან წამოსული... იგი ზღაპრული ნაცარქვეის ლიტერატურული სახეა... მე პირადად ძალიან მიყვარს ხალხური შემოქმედება, ბევრიც მიმუშავია, მაგრამ უნდა ვაღიარო, ვინცნებო ყვარყვარესნაირ გმირზე... ხალხში ბევრი ასეთი თემა პოტენციურადაა დაგროვილი და ჩვენი მიზანი, თუ ვალი ისაა, ისე დავიზნაოთ და შევასხათ ხორცი, როგორც ეს „ყვარყვარეს“ ავტორმა გააკეთა. ყვარყვარე ხომ ზოგადკაცობრიული ტიპია. მარტო ჩვენში კი არა, მე გმონი, საერთოდაც ცოტაა ასეთი ტიპი. უკვე კარგა ხანია იგი ჩვენი თანამეზავრი გახდა. ხშირად ვახსენებთ ხოლმე პირად საუ-ბრებშიც, კლასიკურ სახემდე ავიდა... დღესაც დიდად აფასე-ბენ, მაგრამ უფრო მეტად, კიდევ და კიდევ, ალბათ, მომავ-ლიში დაფასებენ... ყვარყვარე ნამდვილი უკვდავი ლიტე-რატურული გმირია...

საგულისხმოა კიდევ ერთი რამ: ბევრია ცხოვრებაში ტრა-გიკომედია, მაგრამ ყვარყვარეს სახე და, საერთოდ, მთელი ამ ნაწარმოების არსი, იდეა, პოლიკარემ მაღალი პოეზიის სიმადღეზე ატანა... ყველაფერს ამაღლებულს, ნამდვილს, კარგს იგი პოეზიას უწოდებდა. საოცრად მასხვილ თვალისა და დიდი ნიჭის პატრონი უნდა იყოს ასეთი ნაწარმოების შე-მოქმედი.

მუდამ მეგობრული გულით მივიღიდი მასთან. ასევე იყო თვითონაც. ხშირად ვსაუბრობდი ხელოვნებაზე, ლი-ტერატურაზე, განსაკუთრებით, შექაპირზე... ყველაზე მეტად შექაპირი უყვარდა...

ქართული ლიტერატურიდან მოსწონდა „შუშინის წიგნი-ბა“, რომანს უწოდებდა... ასეთი პროზა ევროპულ დიდ მწერლებსაც შემწოდებოდათ... პოეტებიდან ყველაზე მე-ტად ბარათაშვილი ვთავაზობოდა. ძალზე თავისებური ბუნე-რის კაცი იყო. სახეც ისეთი ჰქონდა, თითქოს საუკუნეთა სიღ-რმიდან მოდიოდა... ყველაფერს იჭვით, ოდნე უნდობლად, მაგრამ საბოლოოდ მანიც სიყვარულით უყურებდა. იზვიათ-და მოაწონებდი რასმე. მე ვფიქრობ, ამ მხრივაც ხშირად იყო მართალი. არ უყვარდა ხმაბალი ლაპარაკი, მრავალსიტყვაობა... არც ვისმეს ზედმეტე ქების, ან ძაგების მოსმენა სიამოვნებდა, კარგის თქმაშიც ძუნწობდა, მაგრამ ხალხურად მოსიყვარულე და მზრუნველი გული ჰქონდა...

მასხოს, ჩემი გამოფენის დღეებში ერთხელ კარგში შე-მხვდა. გახარებული იყო... ხომ დაიჯერე, რომ, ბოლოს და ბოლოს, სათვალ-საკემეელი გზას არ დაკარგავს, — მითხრა, ხელი მომხება და სურათებთან ჩამობატარა.

— რატომ მწერალთა კავშირის წევრი არა ხარ, შენ ხომ პოეტი ხარო, — მრავალმიზნელოვნად აღნიშნა. გამეცინა — მწერლები და პოეტები უნებოდაც ბევრი ხართ-მეთო, თვი-თონაც გაეღმის.

სასიამოვნოდ მაგონდება ეს შეხვედრა, ისე როგორც ყვე-ლა შეხვედრა, რომელიც კი მასთან ჰქონია. ენციკლოპედიური ცოდნის ადამიანი იყო. რთვა საუბრობდა, ასე მეგონა, კი არ წაუკითხავს, თვითონ მოვიდა იმ უმორესი წარსულიდან, რაზედაც ლაპარაკობდა და ყოველთვის საკუთარი თვალთი უნახავს და გულით განეცხვადია-მეთო.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ჩემს მეგობარ სომეხ მხა-ტრებზე. ერთი მათგანი ერვანდ ქოჩარი გახლავთ.

ჩვენ თითქმის ერთი თაობის ვართ. იგი თბილისში დაი-ბადა, მისი ნამუშევრების პირველი გამოფენაც თბილისში მოეწყო და ყოველთვის ამის მარტო მოწამე კი არა, შეიძლება ითქვას, თანაზიარი მეც ვიყავი.

შემდეგ საზღვარგარეთ წავიდა. მოიარა კონსტანტინეპო-ლი, ვატიკანი, ფლორენცია, ვენეცია, კარგა ხანს იცხოვრა პარიზში და, ბოლოს, ერევანში დასახლდა.. პარიზში ხში-რად ვხვდებოდი ერთმანეთს... დიდი წარმატებები ჰქონდა იქ... მისი ნამუშევრები იფინებოდა ცნობილი მხატვრების გვერდით, მის შესახებ წერდნენ საფრანგეთის ცნობილი ხე-ლოვნებისმცოდნენი და მოღვაწენი. რამდენადაც ვიცი, პა-რიზში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში დღესაცაა ექსპონირებული მისი ერთი სურათი. თხუთმეტი წელი დაჰყო საზღვარგარეთ, საცაო პოპულარობაც მოიპოვა, მაგრამ საბო-ლოოდ მანიც სამშობლოსკენ გამოუწია გულმა...

ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ, ამდენ ქარიხმალში გამოვ-ლილმა, ფიზიკურად გატეხილმა კაცმა როგორი სასწაული მოახდინა, რამდენი რამ გააკეთა... მარტო დავით სასუნელის ძეგლი რად ღირს, სხვას ყველაფერს რომ თავი დავენებოთ... დღეს იგი სომხეთის დიდ შვილთა თანავარსკვლევის ღი-რესული წევრია... ახლა მას აღარც სიყვარული აკლია, აღარც პატივისცემა.

ამ რამდენიმე წლის წინ მისი ნამუშევრების გამოფენა ჩვენ თბილისშიც მოვაწყვეთ. დიდად საინტერესოა მისი მარ-ტო ქანდაკება კი არა, ფერწერაც. და ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა ამ გამოფენამ.

მ. ქოჩარი

ავტოპორტრეტი



ყოველთვის მენატრება მისი ნახვა, მასთან შეხვედრა... მახსოვს, ჩემს იუბილეზე იგი გამოვიდა დიდი ადრესისა, მილოცვით, რთაც ძალიან გამახარა. მისიმოწონებს მისი მარტო მოგონება კი არა, მასზე საუბარიც...

თბილისელი მხატვარია, აგრეთვე, ალექსანდრე ბაჭუყუქ-მელიქოვი. დიდი ოსტატია. მასაც ბევრი რამ გადაუტანია ცხოვრებაში. ბევრი გაჭირვება ნახა, მაგრამ მუდამ და ყოველთვის თავისი პრინციპების ერთგული დარჩა... ნამდვილი შემოქმედი იყო, ყოველი თავისი სურათი უსაზღვროდ უყვარდა, არ მახსოვს, რომელიმე მათგანი ოდესმე გაეყიდოს, ან ვინმესთვის ერუქებიზოს. ვერცერთს ვერ ელოდა. თითქმის ყოველდღე მოდიოდა ჩემთან... ჩვენი საუბრების თემა მუდამ ხელოვნება იყო... ორივემ დიდი კვალი დასტოვა სომხური ხელოვნების განვითარებაში. თავისებური ხასიათი ჰქონდა ბაჭუყუქს... ძალიან დარიბულად ცხოვრობდა, ბინაც არ უყვარდა. მხატვართა კავშირმა რამდენჯერმე შესთავაზა ახალ ბინაში გადასვლა, არ ინდომა, შეჩვეული ვარ, აქაური განათება მომწონს...

მრავალი ქვეყანა მოიარა, მრავალი რამ ნახა და განიცადა. ყველაზე მეტად კი თბილისი უყვარდა... აქვე გარდაიცვალა. ასეთი იყო მისი სურვილი.

რაც შეეხება ჯოტოს, ბოლო პერიოდში იგი ერევანში გადასახლდა და იქვე გარდაიცვალა... საგულიანობა, რომ მას მუდამდ ქართველი ქალი ჰყავდა, რომელმაც დიდი მეგობრობა გაუწია ბოლომდე. ხშირად იტყოდა, ის რომ არა, მე, ალბათ, ამდენ ხანს ვერ გავძლებდიო.

ადრე ხშირად ჩამოდიოდა ჩემთან მარტიროს სარიანი. მეც ჩადიდიდი ხოლმე... ძალიან ახლო მეგობრობა გვაკავშირებდა. შესანიშნავი ადამიანი იყო, საოცრად თბილი შეხვედრა იცოდა, ალერსიანი.

მასსოვს, მის ბოლო იუბილეზე, საჩუქრად ჩემი ერთი ნახტი ჩავუტანე.

— რა ბუნდური ვარ, რა ძვირფასი განძი შეემატა ჩემს კოლექციასო, — მიიხარა. დიდი მხატვარი იყო. შესანიშნავი პორტრეტები და პეიზაჟები დაუტოვა თავის ხალხს... მისი მხატვრობა, განსაკუთრებით პეიზაჟური მხატვრობა, ძალიან პაგას მის ქვეყანას... მიყვარს ეს მცხუნვარე კოლორიტის, უცნაური შუქ-ჩრდილებით სასვე პეიზაჟები... სომხურ ხელოვნებაში სარიანმა შექმნა თავისი, სარიანისეული სტილი, რომელსაც ძნელად აუღლის ვინმე გვერდს... იგი ამ მხრივ დავით კაკაბაძეს მაგონებს... დავითმაც ზომ საოცარი სისუსტით დაინახა მშობლიური ბუნება, მისი მთავარი არსი...

დიდი კულტურის ადამიანი იყო, დიდი გრძობების. მოვლოდი ჰქონდა მრავალი ქვეყანა, დიდხანს ცხოვრობდა რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში... მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო, მისი ძირითადი მთავონება მანინე მისი მშობელი ქვეყანა იყო. შესანიშნავი მოსაუბრე გახლდათ. დიდ სიამოვნებას ანიჭებდა თავისი ბავშვობისა და ნიჭაბუკის გახსენებას...

ერთხელ ასეთი რამ მიაბო:

ხატვა ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა. განსაკუთრებით: პორტრეტულ ჩანახატებს ვაკეთებდი. ერთხელ, კანტორაში, სადაც მე ვმუშაობდი, რატომღაც ხალხი შეგროვდა, მათ შორის ერთი მიხეცი იყო. იგი თავისთვის წყნარად იჯდა და მალე ჩაეძინა... მე კი ჩემი საყვარელი სამუშაო წამოვიწყე... ყველას საერთო მინახატი გავაკეთე. ჩახატე მძინარე მიხეცის სახეც... ყველას მოეწონა... მიხეცი კი გაბრაზდა... ადამიანის ანახატვა დიდი ცოდვია, ამის გამო შეიძლება ცუდი რამ მო-



ბაჭუყუქ-მელიქოვი. მუღვა კაკაბაძის პორტრეტი

ხდესო, აინება... თითქოს განეგებ, ის მოხუცი მეორე დღეს მართლაც აუად გახდა... ყველაფერი ჩემს მხატვრობას დააბრალა და უფროსთან მიჩვილა... უფროსმა ნახატი დახია... მაგრამ ჩემმა უფროსმა ძმამ, რომელსაც კარგა ხანია ურჩევდნენ, ბავშვი მხატვრობის სკოლაში მიიბარეო, საბოლოოდ გადაწყვიტა ჩემი ბედი... მოსკოვში წამომიყვანა და ფერწერის სკოლაში მიიბარა...

— ასე რომ, სულ იმ მოხუცის ბრალია, მე რომ დღეს მხატვარი ვარო, — ამბობდა დიმილით... სარიანი ნამდვილ მხატვრად დაიბადა და იგი სადაც არ უნდა ყოფილიყო, მხოლოდ მხატვარი იქნებოდა... ეს თვითონაც იცოდა.

ბოლო წლებში დიდი უმედობა დაატყდა თავს... შვილი დაეღუპა. ძალიან განიცდიდა, მაგრამ იშვიათად მოახვედდა ვინმეს თავის ტკივილებს. მაინც სულ სიყვარულსა და სილამაზუნეზე საუბრობდა... და მხოლოდ მათ, ვინც ღრმად და ახლის იწიბოდნენ მის კეთილშობილ გულს, იცოდნენ, რა დიდი ტკივილი იმალებოდა მისი დიმილიანი სახის მიღმა.

რაც შეეხება მის შემოქმედ სულს, ეს არასოდეს უგრძნებია დღელა... — მუდამ იმავს ვიცნებობ, არ გამოთქმის ეს ძალა, სიკვდილის ბოლო წუთამდეც ვიმუშაო... კიდევ ბევრი რამ მატებს გასაკეთებელი, ყველაფერი მაღლებებს, მოვლენები, ბუნება, ადამიანები...

ფანტაზიის მოზღვავებსაც ჭარბად ვგრძნობ... მაგრამ ყოველთვის ამას ერთი სიცოცხლე არ ვცოფობ...

მართლაც ამოუწურავი იყო მისი შემოქმედებითი ფანტაზია... ხოლო ის, რაც მან თავისი ქვეყნისათვის გააკეთა, მუდამ უკვდავების ნათელი მოსახე მის მაღალ სახელს...

(გაგრძელება იქნება)



● **ავთნადილ** თათარაძე. «ძველი ქართული (სვანური) ფერხულები». გამომცემლობა «განათლება». რედაქტორი დ. ჯიბლაძე, მხატვარი რედაქტორი ელ. სულთანიშვილი, რეცენზენტები — ჩანო ბაგრატიონი და კონსტანტინე მანჭგალაძე.

ავთნადილ თათარაძის «ძველი ქართული (სვანური) ფერხულები» ქორეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომია. წიგნში განხილულია სვანური საფერხულო ცეცეხები. ავტორი აანალიზებს ამ უნიკალური მემკვიდრეობის ქორეოგრაფიულ თავისებურებებს, სვანური ფერხულებს მუსიკალური და ტექსტუალური შინაარსის შუქზე.

საფერხულო ცეცეხებით უფრო მედიდარია სვანეთი. ამდენად ავტორის არჩევანიც ამ კუთხის

ქორეოგრაფიული ხელოვნების მეცნიერულ შესწავლაზე შეირდა. ადრე მან შეისწავლა სვანური ფერხულების მუსიკალური, ისტორიული და ტექსტუალური მასალა. ამჟამად კი ა. თათარაძემ უფრადღება გაამახვილა ფერხულების ქორეოგრაფიაზე, ვინაიდან ფერხული, უპირველესად, ცეცეხი, რომელიც სრულდება ლიტერატურულ-მუსიკალური ტექსტის თანხლებით.

წიგნში წარმოდგენილია 21 სვანური ფერხული: «დემბილი», «დალა კოჯას ხელღვავალი», «ამირანის ფერხული», «ლილე», «ლაუღავი», «მირმიქელა», «იავ ქალითი», «უანავ უიფინე», «გაულ გავხე», «მურჩა ი ბექილი», «ლაშგარი», «უსვიკი ლაშგარი», «ოამარ დედფალი», «როსტომ ქაბიგვ», «ჩეყარამასა», «გერგილი ბიბა», «შინავოგილი», «რამიდა», «ჩანგილი» და «ცერული». ნაშრომში მოცემულია ფერხულების ტექნოლოგიური ანალიზი, აღნიშნულია მათ შორის მხგავსება და განხვავებაც. ავტორი გვთავაზობს ფერხულებს უანრობივ კლასიფიკაციას: მონადირული, რელიგურ-რიტუალური, საბრძოლო და მეომრულ-ლაშქრული, პატრიოტული შინაარსისა და საყოფაცხოვრებო ფერხულები. ნაშრომს ახლავს ილუსტრაციები.

ავთნადილ თათარაძემ ასე საფუძვლიანად პირველმა აღწერა წარმართული ხანის უძველესი ფერხულები.

საერთოდ, ა. თათარაძემ დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად იგი კვლევით მუშაობასაც ეწევა. სხვადასხვა დროს მისი უშუალო ინიციატივითა და ხელშეწყობით მოქმედებდა სხვადასხვა დიდი ფეხბურთელები (1949 წ.), თანეთში (1957 წ.), თუშეთში (1960-61 წწ.), სვანეთში (1959 წ.), მესხეთ-ქავთეთში (1965 წ.), მთიულეთში (1968 წ.), აპარაში (1964 წ.), რაჭაში (1968-71 წწ). იგი ავტორია ოცამდე სამეცნიერო და მეთოდური ხასიათის შრომისა. აქედან დაბეჭდილი და გამომცემულია მისი წიგნები რუსულ და ქართულ ენებზე «ცეცხვის ჩაწერის პირობითი ნიშნები» (1966-74 წ.), «ძველი სვანური ფერხულები» (1971 წ.), «ქართული ხალხური ცეცხვის მოკლე შინაშეჯამება» (1970-74 წ.).

ამჟამად იგი მუშაობს რაკულ ფერხულებზე და ქართული ქორეოგრაფიული ტერმინების ახსნა-განმარტებით ლექსიკონზე.

წიგნი — «ძველი ქართული (სვანური) ფერხულები» განუთვნილია საქართველოს კულტურის მინისტრის სახელმძღვანელოების ქორეოგრაფიული განყოფილებისათვის, იგი დაამარტება გაუწევს პროფესიულ და ფეთომკომედ ქორეოგრაფიული კოლექტივებს.

მერაბ ახახია.

# ქ რ ო ნ ი კ ა



● 11 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გამართა საქართველოს უფროსობის V ყრილობა, რომელშიც გაწინაშეა წამოყენებული ინფორმაცია და პროპაგანდის საშუალებათა ამოყენების სკანდალური ფაქტების და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკანდალური კომიტეტის დადგენილების — „დღის უკომპარტის სოციალისტური რევოლუციის მე-10 წლისთავის შესახებ“ და „მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებისადმი სკანდალური საოლქო კომიტეტის ხელშეწყობის თაობაზე“ სკანდალური კომიტეტის დადგენილების წარმატებით შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დაჩაბების საქმეში.

პრეზიდიუმმა უყენებინა განცხადება: ბ. გილაშვილი, გ. კოლბინი, თ. მინდუშვილი, ზ. პატარაძე, ჭ. პატარაშვილი, ვ. სირაძე, ე. შვარცდანიძე, ზ. ჩხეიძე, თ. მისაშვილი, ვ. შარტავა, ი. ჩერქეზია, ს. საბუიშვილი.

ლი, სსრ კავშირის უფროსობის თამყდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ექვლეიზისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თამყდომარე ს. დანიძე, სსრ კავშირის უფროსობის საქართველოს გამგეობის მდივანი, უფროსი „უფროსობის“ მთავარი რედაქტორი ვ. ელავი, რესპუბლიკის პახუსისგებელი პარტიული, საბჭოთა მუშაკები, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები.

ყრილობა გახსნა და მოხსენება გააკეთა საქართველოს უფროსობის კავშირის გამგეობის თამყდომარე მ. მედლოშვილმა. საქართველოს უფროსობის კავშირის სარევიზო კომისიის საინჟინერო მოხსენება გააკეთა უფროსი „საქართველოს სოცლისტური უფროსობის“ მთავარი რედაქტორმა გ. ჩაველიშვილმა.

მოხსენებების გამო გამოართა კამათი.

სსრ კავშირის უფროსობის კავშირის გამგეობის სახელით საქართველოს უფროსობისა და ყრილობის დელეგატებს მივსალმა სსრ

კავშირის უფროსობის კავშირის გამგეობის თამყდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ექვლეიზისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თამყდომარე ს. დანიძე.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა.

გამართა რესპუბლიკის უფროსობის V ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს უფროსობის კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი.

საქართველოს უფროსობის კავშირის გამგეობის თამყდომარე აირჩიეს გენერალ — საქართველოს სსრ მინისტრის საბჭოს ტექნიკური და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თამყდომარე თამყდომარის მოადგილედ აირჩიეს ნ. ჩერქეზიშვილი — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი, ვ. კიურელი — საქართველოს სსრ სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი.

საქართველოს უფროსობის კავშირის გამგეობის სამდივნოს შემადგენლო-

ბაში აირჩიეს ა. ბლრცინი — გაზეთ „სოცდელის“ ვრახტინის“ რედაქტორი, მ. დავითაშვილი — გაზეთ „სოცლისტური ცხოვრების“ რედაქტორი, ა. კირაშვილი — ამირტკაცავლის წითელდროშის სამხედრო ოქის გაზეთის „დენისსკოე ზნამიას“ რედაქტორი, დ. მედლოშვილი — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი, კ. რუსიკაშვილი — საქართველოს უფროსობის კავშირის გამგეობის მდივანი, ბ. შელია — უფროსი „სოცლისტის“ მთავარი რედაქტორი, ნ. შველიძე — გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი, გ. ზუციუანი — საქართველოს სსრ მოაღიკეს უფროსი, ნ. ჭაში — გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი.

საქართველოს უფროსობის კავშირის სარევიზო კომისიის თამყდომარე აირჩიეს უფროსი „საქართველოს სოცლისტური უფროსობის“ მთავარი რედაქტორი გ. ჩაველიშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე.

● თბილისში განსრულებული გამართა გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრმა, რომელშიც ორაბეტიკალი წარმოადგინა: დ. კლიაშვილის „უბედურება“ და „მსხვერპლი“.

ორივე ბეტიკალის დამწერი რეჟისორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. კაკულია, მხატვარი — რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი შ. ზუციუანი, მუსიკალური გაფორმება იყო

თვის ი. ბობოხიძის.

სპექტაკლებში როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ქ. ბოკარიშვილი, ვ.

კახიანიშვილი, ე. მოციქულაშვილი, ნ. ზალდაძანიშვილი, მსახიობები: ე. დიდიანი, ი. კინაძე, ზ. ჭუღაბიანიშვილი და სხვები.





**რისპაზულის** სა-  
ზოგადოებრივმა ფართოდ  
აღიშნა საქართველოს რა-  
დიომაუწყებლობის 50-ე  
და ტელევიზიის მე-20  
წლისთავი. ამ თარიღს შეი-  
ძლება საზეიმო სხდომა,  
რომელიც 12 თებერვლის  
ვაიმართა საქართველოს  
ფილარმონიის დიდ საკონ-  
ცერტო დარბაზში.

სადამო შევავალი სიტყ-  
ვით გახსნა საქართველოს  
კომპარტიის ცენტრალური  
კომიტეტის მდივანმა ვ.  
სირაძემ.

საქართველოს კომპარ-  
ტიის ცენტრალური კომი-  
ტეტის, საქართველოს სსრ  
უმაღლესი საბჭოს პრეზი-  
დენტისა და მინისტრთა  
საბჭოს მისამხმემა საქარ-  
თველოს სსრ მინისტრთა  
საბჭოს ტელევიზიისა და  
რადიომაუწყებლობის სა-  
ხელმწიფო კომიტეტის კო-

ლექტივისადმი წაიკითხა  
საქართველოს სსრ უმაღ-  
ლესი საბჭოს პრეზიდენ-  
ტის თავმჯდომარემ პ. გი-  
ლაშვილმა.

მისხმენა „საქართვე-  
ლოს რადიომაუწყებლო-  
ბის 50-ე და ტელევიზიის  
მე-20 წლისთავი“ სადამოე  
ვაკეთა საქართველოს სსრ  
მინისტრთა საბჭოს ტელ-  
ევიზიისა და რადიომაუწყ-  
ებლობის სახელმწიფო  
კომიტეტის თავმჯდომარემ  
მ. ენუქიძემ.

რესპუბლიკის რადიო და  
ტელეურნალისტებს სახე-  
ლოვანია იუბილე მიულო-  
ცეს საქართველოს მწერა-  
ლთა კავშირის გამგეობის  
თავმჯდომარემ, სოციალის-  
ტური შრომის გმირმა გ.  
აბაშიძემ, „თბილისქალაქ-  
მუშის“ № 15 ტრეტის  
კომპლექსური ბრიგადის  
ხელმძღვანელმა ტ. ქართ-  
ველიშვილმა, ავტობიოგრა-  
ფიის სსრ მინისტრთა საბ-  
ჭოს ტელევიზიისა და რა-  
დიომაუწყებლობის სახე-  
ლმწიფო კომიტეტის თავმ-  
ჯდომარის პირველმა მოა-  
დგილემ ე. უულაივამ, მეს-  
ტიის რაიონის სოფელ მუ-  
ლიბის კოლმურხნემ ა. ვო-

როლიანმა, სომხეთის სსრ  
მინისტრთა საბჭოს ტელე-  
ვიზიისა და რადიომაუწყე-  
ბლობის სახელმწიფო კო-  
მიტეტის თავმჯდომარის  
პირველმა მოადგილემ რ.  
ვართანიანმა, საქართვე-  
ლოს სსრ კავშირგაბმულო-  
ბის მინისტრმა ვ. კობახი-  
ძემ, ამიერკავკასიის წი-  
თედლომოსეან სამხედრო  
ოლქის პოლიტსამართვე-  
ლოს უფროსის პირველმა  
მოადგილემ მ. გოგუაძემა,  
თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სტუდენტ-  
მა ნ. თათარაშვილმა, ამი-  
ერკავკასიის წითელდრო-  
შოვანი სასაზღვრო ოლქის  
პოლიტკავყოფილების უფ-  
როსმა ნ. ჩერედოლოვმა,  
დიასახლისმა ნ. იაშვილმა.  
მან სატელევიზიო ფილმე-  
რის სახელმწიფო ფესტივა-  
ლის გამარჯვებული ფილ-  
მის „თუმი მეცხვარის“ შე-  
ქმნელებს -- დამდგმულ  
რეჟისორს ს. ჩხაიძეს და  
დამდგმულ ოპერატორს ი.  
ონოფრეშვილს გადასცა  
ტელემაუწყებელთა მთავა-  
რი პრიზი.

ქართველ რადიო და  
ტელეურნალისტებს, მათი

სახით კი რესპუბლიკის  
ყველა შრომელს იუბილე  
გულთადად მიულოცა სსრ  
კავშირის მინისტრთა საბ-  
ჭოს ტელევიზიისა და რა-  
დიომაუწყებლობის სახელ-  
მწიფო კომიტეტის თავმ-  
ჯდომარემ ს. ლაშინმა.  
საზეიმო სხდომის მონა-  
წილეებმა დიდი აღმაფლო-  
ბით მიიღეს მისასალმებე-  
ლი წერილი სკკპ ცენტრა-  
ლური კომიტეტის გენერა-  
ლური მდივნის ლეონიდ  
ილიასძე ბრეტენვისადმი.

ს. ლაშინმა დესტრინენ ამ-  
ხანადვე გ. კობახიანი, თ.  
მენდელიშვილი, ზ. პატარი-  
ძე, პ. პატარავალი, ე. შე-  
ვარდანიძე, მ. მისაშვილი,  
ე. შარტავა, ი. ჩერქეზია,  
ს. საბეიშვილი, უფრანალ  
„ურნალისტის“ მთავარი  
რედაქტორი ვ. ფიციკვი,  
საქართველოს სსრ მინის-  
ტრთა საბჭოს თავმჯდომარ-  
ის მოადგილემ ზ. გე-  
ლიაშვილი, ვ. ვადაკო-  
რია, ი. ქიქელიშვილი, ე. ჭა-  
დაიანიძე.

დიდ საზეიმო კონცერტ-  
ში მონაწილეებმა მიიღეს  
საქართველოს, მოსკოვისა  
და სომხეთის ხელოვნების  
ოსტატებმა. (საქინფორმი).

**საპარტიველოს** სა-  
ხელმწიფო ფილარმონიის  
დიდი საკონცერტო დარ-  
ბაზის სცენაზე გასტრო-  
ლიები გამართა მოსკოვის  
ექსპერიმენტულმა თეატრ-  
სტუდიამ, რომლის სახე-  
ტვარი ხელმძღვანელი და  
მთავარი რეჟისორია გ.  
იულიენინი.



მართალია, ეს კოლექტი-  
ვი ახალგაზრდაა, თუ  
ხუთიოდე წელს ითვლის,  
მაგრამ მან უკვე მოიპოვა  
პოპულარობა. თეატრ-სტუ-  
დიას მოვლილ აქვს ჩვენი  
ქვეყნის მრავალი ქალაქი:  
დღინერადი, კიევი, მინს-  
კი, ალმა-ათა, ხაქო, ნივო-  
სიბირსკი, ტომსკი, ყაზანი,  
და ყველაგან მაყურებლის  
მოწონება ხვდა. იგი თბი-

ლის პირველად ეწვია  
და ქართველ მაყურებელს  
უჩენა სპექტაკლები: ვ.  
ვინენსკის „ოპტიმისტურ-  
ი ტრაგედია“, ა. არბუ-  
ზოვის „ქალაქი განთიადი-  
სას“ და ა. ლორენცის  
„ეგვიპტელების ისტორია“.

მოსკოვის ექსპერიმენ-  
ტული თეატრ-სტუდიის გა-  
სტროლებმა თბილისში დი-  
დი ინტერესი გამოიწვია.

**სოსუმის** ე. კანბას  
სახელობის აფხაზურმა  
დრამატულმა თეატრმა მა-  
ყურებლებს უჩვენა ბ. ში-  
ნუხუბას პიესის „მერე რო-  
ვორკ ვენჩოთა“ პიეტირა.  
სპექტაკლი დადგა აფხა-  
ზური თეატრის მთავარმა  
რეჟისორმა, ხელოვნების  
დამსახურებულმა მოღვა-  
ცემ დ. კორტავამ, მხატვ-  
რულად გაფორმა აფხაზე-  
თის ასსრ დამსახურებულ-  
მა მხატვარმა ე. კოლაბა-  
როვმა, მუსიკალური გა-  
ფორმება ეჭოთენის ხელო-  
ვნების დამსახურებულ მო-  
ღვაწეს რ. გუმბას.

როლებს ასრულებენ მხა-  
ნიბობები: რ. აგარბა, მ. კო-  
ვე, მ. ფარალია, ს. აგუ-  
მაია, ვ. მანია, ვ. აბლოთია,  
შ. გიცეა, მ. შუხუბა, ჩ. ჭე-  
ნია, ა. ერმოლოვი, ა. თა-  
ნია, მ. ლაქოპა, ს. საქანია,  
ლ. ახმა, ვ. აპოინა, ზ.  
ანჭვაბი, რ. ასაბუა და სხვ.





● თბილისის ფირმა „მელოდია“ ფირფიტებზე ჩაწერა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დადგმა, აკუსტიკა ცაგარლის კომედია „ხანუმა“.

სახეგრადო მუსიკის მოყვარულებმა მიიღეს კომ-

პოზიტორ გიორგი ცაბაძის სიმღერების ჩანაწერი. ფირფიტაზე ჩაწერილია სიმღერები ნანი ბრეგვაძის, ნანული აბესაძის, ვახტანგ კაკაბიძის, ზედვა შიძიგურის და ზურაბ ცისკარიძის შესრულებით.

● ამას წინათ, ვ. სარაკიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ლატვიის სსრ სახელმწიფო აკადემიური გუნდის კონცერტი.

რესპუბლიკის დამსახურებული ანსამბლი თავისი არსებობის 25 წელს თვლის. იგი ლატვიელი ხალხის მიღობი საკუნდი ტრადიციების ერთერთი ღირსეული გამგრძელებე-

ლია. ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი და შთავარი დირიჟორია ლატვიის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ცენიტიი. ამჟერად თბილისში ჩამოვიდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დირიჟორი ა. დურცეიჩი.

ანსამბლის საკონცერტო პროგრამაში იყო თანამედროვე ლატვიელი კომპოზიტორის პაულ დამბაისის ნაწარმოებები და

რებული არტიტი ა. ფაბრუტდნიოვი, ცეკვების დამღვებლები — რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ბაშკირეთის ასსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ს. იულიევი და ვ. გასპაროვი, ბ. მუსტევი, ა. ნასიხინა.

ანსამბლის რეპერტუარში იყო როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე საზღვარგარეთელ ხალხთა ცეკვები.



● დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიუძღვნა შეტების ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის კოლექტივმა სპექტაკლი „ლალო კეცხოველი“. პიესის ავტორი და დამღვებელი რეჟისორია ს. მრეველიშვილი, რეჟისორი — ი. გურგენიძე, კომპოზიტორი მ. ოძელი, ქორეოგრაფი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტიტი ი. ზარეცი.

როლებს ასრულებენ მსახიობები: ზ. ცინცილაძე (ლალო კეცხოველი), თ. კოჟაძე, თ. ნაცვლიშვილი, ვ. ნოზაძე, გ. ნიკოლაიშვილი, ლ. როინიშვილი, ი.



ხორგუაშვილი, ვ. ხაჩიძე, და სხვ.

XVIII საუკუნის დასაწყისის იტალიელი კომპოზიტორის ანტონიო ვივალდის თორმეტ ნაწილიანი ორატორია ორლანსიოვის „გლორია“.

● ილია შაჰვაპაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრმა მუყურატელს უწევნა ამერიკელი დრამატურგის ჯონ პატრიკის პიესა „უცნაური ქალი“ (პიესის თარგ-

მანი ეყუთვის პ. წერეთელს).

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. აბესაძემ, მხატვრულად გააფორმა ი. წერეთელმა, მუსიკალურად — თ. შაიდაძემ.


წარმოდგენაში როლებს ასრულებენ: საქართველოს სსრ დამსახურებული არტიტი თ. სულხანიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტიტები ნ. საკანდელიძე, ნ. წერეთელი...

● ამას წინათ შ. დალიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა შორეულ პრემიერად მუყურატელს უწევნა გურამ ბათიაშვილის პიესა „ლალო, სიყვარული და სვეტი“. სპექტაკლის დამღვებელი რეჟისორია მუსიკალის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. აბრამიშვილი, მხატვარი — გ. ვაბისონია, მუსიკალურად გააფორმა ა. წერეთელმა.

როლებს ასრულებდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტიტები: დ. გოციჩაიშვილი, მ. ტოგონიძე, ბ. ცოპიაი, აჭარის ასსრ დამსახურებული არტიტი ს. შიძაძე, მსახიობე-

ბი: ნ. არბლაშვილი, ბ. მუჟანაძე, ნ. ბაკალაშვილი, ი. მირცხულავა, ა. თვანია, ლ. კვერნაძე.





● **სამართველოს ტელევიზიის მე-20 წლისთავთან დაკავშირებით** გამოცემულია „მერანის“ საგამოფენო დარბაზში მოქმედი ქართული ტელემატკვარია ნამუშევრების გამოფენა.

ექსპოზიციის წარმოდგენილია ტიხრებმა, დეკორაციათა ესკიზებმა, ამა თუ იმ გადაცემის არქიტექტურული განფინილობის პრაქტიკებმა ნათლუეებს, თუ რაოდენ რთულ და პრავალფეროვან მოთხოვნებს უყენებს ტელევიზია მხატვარს.

● **თბილისის სურათების სახელმწიფო გალერეაში** გაიხსნა ფოტოგამოფენა „კულტურა სოციალისტურ იუგოსლავიაში“.

ვრცელ დარბაზებში წარმოდგენილი ექსპოზიციით დამთავლიერებლები გაეცნენ იუგოსლავიის კულტურული ცხოვრების საუბრადღებო მოვლენებს, სხვა-

დაცემის მხატვრულ-ესთეტიკური ხაზის შექმნისას ტელემატვარის წინაშე მდგარ ამოცანათა შორის უმთავრესი ალბათ სპეციფიკური სატელევიზიო პრაბლემის გადაჭრაა. სწორედ ასეთი სპეციფიკური მიზეზითა და საინტერესო შედეგმდებოთი მიგნებებით აღინიშნა გამოფენაზე ექსპონირებული ნ. ხინაილის, ი. ხუროშვილის, თ. გოცაძის, ზ. კობერიძის, ა. სომტარიას, ნ. აბრამიშვილის, შ. დათუნაშვილის, რ. პლაქსინის და სხვათა ნამუშევრები.

დასხვა გამოცემლობაში დასტამბულ წიგნებს, პრაქტიკებს, მაკეტებს, ფოტოსურათებს, რომლებიც მოვითხოვრებენ მოძმე ხალხს ისტორიაზე, მეორე მსოფლიო ომის ტრაგედიაზე, ქვეყნის დღევანდელ უოფაზე. მისი ექსპოზიტიხრების მიღწევებზე კულტურის სხვადასხვა სფეროში.

● **შოთა რუსთაველის** სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეატრის სამეცნიერო-კვლევითმა სექტორმა მოაწყო აკადემიკოს დამიტრი უზნაძის დაბადებდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის რექტორმა, ხელოვანებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა ე. გაგუშვილმა.

მოხსენებები წაიკითხეს ფსიქოლოგიური მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ა. ბაილურაშვილმა, ხელოვანებათმცოდნეობის დოქტორებმა დ. ჭანელიძემ, ნ. ურუშაძემ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა რ. ქვარცხავამ.

შემდეგ მოვინებოთ გამოვიდნენ აკადემიკოსები რ. ნათაძე, ალ. ფრანგიშვილი, პროფესორები ვ. ნინაიძე და დ. რამიშვილი.

ექსპოზიციასი დიდი ადგილი დაეთმო სურათებს, სადეც ახსულია საბჭოთა კავშირი-იუგოსლავიის კულტურული ურთიერთობა: ჩვენი მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების, მომღერლების გამოსლვა იუგოსლავიის სხვადასხვა ქალაქში მოწუხობლ კონცერტებზე, საინტერესო იყო

● **კინოსტუდია „ქართული ფილმი“** ვაფრთხიებული საბჭოს სსრმა საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის პრეზიდენტთან ერთად, რომელიც ახლახან ჩატარდა კინოსტუდირის შენობაში, მიძღვნა კინოსა და ლიტერატურის ურთიერთობის საკითხებს, სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა კინოსტუდია „ქართული ფილმი“ დირექტორმა, კინორეჟისორმა რ. ჩხიძემ.

მოხსენებით „ქართული ლიტერატურის რილი ქართული საბჭოთა კინოს განვითარებაში სსრ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“ გამოვიდა კრიტიკოსი გ. ვაერდწიფი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: ვ. ამირჩიბია, ნ. დუმბაძე, რ. ჭაფარიძე, ჯ. ჩარკვიანმა, კინორეჟისორებმა: ს. დოლიძემ, ლ. დოლიბერიძემ, თეატრმოვლენ ნ. ურუშაძემ, ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელმა ვ. შავჯულიძემ.

ჩვენი სახელოვანი პიანისტის ელისო ვირსალაძის მხატვრული პორტრეტი, რომელიც ბელგრადის მუსიკალურ დღესასწაულზეა გადაღებული.

წიგნებს შორის იყო მხატვრულად გამოცემული რუსი ელასიკოსების ნაწარმოებები.





● **ცნობილმა** კომპოზიტორმა, პედაგოგმა და მეცნიერ-სკვლავებმა, ფალოაშვილის იქანის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, პროფესორმა ლევან ფალოაშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებას. მთელი თავისი სწავრძილება მრავალმხრივი მოღვაწეობის მანძილზე ლ. ფალოაშვილი აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული პროფესიული მუსიკალური აზროვნების ჩამოყალიბების პროცესში.

ლ. ფალოაშვილი 1896 წელს დაიბადა თბილისში. საშუალო განათლება მიიღო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რომელიც 1916 წელს დაამთავრა. პირველდაწყებითი მუსიკალურ განათებას — თეორიასა და პარმონიას — იგი დაეუფლა თავისი სახელოვანი მამა, დიდი კომპოზიტორის ზაქარია ფალოაშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ სწავლობდა თბილისის კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტზე, ქარიფესობიდან თ. პარტაშვილს და ნ. ჩერენინთან. შემდეგ კი პროფესორ ა. შუდოვთან, კონსერვატორია დაამთავრა 1922 წელს „თავისუფალი ხელოვანის“ წოდებით.

კონსერვატორიის დამთავრებისთანავე ლ. ფალოაშვილი დაინიშნა თბილისის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად და თეორიული საკნების პედაგოგად. 1924-1925 წლებში იგი თბილისის პირველი მუსიკალური მუსიკის დირექტორისა და თეორიული საკნების მასწავლებელი. შემდეგ კი მუშაობდა სასწავლო ნაწილის გამგედ ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელში.

1928 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ლ. ფალოაშვილი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ასწავლიდა თეორიულ დისციპლინებს, წლების მანძილზე მუშაობდა თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგედ და პედაგოგად. 1939-1941 წლებში ლ. ფალოაშვილი ხელმძღვანელობდა თბილისის კონსერვატორიის თეორიულ კათედრას. 1947 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება. ერთი

● **თიბერალური** მხატვრის თეიმურაზ სუბიათაშვილის შემოქმედება კარგადაც ცნობილი მრავალრიცხოვანი სპექტაკლებით, რომლებიც მან დრამატული თუ საოპერო თეატრების სცენაზე გააფორმა. მხატვრული გაფორმების ესეზები, მაკეტები, მკეთების ფერადი ფტოლები, რომლებიც მხატვარმა სა-

ქართველის ხელოვნების მუშაობა სახლში მოწყობილ პერსონაჟურ გამოფენაზე წარმოადგინა, ცხადყოფდა შემოქმედის მრავალმხრივსა და გაბედულ მიდებებს სცენოგრაფიაში, სპექტაკლის სახეითი გადაწყვეტის სხვადასხვა ხერხის გამოყენებას დრამატურული ნაწარმოებიდან შესატყვისად გამოყენავე წარმოდგენილი იყო ესე-

ზიტყვით, ლ. ფალოაშვილი ათეული წლების მანძილზე დიდ სტრუქტურაშია და მასხამი კეთილსინდისიერებით ეცდებოდა პედაგოგურ მოღვაწეობას. მის მიერ აქრდულია უსიკოოსო აპოგები.

ლ. ფალოაშვილი აწარმოებდა ძალზე ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც. მისი შრომებიდან აღსანიშნავია — „ზ. ფალოაშვილის ოპერები“ „აბესლომ და თეფრისა“ და „დაისის“ პარმონიული ენა; „მუსიკის ელემენტარული თეორიის სწავლების მეთოდიკა“; ფირად მნიშვნელოვანია ლ. ფალოაშვილის ხელმძღვანელობით მუსიკის თეორიისა და პარმონიის დარგში.

ნაყოფიერ პედაგოგურადმინისტრაციულსა და სამეცნიერო მუშაობასთან ერთად ლ. ფალოაშვილი ეწეოდა ინტენსიურ შემოქმედებით მოღვაწეობასაც მას შეეძლო აქვს მრავალი ნაწარმოები მუსიკალური ხელოვნების ამ თუ იმ ეტაპში. ლ. ფალოაშვილის ნაწარმოებია შორის აღსანიშნავია ოპერა „ღედა და შვილი“ ი. კუკუაძეაშის სოქმის მიხედვით, ოთხმოქმედებანი ოპერა „ვეფხისტყაოსანი“ პ. მირიანაშვილის ოპერტოს მიხედვით, ოპერა „ოპანანა“, რომელსაც საფუძვლად დაედო ი. გოგებაშვილის მოთხრობა, ნაკვეთები ლ. ფალოაშვილის ოპერტიდან

არაერთხელ შესრულებულა კომერულსა თუ სამეცნიერო კონცერტებზე როგორც თბილისში, ასევე მუსიკალში, ბაქოში, კალინინში, კრემლში, სერალოვსკში, მინსკში, ტამპოვში, ოდესაში, ვორონეჟსა და სხვ.

ლ. ფალოაშვილის შექმნილი აქვს დიდი სიუიტა „უფხისტყაოსანი“ სიმფონიური ორკესტრისათვის, კანტატა „ღმინი“ ვაგო ვაკალოური კვარტეტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის, „აფგურსი მოღერატა“ სიმფონიური ორკესტრისათვის, „ესეა სოლმენის“, რომანსების ციკლი ნ. ბარათაშვილის ელექტრულ მრავალი სიმღერა, რომანი და გუნდი.

ლ. ფალოაშვილი მუშაობდა კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის სფეროშიც. აღსანიშნავია მისი პირველი და ც.მ.ილი. არტული და ფუფა cis-moll სიმფონი კვარტეტისათვის, თემა ვარიაციებით ფორტპიანოსათვის, ფანჯურია ც.დ. არფის და ვიოლინოსათვის, 10 საფორტპიანო მინორათა და სხვა.

აღსანიშნავია საქართველოს სახალხო არტიტმა, ზ. ფალოაშვილის სახელობის სკრემის ლაუტებზე, პროფესორმა ვახტანგ ფალოაშვილმა თავისი მამის — ლევან ფალოაშვილის მეთელი არტივი ვალსაცა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუსეუმში.

პ. მინაშაძე.

ზები ი. თაქაიშვილის ოპერა „მინდათისი“, ზ. ფალოაშვილის „დაისის“ აღდგომისათვის ანაბორიუციის საოპერო სცენაზე, რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლისათვის „ფსიკერაზი“, „ოდიოს მოსტე“, მოზარდ მკურნებელთა რუსული თეატრის აღდგომისთვის „მომღერალი ქვიშა“ რა სხვ.

გასული წლის გაზაფხულში

ხულზე ლენინგრადის მხახიობის სახლის საგამოყენო დარბაზში გამართულ ქართველი თეატრალური მხატვრების ნამუსეგრების კამოფენაზე დიდი წარბადაც ზღდა თ. სუბიათაშვილის ესეზებმაც.

მხატვარი აღნიშნა მუშაობს „ანტონოვი და კლოია პატარა“ მხატვრულ გაფორმებაზე რუსთაველის სახელობის თეატრში.

თბილისში  
ნიმდინარეობა მუსიკოს-  
შემსრულებლებს ამიერკავკასიის მსხუთე კონკურსი — სამი მომე რესპუბლიკის საშემსრულებლო ხელფურცების დაჯილდოება. ამ კონკურსმა ახალი სახელობა შემდგა ლაურეატ მუსიკოს — შემსრულებელთა არცთუ მცირერიცობიდან ოჯახს და თუმცა ლაურეატობა ხელფურცის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი არ არის, კონკურსი მაინც მისი აღიარების ერთ-ერთი ყველაზე უფრო რაობული ფორმაა, რადგან იგი ნამდვილ არტისტობის ნიშანია ერთად სალიტერატურული და თეატრული ამიერკავკასიის კონკურსი ახალგაზრდა მუსიკოსების შესაძლებლობათა გამოვლენის შესანიშნავი საშუალებაა. 1961 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც ქ. ბაქოში პირველი კონკურსი გაიმართა, ამიერკავკასიის კონკურსებზე მოპოებული წარმატება ბევრისათვის აღმოჩნდა შემდეგში გამარჯვების საწინდარი. დასაძახებულად საქმარისა გავისინეთო თუნდაც მოხლოდ ის ქართველი მუსიკოს-შემსრუ-

ლებლები, რომლებიც შემდეგ საერთაშორისო და საქავკასიო კონკურსების ლაურეატები გახდნენ — ცილა კეერნაძე, ზურაბ სოტიკაძე, მავაქა ქასრაშვილი, ნანა იაშვილი, ლექსო თოიძე, რუსუდან გვასალია, ეთერ ანჯაფურაძე, ელდარ გეგუაძე და აი, დამთავრდა მორიგი, Y კონკურსი. ცნობილი გახდა ახალი ლაურეატების სახელებიც: პიანისტების შორის პირველი ხარისხის დიპლომი და ლაურეატის წოდება მიენიჭა: მ. მანაგაძეს, ნ. ქაიხაძეს (თბილისი), გ. პეტროსიანს (ერევანი), რ. კასიმოვს (ბაქო), მეორე ხარისხის — თ. დოლიძეს (თბილისი), ლ. ბაბაქანიანს (ერევანი), ფ. მამედოვს (ბაქო). მესამე ხარისხის — დ. დავლიანიძეს (თბილისი), ს. ერკანიანს (ერევანი), ე. ჩალაღოვს (ბაქო). მევიოლინეთა შორის პირველი ხარისხის დიპლომი და ლაურეატის წოდება მიენიჭა: კ. ართურუნიანს (ერევანი), გ. ზოიკოვს (ერევანი), ა. დეტიანოსს (თბილისი). მეორე ხარისხის — ლ. ხარტიანიანს (ერევანი), გ. ართურნიანს (ერევანი), რ. ბაბანიანს (ბაქო). მესამე ხარისხის — ლ. კორძაბიას (თბილისი), ე. ჩერკასოვს (ბაქო), ა. ბაბაევს (ერევანი).

ვიოლინდულისტებს შორის პირველი ხარისხის

დიპლომი და ლაურეატის წოდება მიენიჭა: გ. ბარტიანიანს (ერევანი). მეორე ხარისხის — ს. ტრუშინს (თბილისი), ა. მენარბიანს (ერევანი). მესამე ხარისხის — შ. დღვალაშვილს (თბილისი), დ. ცხადიას (თბილისი), ლ. მურადიანს (ერევანი).

კონტრაბასისტებს შორის პირველი ადგილზე გამოვლენენ: მ. ლორია (თბილისი), რ. გაქვიცი (ბაქო). მეორე ადგილზე — თ. სავანელიძე (თბილისი), მესამე ადგილზე — პ. ლეივაძე (თბილისი).

საოპერო მომდერატორთა შორის პირველი პრემია მიმსჯურეს: ტ. ჭიქინაძე (თბილისი), მ. მარტიროსიანი (ერევანი), გ. მარტინეო (ბაქო), ხ. კასიმოვა (ბაქო); მეორე პრემია — ი. იშენელია (თბილისი), გ. პატკანიანი (ერევანი), ე. ესაბეიანი (ერევანი).

კამერულ სიმფონიკი პირველი ადგილზე გამოვლენენ: თ. ჩანავა (თბილისი), ი. ისრაელიანი (თბილისი), გ. ანტონიანი (ერევანი). მეორე ადგილზე — გ. გრიკორიანი (თბილისი), ს. ლეტაგინი (თბილისი), რ. პოპოვა (ბაქო), ა. ბუღაგინცი (ერევანი). მესამე ადგილზე — ბ. ალიევი (ბაქო), რ. ახმედოვი (ბაქო).

გარდა ამისა, სასკოლო კომპოზიტორთა ნაწარმო-

ებების საუეთესოდ შესრულებისათვის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა და საქართველოს სასკოლო საზოგადოებამ სახასიერო საწარმებში დასცემეს ბაქოს სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტს ნ. ნარიანს ბიოლოსა და ერევნის საშუალო სპეციალური საშემსრულებლო სკოლის X კლასის მოსწავლე გ. ბარტიანიანს. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ სპეციალური პრიზით აღნიშნა მომდერატორ ტ. ჭიქინაძის შესრულების არტიკულოზი.

ქართველ მუსიკოს-შემსრულებლებთან სივლინებში დასახარებს: ე. ლორია, მ. შავერიაშვილი, თ. გურულოვა (ეორტბიანი), ი. ნათამბე, მ. შამარდუხელია, მ. ხაინდრაძე (ალტო), ტ. თომამდე და მ. დავითაშვილი (კრავალი).

ამიერკავკასიის მსხუთე კონკურსების ქორეოგრაფიას ხელმძღვანელობდნენ ლ. სარიანი (პიანისტთა კონკურსის ეთერის თავმჯდომარე), ა. ანდლუშაძე (ვიოლინეტო კონკურსის ეთერის თავმჯდომარე), ბ. მენიღვა (ნევილინეტებისა და ალტისტების კონკურსის ეთერის თავმჯდომარე), ა. რაჭუა (ვიოლინდულისტებისა და კონტრაბასისტების კონკურსის ეთერის თავმჯდომარე).

რ. წერეთელი.

● მასწო ბაბაშვილის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრმა მეთურებელს უჩვენა დ. ქუბაბიას სატირული ჩანახატები „ქალქში დაღის მომავალი“. სექტა-

კლში გამოენებულა ო. თოქაიშვილის სუბტი „გრემული სიმფონიკი“, რომელსაც ასრულებს ფოლკლორული ანსამბლი პიეს პუბლიკის დასახურებული არტისტის მ. ბატელიშვი-

ლის ხელმძღვანელობით, ითბილისი — ა. მამაკაშვილი, რეისორი — გ. შიღია, მხატვარი — მ. მურვეანიძე.

სექტატლში მონაწილეობენ: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები: ლ. ჩხალაშვილი, თ. ბახტაძე, მსახიობები: ჯ. კახიანი, ი. ფოფხაძე, ი. ვასაძე, ნ. პიპინაშვილი, კ. ჩიკვაძე, ც. მესხი, ჯ. ჩანალაშვილი, მ. სურგულაძე, ე. ჩხეველი, ნ. მინიაშვილი და სხვები.

● სსპარტაშვილის კომედიის პრემიის ლაურეატმა მესხეთის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა ს. ლუდარის პიესის „ლღიანი“ პრემიერი.

სექტატლში დადგა თეატრის მხამატორი ხელმძღვანელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. დემეტრაშვილმა, მხატვრულად გააფორმა ა. გოკოლაძემ.

წარმოდგენაში როლებს ასრულებენ მ. ახიობები: ო. წიკაშვილი, ლ. თევჭაძე, ო. რეხვაშვილი და სხვ.





**«САБЧОТА ХЕЛОВНЕБА»**  
 № 4, 1977  
**ЖУРНАЛ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР**

**ЛАУРЕАТЫ**

Публикуется сообщение о присвоении почетного звания лауреата премии имени Шота Руставели за 1977 год дирижеру Джансугу Кахидзе, художнику Корнелию Санадзе, артисту Гураму Сагарадзе и писателю Ревазу Инаишвили. (стр. 3).

**Татьяна Шароева**

**В. И. ЛЕНИН И РАЗВИТИЕ МНОГОНАЦИОНАЛЬНОГО СОВЕТСКОГО ИСКУССТВА**

В статье на многочисленных примерах становления, развития и расцвета многонационального искусства СССР показывается победа ленинской национальной политики. (стр. 4).

**Гурам Енукидзе**

**ЗНАМЕНАТЕЛЬНЫЕ ДАТЫ**

50 лет грузинского радио и 29 лет грузинского телевидения — этим знаменательным датам посвящена статья председателя Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по телевидению и радиовещанию Г. Енукидзе. Автор рассказывает о том вкладе, который внесли радио и телевидение в развитие культуры Грузии, делится планами и замыслами на будущее. (стр. 7).

**МОСКОВСКИЙ ТЕАТР ИМЕНИ ЕРМОЛОВОЙ В ТБИЛИСИ**

Прославленный московский коллектив был приглашен в Тбилиси театром «Дружба» при Грузинском театральном обществе.

Публикуется информация о гастрольях Московского театра им. Ермоловой в столице нашей республики. (стр. 15).

**Нодар Гурабаидзе**

**РЕВОЛЮЦИОННАЯ СОВРЕМЕННОСТЬ И ТЕАТР**

В статье представлена широкая панорама театральной жизни в первые годы революции. Становление грузинского советского театра рассматривается на фоне общественно-политической жизни. Автор показывает как тесно были связаны между собой кардинальные вопросы развития русского и грузинского советских театров. Особенно рельефно подчеркнута политика коммунистической партии, ее руководящая роль в сложном и противоречивом процессе идейно-художественного формирования советского театра. (стр. 16)

**САНДРО АХМЕТЕЛИ — 90**

Исполнилось 90 лет со дня рождения выдающегося грузинского режиссера Сандро Ахметели.

Раздел, посвященный юбилейной дате, открывается вступительной статьей министра культуры Грузинской ССР О. Тактакишвили.

Печатается статья народного артиста ССР А. Чхартишвили, народного артиста Грузинской ССР М. Кварцлашвили, и театроведа В. Кинчадзе. Помещены воспоминания народного артиста Грузинской ССР И. Шерезадзашвили и воспоминания заслуженной артистки Грузинской ССР Е. Вацхадзе. Под рубрикой «Публикации» печатаются выступления известных деятелей грузинской культуры: Ш. Нудубидзе, С. Закариадзе и В. Годзишвили.

Читатели познакомятся также и с публичными выступлениями и неизвестными письмами самого Ахметели (авторы публикаций — Л. Сохадзе, Э. Давитая, Н. Кикодзе и Л. Габриадзе). (стр. 25).

**Гурам Гвердцители**

**ГРУЗИНСКОЕ КИНО И ЛИТЕРАТУРА**

Литературное творчество и кино — проблема их взаимосвязей



1600 / 51  
 153 / 13  
 90

сегодня стоит особенно остро. Автор делится своими соображениями по поводу этой проблемы и рассматривает ряд экранизаций литературных произведений. (стр. 67).

#### ГУРАМ САГАРАДЗЕ

В связи с присуждением премии имени Шота Руставели народному артисту Грузинской ССР Г. Сагарадзе в журнале публикуется статья Огара Чиладзе под заглавием «Вестник».

С творчеством актера знакомит очерк Важа Дангуа (стр. 77).



#### Элуджа Аماشукели

#### НА ВЕРНИСАЖЕ ХУДОЖНИКА ГУРАМА ВАШАКИДЗЕ

В фойе здания Грузинского государственного драматического театра имени Ш. Руставели была организована выставка произведений художника Гурама Вашакидзе. Своеобразие мышления и видения художника, стилистические особенности его работ привлекли внимание посетителей.

В данной статье анализируется творчество Гурама Вашакидзе. (стр. 86).



#### Александра Тондзе

#### ВОСПОМИНАНИЯ ОБ АКАКИИ ХОРАВА

Статья Александры Тондзе мемуарного характера. Автор — народная артистка Грузинской ССР, вспоминает годы сотрудничества с большим грузинским актером А. Хорава. (стр. 52 ).

#### РЫЦАРЬ ГРУЗИНСКОГО КИНО

Редакционная статья посвящена памяти популярного актера грузин-

ქერხალში დაბეჭდილია მ. ბაბოიძის,  
პ. შევჩენოსა და ი. მურადიანის ფოტო-  
გები.

ского кино, народного артиста Грузинской ССР лауреата Государственной премии Спартака Багашвили. (стр. 93).

#### Иа Квирикадзе

#### ЭТЮДЫ СКРИБИНА

Автор рассматривает исполнительско-стилистические особенности этюдов Скрябина. (стр. 94).

#### Джурха Надирадзе

#### ЧЕЛОВЕК И ПИРАМИДА

В очерке археолога Д. Надирадзе речь идет о памятниках Египта и о найденных в мире археологических раскопках и открытиях. Автор делится собственными впечатлениями и приводит интересные данные ученых, принимающих непосредственное участие в раскопках и долгие годы изучавших древнейшую цивилизацию Египта. (стр. 96).



#### Ладო Гуднашвили

#### КНИГА ВОСПОМИНАНИЯ

Продолжается публикация воспоминаний народного художника СССР Ладо Гуднашвили. В данной части автор беседует с читателем об известных грузинских и армянских деятелях литературы и искусства И. Гришавили, П. Какабадзе, И. Николадзе, Е. Кочаре, и М. Сарьяне (стр. 107).

მატერული რედაქტორი ალექსი ბალაბუჯი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IV-77 წ.,  
შეც. № 645. ტირაჟი 6.000. ფაზიურბი ნაბეჭდი ფურცელი 15.  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაზანი 19.75. ფასი 1 ზან.

საქართველოს კვ ცენტრალური  
კომიტეტის გამომცემლობა.  
თბილისი, 1977.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის  
გამომცემლობის სტამბა.  
თბილისი, ლენინის ქუჩა № 14, ტელ. 93.93.59.

